

MARC 21
Format for bibliographic Data
INCLUDING GUIDELINES FOR CONTENT DESIGNATION

1999 Edition
and Errata (February 1999)
and Update No. 1 (October 2000)

Bibliographic Vol. 2

Translated into Georgian in 2001
by Teimuraz Chkhenkeli
by request of AIS (Association of Information Specialists)

MARC 21
ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი
შინაარსის აღნიშვნის წესებითურთ

1999 წლის გამოცემა
შეიცავს შეცდომების გასწორებას (1999 წლის თებერვალი)
და №1 განახლებას (2000 წლის ოქტომბერი)

ინგლისურიდან თარგმნა თეიმურაზ ჩხენკელმა

აკინძვის ინსტრუქცია

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატის ეს გამოცემა მომზადებული იყო ისე, რომ მორგებოდა 21/2 – დიუმიან სამრგოლიან სწრაფჩამკერს. წინა და უკანა ყდა უფრო სქელი ქაღალდისგანაა და სატიტულო გვერდი ყოველ ტომს აქვს დართული. გვერდების გამყოფების განაწილება ორ ტომში ქვემოთ არის მოცემული.

პირველი 15 გამყოფი პირველი ტომისთვისაა. გარდა ამისა 18-34 პოზიციისათვის 008 ველში (ფიქსირებული სიგრძის მონაცემთა ელემენტებისათვის), რომელიც განკუთვნილია აღსაწერი მასალის 7 კატეგორიისათვის, გამყოფები ცალკე არის მოცემული. ეს დამატებითი გამყოფები იმისათვისაა, რომ გააადვილოს სპეციფიკური მასალის კატეგორიების ფიქსირებული სიგრძის მონაცემთა ელემენტების ძებნა. დანარჩენი გამყოფები მე-2 ტომისათვის არის განკუთვნილი.

ბიბლიოგრაფიული ფორმატის ეს ამონაბეჭდი მოიცავს 1999 წლის ძირითად ტექსტს (1999 წლის თებერვალი) და №1 განახლებას (2000 წლის ოქტომბერი). ამ ამონაბეჭდში ჩართულია აგრეთვე 1999 წლის ტექსტში აღმოჩენილი შეცდომების გასწორება, რომელიც გამოიცა 1999 წლის თებერვალში ძირითად ტექსტთან ერთად.

(აკინძვის შემდეგ ეს გვერდი შეიძლება ამოღებული იქნეს)

MARC 21 ბიბლიოგრაფიული დეკემბერი 2000 აკინძვის ინსტრუქცია

MARC 21

ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი

შინაარსის აღნიშვნის წესებითურთ

1999 წლის გამოცემა

მომზადა

კონგრესის ბიბლიოთეკის ქსელის განვითარებისა და MARC სტანდარტების ოფისმა კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის სტანდარტების განვითარების განყოფილებასთან ერთად

კონგრესის ბიბლიოთეკა

კატალოგიზაციის გავრცელების სამსახური / ვაშინგტონი

კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტავა

კონგრესის ბიბლიოთეკის გამოცემაში-კატალოგიზაციის მონაცემები

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი : შინაარსის აღნიშვნის წესებითურთ / მოამზადა კონგრესის ბიბლიოთეკის ქსელის განვითარებისა და

MARC სტანდარტების ოფისმა კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის სტანდარტების განვითარების განყოფილებასთან ერთად. – 1999 წლის გამოც.

USMARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატის 1994 წლის გამოცემისა და კანადური MARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების საკომუნიკაციო ფორმატის 1994 წლის გამოცემის გადამუშავებული გამოცემა.

შეიცავს ბიბლიოგრაფიულ მითითებებს.

ISBN 0-8444-0989-8

1. MARC ფორმატები. I. კონგრესის ბიბლიოთეკა. ქსელის განვითარებისა და MARC სტანდარტების ოფისი. II. კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა. სტანდარტების შემუშავებისა და განვითარების განყოფილება. III. USMARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი. IV. კანადური MARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების საკომუნიკაციო ფორმატი.

Z699.35.M28 1999 99-31117

კანადური გამოცემაში-კატალოგიზაციის მონაცემები

ძირითადი ჩანაწერი სათაურზე:

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი : შინაარსის აღნიშვნის წესებითურთ

1999 წლის გამოცემა

ფურცლოვანი გამოცემა განახლებისათვის.

გამოიცა აგრეთვე ფრანგულად შემდეგი სათაურით: Format MARC21 pour les donnees bibliographiques.

CCG cat.no. SN3-40/3-1999E

ISBN 0-660-17771-4

1. MARC ფორმატები. I. კონგრესის ბიბლიოთეკა. ქსელის განვითარებისა და MARC სტანდარტების ოფისი. II. კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა. სტანდარტების განვითარების განყოფილება.

Z699.35.M28M37 1999 025.3'16 C99-900638-X

აშშ-ში და სხვა ქვეყნებში დისტრიბუტორია:

კატალოგიზაციის გავრცელების სამსახური

კონგრესის ბიბლიოთეკა, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20541-4912 აშშ

კანადაში დისტრიბუტორია:

კანადის მთავრობის გამომცემლობა, საჯარო შრომები და მთავრობის მომსახურება, კანადა, ოტავა, ON K1S 0S9 კანადა

კოპირაიტი © 1999 კონგრესის ბიბლიოთეკა გარდა აშშ-ისა

კოპირაიტი © მისი უდიდებულესობის დედოფლის უფლებით კანადაში 1999 წარმოადგენს კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გამოცემა შეიძლება იყოს კოპირებული ნებართვის გარეშე, თუ შექმნის წყარო სავსებით დადასტურებულია.

ეს არის ფურცლოვანი გამოცემა, რომელიც სავარაუდოდ უნდა იყოს განახლებული ახლად გამოშვებული ან შემცვლელი ფურცლებით. ძირითადი ტექსტის გამოცემის წელია 1999. მან შეცვალა USMARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატის 1994 წლის გამოცემა და მისი სამი განახლება და აგრეთვე კანადური MARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების საკომუნიკაციო ფორმატის 1994 წლის გამოცემა და მისი 6 შესწორება.

MARC 21

ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი
განახლება №1

ოქტომბერი 2000

ფურცლების ჩალაგების ინსტრუქცია

ეს განახლება შეიცავს აუკინძავ გვერდებს, რომლებიც უნდა იყოს ჩართული MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატის 1999 წლის გამოცემაში. ზოგიერთი გვერდი ახალია და მოიცავს ფორმატის ახლად განსაზღვრულ მონაცემთა ელემენტებს. მიუხედავად იმისა, რომ №1 განახლების გვერდების უმრავლესობა ცვლის ძირითადი ტექსტის არსებულ გვერდებს, ზოგ შემთხვევაში, მონაცემთა ელემენტების ან ველების მხოლოდ ნაწილი იქნა შეცვლილი. გვერდების შეცვლისას სიფრთხილესა საჭირო, რათა არ იქნეს ამოღებული საჭირო გვერდები. ამ განახლებით შემოტანილი არსებითი ცვლილებების ჩამონათვალი მოცემულია G დანართში. ცვლილებები ტექსტში მონიშნულია ვერტიკალური ხაზით (|) მარცხენა კიდეში. ეს ნიშანი გამოყენებულია იმ ადგილების აღსანიშნავად ტექსტში, სადაც რაიმე მოაცილეს, დაამატეს ან შეცვალეს. განახლების ეს სატიტულო გვერდი უნდა იყოს მოთავსებული ძირითადი გამოცემის სატიტულო გვერდის შემდეგ. დანართი G შეიძლება იყოს ჩართული ნებისმიერ ადგილას ან “ადგილობრივი მონაცემთა ელემენტების” გამყოფის შემდეგ.

მოამზადა

კონგრესის ბიბლიოთეკის ქსელის განვითარებისა და MARC სტანდარტების ოფისმა
კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის სტანდარტების განვითარების განყოფილებასთან
ერთად

კონგრესის ბიბლიოთეკა

კატალოგიზაციის გავრცელების სამსახური / ვაშინგტონი
კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა
ოტავა

აშშ-ში და სხვა ქვეყნებში დისტრიბუტორია:

კატალოგიზაციის გავრცელების სამსახური

კონგრესის ბიბლიოთეკა, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20541-4912 აშშ

კანადაში დისტრიბუტორია:

კანადის მთავრობის გამომცემლობა, საჯარო შრომები და მთავრობის მომსახურება,
კანადა, ოტავა, ON K1S 0S9 კანადა

კოპირაიტი 1999 კონგრესის ბიბლიოთეკა გარდა აშშ-ისა

კოპირაიტი მისი უდიდებულესობის დედოფლის უფლებით კანადაში 1999
წარმოადგენს კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გამოცემა შეიძლება იყოს კოპირებული ნებართვის გარეშე თუ შექმნის წყარო
სავსებით დადასტურებულია.

განახლება №1 (ოქტომბერი, 2000 წელი) უნდა იყოს ჩართული 1999 წლის
თებერვალში გამოცემულ ძირითად ტექსტში.

შინაარსი

შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

ბიბლიოგრაფიული ფორმატის გამოყენების არე

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კომპონენტები

ჩანაწერის ნაწილების აღწერა

მრავალი დამწერლობის მქონე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები

ველებისა და ქვევლების განმეორებადობა

ველების მიბმა

შემავსებელი სიმბოლო და ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობები

დისპლეის კონსტანტები

პასუხისმგებლობის განაწილება ჩანაწერის შემცველობაზე

მოთხოვნილებანი ჩანაწერის დონეზე

მოცემული დოკუმენტის ორგანიზაცია

ძირითადი ნაწილები

ზოგადი ინფორმაციის სექციები

დეტალური აღწერილობის კომპონენტები

მიღებული ტიპოგრაფიული აღნიშვნები
MARC 21 ფორმატთან დაკავშირებული სტანდარტები და სხვა დოკუმენტები
ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები
MARC სტანდარტები
MARC 21-ით შეცვლილი დოკუმენტები
MARC 21-ის მხარდაჭერა

**შინაარსის აღმნიშვნელების შემაჯამებელი ჩამონათვალი
ლიდერი და ცნობარი**

ცვლადი საკონტროლო ველები
00X – საკონტროლო ველები: ზოგადი ინფორმაცია
001 – საკონტროლო ნომერი
003 – საკონტროლო ნომრის იდენტიფიკატორი
005 – ბოლო ტრანზაქციის თარიღი და დრო
006 – ფიქსირებული სიგრძის მონაცემთა ელემენტები – დამატებითი მახასიათებლები
007 – ფიქსირებული ველის ფიზიკური აღწერილობა
008 – ფიქსირებული სიგრძის მონაცემთა ელემენტები მონაცემთა ცვლადი ველები
01X-09X – ნომრები და კოდები
თავსათურის ველები – ზოგადი ინფორმაციის სექციები: X00 - პერსონალური სახელები, X10 - ორგანიზაციების დასახელებები, X11 - შეხვედრების დასახელებები, X30 - უნიფიცირებული სათაურები
1XX – ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები
20X-24X – სათაური და სათაურთან დაკავშირებული ველები
25X-28X – გამოცემა, გამოსასვლელი მონაცემები და სხვა ველები
3XX – ფიზიკური აღწერილობა და სხვა ველები
4XX – ცნობები სერიის შესახებ
5XX – შენიშვნები
6XX – საგნობრივი წვდომის ველები
70X-75X – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები
76X-78X – ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთა ბმა
80X-84X – სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები
841-88X – შენახვის ერთეულები, ალტერნატიული გრაფიკა და სხვ.
დანართი A – საკონტროლო ქვეველები
დანართი B – სრული დონის ჩანაწერის მაგალითები
დანართი C – მინიმალური დონის ჩანაწერის მაგალითები
დანართი D – მრავალშრიფტიანი ჩანაწერები

- დანართი E – გაურკვეველი თავსათაურების ანბანური ჩამონათვალი
- დანართი F – საწყისი განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლები
- დანართი G – ფორმატის ცვლილებები
- დანართი H – მონაცემების ადგილობრივი ელემენტები

შესავალი

ბიბლიოგრაფიული, ავტორიტეტული, საკლასიფიკაციო, საფონდო და საზოგადოებრივი ინფორმაციის მონაცემთა მანქანა-საკითხავი [კომპიუტერული] ფორმით წარმოდგენისა და გაცვლისათვის ფართოდ არის გამოყენებული ხუთი სტანდარტული კომუნიკაციური ფორმატი: MARC 21 ფორმატი ბიბლიოგრაფიული მონაცემებისათვის, MARC 21 ფორმატი ავტორიტეტული მონაცემებისათვის, MARC 21 ფორმატი საფონდო მონაცემებისათვის და MARC 21 ფორმატი საზოგადოებრივი ინფორმაციის მონაცემებისათვის.

MARC 21 ჩანაწერი შედგება სამი ელემენტისაგან: ჩანაწერის სტრუქტურა, შინაარსის აღნიშვნა და ჩანაწერის მონაცემთა შემცველობა. **ჩანაწერის სტრუქტურა** წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის ფორმატის საერთაშორისო სტანდარტის (ISO 2709) და მისი შესაბამისი ამერიკული სტანდარტის - “ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცვლა” (ANSI/NISO Z.39.2) - რეალიზაციას. **შინაარსის აღნიშვნა**, ანუ ჩანაწერში მონაცემთა ელემენტების იდენტიფიცირების, მომდევნო დახასიათებისა და მანიპულირებისათვის კოდებისა და პირობითი აღნიშვნების სპეციალური დადგენა ყოველ MARC ფორმატში ხორციელდება. **MARC ჩანაწერის მონაცემთა შემცველობა** ჩვეულებრივ განისაზღვრება ამ ფორმატის გარეშე მყოფი სტანდარტების მიხედვით, როგორცაა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტი (ISBD), კატალოგიზაციის ანგლო-ამერიკული წესები, კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი (LCSH), ან სხვა საკატალოგიზაციო წესები, საგნობრივი თეზაურუსები, საკლასიფიკაციო სქემები, და სხვა მარეგლამენტირებელი დოკუმენტები, რომელთაც იყენებს ჩანაწერის შემქმნელი ორგანიზაცია. ზოგიერთი მონაცემთა კოდირებული ელემენტის შემცველობა განისაზღვრება თვით MARC ფორმატში (მაგ., ლიდერი, ველი 007, ველი 008).

“MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი: შინაარსის აღნიშვნის წესებითურთ” განსაზღვრავს კოდებსა და პირობით აღნიშვნებს (ტეგებს, ინდიკატორებს, ქვევლების კოდებს და კოდირებულ მნიშვნელობებს), რომლთა საშუალებით ხდება მონაცემთა ელემენტების იდენტიფიცირება MARC სტანდარტის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში. წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია იმ სპეციალისტებისათვის, რომლებიც ჩართული არიან ბიბლიოგრაფიული

მონაცემების შექმნისა და განახლების პროცესში, აგრეთვე მათთვის, რომლებიც ბიბლიოგრაფიული მონაცემების დამუშავებისა და გადაცემის სისტემებს ქმნიან და იყენებენ. ამ დოკუმენტის შემოკლებული ვერსია შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.loc.gov/marc/bibliographic>

ველების უბრალო ჩამონათვალი მოთავსებულია:

<http://www.loc.gov/marc/bibliographic/ecbdlist.html>

ბიბლიოგრაფიული ფორმატის გამოყენების არე

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი შექმნილი იყო როგორც ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტური მასალების, კომპიუტერული ფაილების, მუსიკის, რუკების, სერიალური გამოცემების, ვიზუალური მასალებისა და შერეული მასალების შესახებ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის კომპიუტერული მატარებელი. ბიბლიოგრაფიული მონაცემები, ჩვეულებრივ, შეიცავს სათაურებს, სახელებს, თემებს, შენიშვნებს, გამოქვეყნების მონაცემებს და ინფორმაციას მასალის ფიზიკური აღწერილობის შესახებ. მოცემული ბიბლიოგრაფიული ფორმატი შეიცავს მონაცემთა ელემენტებს შემდეგი ტიპის მასალების შესახებ:

წიგნები (BK) – გამოიყენება ნაბეჭდი, ხელნაწერი და მიკროფორმული ტექსტუალური მონოგრაფიული ხასიათის მასალების აღსანიშნავად.

სერიალური გამოცემები (SE) - გამოიყენება ნაბეჭდი, ხელნაწერი და მიკროფორმული ტექსტუალური მასალების აღსანიშნავად, რომლებიც გამოიცემა ნაწილებად გამოცემის განმეორებადი შაბლონით (მაგ., ჟურნალები, გრძელდებადი გამოცემები, გაზეთები, წელიწდეულები).

კომპიუტერული ფაილები (CF) – გამოიყენება კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის, რიცხვითი (ციფრული) მონაცემების, კომპიუტერზე ორიენტირებული მულტიმედიის, ონლაინ სისტემებისა და მომსახურების აღსანიშნავად. ელექტრონული რესურსების სხვა კლასები კოდირებულია მათი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტის მიხედვით. მაგ., ელექტრონული მასალა თავისი ბუნებით შეიძლება იყოს მონოგრაფიული ან სერიალური.

რუკები (MP) – გამოიყენება ყველა სახის ნაბეჭდი, ხელნაწერი და მიკროფორმირებული კარტოგრაფიული მასალებისათვის ატლასების, გლობუსებისა და ფურცლოვანი რუკების ჩათვლით. კარტოგრაფიული მასალა თავისი ბუნებით შეიძლება იყოს მონოგრაფიული ან სერიალური.

მუსიკა (MU) - გამოიყენება ნაბეჭდი, ხელნაწერი და მიკროფორმული ნოტებისათვის ისევე, როგორც მუსიკალური ხმოვანი (ბგერითი) ჩანაწერებისათვის და არამუსიკალური ბგერითი ჩანაწერებისათვის. მასალა თავისი ბუნებით შეიძლება იყოს მონოგრაფიული ან სერიალური.

ვიზუალური მასალები (VM) - გამოიყენება პროექციული და არაპროექციული მედიისათვის, ორგანოზომილებიანი გრაფიკისათვის, სამგანზომილებიანი არტეფაქტებისათვის ან ბუნებრივი ობიექტებისათვის და კომპლექტებისათვის. მასალა თავისი ბუნებით შეიძლება იყოს მონოგრაფიული ან სერიალური.

შერეული მასალები (MX) - გამოიყენება ძირითადად საარქივო და ხელნაწერი ფორმის მასალების კოლექციებისათვის. შერეული მასალა თავისი ბუნებით შეიძლება იყოს მონოგრაფიული ან სერიალური. (შენიშვნა: 1994 წლამდე შერეული მასალები მოიხსენებოდა როგორც საარქივო და ხელნაწერი მასალები (AM)).

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების სახეები

MARC ფორმატის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები ყველა სხვა ტიპის MARC ფორმატის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებისაგან განსხვავდება კოდით ლიდერში/06 (ჩანაწერის ტიპი), რომლითაც ხდება შემდეგი ტიპის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების იდენტიფიცირება:

1. ენობრივი მასალა
2. ხელნაწერი ენობრივი მასალა
3. კომპიუტერული ფაილი
4. კარტოგრაფიული მასალა
5. ხელნაწერი კარტოგრაფიული მასალა
6. ნოტები
7. ხელნაწერი ნოტები
8. არამუსიკალური ბგერითი ჩანაწერები
9. მუსიკალური ხმოვანი ჩანაწერები
10. პროექციული მასალა
11. ორგანოზომილებიანი არაპროექციული გრაფიკა
12. სამგანზომილებიანი არტეფაქტები და ბუნებრივი ობიექტები
13. კომპლექტი
14. შერეული მასალები

მიკროფორმა, ორიგინალური თუ რეპროდუცირებული, არ განიხილება როგორც ჩანაწერის სპეციალური ტიპი. მასალის ტიპის განსაზღვრისას, რომელსაც მიეკუთვნება ორგინალი (მაგ., წიგნი), მიკროფორმირების ასპექტი მეორადია. ასევე სამართლიანი კომპიუტერული ფაილების მიმართაც, როდესაც კომპიუტერული ფაილის ასპექტი მეორადია; თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ეს ასპექტი მეორადი არ არის და ზოგიერთი კატეგორიის ელექტრონული რესურსი კოდირებულია როგორც კომპიუტერული ფაილი.

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კომპონენტები

ჩანაწერის ნაწილების აღწერა

MARC ფორმატის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შედგება სამი კომპონენტისაგან: ლიდერისაგან, ცნობარისაგან და ცვლადი ველებისაგან. ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია განაზოგადებს MARC ფორმატის ჩანაწერის სტრუქტურას. უფრო დეტალურად ის მოცემულია ჩანაწერის სტრუქტურის, სიმბოლოთა სიმრავლეებისა და გაცვლის მედიის MARC 21 ფორმატის სპეციფიკაციებში (www.loc.gov/marc/specifications).

- **ლიდერი** – მონაცემთა ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩანაწერის დამუშავებისათვის აუცილებელ ინფორმაციას. მონაცემთა ელემენტები შეიცავენ ციფრებს ან კოდირებულ მნიშვნელობებს და მათი იდენტიფიცირება ხდება სიმბოლოთა შესაბამისი პოზიციების მიხედვით. ლიდერს აქვს ფიქსირებული სიგრძე – სიმბოლოთა 24 პოზიცია და წარმოადგენს MARC ჩანაწერის პირველ ველს.
- **ცნობარი** – ცნობათა მიმდევრობა, რომელიც შედგება ტეგისაგან, სიგრძისაგან და საწყისი სიგრძისაგან. თითოეული ცნობის სიგრძე შეადგენს 12 პოზიციას. ცნობარში ჯერ განლაგებულია ცნობები ცვლადი საკონტროლო ველების შესახებ ციფრული ტეგების ძრდის მიხედვით. მათ მოსდევს ცნობები ცვლად მონაცემთა ველების შესახებ, რომლებიც განლაგებულია ტეგის პირველი სიმბოლოს ზრდის მიხედვით. ჩანაწერში ცვლად მონაცემთა ველების განლაგება არ არის აუცილებელი ემთხვეოდეს ცნობარში შესაბამისი ცნობების განლაგებას. დუბლეტური ტეგები განსხვავდებიან მხოლოდ ჩანაწერში შესაბამისი ველების განლაგებით. ცნობარი ბოლოვდება ველის დაბოლოების სიმბოლოთი (ASCII 1E hex).
- **მონაცემთა ცვლადი ველები** – მონაცემები MARC ფორმატის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერში ორგანიზებულია ცვლად ველებად, რომელთა იდენტიფიცირება ხდება ცნობარის შესაბამის ცნობაში არსებული სამსიმბოლოიანი ციფრული ტეგით. ყოველი ველი ბოლოვდება ველის დაბოლოების სიმბოლოთი. უკანასკნელი ცვლადი ველი ჩანაწერში ბოლოვდება როგორც ველის დაბოლოების სიმბოლოთი, ასევე ჩანაწერის დაბოლოების სიმბოლოთი (ASCII 1D hex).

მონაცემთა ცვლადი ველები დაჯგუფებულია ბლოკებად ტეგის პირველი სიმბოლოს მიხედვით, რომელიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მონაცემთა ფუნქციას განსაზღვრავს ჩანაწერში. ინფორმაციის ტიპი ველში განისაზღვრება ტეგის დარჩენილი ნაწილით.

0XX – საკონტროლო ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო და საკლასიფიკაციო ნომრები და სხვ.

1XX – ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები

2XX – სათაურები და სათაურის პარაგრაფი (სათაური, გამოცემა, გამოსასვლელი მონაცემები)

3XX - ფიზიკური აღწერილობა და სხვ.

4XX – ცნობები სერიის შესახებ

5XX - შენიშვნები

6XX – საგნობრივი (თემატური) წვდომის ველები

7XX – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, გარდა საგნობრივისა და სერიისა; მიზნული ველები

8XX – სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, შენახვის ერთეულები და სხვ.

9XX – დარეზერვებულია ადგილობრივი გამოყენებისათვის

1XX, 4XX, 6XX, 7XX, 8XX ბლოკებში დაცულია გარკვეული პარალელიზმი შინაარსის აღმნიშვნელებთან. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ველის ტეგის ბოლო ორ სიმბოლოს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

X00 – პერსონალური (პირთა) სახელები

X10 – ორგანიზაციათა სახელები

X11 – შეხვედრების სახელები

X30 – უნიფიცირებული სათაურები

X40 – ბიბლიოგრაფიული სათაურები

X50 – თემატური ტერმინები

X51 – გეოგრაფიული სახელები

მონაცემთა ცვლად ველებში შინაარსის აღნიშვნის შემდეგი ორი სახე გამოიყენება:

ინდიკატორის პოზიციები – მონაცემთა ყოველი ცვლადი ველის პირველი ორი პოზიცია შეიცავს ამ ველში შემავალი მონაცემების განმარტებით ან დამატებით მნიშვნელობებს. ინდიკატორების მნიშვნელობების ინტერპრეტაცია ხდება დამოუკიდებლად ანუ, ერთად აღებულ ორ ინდიკატორს არ მიეწერება მნიშვნელობა. ინდიკატორის მნიშვნელობა შეიძლება იყოს ანბანის პატარა ასო ან ციფრი. ცარიელი ადგილი (ინტერვალი ან შუალედი განსაზღვრული ASCII SPACE-ით), რომელიც ამ დოკუმენტში წარმოდგენილია როგორც ზ, გამოიყენება განუსაზღვრელი ინდიკატორის პოზიციის შესავსებად. განსაზღვრული ინდიკატორის პოზიციაში ჩაწერილი ინტერვალი შეიძლება აღნიშნავდეს რაღაც მნიშვნელობას ან ინფორმაციის არქონას.

ქვეველის კოდები – ორი სიმბოლო, რომლებიც განასხვავებენ მონაცემთა ელემენტებს ველის შიგნით, რათა შესაძლებელი იყოს ამ მონაცემთა ელემენტების დამოუკიდებელი დამუშავება. ქვეველის კოდი შედგება გამყოფისაგან (ASCII 1F hex), რომელიც წარმოდგენილია ამ დოკუმენტში როგორც ≠, რომელსაც მოსდევს მონაცემთა ელემენტის იდენტიფიკატორი.

მონაცემთა ელემენტის იდენტიფიკატორი შეიძლება იყოს ანბანის პატარა ასო ან ციფრი. ყოველი ველისათვის ქვეველის კოდები განისაზღვრება დამოუკიდებლად. თუმცა, სადაც შესაძლებელია, პარალელური მნიშვნელობები სხვადასხვა ველებშიც გამოიყენება. (მაგ., 100, 400 და 600 პირთა სახელების ველებში). ქვეველის კოდები ჩანაწერში განისაზღვრება მათი იდენტიფიკაციის მიზნით და არა ქვეველების განლაგების განსაზღვრისათვის. ქვეველების განლაგება, ჩვეულებრივ განისაზღვრება სტანდარტებით მონაცემთა შემცველობაზე, როგორცაა საკატალოგიზაციო წესები.

მრავალდამწერლობიანი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები

MARC ფორმატის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს მრავალ დამწერლობაში. ერთი-ერთი დამწერლობა შეიძლება იყოს განხილული როგორც ჩანაწერში მონაცემთა შინაარსის ძირითადი დამწერლობა, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა შინაარსი ჩანაწერში შეიძლება იყოს სხვა დამწერლობითაც. (შენიშვნა: ASCII გამოყენებულია ჩანაწერის სტრუქტურული ელემენტებისათვის და კოდირებული მონაცემების უმრავლესობა აგრეთვე განსაზღვრულია ASCII-ის სიმბოლოებში.) მრავალდამწერლობიანი მონაცემების ზოგადი მოდელები აღწერილია D დანართში სრული ჩანაწერის რამდენიმე მაგალითთან ერთად.

ველის და ქვეველის განმეორებადობა

თეორიულად ყველა ველი და ქვეველი შეიძლება იყოს განმეორებული. თუმცა, მონაცემების ბუნება ხშირად ხელს უშლის განმეორებას. მაგალითად, ჩანაწერი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ერთ 1XX – ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველს, მე-100 ველი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ერთ #a ქვეველს (პერსონალური სახელი), მაგრამ შეიძლება შეიცავდეს ერთზე მეტ #c ქვეველს (ტიტულები, წოდებები და სხვა სიტყვები დაკავშირებული პირის სახელთან). ყოველი ველისა და ქვეველის განმეორებადობა ან განუმეორადობა განისაზღვრება ფორმატში.

ველების გადაბმა

ჩანაწერში ველები შეიძლება იყოს სპეციალურად გადაბმული ველების გადაბმის ზოგადი ტექნიკის გამოყენებით. ეს ტექნიკა ემყარება მონაცემების ჩანაწერის გარკვეულ სინტაქსს #8 ქვეველში (ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი) გადაბმული ველების იდენტიფიცირებისათვის. ველის ბმულისა და მიმდევრობის ნომრის ქვეველის სტრუქტურა და სინტაქსი აღწერილია A დანართში.

შემავსებელი სიმბოლო და დაკავშირებული მნიშვნელობები

შემავსებელი სიმბოლო (ASCII 7C hex), რომელიც წარმოდგენილია ამ დოკუმენტში როგორც ვერტიკალური ხაზი (|), შეიძლება იყოს გამოყენებული ბიბლიოგრაფიული

ჩანაწერის 007 და 008 ველებში და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის მიზმული ველების (760-787) #7 ქვეველში. შემავსებელი სიმბოლო არ შეიძლება იყოს გამოყენებული ლიდერში, ტეგებში, ინდიკატორებში და ქვეველების კოდებში. შემავსებელი სიმბოლოს გამოყენება ეროვნულ მონაცემთა ბაზაში ჩასართველ ჩანაწერებში შეიძლება იყოს დამოკიდებული აგრეთვე ეროვნული დონის მოთხოვნილებებზე, რომლებიც განსაზღვრულია მონაცემთა ყოველი ელემენტისათვის. ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში შემავსებელი სიმბოლოს არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ჩანაწერის შემდგენელმა გადაწყვიტა არ გამოიყენოს ჩანაწერის ამ ადგილზე ფორმატის სპეციფიკაციით განსაზღვრული კოდი.

კოდი u (რაც ნიშნავს უცნობს ან განუსაზღვრელს) როდესაც ის მოცემულია ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩანაწერის შემქმნელი ცდილობდა მის გამოყენებას, მაგრამ ვერ შეძლო კოდის ადექვატური მნიშვნელობის შერჩევა.

კოდი n (რაც ნიშნავს გამოუყენლობას) მოცემულია კოდების მრავალი პოზიციისათვის და მიუთითებს, რომ ამ პოზიციით განსაზღვრული მახასიათებელი არ მიესადაგება ან აღსაწერი ერთეულის ტიპს, ან ჩანაწერის სახეს.

დისპლეის კონსტანტები

დისპლეის კონსტანტა შეიძლება იყოს ტერმინი, ფრაზა, ინტერვალი ან პუნქტუაციის შეთანხმებული ნიშანი, რომელთა გენერირება გარკვეულ შემთხვევებში შეუძლია სისტემას, რათა მონაცემების ვიზუალური წარმოდგენა მომხმარებლისათვის უფრო გასაგები გახადოს. ბიბლიოგრაფიულ ფორმატში ზოგიერთი ველის ტეგი (მაგალითად, ველი 770 - დამატების/სპეცგამოშვების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი), ინდიკატორები (მაგალითად, ველი 511, ინდიკატორი 1 - დისპლეის კონსტანტის კონტროლერი) და ქვეველების კოდები (მაგალითად, თემატური ქვეგანყოფილების ქვეველები $\neq x$, $\neq y$ და $\neq z$ საგნობრივ დამატებით ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში) შეიძლება იყოს გამოყენებული სპეციფიკური ტერმინების, ფრაზების, ინტერვალების და შეთანხმებული პუნქტუაციის ნიშნების გენერირებისათვის ჩანაწერის ეკრანზე გამოტანის დროს დისპლეის კონსტანტების გამოყენება განისაზღვრება ცალკეული ორგანიზაციის ან სისტემის მიერ. დისპლეის კონსტანტების მაგალითები მოცემულია ველების აღწერილობათა შეტანის შეთანხმებებში. ჩანაწერის ეკრანზე გამოტანისას ქვეველის კოდის, როგორც ინტერვალის გამოტანის ზოგადი შეთანხმება დისპლეის კონსტანტის მაგალითებში არ ჩანს.

პასუხისმგებლობა ჩანაწერის შინაარსზე

ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი MARC 21 წარმოადგენს ნებისმიერი ორგანიზაციიდან ყველა

ტიპის ბიბლიოგრაფიული მონაცემის გადმოტანის საშუალებას. საზოგადოდ, ჩანაწერში მონაცემების შინაარსის, შინაარსის აღმნიშვნელების და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ჩაწერის პასუხისმგებლობის დადგენა ხდება პასუხისმგებელი მხარეების ქვემოთ მოყვანილ სექციაში აღნიშნული ველების შემოწმებით. თუმცა, გარკვეულ მონაცემთა ელემენტების შემცველობა შეზღუდულია, როდესაც მონაცემთა ელემენტი შედგენილია სააგენტოს დანიშნულებისთვის ან შედის მონაცემთა ელემენტების კონტროლირებად ნუსხაში.

პასუხისმგებელი მხარეები

არამოდიფიცირებული ჩანაწერების შემთხვევაში ჩანაწერის შემცველობაზე პასუხისმგებლად მიჩნეულია ორგანიზაცია, რომელიც იდენტიფიცირებულია 008/39 ველებში და/ან 040 ველის #a ქვეველში, როგორც კატალოგიზაციის საწყისი წყარო. ორგანიზაცია, რომელიც 040 ველის #c ქვეველში იდენტიფიცირებულია როგორც გადამწერი ორგანიზაცია, პასუხისმგებელია შინაარსის აღმნიშვნელებზე და მონაცემთა გადაწერაზე.

მოდიფიცირებული ჩანაწერის შემთხვევაში ორგანიზაციები, რომლებიც იდენტიფიცირებულია 040 ველის #a და #d ქვეველებში როგორც მოდიფიცირების შემსრულებელი ორგანიზაციები, კოლექტიურად არიან პასუხისმგებელი ჩანაწერის შემცველობაზე. ორგანიზაციები, რომლებიც 040 ველის #c და #d ქვეველებში იდენტიფიცირებულია როგორც მოდიფიცირების შემსრულებელი ან გადამწერი ორგანიზაციები, კოლექტიურად არიან პასუხისმგებელი შინაარსის აღმნიშვნელებზე და მონაცემთა გადაწერაზე.

სააგენტოსთვის გათვალისწინებული მონაცემთა ელემენტები

მონაცემთა ელემენტი სააგენტოსთვისაა გათვალისწინებული, როდესაც მისი შემცველობა განისაზღვრება სპეციალურად გამოყოფილი სააგენტოს მიერ და პასუხისმგებლობაც ამ სააგენტოზეა დაკისრებული. მაგ., ველი 222 (საკვანძო სათაური), რომლის შემცველობაზე პასუხისმგებელია ISSN-ის ცენტრი. ამ ველის შევსება შეუძლია მხოლოდ გამოყოფილ ორგანიზაციას, ხოლო გადაწერა – ნებისმიერ ორგანიზაციას.

კონტროლირებადი ნუსხის მონაცემები

გარკვეულ მონაცემთა ელემენტები შეიცავენ მონაცემებს კონტროლირებადი ნუსხიდან, რომელსაც ადგენენ და ანახლებენ გამოყოფილი ორგანიზაციები. მაგ., მონაცემთა ელემენტები ველში 043 (გეოგრაფიული რეგიონის კოდი) გადაიწერება

კონტროლირებადი ნუსხიდან MARC Code List for Geographic Areas. ასეთი ელემენტები მითითებულია MARC 21-ის ველის ან ქვეველის დონეზე და მათი მნიშვნელობების გადაწერა დაშვებულია მხოლოდ კონტროლირებადი ნუსხებიდან. თუ ნუსხაში ცვლილების ან დამატების შეტანა შეიქნა სასურველი, მაშინ ამის შესახებ კონსულტაციები უნდა ჩატარდეს კონტროლირებადი ნუსხის პატრონთან.

ჩანაწერის დონის მოთხოვნები

მომხმარებელთა ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ ჩანაწერის სრული ან მინიმალური დონის მოთხოვნები იმისათვის, რომ უზრუნველყონ თავსებადობა საკატალოგიზაციო ორგანიზაციებს შორის. ამ მოთხოვნების შესახებ კარგად უნდა იყოს ინფორმირებული მონაცემთა გაცვლის ყველა შესაძლო პარტნიორი.

მოცემული დოკუმენტის ორგანიზაცია

მთავარი ნაწილები

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი შეიცავს შინაარსის აღმნიშვნელების შესახებ შემაჯამებელ ცნობებს, რომელთაც მოსდევს შინაარსის თითოეული აღმნიშვნელის დეტალური განხილვა. ლიდერისა და ცნობარის აღწერის შემდეგ მოდის ველების ტეგების მიხედვით განლაგებული ცვლადი ველების დეტალური განხილვა.

მოცემული დოკუმენტის დანართები იძლევიან ინფორმაციას ზოგიერთი საკონტროლო ქვეველის შესახებ (დანართი A), სრული დონის ჩანაწერის მაგალითებს (დანართი B), მინიმალური დონის ჩანაწერის მაგალითებს (დანართი C), მრავალდამწერლობიანი ჩანაწერების მაგალითებს (დანართი D), ბუნდოვანი თავსათაურების ანბანურ ჩამონათვალს შემოთავაზებული ტეგირებით (დანართი E), განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების მრავალენოვან ჩამონათვალს (დანართი F), ბოლო გამოცემის ან განახლების შემდგომ ფორმატის ცვლილებების სიას (დანართი G) და, კანადური და ამერიკული გარკვეული ადგილობრივი ველების ჩამონათვალს (დანართი H).

ზოგადი ინფორმაციის სექციები

ზოგადი ინფორმაციის სექციები მოცემულია იმისათვის, რომ მსგავსი თვისებების მქონე ველების

ჯგუფებისათვის აცილებულ იქნეს განმეორებები. ზოგადი ინფორმაციის ეს სექციები იძლევიან ინსტრუქციებს ჯგუფში შემავალი ყოველი ველისათვის შინაარსის საერთო აღმნიშვნელების შესახებ. ყოველი ველის აღწერილობაში არსებობს მითითება ამ ჯგუფის ზოგადი ინფორმაციის სექციაზე.

მაგალითად, X00 – პერსონალური სახელი - - ზოგადი ინფორმაციის სექცია მოცემულია პერსონალური სახელის თავსათაურისათვის. ზოგადი ინფორმაციის ეს სექცია იძლევა ინსტრუქციებს შინაარსის აღმნიშვნელებისათვის, რომლებიც საერთოა ყოველი ტიპის პერსონალური სახელის თავსათაურისათვის, როგორცაა ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი 100, თემატური წვდომის ველი 600, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი 700 და სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი 800. თითოეული ამ ველის (ე.ი.100, 600, 700, 800) აღწერილობა შეიცავს მითითებას X00 – ზოგადი ინფორმაციის სექციაზე.

დეტალური აღწერილობის კომპონენტები

დეტალური აღწერილობა საზოგადოდ შედგება 6 ნაწილისგან: შინაარსის აღმნიშვნელების სიისგან; სიმბოლოს პოზიციისგან ან ველის განსაზღვრებისგან და მოქმედების არისგან; შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესებისგან მაგალითებით; შეტანის შეთანხმებებისგან და შინაარსის აღმნიშვნელების ისტორიისგან.

შინაარსის აღმნიშვნელთა სია შეიცავს:

- შინაარსის აღმნიშვნელის სახელს
- განმეორებადობის/განუმეორადობის კოდს (R ან NR)

ლიდერისა და ცვლადი საკონტროლო ველებისათვის ეს სია იძლევა სიმბოლოს პოზიციის სახელს ნებისმიერ განსაზღვრულ კოდირებულ მნიშვნელობასთან ერთად. მონაცემთა ცვლადი ველებისათვის ეს სია იძლევა ინდიკატორის პოზიციის სახელს ნებისმიერ განსაზღვრულ კოდირებულ მნიშვნელობასთან ერთად და ქვეველის კოდების სახელს ნებისმიერ განსაზღვრულ კოდირებულ მნიშვნელობასთან ერთად. მონაცემთა ცვლადი ველებისათვის ქვეველის განმეორებადობის კოდი განსაზღვრავს, შეიძლება თუ არა ქვეველის კოდის განმეორება ველში.

სიმბოლოს პოზიციის ან ველის განსაზღვრისა და მოქმედების არის სფერო აღწერს სიმბოლოს პოზიციის ან ველის შემცველობას, სპეციალური სახის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში მისი გამოყენების მიზანშეწონილობას და იძლევა სხვა ინფორმაციას, როგორცაა ველის განმეორებადობა გარკვეულ პირობებში, მოთხოვნილი სიების გამოყენება, მონაცემთა ფორმულირების წესები და სხვ.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესების სფერო აღწერს თითოეული კოდირებული მნიშვნელობის, ინდიკატორის ან ქვეველის კოდის შინაარსსა და მოქმედების არეს და აგრეთვე იძლევა სხვა ინფორმაციასაც, როგორცაა გარკვეულ პირობებში მათი გამოყენებისა და განმეორებადობის მიზანშეწონილობა.

კოდირებული მნიშვნელობები და ქვეველების კოდები ამ სფეროში მოცემულია ანბანურ/ციფრული დალაგების მიხედვით. შინაარსის აღმნიშვნელების მაგალითები მოცემულია უშუალოდ მათი აღწერის შემდეგ. მაგალითები წარმოადგენენ MARC ფორმატისთვის სპეციფიკურ შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების

ილუსტრაციას. მონაცემები შეიძლება იყოს უფრო სრული ან ნაკლებად სრული საკატალოგო პრაქტიკასთან შედარებით. მაგალითების უმრავლესობა ასახავს AACR2-სა და ISBD-ს გამოყენებას, თუმცა ზოგიერთი მაგალითი ზოგადად ასახავს MARC ფორმატის გამოყენებას. სხვა მაგალითები სპეციფიკური შემთხვევების ილუსტრაციაა.

შეტანის შეთანხმებების სფერო წარმოადგენს ზოგად სახელმძღვანელოს შინაარსის აღმნიშვნელების, პუნქტუაციის, ინტერვალებისა და დისპლეის კონსტანტების გამოყენებისათვის. ველის შიგნით გამოყენებული პუნქტუაცია საზოგადოდ ნაკარნახებია აღწერილობითი კატალოგიზაციისა და საგნობრივი რუბრიკების/თეზაურუსის გამოყენების წესებით. შეტანის შეთანხმებები ნათელს ჰფენენ MARC ფორმატის პუნქტუაციის პრაქტიკას, განსაკუთრებით დამაბოლოვებელი პუნქტუაციის თვალსაზრისით. პუნქტუაციის პრაქტიკის განხილვისას ყურადღება ექცევა პუნქტუაციის შემდეგ ნიშნებს: წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), ძახილის ნიშანი (!) და დეფიზი (-).

შინაარსის აღმნიშვნელთა ისტორიის სფერო იძლევა ჩანაწერს შინაარსის აღმნიშვნელების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. აქ მოყვანილია ცვლილებების შემდეგი ტიპები:

- 1980 წელი. ახლად განსაზღვრული შინაარსის აღმნიშვნელები, რომლებიც გავლენას ახდენენ კოდირების თავსებადობაზე ფაილში, მაგალითად, რომელიმე ორგანიზაციის მიერ შეტანილი შეხვედრის ადგილმდებარეობა არ უნდა იყოს ცალკე ქვეველში კოდირებული მანამ, სანამ X10 ველებში არ იქნება განსაზღვრული ქვეველი ≠ c.
- 1979 წელი. ხელახლა განსაზღვრული კოდები და მნიშვნელობები, მაგალითად, X10 ველებში ნაშრომის

ნაწილის/სექციის ნომერი და სახელი უნდა იყოს შეტანილი ≠p ქვეველში მანამდე, სანამ ხელახლა იქნება განსაზღვრული ≠p ქვეველში ნაშრომის ნაწილის/სექციის მხოლოდ სახელი.

- ცვლილებები კოდებში და მნიშვნელობებში სპეციფიკაციების თავსებადობის მისაღწევად მთელი MARC-ის ფარგლებში, მაგალითად, 008/24-27-ში წიგნების სპეციფიკაციისათვის კოდი f (სახელმძღვანელოები) 1979 წლამდე იდენტიფიცირებული იყო როგორც კოდი h.
- ცვლილებები განმეორებადობაში, როდესაც ის გავლენას ახდენს ფაილის თავსებადობაზე, მაგალითად, ველი 020 1979 წლამდე არ იყო განმეორებადი; ISBN-ის მრავალკომპონენტური მონაცემები მოთავსებული იყო განმეორებად ქვეველებში ≠a ≠b და ≠c.

- 1980 წელი. რესტრუქტურზაცია, მაგალითად, ველი 007 (ფიზიკური აღწერილობის შესწორებული ველი).

- შინაარსის მოძველებული აღმნიშვნელი, მაგალითად, ქვეველი ≠b (რიცხვი) ველებში X11 როდესაც ქვეველი ≠n 1979 წელს ხელახლა იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ ჩართული იყოს შეხვედრების ნომრები. შინაარსის მოძველებული აღმნიშვნელები, რომლებიც ადრე იყო განსაზღვრული მხოლოდ ერთ ფორმატში აღინიშნება როგორც [USMARC only] ან [CAN/MARC only]; მოუნიშნავი ერთეულები განსაზღვრულია ორივე ფორმატში.

MARC ფორმატებში ანსხვავებენ მოძველებულ და წაშლილ შინაარსის აღმნიშვნელებს. შინაარსის აღმნიშვნელი არის მოძველებული, თუ იგი იყო გამოყენებული MARC ფორმატის ჩანაწერებში და შეიძლება ისევ გვხვდებოდეს ისეთ ჩანაწერებში, რომლებიც შექმნილი იყო იმ თარიღამდე, როდესაც ის მოძველებულად იყო გამოცხადებული. მოძველებული შინაარსის აღმნიშვნელები არ გომიყენება ახალ ჩანაწერებში. მოძველებული შინაარსის აღმნიშვნელი ჩაიწერება *შინაარსის აღმნიშვნელების ისტორიის სფეროში*. შინაარსის აღნიშვნის ინსტრუქციები გამოყენება ჩანაწერების რეტროსპექტიული კონვერსიის დროს ამ ჩანაწერებში არსებული მონაცემთა ელემენტების იდენტიფიცირებისათვის შინაარსის მოძველებული აღმნიშვნელების მეშვეობით. წაშლილი შინაარსის აღმნიშვნელი არ ჩაიწერება ისტორიის არეში და აღარასოდეს აღარ შეგვხვდება MARC ფორმატის დოკუმენტაციაში. თუ MARC ფორმატში სარეზერვო შინაარსის აღმნიშვნელია მოცემული, მაგრამ არ არის განსაზღვრული ან განსაზღვრულია, მაგრამ არ არის გამოყენებული, მაშინ ის ფორმატში შეიძლება წაიშალოს. წაშლილი შინაარსის აღმნიშვნელის ხელახალი განსაზღვრა ფორმატში დასაშვებია.

ტიპოგრაფიული შეთანხმებები

მოცემულ დოკუმენტში გამოყენებულია შემდეგი ტიპოგრაფიული აღნიშვნები:

0 – გრაფიკული სიმბოლო 0 წარმოადგენს ციფრ ნულს ტეგებში, ფიქსირებული პოზიციის მქონე სიმბოლოების პოზიციებში, ინდიკატორების პოზიციებსა და სხვა ადგილებში, სადაც გამოიყენება ციფრები.

≠ - გრაფიკული სიმბოლო ≠ გამოიყენება ცარიელი ადგილის აღსანიშნავად კოდირებულ ველებში და სხვა სპეციალურ სიტუაციებში, სადაც ცარიელი სიმბოლოს არსებობა შეიძლება იწვევდეს გაურკვევლობას. (უმრავლეს ტექსტურ მაგალითებში ცარიელი ადგილი წარმოდგენილია შეთანხმებული წესით – სიმბოლოს არარსებობით, გამოტოვებით).

≠ - გრაფიკული სიმბოლო ≠, როგორც ქვეველის ნაწილი, გამოიყენება ქვეველის გამოსაყოფად. მაგალითად, მოცემულ დოკუმენტში a ქვეველის კოდი ჩაიწერება როგორც ≠a.

/ - სპეციფიკური სიმბოლოების პოზიციები ლიდერში, ცნობარში, 007 ველში, 008 ველში და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მისაბმელი ველების (760-787) ≠7

ქვეველში გამოსახება დახრილი ხაზისა და სიმბოლოს პოზიციის ნომრით, მაგ., Leader/06, 007/00, 008/09.

1 - გრაფიკული სიმბოლო 1 წარმოადგენს ციფრ ერთიანს. ეს სიმბოლო უნდა განსხვავდებოდეს ლათინური ანბანის პატარა 1 (el)-სა და ლათინური ანბანის დიდი I (eye)-საგან მაგალითებსა და ტექსტში.

| - გრაფიკული სიმბოლო | წარმოადგენს შემავსებელ სიმბოლოს MARC ფორმატის მაგალითებში. როდესაც ეს ნიშანი დასმულია მარცხენა კიდეზე, მაშინ ის მოცემული დოკუმენტის ტექსტში მიუთითებს იმ ადგილებზე, სადაც ცვლილებები იყო შეტანილი.

MARC 21 ფორმატთან დაკავშირებული სტანდარტები და სხვა დოკუმენტები

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი უნდა იყოს გამოყენებული შემდეგ სტანდარტებთან და დაკავშირებულ დოკუმენტებთან ერთად. როდესაც ფორმატის განსაზღვრულ ველებში მონაცემებს

მიესადაგება რომელიღაც სტანდარტი, ეს ველები ჩასმული იქნება კვადრატულ ფრჩხილებში, რომელთა შემდეგ იქნება მითითება (ციტირება) შესაბამის სტანდარტზე.

ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები:

ISO-ს პუბლიკაციები შეიძლება იყოს შექმნილი სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ISO) (www.iso.ch) და მათ სააგენტოებში; ხოლო ANSI/NISO Z39 პუბლიკაციები შეიძლება შექმნილ იყოს საინფორმაციო სტანდარტების ეროვნულ ორგანიზაციაში (NISO) (www.niso.org).

ინფორმაციის გაცვლის ფორმატი (ISO 2709) და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა (ANSI/NISO Z39.2)

ქვეყნებისა და მათი ნაწილების წარმოდგენის კოდები: ნაწილი 2. ქვეყნების ნაწილების კოდები (ISO 3166-2)

წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN) (ISO 2108)

მუსიკის (ნოტების) საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISMN) (ISO 10957)

ჩანაწერის (მუსიკალურის თუ არამუსიკალურის) საერთაშორისო სტანდარტული კოდი (ISRC) (ISO 3901)

სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN) (ISO 3297) (ANSI/NISO Z39.9)

თარიღებისა და დროის წარმოდგენა (ISO 8601)

სერიალური ერთეულისა და შემოტანილი წვლილის იდენტიფიკატორი (SICI) (ANSI/NISO Z39.56)

ტექნიკური ანგარიშის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISRN) (ISO 10444) და ტექნიკური ანგარიშის სტანდარტული ნომერი და აღწერილობა (ANSI/NISO Z39.23) სიმბოლოების სიმრავლეთა სტანდარტები განსაზღვრულია MARC 21-ის სპეციფიკაციებში ჩანაწერის სტრუქტურის, სიმბოლოების სიმრავლეებისა და გაცვლის მედიისათვის.

MARC სტანდარტები:

ამ გამოცემების მიღება აშშ-ში და სხვა ქვეყნებში შეიძლება კონგრესის ბიბლიოთეკიდან, კატალოგიზაციის გავრცელების სამსახური, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20541-4912 აშშ

კანადაში დისტრიბუტორია კანადის მთავრობის გამომცემლობა, საჯარო შრომები და მთავრობის მომსახურება, კანადა, ოტავა, ON K1S 0S9 კანადა. იქ სადაც მითითებულია, ეს პუბლიკაციები ხელმისაწვდომია ინტერნეტშიც.

MARC ფორმატის ქვეყნების კოდების სია (<http://www.loc.gov/marc/countries>)

MARC ფორმატის გეოგრაფიული რეგიონების სია (<http://www.loc.gov/marc/geoareas>)

MARC ფორმატის ენების სია (<http://www.loc.gov/marc/languages>)

MARC ფორმატის ორგანიზაციების სია (აღრე გამოქვეყნებული იყო შემდეგი სათაურის ქვეშ: ამერიკული ბიბლიოთეკების სიმბოლოები)

MARC ფორმატის მაკავშირებლების, წყაროებისა, გავრცელების შეთანხმებების სია (<http://www.loc.gov/marc/relators>)

ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის პოლიტიკა და სიმბოლოები კანადაში (<http://www.nlc-bnc.ca/ill/eillsymb.htm>)

MARC 21 –ის შემოკლებული ფორმატები (ხუთივე ფორმატი შემოკლებული ფორმით) (<http://www.loc.gov/marc/concise>)

MARC 21 –ის ფორმატი ავტორიტეტული მონაცემებისათვის

MARC 21 –ის ფორმატი საკლასიფიკაციო მონაცემებისათვის

MARC 21 –ის ფორმატი საზოგადოებრივი ინფორმაციისათვის

MARC 21 –ის ფორმატი შენახვის ერთეულების მონაცემებისათვის

MARC 21 –ის ფორმატი ავტორიტეტული მონაცემებისათვის

MARC 21-ის სპეციფიკაციები ჩანაწერის სტრუქტურის, სიმბოლოების სიმრავლეებისა და გაცვლის მედიისათვის (<http://www.loc.gov/marc/specs>).

MARC 21-ით შეცვლილი დოკუმენტები

ეს დოკუმენტი ცვლის ყველაზე ბოლოს გამოცემულ USMARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატს

და აგრეთვე კანადურ MARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების საკომუნიკაციო ფორმატს. 1997 წელს ამ ფორმატების შეთანხმების შემდეგ შესაძლებელი გახდა ერთიანი ფორმატის გამოშვება.

USMARC-ის დოკუმენტაცია

MARC 21-მა შეცვალა USMARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატის 1994 წლის გამოცემა შინაარსის აღნიშვნის წესებითურთ და მისი სამი განახლება: №1 (1995 წლის მარტი), №2 (1996 წლის მარტი), №3 (1997 წლის ივლისი). 3[№] განახლების შემდეგ USMARC და CAN/MARC ფორმატებს გაუხდათ ფორმატის იდენტური სპეციფიკაციები. 1994 წლის გამოცემამ შეცვალა ფორმატის 1988 წლის გამოცემა და მისი ოთხი განახლება 1988 - 1991 წლებში. 1988 წლის გამოცემა მოიცავდა 1980 წლის გამოცემის ძირითად ტექსტს, რომელიც გამოცემული იყო სათაურით: “MARC ფორმატი ბიბლიოგრაფიული მონაცემებისთვის (MFBD)” და რომელსაც მოჰყვა 15 განახლება 1980 - 1987 წლებში. 1980 წლის გამოცემა იყო კომპილაცია MARC ფორმატის ცალკეული დოკუმენტებისათვის, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1969 - 1977 წლებში და შექმნილი იყო სხვადასხვა ტიპის მასალებისათვის.

CAN/MARC-ის დოკუმენტაცია

MARC 21-მა შეცვალა კანადური MARC ბიბლიოგრაფიული მონაცემების საკომუნიკაციო ფორმატის 1994 წლის გამოცემა და მისი 6 შესწორება 1994 - 1998 წლებში. მეექვსე განახლება შეიცავდა ისეთ შესწორებებს, რომ შესაბამისობაში მოეყვანა CAN/MARC-ი USMARC-თან. ამ განახლების შემდეგ CAN/MARC და USMARC ფორმატებს გაუხდათ ფორმატის იდენტური სპეციფიკაციები. 1994 წლის გამოცემამ შეცვალა ფორმატის 1988 წლის გამოცემა და მისი შვიდი განახლება, რომლებიც გამოშვებული იყო 1988 - 1991 წლებში. 1988 წლის გამოცემა შედგენილი იყო CAN/MARC ფორმატის მონოგრაფიებისა და სერიალებისათვის ცალკე გამოცემების გაერთიანებით.

MARC 21-ის დოკუმენტაციის მხარდაჭერა

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი მოამზადა კონგრესის ბიბლიოთეკის ქსელის განვითარებისა და MARC სტანდარტების ოფისმა კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის სტანდარტების განვითარების განყოფილებასთან ერთად. ამ დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებული შეკითხვებით გთხოვთ მიმართოთ ერთ-ერთს:

Network Development and MARC Standards Office

Library of Congress

101 Independence Avenue, S.E.

Washington, DC 20540-4102.USA

Fax: +1-202-707-0115

Email: ndmso@loc.gov

ან

Standards and Support
National Library of Canada
395 Wellington St.
Ottawa, Ontario K1A 0N4, Canada
Fax: +1-819-953-0291
Email: marc@nlc-bnc.ca

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი ორგანიზებულია ველების თანმიმდევრობის საფუძველზე ისე, რომ თითოეული ველი მოთავსებულია ცალკეულ გვერდზე იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ველების განახლებას და შეცვლას. ძირითადი ტექსტისათვის და ძირითადი ტექსტის კუმულირებული (გაერთიანებული) ვერსიებისათვის პერიოდულად განახლებადი ახალი და შესაცვლელი გვერდები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის ხელმისაწვდომია კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგიზაციის გავრცელების სამსახურიდან ვაშინგტონში - კოლუმბიის ოლქი 20541-5017, აშშ; ხოლო კანადაში დისტრიბუტორია კანადის მთავრობის გამომცემლობა, საჯარო შრომები და მთავრობის მომსახურება (PWGSC) - კანადა, ოტავა, ON K1S 0S9. განცხადებები განახლებების შესახებ კეთდება კონგრესის ბიბლიოთეკის MARC ფორმატის ვებ-საიტზე (www.loc.gov/marc), კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის MARC ფორმატის ვებ-საიტზე (www.nlc-bnc.ca/marc), ლისტსერვებზე (საფოსტო დაგზავნებში), საბიბლიოთეკო გამოცემების პრესრელიზებში და შეტყობინებებში მათთვის ვინც შეიძინა ძირითადი გამოცემა. განახლებები აგრეთვე ხელმისაწვდომია მუდმივი შეკვეთის საფუძველზე კონგრესის ბიბლიოთეკიდან და კანადის მთავრობის გამომცემლობიდან (PWGSC). კონგრესის ბიბლიოთეკის MARC ფორმატის გავრცელების სამსახურის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ფირებზე ხელმომწერები დამატებით იღებენ აგრეთვე ამ გამოცემას და ყველა მის განახლებას.

შემაჯამებელი მიმოხილვა

MARC 21 ბიბლიოგრაფიული მონაცემების ფორმატი

შემაჯამებელი ცნობები შინაარსის აღმნიშვნელების შესახებ

ლიდერი

ცნობარი

ცვლადი საკონტროლო ველები

00X საკონტროლო ველები – ზოგადი ინფორმაცია

001 საკონტროლო ნომერი

003 საკონტროლო ნომრის იდენტიფიკატორი

- 005 ბოლო ტრანზაქციის თარიღი და დრო
- 006 ფიქსირებული სიგრძის მონაცემთა ელემენტები – დამატებითი მასალის მახასიათებლები
- 007 ფიზიკური აღწერილობის ფიქსირებული ველი
- 008 ფიქსირებული სიგრძის მონაცემთა ელემენტები – ზოგადი ინფორმაცია ცვლადი მონაცემების ველები
- საკონტროლო ინფორმაცია, ნომრები და კოდები
- 01X – 09X ცვლადი მონაცემების ველები – ზოგადი ინფორმაცია
- 010 კონგრესის ბიბლიოთეკის საკონტროლო ნომერი
- 013 პატენტის საკონტროლო ინფორმაცია
- 015 ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნომერი
- 016 ეროვნული ბიბლიოგრაფიული ორგანიზაციის საკონტროლო ნომერი
- 017 კოპირაიტის სარეგისტრაციო ნომერი
- 018 კოპირაიტის უფლებით დაცული სტატიის გადასახადის კოდი
- 020 წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი
- 022 სერიალური გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი
- 024 სხვა სტანდარტული იდენტიფიკატორი
- 025 საზღვარგარეთ შექმნილი მასალის ნომერი
- 027 ტექნიკური ანგარიშის სტანდარტული ნომერი
- 028 გამომცემლის ნომერი
- 030 CODEN-ის აღნიშვნა
- 032 საფოსტო რეგისტრაცია ნომერი
- 033 მოვლენის თარიღი/დრო და ადგილი
- 034 კოდირებული კარტოგრაფიული მათემატიკური მონაცემები
- 035 სისტემური საკონტროლო ნომერი
- 036 კომპიუტერულ მონაცემთა ფაილების ორიგინალური (საწყისი შესწავლის) ნომერი
- 037 დაკომპლექტების წყარო
- 040 კატალოგიზაციის წყარო
- 041 ენის კოდი
- 042 აუტენტურობის (ნამდვილი შესაბამისობის) კოდი
- 043 გეოგრაფიული არის (გეოგრაფიული რეგიონის) კოდი
- 044 გამომცემელი/მწარმოებელი ქვეყნის კოდი
- 045 შინაარსის დროის პერიოდი
- 046 კოდირებული განსაკუთრებული თარიღები
- 047 მუსიკალური კომპოზიციის ფორმის კოდი
- 048 მუსიკალური ინსტრუმენტების ან ხმების რაოდენობის კოდი
- 050 კონგრესის ბიბლიოთეკის შენახვის შიფრი

- 051 ცნობები კონგრესის ბიბლიოთეკის ეგზემპლარის, გამოშვების, ანაბეჭდის შესახებ
- 052 გეოგრაფიული კლასიფიკაცია
- 055 კანადაში მინიჭებული შენახვის შიფრები და საკლასიფიკაციო ნომრები
- 060 ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკის შენახვის შიფრი
- საკონტროლო ინფორმაცია, ნომრები და კოდები
- 01X – 09X ცვლადი მონაცემების ველები (გაგრძელება)
- 061 ცნობები ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკის ეგზემპლარის შესახებ
- 066 არსებულ სიმბოლოთა სიმრავლეები
- 070 ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის შენახვის შიფრი
- 071 ცნობები ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის ეგზემპლარის შესახებ
- 072 თემატური (საგნობრივი) რუბრიკის (კატეგორიის) კოდი
- 074 სამთავრობო გამოცემის ნომერი
- 080 უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ნომერი
- 082 დუის ათწილადი შენახვის ნომერი
- 084 სხვა კლასიფიკაციის ნომერი
- 086 სამთავრობო დოკუმენტის შენახვის შიფრი
- 088 ანგარიშის ნომერი
- 09X ადგილობრივი შენახვის შიფრები
- თავსათაურის ველები – ზოგადი ინფორმაციის სექციები
- X00 პერსონალური სახელები – ზოგადი ინფორმაცია
- X10 ორგანიზაციების სახელები - ზოგადი ინფორმაცია
- X11 შეხვედრების სახელები - ზოგადი ინფორმაცია
- X30 უნიფიცირებული სათაურები - ზოგადი ინფორმაცია
- 1XX ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები - ზოგადი ინფორმაცია
- 100 ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - პერსონალური სახელი
- 110 ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ორგანიზაციის სახელი
- 111 ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - შეხვედრის სახელი
- 130 ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - უნიფიცირებული სათაური
- 20X-24X სათაური და სათაურთან დაკავშირებული ველები - ზოგადი ინფორმაცია
- 210 შემოკლებული სათაური
- 222 საკვანძო სათაური
- 240 უნიფიცირებული სათაური
- 242 სათაურის თარგმანი საკატალოგიზაციო სააგენტოს მიერ
- 243 კოლექტიური უნიფიცირებული სათაური
- 245 ცნობები სათაურის შესახებ
- 246 სათაურის ვარიანტული ფორმა
- 247 ძველი სათაური ან სათაურის ვარიაციები

25X-28X გამოცემის, გამოსასვლელი მონაცემების ცნობების და ა.შ. ველები - ზოგადი ინფორმაცია

250 ცნობები გამოცემის შესახებ

254 ცნობები მუსიკალური ნაწარმოების წარმოდგენის შესახებ

255 კარტოგრაფიული მათემატიკური მონაცემები

256 კომპიუტერული ფაილის მახასიათებლები

257 საარქივო ფილმების მწარმოებელი ქვეყანა

260 გამოქვეყნება, გავრცელება და ა.შ. (ბეჭდილობითი ცნობები)

263 გამოქვეყნების დაგეგმილი თარიღი

270 მისამართი

3XX ფიზიკური აღწერილობის და ა.შ. ველები - ზოგადი ინფორმაცია

300 ფიზიკური აღწერილობა

306 ხანგრძლივობა

307 საათები და სხვ.

310 გამოცემის მიმდინარე პერიოდულობა

321 გამოცემის წარსული პერიოდულობა

340 ფიზიკური მატარებელი

3XX ფიზიკური აღწერილობის და ა.შ. ველები (გაგრძელება)

342 სპეციალიზირებული გეოსივრცითი საცნობარო მონაცემები

343 სიბრტყითი კოორდინატების მონაცემები

351 მასალის ორგანიზაცია და განლაგება

352 ციფრული გრაფიკის წარმოდგენა

355 დაცვის კლასიფიკაციის კონტროლი

357 გავრცელების კონტროლი შემქმნელების მიერ

362 გამოქვეყნების თარიღები და/ან ტომის აღნიშვნა

4XX ცნობები სერიის შესახებ - ზოგადი ინფორმაცია

440 ცნობები სერიის შესახებ/დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერა-სათაური

490 ცნობები სერიის შესახებ

5XX შენიშვნები - ზოგადი ინფორმაცია

500 ზოგადი შენიშვნა

501 შენიშვნა "...ით"

502 დისერტაციის შენიშვნა

504 ბიბლიოგრაფიის და ა.შ. შენიშვნა

505 შენიშვნა შინაარსის ფორმატის შესახებ

506 შენიშვნა წვდომის შეზღუდვებზე

507 შენიშვნა გრაფიკული მასალის მასშტაბის შესახებ

508 შენიშვნა შემქმნელების/მწარმოებლების შესახებ

510 ციტირების/მითითებების შენიშვნა

- 511 შენიშვნა მონაწილის ან შემსრულებლის შესახებ
- 513 ანგარიშის ტიპის და ქრონოლოგიური პერიოდის შენიშვნა
- 514 შენიშვნა მონაცემების ხარისხის შესახებ
- 515 შენიშვნა ნუმერაციის თავისებურებების შესახებ
- 516 შენიშვნა კომპიუტერული ფაილის ან მონაცემების ტიპების შესახებ
- 518 შენიშვნა მოვლენის თარიღის/დროის და ადგილის შესახებ
- 520 რეზიუმე და ა.შ.
- 521 შენიშვნა მიზნობრივი დანიშნულების (აუდიტორიის) შესახებ
- 522 შენიშვნა გეოგრაფიული სივრცის შესახებ
- 524 შენიშვნა აღწერილი მასალების უკეთესი ციტირების შესახებ
- 525 დამატების (თანმხლები მასალის) შენიშვნა
- 526 შენიშვნა სასწავლო პროგრამის ინფორმაციის შესახებ
- 530 შენიშვნა დამატებითი ფიზიკური ფორმის ხელმისაწვდომობის შესახებ
- 533 შენიშვნა რეპროდუცირების შესახებ
- 534 შენიშვნა ორიგინალური (საწყისი) ვერსიის შესახებ
- 535 შენიშვნა ორიგინალების/დუბლიკატების ადგილმდებარეობის შესახებ
- 536 შენიშვნა დაფინანსების ინფორმაციის შესახებ
- 538 სისტემური დეტალების შენიშვნა
- 540 შენიშვნა გამოყენებისა და რეპროდუცირების პირობების მართვის შესახებ
- 541 შენიშვნა დაკომპლექტების უშუალო წყაროს შესახებ
- 544 შენიშვნა სხვა საარქივო მასალების ადგილმდებარეობის შესახებ
- 545 ბიბლიოგრაფიული ან ისტორიული მონაცემები
- 546 შენიშვნა ენის შესახებ
- 547 შენიშვნა წინა სათაურის სირთულის შესახებ
- 550 შენიშვნა გამომშვები ორგანიზაციის შესახებ
- 552 შენიშვნა ობიექტების რაობისა და ატრიბუტების ინფორმაციის შესახებ
- 555 შენიშვნა კუმულატიური ინდექსის/სამიეზო საშუალებების შესახებ
- 556 შენიშვნა დოკუმენტაციის ინფორმაციის შესახებ
- 561 მფლობელობის ან შენახვის ისტორია
- 562 შენიშვნა ეგზემპლარისა და ვერსიის იდენტიფიკაციის შესახებ
- 565 შენიშვნა ფაილის მახასიათებლების შესახებ
- 5XX შენიშვნები (გაგრძელება)
- 567 შენიშვნა მეთოდოლოგიის შესახებ
- 580 შენიშვნა მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სირთულის შესახებ
- 581 აღწერილი მასალის შესახებ პუბლიკაციების შენიშვნა
- 583 მოქმედების შენიშვნა
- 584 შენიშვნა დაგროვებისა და გამოყენების სიხშირის შესახებ
- 585 შენიშვნა გამოფენების შესახებ

- 586 შენიშვნა ჯილდოების შესახებ
- 59X ადგილობრივი შენიშვნები
- 6XX საგნობრივი (თემატური) წვდომის ველები - ზოგადი ინფორმაცია
- 600 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - პერსონალური სახელი
- 610 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ორგანიზაციის სახელი
- 611 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - შეხვედრის სახელი
- 630 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - უნიფიცირებული სათაური
- 650 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - საგნობრივი ან თემატური ტერმინი
- 651 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - გეოგრაფიული სახელი
- 653 ინდექსის ტერმინი - არაკონტროლირებადი
- 654 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ფასეტური თემატური ტერმინი
- 655 ინდექსის ტერმინი - ჟანრი/ფორმა
- 656 ინდექსის ტერმინი - საქმიანობის სახე
- 657 ინდექსის ტერმინი - ფუნქცია
- 658 ინდექსის ტერმინი - სასწავლო გეგმის მიზანი
- 69X საგნობრივი წვდომის ადგილობრივი ველები
- 70X-75X დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები - ზოგადი ინფორმაცია
- 700 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - პერსონალური სახელი
- 710 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ორგანიზაციის სახელი
- 711 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - შეხვედრის სახელი
- 720 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - არაკონტროლირებადი სახელი
- 730 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - უნიფიცირებული სათაური
- 740 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - არაკონტროლირებადი დაკავშირებული/ანალიტიკური სათაური
- 752 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ადგილის იერარქიული სახელი
- 753 კომპიუტერულ ფაილებთან წვდომის სისტემური დეტალები (R)
- 754 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ტექსტონომიური იდენტიფიკაცია
- 76X-78X მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები - ზოგადი ინფორმაცია
- 760 მთავარი სერიის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 762 ქვესერიის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 765 ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ორგინალის ენაზე
- 767 თარგმნის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 770 დამატების/სპეციალური გამოშვების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 772 მშობელი ჩანაწერის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი

- 773 მასპინძელი (შემადგენელი ნაწილის შემცველი) ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 774 შემადგენელი ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 775 სხვა გამოცემის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 776 დამატებითი ფიზიკური ფორმის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 777 ერთად (ერთ ყდაში) გამოშვებული ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 780 წინა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 785 მომდევნო ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 786 გამოცემასთან დაკავშირებული მონაცემთა წყაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 787 არასპეციფიკური კავშირის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
- 80X-840 სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ზოგადი ინფორმაცია
- 800 სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - პერსონალური სახელი
- 810 სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - ორგანიზაციის სახელი
- 811 სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - შეხვედრების სახელი
- 830 სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - უნიფიცირებული სათაური
- 841-88X ფონდები, ალტერნატიული გრაფიკა და ა.შ. - ზოგადი ინფორმაცია
- 850 ფონდის მფლობელი ორგანიზაცია
- 852 ადგილმდებარეობა
- 856 ელექტრონული ადგილმდებარეობა და წვდომა
- 880 ალტერნატიული გრაფიკის წარმოდგენა
- 886 საინფორმაციო ველი საზღვარგარეთული MARC ფორმატის შესახებ

ლიდერი (NR)

ინდიკატორები და ქვეველის კოდები

ლიდერს არა აქვს ინდიკატორები და ქვეველის კოდები; მონაცემთა ელემენტები განისაზღვრება პოზიციის მიხედვით.

სიმბოლოთა პოზიციები

00-04 ლოგიკური ჩანაწერის სიგრძე

05 ჩანაწერის სტატუსი

a კოდირების დონის ამაღლება

c შესწორებული ან გადამუშავებული

d წაშლილი

n ახალი

p კოდირების დონის ამაღლება წინასწარი გამოცემიდან

06 ჩანაწერის ტიპი

008/18-34 ველის კონფიგურაცია

a ენობრივი მასალა წიგნები	თუ ლიდერი/07 = a, c, d ან m:	
c ნაბეჭდი ნოტები	თუ ლიდერი/07 = b ან s:	სერიალები
d ხელნაწერი ნოტები		მუსიკა
e კარტოგრაფიული მასალა		მუსიკა
f ხელნაწერი კარტოგრაფიული მასალა		რუკები
g პროექციული მატარებელი		რუკები
i არამუსიკალური ბგერითი ჩანაწერი		ვიზუალური მასალები
j მუსიკალური ხმოვანი ჩანაწერი		მუსიკა
k ორგანოზომილებიანი არაპროექციული გრაფიკა		მუსიკა
ვიზუალური მასალები		
m კომპიუტერული ფაილი		კომპიუტერული
ფაილები		
o კომპლექტი		ვიზუალური
მასალები		
p შერეული მასალა		შერეული მასალები
r სამგანზომილებიანი არტეფაქტი ან ბუნებრივად არსებული ობიექტი		
ვიზუალური მასალები		
t ხელნაწერი ენობრივი მასალა წიგნები		
07 ბიბლიოგრაფიული დონე		
a მონოგრაფიული გამოცემის შემადგენელი ნაწილი		
b სერიალური გამოცემის შემადგენელი ნაწილი		
c კრებული		
d ქვეერთეული		
m მონოგრაფიული გამოცემა/აღწერის ერთეული		
s სერიალური გამოცემა		
08 კონტროლის ტიპი		
ჰ ტიპი არ არის განსაზღვრული		
a საარქივო		
09 სიმბოლოების კოდირების სქემა		
ჰ MARC-8		
a UCS/Unicode		
10 ინდიკატორების ათვლა		
11 ქვევლებების კოდების ათვლა		
12-16 მონაცემთა საბაზო მისამართი		
17 კოდირების დონე		

- ხ სრული დონე
- 1 სრული დონე, მასალა არ იყო შემოწმებული
- 2 ნაკლებად სრული დონე, მასალა არ იყო შემოწმებული
- 3 შემოკლებული დონე
- 4 ბირთვული დონე
- 5 ნაწილობრივი (წინასწარი) დონე
- 7 მინიმალური დონე
- 8 წინასწარი გამოცემის დონე
- u უცნობი
- z გამოუყენებელი

18 აღწერილობითი კატალოგიზაციის ფორმა

- ხ არა- ISBD
- a AACR 2
- i ISBD
- u უცნობი

19 ბმული ჩანაწერის მოთხოვნილება

- ხ დაკავშირებული ჩანაწერი არ მოითხოვება
- r დაკავშირებული ჩანაწერი მოითხოვება

20 ველის სიგრძის, როგორც ლიდერის კომპონენტის, სიგრძე

21 საწყისი სიმბოლოს პოზიციის, როგორც ლიდერის კომპონენტის, სიგრძე

22 დანერგვით განსაზღვრული ლიდერის კომპონენტის სიგრძე

23 განუსაზღვრელია

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ლიდერი არის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის პირველი ველი. მას აქვს ფიქსირებული სიგრძე და შედგება სიმბოლოთა 24 პოზიციისაგან (00-23). ლიდერის მონაცემთა ელემენტები შეიცავენ რიცხვებს ან კოდირებულ მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ჩანაწერის დამუშავებისათვის საჭირო პარამეტრებს.

სიმბოლოთა 20-23 პოზიციები შეადგენენ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის რუკას ცნობარისათვის. ისინი შეიცავენ ოთხ ერთ-სიმბოლოიან რიცხვს, რომლებიც ასახავენ ცნობარში შემავალ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერთა სტრუქტურას. უფრო დეტალური ინფორმაცია ლიდერის სტრუქტურის შესახებ მოცემულია დოკუმენტში: “MARC21-ის ჩანაწერის სტრუქტურის სპეციფიკაციები, სიმბოლოთა სიმრავლეები და გაცვლის მედია (ინფორმაციის მატარებლები)“.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

სიმბოლოთა პოზიციები

00-04 – ლოგიკური ჩანაწერის სიგრძე

ლოგიკური ჩანაწერის სიგრძის სიმბოლოთა პოზიციები შეიცავენ ხუთსიმბოლოიან რიცხვს, რომელიც მთელი ჩანაწერის სიგრძის ტოლია, მისი და

ჩანაწერის ტერმინატორის ჩათვლით. ეს რიცხვი მარჯვნიდან არის გათანაბრებული და გამოუყენებელი პოზიციები შეიცავენ ნულებს.

05 – ჩანაწერის სტატუსი

ჩანაწერის სტატუსის სიმბოლოს პოზიცია შედგება ერთსიმბოლოანი ანბანური კოდისაგან, რომელიც მიუთითებს ჩანაწერის კავშირს ფაილთან ფაილის მუშა მდგომარეობაში შენახვის მიზნით.

a – კოდირების დონის ამაღლება

კოდი a მიუთითებს, რომ ჩანაწერის კოდირების დონე (ლიდერი/17) იყო შეცვლილი უფრო მაღალი კოდირების დონით. ეს კი მიაჩნდება იმაზე, რომ კატალოგიზაციის დონე გაიზარდა. მაგალითად, კოდი a გამოიყენება, როდესაც წინასწარი კატალოგიზაციის ჩანაწერი (კოდი 5 ლიდერის მე-17 პოზიციაში) გაიზარდა სრული კატალოგიზაციის დონემდე (კოდი ჰ ლიდერის მე-17 პოზიციაში).

c – შესწორებული ან გადამუშავებული

კოდი c მიუთითებს, რომ ჩანაწერში იყო შეტანილი ცვლილებები ან დამატებები, მაგრამ ამ ცვლილებებმა არ გაზარდა ჩანაწერის კოდირების დონე (ლიდერი/17).

d – წაშლილი

კოდი d მიუთითებს, რომ ჩანაწერი წაშალეს.

n – ახალი

კოდი n მიუთითებს, რომ ეს არის ახლად შეტანილი ჩანაწერი.

p - კოდირების დონის ამაღლება წინასწარი გამოცემიდან

კოდი p მიუთითებს, რომ გამოცემის გამოქვეყნებამდე (ანუ წინასწარი გამოცემისათვის) შედგენილი ჩანაწერის კატალოგიზაციის დონე შეიცვალა გამოქვეყნებული აღწერის ერთეულის ხელმისაწვდომობის შემდეგ (მაგ., კატალოგიზაციის გამოცემაში ჩანაწერი, ანუ CIP ჩანაწერი, (კოდი 8 ლიდერის მე-17 პოზიციაში)) და ამაღლდა სრულ ჩანაწერამდე (კოდი ჰ ან 1 ლიდერის მე-17 პოზიციაში).

06 – ჩანაწერის ტიპი

ჩანაწერის ტიპის სიმბოლოს პოზიცია შეიცავს ერთსიმბოლოანი ანბანურ კოდს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის შინაარსისა და მასალისათვის შექმნილ MARC ჩანაწერების ერთმანეთისაგან გასასხვავებლად. ეს კოდი აგრეთვე გამოიყენება ჩანაწერში გარკვეულ მონაცემთა ელემენტების შესაბამისობისა და მართებულობის განსაზღვრისათვის.

მიკროფორმების არც ორიგინალების და არც მიკროფორმული ასლების იდენტიფიცირება არ ხდება ჩანაწერის ტიპის კოდით. კოდებით აღწერისას შინაარსის ტიპის მახასიათებლებს უპირატესობა ენიჭება აღწერის ერთეულის მიკროფორმულ მახასიათებლებთან შედარებით. კომპიუტერული ფაილების იდენტიფიცირება

ჩანაწერის ტიპის კოდებით ხდება მხოლოდ ქვემოთ მოყვანილი გარკვეული კატეგორიის ელექტრონული რესურსებისათვის. ყველა სხვა შემთხვევაში შინაარსის ტიპის მახასიათებლების აღწერას კოდებით უპირატესობა ენიჭებათ აღწერის ერთეულის კომპიუტერული ფაილის მახასიათებლებთან შედარებით.

მრავალერთეულიანი ბიბლიოგრაფიული ობიექტის კოდის განსაზღვრა (მასალის ტიპები განისაზღვრება a-დან t-მდე მნიშვნელობებით, როგორც არის მოყვანილი):

მასალის მრავალერთეულიანი ფორმებია:

0 (კომპლექტი) – ობიექტი გამოშვებულია, როგორც ბიბლიოგრაფიული ერთეული; მასში გაერთიანებული მასალებიდან მასალის არც ერთი ტიპი არ ჭარბობს.

p (შერეული მასალა) - აღწერის საგანი არის სხვადასხვა მასალისგან შედგენილი კრებული; მასალის არც ერთი ტიპი არ ჭარბობს.

სხვა კოდები - აღწერის საგანი არის სხვადასხვა მასალისგან შედგენილი კრებული; მასალის ერთი ტიპი ჭარბობს.

a - ენობრივი მასალა

კოდი a მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს არახელნაწერ ენობრივ მასალას. კოდი a გამოიყენება აგრეთვე მიკროფორმებისა და ელექტრონული რესურსებისათვის, თუ ისინი ძირითადად შეიცავენ ტექსტურ მასალას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ეს მიკროფორმები და ელექტრონული რესურსები ორიგინალური წარმოების, თუ წარმოადგენენ ნაბეჭდი მასალის ასლებს. ხელნაწერი ენობრივი მასალისათვის გამოიყენება კოდი t.

c - ნაბეჭდი ნოტები

კოდი c მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს ნაბეჭდ, მიკროფორმულ ან ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილ ნოტებს.

d – ხელნაწერი ნოტები

კოდი d მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს ხელნაწერ ნოტებს ან მიკროფორმაზე გადატანილ ხელნაწერ ნოტებს.

e – კარტოგრაფიული მასალა

კოდი e მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს არახელნაწერ კარტოგრაფიულ მასალას ან მიკროფორმაზე გადატანილ არახელნაწერ კარტოგრაფიულ მასალას. ეს კოდი გამოიყენება რუკების, ატლასების, გლობუსების, ციფრული რუკებისა და სხვა კარტოგრაფიული ერთეულებისთვის.

f – ხელნაწერი კარტოგრაფიული მასალა

კოდი f მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს ხელნაწერ კარტოგრაფიულ მასალას ან მიკროფორმაზე გადატანილ ხელნაწერ კარტოგრაფიულ მასალას.

g - პროექციული მატარებელი

კოდი g მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს კინოფილმს, ვიდეოჩანაწერს, დიაფილმს, სლაიდს ან ტრანსპარანტს (საპროექციო ფირს). ყველა ეს მედია განკუთვნილია პროექციული ჩვენებისთვის. ნებისიერი მასალა,

რომელიც შექმნილია ზევიდან პროექტირებისათვის, აგრეთვე განკუთვნილია ამ ტიპის ჩანაწერებს.

i – არამუსიკალური ბგერითი ჩანაწერი

კოდი i მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს არამუსიკალურ ბგერით ჩანაწერს (მაგ., ლექციას, სიტყვას, სადღეგრძელოს და ა.შ.).

j – მუსიკალური ხმოვანი ჩანაწერი

კოდი j მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს მუსიკალურ ხმოვან ჩანაწერს.

k – ორგანოზომილებიანი არაპროექციული გრაფიკა

კოდი k მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს ორგანოზომილებიან არაპროექციულ გრაფიკას, როგორცაა ნახაზები, კოლაჟები, სადემონსტრაციო ბარათები, კომპიუტერული გრაფიკა, ლიტოგრაფია, გრაფიკული ნახატები, ფერწერული ნამუშევრები, ხეზე ან ლითონზე შესრულებული მხატვრობა, ფოტონეგატივები, ფოტოსურათები, სურათები, ღია ბარათები, პლაკატები, ილუსტრაციები, ტექნიკური ილუსტრაციები, ტრანსპარანტები და ნებისმიერი მათგანის რეპროდუქციები.

m – კომპიუტერული ფაილი

კოდი m მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს ელექტრონული რესურსების ერთ-ერთ,

ქვემოთ მოყვანილ კლასს: კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა (პროგრამების, თამაშებისა და ფონტების ჩათვლით), ციფრული მონაცემები, კომპიუტერული მულტიმედია, ონლაინ სისტემები ან სამსახურები. მასალების ამ კლასებისათვის, თუ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი, ვიდრე ის, რომ მასალა ელექტრონული რესურსია და რომელიც ცვლის მასალის სახის კატეგორიას, მაშინ ასეთ მასალას მიენიჭება ლიდერში/06 ამ უფრო მნიშვნელოვანი ასპექტის შესაბამისი კოდი (მაგ., ვექტორულ მონაცემებს კარტოგრაფიული მასალისათვის მიენიჭებათ კარტოგრაფიული მასალის კოდი და არა ციფრული მასალის კოდი). ელექტრონული რესურსების სხვა კლასებს კოდი მიენიჭებათ მათი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტის მიხედვით (მაგ., ენობრივი მასალა, გრაფიკა, კარტოგრაფიული მასალა, ხმა, მუსიკა, მოძრავი გამოსახულება). დაეჭვების შემთხვევაში ან, როცა შეუძლებელი ხდება განისაზღვროს მასალის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, მაშინ ელექტრონული რესურსი განიხილება როგორც კომპიუტერული ფაილი.

o - კომპლექტი

კოდი o მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს სხვადასხვა კომპონენტების ნარევს, რომლებიც გამოშვებულია როგორც ერთი მთლიანი

ერთეული და ძირითადად სასწავლო მიზნით. კომპლექტის არც ერთ კომპონენტს არ ენიჭება უპირატესობა. ასეთი შერეული პაკეტების მაგალითებია სოციალური დარგის სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით გამოცემული შერეული სასწავლო მასალა (წიგნები, სახელმძღვანელოები, სავარჯიშოებისა და მაგალითების კრებულები, სასწავლო გეგმები და ა.შ.) ან პაკეტები საგანმანათლებლო ტესტების მასალებით (ტესტები, პასუხები, შეფასების ინსტრუქციები, ქულების სქემები, საინტერპრეტაციო სახელმძღვანელოები და სხვ.).

p - შერეული მასალები

p - კოდი p მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს რამდენიმე ფორმით გამოცემულ მნიშვნელოვან, ერთმანეთთან დაკავშირებულ მასალებს, რომლებიც გაერთიანებულია პირის ან ორგანიზაციის მიერ, ან პირის ან ორგანიზაციის პატივსაცემად. კომპლექტისგან განსხვავებით, ასეთი გამოცემის მიზანი არ არის სასწავლო ხასიათის. ამ სახის გამოცემები შეიცავენ საარქივო და ხელნაწერი მასალების შერეულ ფორმებს, როგორცაა ტექსტი, ფოტოსურათი, ბგერითი ჩანაწერი.

r - სამგანზომილებიანი არტეფაქტები ან ბუნებრივად არსებული ობიექტები

კოდი r მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს სამგანზომილებიან არტეფაქტებს ან ბუნებრივად არსებულ ობიექტებს. მათ მიეკუთვნება როგორც ადამიანის მიერ დამზადებული ობიექტები, როგორცაა მაკეტები, დიორამები, თამაშები, გამოცანები და თავსატეხები, იმიტაციები და მოდელები, სკულპტურები და ხელოვნების, გამოფენების, მანქანების, ტანსაცმლის, სათამაშოების და ქარგვა/კერვის სხვა სამგანზომილებიანი ნამუშევრები, ასევე ბუნებრივად არსებული ობიექტები, როგორცაა გარემოს ნიმუშები, რომლებიც შეგროვილია დათვალიერებისა და გამოფენისათვის.

t - ხელნაწერი ენობრივი მასალა

კოდი t მიუთითებს, რომ ჩანაწერის შემცველობა წარმოადგენს ხელნაწერ ენობრივ მასალას ან მიკროფორმირებულ ხელნაწერ ენობრივ მასალას. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ენობრივი მასალები, რომლებიც დაწერილია ხელით, ან დაბეჭდილია საბეჭდო მანქანაზე, ან აკრეფილია კომპიუტერის კლავიატურაზე და ამობეჭდილია კომპიუტერიდან. ასეთი მასალა, ცხადად თუ არაცხადად, ჩვეულებრივ, შექმნილია და გამოიყენება ერთ ცალად. ამის მაგალითებია სტამბური ანაწყოების ან დაკაბადონებული გვერდის შესწორება, ხელნაწერი წიგნი, ფასიანი ქაღალდები, გამოუქვეყნებელი შრომები და დისერტაციები.

07 – ბიბლიოგრაფიული დონე

ბიბლიოგრაფიული დონის სიმბოლოთა პოზიცია შეიცავს ანბანურ კოდს, რომელიც მიუთითებს ჩანაწერის ბიბლიოგრაფიულ დონეზე.

a - მონოგრაფიული გამოცემის შემადგენელი ნაწილი

კოდი a მიუთითებს მონოგრაფიულ ბიბლიოგრაფიულ ერთეულზე, რომელიც ფიზიკურად მიერთებულია სხვა მონოგრაფიულ გამოცემასთან ან წარმოადგენს მის ნაწილს ისე, რომ ამ შემადგენელი ნაწილის მოძებნა დამოკიდებულია ძირითადი ბიბლიოგრაფიული ერთეულის ან შედგენილი ბიბლიოგრაფიული ერთეულის ფიზიკურ იდენტიფიკაციაზე ან ადგილმდებარეობაზე. მონოგრაფიული გამოცემის შემადგენელი ნაწილისა და მისი შემცველი ძირითადი ბიბლიოგრაფიული ერთეულის მაგალითებია: სტატია გრძელდებადი გამოცემის ცალკეულ გამოშვებაში, თავი წიგნში, ღარი გრამფირფიტაზე, რუკა ერთ ფურცელზე ატლასში და სხვ. შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შეიცავს ველებს, რომლებიც აღწერენ ამ შემადგენელ ნაწილს და ასევე, მონაცემებს მისი შემცველი ბიბლიოგრაფიული ერთეულის იდენტიფიცირებისთვის (ველი 773).

b - სერიალური გამოცემის შემადგენელი ნაწილი

კოდი b მიუთითებს სერიალურ ბიბლიოგრაფიულ ერთეულზე, რომელიც ფიზიკურად მიერთებულია სხვა

სერიალურ გამოცემასთან ან წარმოადგენს მის ნაწილს ისე, რომ ამ შემადგენელი ნაწილის მოძებნა დამოკიდებულია ძირითადი ბიბლიოგრაფიული ერთეულის ან შედგენილი ბიბლიოგრაფიული ერთეულის ფიზიკურ იდენტიფიკაციაზე, ან ადგილმდებარეობაზე. სერიალური გამოცემის შემადგენელი ნაწილისა და მისი შემცველი ძირითადი ბიბლიოგრაფიული ერთეულის მაგალითია პერიოდულ გამოცემაში პერიოდულად შემავალი სვეტი ან სხვა თვისება. შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შეიცავს ველებს, რომლებიც აღწერენ ამ შემადგენელ ნაწილს და ასევე მონაცემებს, მისი შემცველი ბიბლიოგრაფიული ერთეულის იდენტიფიცირებისთვის (ველი 773).

c – შენაკრები

კოდი c მიუთითებს, რომ ბიბლიოგრაფიული ერთეული არის შედგენილი მრავალნაკვეთიანი ჯგუფი და რომ, ამ ჯგუფში შემავალი ნაკვეთები არ შეადგენენ ერთად მომზადებულ, გამოცემულ ან გავრცელებულ ერთ გამოცემას. ჩანაწერი აღწერს ერთეულებს, რომლებიც განისაზღვრება საერთო წარმოშობით ან ადმინისტრაციული მიზანშეწონილობით, რომლისთვისაც ჩანაწერი არის განკუთვნილი, როგორც სისტემაში ყველაზე უფრო ამომწურავი.

d – ქვეერთეული

კოდი d მიუთითებს შენაკრების ნაწილზე, განსაკუთრებით საარქივო ერთეულზე, რომელიც აღწერილი იყო როგორც შენაკრების ნაკვეთი რომელიდაც სისტემაში. ქვეერთეული შეიძლება იყოს საარქივო ერთეული, საქალაქო, ყუთი, საარქივო სერია, ქვეჯგუფი ან ქვეშენაკრები. ქვეერთეულის ჩანაწერი შეიცავს ველებს, რომლებიც აღწერენ ქვეერთეულს და მონაცემებს მისი შემცველი ბიბლიოგრაფიული ერთეულის იდენტიფიცირებისთვის.

m - მონოგრაფიული გამოცემა/აღწერის ერთეული

კოდი m მიუთითებს ბიბლიოგრაფიულ ერთეულზე, რომელიც გამოცემულია ერთ ნაწილად (მაგ., ერთტომეული მონოგრაფია, ცალკე გამოცემული რუკა, ცალკე აღებული ხელნაწერი და სხვ.) ან მისი გამოცემა დაგეგმილია მრავალტომეულად ტომების გარკვეული რაოდენობით (მაგ., მრავალტომეული მონოგრაფია, ხმოვანი ჩანაწერი რამდენიმე გრამფირფიტაზე და სხვ.)

s - სერიალური გამოცემა

კოდი s მიუთითებს, რომ ბიბლიოგრაფიული ერთეული გამოიცემა თანამიმდევრულ ნაწილებად, რომლებზეც მოცემულია ნუმერაციული ან ქრონოლოგიური აღნიშვნები და რომლის გამოცემა იგულისხმება უსასრულოდ. სერიალები შეიცავენ გრძელდებად პერიოდულ გამოცემებს, გაზეთებს, წელიწდეულებს, ჟურნალებს, სამეცნიერო წერილებს, სამეცნიერო შრომებს, სამეცნიერო მასალებს, გადანომრილ მონოგრაფიულ სერიას და ა.შ.

08 – კონტროლის ტიპი

ხ – ტიპი არ არის განსაზღვრული

კოდი ხ მიუთითებს, რომ აღსაწერი ერთეულისათვის არ არის გამოყენებული არც ართი ტიპი.

a – საარქივო

კოდი a მიუთითებს, რომ მასალა აღწერილია საარქივო აღწერილობის წესების მიხედვით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს აღწერის ერთეულისა და მისი წარმოშობის კონტექსტუალურ კავშირებზე და არა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის დეტალებზე. აღწერილობის სპეციფიკური წესების სიმრავლე შეიძლება ინახოს 040 ველის ქვეველ \$e-ში. ასეთი მასალის ყველა ფორმა კონტროლირებადია, როგორც სარქივო მასალა.

09 სიმბოლოების კოდირების სქემა

სიმბოლოთა ეს პოზიცია შეიცავს კოდს, რომლითაც ხდება ჩანაწერში გამოყენებული სიმბოლოთა კოდირების სქემის იდენტიფიცირება. გამოყენებული კოდირების სქემა გავლენას ახდენს თითოეული სიმბოლოსთვის საჭირო რვეულების (ოქტეტების) რიცხვზე, არასაინტერვალო სიმბოლოთა ადგილმდებარეობაზე, მმართველი მიმდევრობის გამოყენებაზე და, შესაძლოა, სიმბოლოთა რეპერტუარზე. დეტალური ინფორმაცია MARC 21 ფორმატის ჩანაწერებში გამოყენებულ სიმბოლოთა სიმრავლეებზე მოცემულია MARC 21 ფორმატის სპეციფიკაციებში ჩანაწერის სტრუქტურის, სიმბოლოთა სიმრავლეებისა და გაცვლის მედიისთვის.

ხ - MARC-8

კოდი ხ მიუთითებს, რომ ჩანაწერში სიმბოლოთა კოდირება გამოიყენებს 8-ბიტის სიმბოლოთა სიმრავლეებს, რომლებიც აღწერილია MARC 21 ფორმატის სპეციფიკაციებში ჩანაწერის სტრუქტურისთვის, სიმბოლოთა სიმრავლეებისთვის და გაცვლის მედიისთვის. გამოყენებული არა-ნაგულისხმევი სიმბოლოთა სიმრავლეების იდენტიფიცირება ხდება 066 ველში.

a - UCS/Unicode

კოდი a მიუთითებს, რომ ჩანაწერში გამოყენებული კოდირება გამოიყენებს სიმბოლოებს სიმბოლოთა უნივერსალური კოდირებული სიმრავლიდან (Universal Coded Character Set – ISO 10646) ან Unicode-ის საწარმოო ქვესიმრავლიდან.

10 – ინდიკატორების ათვლა

ინდიკატორების ათვლის სიმბოლოთა პოზიცია შეიცავს ერთსიმბოლოიან რიცხვს, რომელიც ცვლად მონაცემთა ველში გამოყენებული ინდიკატორების რაოდენობის ტოლია. (ინდიკატორის სიმბოლოთა პოზიცია შეიცავს კოდს, რომელიც გადმოგვცემს ველში არსებული მონაცემების ინტერპრეტაციის ან მათ შემავსებელ ინფორმაციას.) MARC 21 ფორმატში მონაცემთა ყოველი ცვლადი ველის დასაწყისში სიმბოლოთა ორი პოზიცია რეზერვირებულია ინდიკატორებისათვის; ამიტომ, ინდიკატორების ათვლა ყოველთვის უდრის 2 - ს.

2 – ინდიკატორებისათვის გამოყენებული სიმბოლოთა პოზიციების რიცხვია.

11 - ქვევლების კოდების ათვლა

ქვევლების კოდების ათვლის სიმბოლოთა პოზიცია შეიცავს ერთსიმბოლოიან რიცხვს, რომელიც ცვლად მონაცემთა ველებში გამოყენებული ქვევლების კოდების სიმბოლოთა პოზიციების რაოდენობის ტოლია. (ცვლად მონაცემთა ველში მონაცემთა ყოველი ელემენტის იდენტიფიცირება ხდება ქვევლის კოდით.) MARC 21 ფორმატში ქვევლის კოდი შედგება ≠ გამყოფისაგან და მონაცემთა ელემენტის იდენტიფიკატორისაგან, რომელიც წარმოადგენს ანბანის პატარა ასოს ან ციფრს; ამიტომ ქვევლების კოდების ათვლა ყოველთვის უდრის 2 - ს.

2 – სიმბოლოთა პოზიციების რიცხვია, რომელიც გამოყენებულია ქვევლის კოდისთვის.

12-16 – მონაცემთა საბაზო მისამართი

მონაცემთა საბაზო მისამართის სიმბოლოთა პოზიციები შეიცავს ხუთსიმბოლოიან რიცხვს, რომელიც განსაზღვრავს ჩანაწერში პირველი ცვლადი საკონტროლო ველის პირველი სიმბოლოს პოზიციას. ეს რიცხვ არის ბაზა, საიდანაც ხდება ყველა სხვა ველში საწყისი პოზიციის დამისამართება ცნობარში. (ჩანაწერის ყოველი ველისათვის ცნობარში საწყისი სიმბოლოს პოზიცია დამოკიდებულია პირველი საკონტროლო ველის პირველ სიმბოლოზე და არა ველის დასაწყისზე.) მონაცემთა საბაზო მისამართი ტოლია ლიდერისა და ცნობარის სიგრძეების ჯამისა, რომელშიც, ცნობარის ბოლოში, შედის ველის დამაბოლოვებელი სიმბოლო. ეს რიცხვი მარჯვნიდან არის გათანაბრებული და გამოუყენებელი პოზიციები შევსებულია ნულებით.

<რიცხვი> - ლიდერისა და ცნობარის სიგრძეთა ჯამი (ველის დამაბოლოვებელი სიმბოლოს ჩათვლით)

17 – კოდირების დონე

კოდირების დონის სიმბოლოთა პოზიცია შეიცავს ერთსიმბოლოიან ასოთ-ციფრულ კოდს, რომელიც მიუთითებს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის სისრულზე და/ან შინაარსის აღმნიშვნელზე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში.

ხ - სრული დონე

კოდი ხ მიუთითებს ყველაზე სრულ MARC ჩანაწერზე. ჩანაწერის შექმნისათვის გამოყენებული ინფორმაცია მიიღება ფიზიკური ერთეულის შესწავლის შედეგად.

1 - სრული დონე, მასალა არ იყო შემოწმებული

კოდი 1 მიუთითებს სრული დონის ჩანაწერის შემდეგ ყველაზე სრულ ჩანაწერზე. ჩანაწერის შექმნისათვის გამოყენებული ინფორმაცია მიიღება აღსაწერი ერთეულისათვის არსებული აღწერილობიდან (მაგ., ნაბეჭდი საკატალოგო ბარათიდან ან ორგანიზაციაში დადგენილი აღწერილობიდან). არსებულ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერში არსებული მთელი ინფორმაცია გადადის MARC ჩანაწერში, მაგრამ მისი გადამოწმება ფიზიკური ერთეულიდან არ ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საკონტროლო ველების კოდების სხვა მონაცემები (მაგ., გეოგრაფიული რეგიონის კოდი – ველი043) ემყარება მხოლოდ არსებულ ჩანაწერში მოპოვებულ ცხად ინფორმაციას. კოდი 1 ძირითადად გამოიყენება ჩანაწერების რეტროსპექტიული კონვერსიის დროს.

2 - ნაკლებად სრული დონე, მასალა არ იყო შემოწმებული

კოდი 2 მიუთითებს ნაკლებად სრული დონის ჩანაწერზე (ე.ი. ჩანაწერზე, რომელიც მინიმალურსა და სრულ დონეებს შორისაა), რომელიც შექმნილია მასალის არსებული აღწერილობიდან (მაგ., ნაბეჭდი საკატალოგო ბარათიდან) ფიზიკური ერთეულის გადამოწმების გარეშე. ამ შემთხვევაში გადაიწერება არსებული აღწერილობის ყველა წვდომის წერტილი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტული თავსათაურები შეიძლება არ იყოს აუცილებლად თანამედროვე. კოდი 2 უნდა იყოს გამოყენებული, მაგალითად, მაშინ, როდესაც MARC ფორმატში რეტროსპექტიული კონვერსიის დროს მონაცემთა ელემენტების მხოლოდ ქვესიმრავლე გადაიწერება საკატალოგო ბარათიდან.

3 - შემოკლებული დონე

კოდი 3 მიუთითებს მოკლე ჩანაწერზე, რომელიც არ აკმაყოფილებს კატალოგიზაციის მინიმალური დონის სპეციფიკაციებს. თავსათაურები ჩანაწერში შეიძლება ასახავდეს დადგენილ ფორმებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იყო ხელმისაწვდომი ასეთი ფორმები იმ დროს, როდესაც იქმნებოდა ჩანაწერი.

4 - ბირთვული დონე

კოდი 4 მიუთითებს ჩანაწერში კატალოგიზაციის ნაკლებად სრულ, მაგრამ მინიმალურზე მეტ დონეზე, რაც აკმაყოფილებს ბირთვული ჩანაწერის სისრულის სტანდარტებს.

5 - ნაწილობრივი (წინასწარი) დონე

კოდი 5 მიუთითებს ჩანაწერში წინასწარი კატალოგიზაციის დონეზე, როდესაც ჩანაწერი შექმნის პროცესშია. ასეთი ჩანაწერი არ განიხილება ჩანაწერის შემქმნელი ორგანიზაციის მიერ, როგორც საბოლოო. არავითარი ვარაუდის დაშვება არ შეიძლება იმის თაობაზე, თუ რამდენად ასახავენ ჩანაწერში თავსათაურები დაშვებულ ფორმებს ან თუ რამდენად აკმაყოფილებს ჩანაწერი კატალოგიზაციის მინიმალური დონის სპეციფიკაციებს.

7 - მინიმალური დონე

კოდი 7 მიუთითებს ჩანაწერში კატალოგიზაციის მინიმალურ დონეზე, რომელიც აკმაყოფილებს აშშ-ს ეროვნული დონის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კატალოგიზაციის მინიმალური დონის სპეციფიკაციებს. ასეთი ჩანაწერი განიხილება ჩანაწერის შემქმნელი ორგანიზაციის მიერ, როგორც საბოლოო. ყოველი თავსათაური იყო შემოწმებული ავტორიტეტული ფაილის მიხედვით და ასახავს დადგენილ ფორმებს იმდენად, რამდენადაც ასეთი ფორმები იყო ხელმისაწვდომი იმ დროს, როდესაც იქმნებოდა მინიმალური დონის ჩანაწერი.

8 - წინასწარი გამოცემის დონე

კოდი 8 მიუთითებს წინასწარი გამოცემის დონის ჩანაწერზე. მასში შედის ის ჩანაწერებიც, რომლებიც შექმნილია კატალოგიზაციის-გამოცემაში პროგრამების განხორციელების დროს.

u - უცნობი

კოდი u მიუთითებს იმ სიტუაციაზე, როდესაც მონაცემების მიმღები ან გამგზავნი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ადგილობრივი კოდი ლიდერში/17, ადეკვატურად ვერ განსაზღვრავს ჩანაწერის კოდირების დონეს. ამგვარად, კოდი u ცვლის ადგილობრივ კოდს. ეს კოდი არ უნდა იყოს გამოყენებული იმ ჩანაწერებში, რომლებიც ახლად არის შექმნილი ან განახლებული.

z – გამოუყენებელი

კოდი z მიუთითებს, რომ კოდირების დონის განსაზღვრება არ გამოიყენება ჩანაწერში.

18 - აღწერილობითი კატალოგიზაციის ფორმა

აღწერილობითი კატალოგიზაციის ფორმის სიმბოლოთა პოზიცია შეიცავს ერთსიმბოლოიან ასოით-ციფრულ კოდს, რომელიც მიუთითებს ჩანაწერში აღწერილობითი მონაცემების მახასიათებლებზე საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საკატალოგიზაციო ნორმების დაცვით. კერძოდ, ეს კოდი მიუთითებს თუ რამდენად იცავს ჩანაწერის აღწერილობითი ნაწილი საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის (ISBD) დებულებებს, როგორც ანგლო-ამერიკული კატალოგიზაციის წესების მეორე გამოცემის (AACR 2) ჩარჩოებში, ისე მის გარეთ. 040 ველის (კატალოგიზაციის წყარო) ქვეველი ≠e (აღწერილობის შეთანხმებები) შეიძლება იყოს გამოყენებული სპეციფიკური საკატალოგიზაციო წესების იდენტიფიცირებისათვის.

ხ - არა- ISBD

კოდი ხ მიუთითებს, რომ ჩანაწერი არ იყო შექმნილი საერთაშორისო სტანდარტული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის (ISBD) დებულებების მიხედვით. ეს კოდი გამოიყენება ისეთი ჩანაწერებისათვის, რომელთა აღწერილობითი ნაწილი არ მისდევს აღწერილობითი კატალოგიზაციისა და პუნქტუაციის ISBD-ში მიღებულ წესებს. საკატალოგიზაციო წესების მაგალითები, რომლებიც არ მისდევენ ISBD-ში მიღებულ შეთანხმებებს, შემდეგია: კატალოგიზაციის წესები, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები ავტორზე და სათაურზე (1908); A.L.A. კატალოგიზაციის წესები, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები ავტორზე და სათაურზე (1941); A.L.A. კატალოგიზაციის წესები ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებისათვის ავტორზე და სათაურზე (1949); ანგლო-ამერიკული საკატალოგიზაციო წესები 1 გამოცემა (AACR 1 - 40 - გარდა გადამუშავებული თავებისა).

a - AACR 2

კოდი a მიუთითებს, რომ ჩანაწერი არ იყო შექმნილი ანგლო-ამერიკული კატალოგიზაციის წესების მე-2 გამოცემის (AACR 2) და AACR 2-ზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების მიხედვით, სადაც ყოველი მათგანის აღწერილობითი კატალოგიზაციის ნაწილები შეთანხმებულია ISBD-სთან. (AACR 2-სა და AACR 2-ზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების ინტერპრეტაცია ძირითადად ეხება აღწერილობის დეტალებს; წვდომის წერტილები საზოგადოდ თავსებადია AACR 2-თან.) გამოყენებულია ISBD-ს პუნქტუაციის წესები. აღწერილობის წვდომის წერტილის არჩევა და ფორმა ისეთივეა, როგორც AACR 2-ში.

i - ISBD

კოდი i მიუთითებს, როგორც მინიმუმი, რომ ჩანაწერში გამოყენებულია ISBD-ში მიღებული წესები. ეს კატეგორია მოიცავს: 1) ჩანაწერებს, რომლებშიც გამოყენებულია ISBD-ს პუნქტუაციის წესები, მაგრამ სხვა მიღებული შეთანხმებები უცნობია; 2) ახალ ჩანაწერებს, რომლებიც ძირითადად შექმნილია AACR 2-ის მიხედვით, მაგრამ შეიცავენ თავსათაურის ფორმებს, რომლებიც არ გამოიყენება AACR 2-ში; 3) ჩანაწერებს, რომლებიც მიღებულია AACR 2-მდე შექმნილი ჩანაწერებიდან და რომლებშიც გამოყენებულია ISBD-ს პუნქტუაციის წესები; 4) ჩანაწერებს, რომლებიც შესრულებულია AACR 1-ის გადამუშავებული მე-6 თავის – ცალკე გამოცემული მონოგრაფიების მიხედვით.

u – უცნობი

კოდი u მიუთითებს იმ სიტუაციაზე, როდესაც მონაცემების მიმღები ან გამგზავნი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ადგილობრივი კოდი ლიდერში/18, ადექვატურად ვერ განსაზღვრავს ჩანაწერში გამოყენებულ აღწერილობითი კატალოგიზაციის შესაბამის ფორმას. კოდი u გამოიყენება ლიდერში/18. ეს კოდი არ უნდა იყოს გამოყენებული იმ ჩანაწერებში, რომლებიც ახლად არის შექმნილი ან განახლებული.

19 - ბმული ჩანაწერის მოთხოვნილება

ბმული ჩანაწერის კოდის სიმბოლოთა პოზიცია შეიცავს ერთსიმბოლოიან ასოით-ციფრულ კოდს, რომელიც მიუთითებს, შესაძლებელია თუ არა ძირითადი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის შემცველი შენიშვნა იყოს გენერირებული ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველიდან (ველები 76X-78X) ფაქტიურად დაკავშირებული ჩანაწერის გამოყენების გარეშე. ძირითადი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის ქვეშ, საზოგადოდ, იგულისხმება ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და სათაური, ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და უნიფიცირებული სათაური, ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი უნიფიცირებულ სათაურზე, სათაური, უნიფიცირებული სათაური, ტექნიკური ანგარიშის სტანდარტული ნომერი და ანგარიშის ნომერი.

ხ - დაკავშირებული ჩანაწერი არ მოითხოვება

კოდი ხ გამოიყენება როდესაც: 1) ჩანაწერი არ შეიცავს ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველს (ველები 76X-78X), 2) ყოველი ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი ჩანაწერში შეიცავს ძირითად საიდენტიფიკაციო ინფორმაციას ან დაკავშირებულ ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კომპლექსურობის შენიშვნას (ველი 580), რომელიც შეიცავს ძირითად საიდენტიფიკაციო ინფორმაციას, 3) ჩანაწერი შეიცავს ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველს, რომელიც ან შეიცავს ან არა ძირითად საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და, მიუხედავად ამისა, არავითარ შენიშვნას არ მოითხოვს.

r - დაკავშირებული ჩანაწერი მოითხოვება

კოდი r გამოიყენება მაშინ, როდესაც თუნდაც ერთი ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი (ველები 76X-78X) არ შეიცავს ძირითად საიდენტიფიკაციო ინფორმაციას, ჩანაწერი არ შეიცავს დაკავშირებულ ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კომპლექსურობის შენიშვნას (ველი 580), რომელიც შეიცავს ძირითად საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და შენიშვნა კი სასურველია. ბმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი შეიცავს ჩანაწერის საკონტროლო ნომერს, დაკავშირებული აღწერის ერთეულის ჩანაწერისთვის მხარდამჭერი ქვევლებით ან მათ გარეშე (მაგ., ქვეველი ≠g).

20 - ველის სიგრძის, როგორც ლიდერის კომპონენტის, სიგრძე

MARC 21 ფორმატში ველის სიგრძის, როგორც ლიდერის კომპონენტის, სიგრძე ცნობარის ყოველ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში ყოველთვის შედგება სიმბოლოთა 4 პოზიციისაგან.

4 - სიმბოლოთა რაოდენობა ცნობარის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში ველის სიგრძისათვის, როგორც ლიდერის კომპონენტისათვის.

21 - საწყისი სიმბოლოს პოზიციის, როგორც ლიდერის კომპონენტის, სიგრძე

MARC 21 ფორმატში საწყისი სიმბოლოს პოზიციის, როგორც ლიდერის კომპონენტის, სიგრძე ცნობარის ყოველ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში ყოველთვის შედგება სიმბოლოთა 5 პოზიციისაგან.

5 - სიმბოლოთა რაოდენობა ცნობარის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში საწყისი სიმბოლოს პოზიციისათვის, როგორც ლიდერის კომპონენტისათვის.

22 - დანერგვით განსაზღვრული ლიდერის კომპონენტის სიგრძე

MARC 21 ფორმატში ცნობარის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ შეიცავს დანერგვით განსაზღვრულ ლიდერის კომპონენტს; ამიტომ სიმბოლოთა ეს პოზიცია ყოველთვის შეიცავს 0-ს.

23 განუსაზღვრელია

MARC 21 ფორმატში სიმბოლოთა ეს პოზიცია განუსაზღვრელია და ამიტომ ის ყოველთვის შეიცავს 0-ს.

შეტანის შეთანხმებები

სისტემურად გენერირებული ელემენტები – ლიდერის შემდეგი ელემენტები, ჩვეულებრივ, სისტემის მიერ არის გენერირებული:

00-04 ლოგიკური ჩანაწერის სიგრძე

05 ჩანაწერის სტატუსი

09 სიმბოლოთა კოდირების სქემა

10 ინდიკატორის ათვლა

11 ქვეველის კოდის ათვლა

12-16 მონაცემთა საბაზო მისამართი

19 ბმული ჩანაწერის მოთხოვნილება

20-23 ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის რუკა

ლიდერის ელემენტების სისტემურად ნაგულისხმევი მნიშვნელობებისათვის აგრეთვე მიღებულია მათი ავტომატური გენერირება.

კაპიტალიზაცია – ანბანური კოდების შეტანა ხდება პატარა ასოებით.

კონგრესის ბიბლიოთეკის ქსელის განვითარებისა და MARC სტანდარტების ოფისმა
კანადის ეროვნული ბიბლიოთეკის სტანდარტების შემუშავებისა და განვითარების
განყოფილებასთან ერთად
კონგრესის ბიბლიოთეკა
კატალოგიზაციის გავრცელების სამსახური / ვაშინგტონი
კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა
ოტავა

თავსათაურის ველები

თავსათაურის ველები – ზოგადი ინფორმაციის სექცია

X00 პირის სახელი – ზოგადი ინფორმაცია

X10 ორგანიზაციის სახელი – ზოგადი ინფორმაცია

X11 შეხვედრის სახელი – ზოგადი ინფორმაცია

X30 უნიფიცირებული სათაური – ზოგადი ინფორმაცია

განსაზღვრება და მოქმედების არე

სექციები X00, X10, X11 და X30 შეიცავენ ზოგად ინფორმაციას მონაცემთა ელემენტების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგ ველებში გამოსაყენებლად: 1XX (ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი), 6XX (საგნობრივი წვდომა), 700 (დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) და 8XX (სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი). MARC 21-ის ბევრ ველებში მონაცემთა ელემენტების განსაზღვრება წინ უსწრებს ამავე ჯგუფში შემევალ სხვა ველებს (მაგ., ველები X10) თავსებადობისათვის და მნემონიკური ხელშეწყობისათვის. კერძოდ, ეს მართებულია სახელებისა და უნიფიცირებული სათაურის ველებისათვის, რომლებიც გამოიყენება წვდომის წერტილების თავსათაურებად.

ზოგადი ინფორმაციის ყოველი სექცია შეიცავს შინაარსის განსაზღვრული აღმნიშვნელების (ველები, ინდიკატორები და ქვეველების კოდები) სიას, შინაარსის საერთო აღმნიშვნელების გამოიყენების წესებს, შეტანის შეთანხმებებს ჯგუფში შემავალი ველებისათვის. შინაარსის აღმნიშვნელები, რომლებიც არ არის მართებული ჯგუფში შემევალი ყველა ველისათვის, საზოგადოდ არ განისაზღვრება სრულად ზოგადი ინფორმაციის სექციაში, სამაგიეროდ კეთდება მითითება იმ ადგილზე, სადაც მათი სრული აღწერილობა შეიძლება იყოს.

ზოგადი ინფორმაციის სექციაში მოცემული მაგალითები საზოგადოდ წარმოადგენს მასალათა ტიპებისა და ველების ტეგების მრავალსახეობას. ველის დამახასიათებელი დიდი რაოდენობის მაგალითები, ისევე როგორც, ველის დამახასიათებელი

განსაზღვრებები, მოქმედების არე და შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები მოცემულია 1XX, 6XX, 7XX და 8XX ველების სექციებში.

MARC 21 ბიბლიოგრაფიული
ველები – გვ.1

თებერვალი 1999

თავსათაურის

X00

X00 პერსონალური სახელები – ზოგადი ინფორმაცია

100 ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი (NR)

600 საგნობრივი დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - პერსონალური სახელი (R)

700 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - პერსონალური სახელი (R)

800 სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - პერსონალური სახელი (R)

პირველი ინდიკატორი

პირის სახელის ტიპი, როგორც ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტი

0 სახელი

1 გვარი

3 საგვარეულო სახელი

მეორე ინდიკატორი

100 განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

600 თეზაურუსი

0 კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი

1 კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი საბავშვო ლიტერატურისთვის

2 სამედიცინო საგნობრივი რუბრიკატორი

3 ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის საგნობრივი ავტორიტეტული ფაილი

4 წყარო არ არის განსაზღვრული

5 კანადის საგნობრივი რუბრიკატორი

6 Répertoire des vedettes-matière

7 წყარო განსაზღვრულია ქვეველ #2-ში

700 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

ხ ინფორმაცია არ არის მოცემული
2 ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი
800 განუსაზღვრელი
ხ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

სახელის ნაწილი

≠ a პერსონალური სახელი (NR)

≠ q სახელის უფრო სრული ფორმა (NR)

≠ b ნუმერაცია (NR)

≠ c სახელთან დაკავშირებული ტიტულები და სიტყვები (R)

≠ d თარიღები, დაკავშირებული სახელთან (NR)

≠ e პირის დამაკავშირებელი ტერმინი ნაშრომთან (R)

≠ u სახელთან დაკავშირებული ცნობა რომელიმე ორგანიზაციაში წევრობის ან სამსახურის შესახებ (NR)

≠ 4 პირის დამაკავშირებელი კოდი ნაშრომთან (R)

სათაურის ნაწილი

≠ t ნაშრომის სათაური (NR)

≠ f ნაშრომის თარიღი (NR)

≠ g შერეული ინფორმაცია (NR)

≠ h მედიუმი (NR) [600/700/800]

≠ j ავტორობის განმსაზღვრელი (R)

≠ k ფორმის ქვეთავსათაური (R)

≠ l ნაშრომის ენა (NR)

≠ m შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების ინსტრუმენტი (R) [600/700/800]

≠ n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)

≠ o ცნობები მუსიკალური ნაწარმოების არანჟირების შესახებ (NR) [600/700/800]

≠ p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)

≠ r მუსიკალური გასაღები (NR) [600/700/800]

≠ s ვერსია (NR) [600/700/800]

≠ v ტომის/თანამიმდევრობის აღმნიშვნელი (NR) [800]

≠ x საერთაშორისო სატანდარტული სერიალური ნომერი (NR) [700]

საგნობრივი ქვედანაყოფის ნაწილი

≠ v ქვედანაყოფის ფორმა (R) [600]

≠ x ზოგადი ქვედანაყოფი (R) [600]

≠ y ქრონოლოგიური ქვედანაყოფი (R) [600]

≠ z გეოგრაფიული ქვედანაყოფი (R) [600]

საკონტროლო ქვევლები

- ≠ 2 თავსათაურის ან ტერმინის წყარო (NR) [600]
- ≠ 3 განსაზღვრული მასალები (NR) [600/700]
- ≠ 5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი (NR) [700]
- ≠ 6 მიბმა (NR)
- ≠ 8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

შინაარსის აღმნიშვნელები განსაზღვრავენ პერსონალური სახელების ქვევლებში შემავალ ქვეელემენტებს, სადაც ეს ველები შექმნილია საყოველთაოდ მიღებული კატალოგიზაციისა და თეზაურუსის გამოყენების წესებით (მაგ., ანგლო-ამერიკული კატალოგიზაციის წესები (AACR2), კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი (LCSH)). პერსონალური სახელები, რომლებიც გამოიყენება რთულ, რამდენიმე სიტყვიან, საგნობრივ რუბრიკაში (e.g., John, the Baptist, Saint, in the Koran) მოთავსებული არიან ველში 650 (საგნობრივი დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – თემატური ტერმინი).

შინაარსის ყველა აღმნიშვნელის გამოყენების წესები, გარდა მეორე ინდიკატორის პოზიციისა, მოცემულია ამ სექციაში. ველის განსაზღვრელი შინაარსის აღმნიშვნელების სია და მეორე ინდიკატორის პოზიციის გამოყენების წესები მოცემულია ყოველი X00 სპეციფიკური ველის აღწერილობაში.

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი - პირის სახელის ტიპი, როგორც ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომლითაც ხდება ველში შეტანილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტის ფორმის იდენტიფიცირება. ეს მნიშვნელობები განასხვავებენ ერთმანეთისაგან სახელს, გვარს და საგვარეულო სახელს, რომლებიც გამოიყენება როგორც ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტები.

0 – სახელი

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ თავსათაური იწყება სახელით ან მიუთითებს იმაზე, რომ თავსათაური არის სახელი, რომელიც შედგება სიტყვებისაგან, ფრაზებისაგან, ინიციალებისაგან, განცალკევებული ასოებისაგან ან ციფრებისაგან, რომლებიც დაფორმატებულია პირდაპირი რიგით. ფრაზებისაგან შედგენილი სახელები ინვერსიას და სხვა დამუშავებას არ ექვემდებარება, რომდენადაც პირის გვარი სახელის თავსათაურში განიხილება როგორც სახელი.

100 0ხ ≠ aJohn, ≠cthe Baptist, Saint.

700 0ხ ≠ aFather Divine.

100 0ხ ≠ a"BB", ≠d 1905-

100 0ხ ≠ a110908.

100 0ხ ≠ aA. de O.

100 0ხ ≠ aDr. X.

100 0ხ ≠ aAuthor of The diary of a physician, ≠d 1807-1877.

[ფრაზით გამოსახული სახელი დაფორმატებულია პირდაპირი რიგით.]

700 0ხ ≠ aR. M. B.

[ინიციალებით გამოსახული სახელი დაფორმატებულია პირდაპირი რიგით.]

600 0ხ ≠ aNorodom Sihanouk, ≠cPrice, ≠d 1922-

100 0ხ ≠ aClaude, ≠cd'Abbeville, père, ≠dd. 1632.

100 0ხ ≠ aHoward.

[გაურკვეველია, მოცემული პერსონალური სახელი სახელია თუ გვარი.]

100 0ხ ≠ a Farmer, (and once a grand juror) of Grande County.

[ფრაზით გამოსახული სახელი მოცემულია პირდაპირი რიგით.]

1 – გვარი

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ თავსათაური არის გვარი ინვერტირებულ რიგში (გვარი, სახელი) ან პერსონალური სახელი, რომელიც, როგორც გვარი, სახელის გარეშეა ცნობილი. თუ არ არის ცხადი, რომ პერსონალური სახელი სახელის გარეშე არის გვარი, მაშინ პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას 0-ს. ფრაზები, რომლებიც ფორმულირებულია ინვერსიით და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტი გვარის მსგავსია, განიხილება და მუშავდება როგორც გვარი.

100 1ხ ≠ aFitzgerald, David.

100 1ხ ≠ aChiang, Kai-shek, ≠d 1887-1975.

100 1ხ ≠ aWatson, ≠cRev.

600 10 ≠ aSmith, ≠dfl. 1641.

[გვარის გარეშე პერსონალური სახელი ითვლება სახელად]

100 1ხ ≠ aQ., Mike.

100 1ხ ≠ aBlackbeard, Author of, ≠d 1777-1852.

[ფრაზით გამოსახული სახელი მოცემულია ინვერსირებული რიგით.]

100 1ხ ≠ aLe Conte, John Eatton, ≠d 1784-1860.

100 1ხ ≠ aEl-Abiad, Ahmed H., ≠d 1926-
100 1ხ ≠ aBen Omar, Saidali Bacar, ≠d 1931-
700 1ხ ≠ aVérez Peraza, Elena, ≠d 1919-
100 1ხ ≠ aSaint-Germain, Herve de.
100 1ხ ≠ aP-Orridge, Genesis, ≠d 1950-
700 1ხ ≠ aSalamín C., Marcel A.
100 1ხ ≠ aEl Saffar, Ruth S., ≠d 1941-
100 1ხ ≠ aLover's opera, Author of The, ≠d 1766-

3 – საგვარეულო სახელი

მნიშვნელობა 3 მიუთითებს, რომ თავსათაური არის გვარის, კლანის, დინასტიის, სახლის ან სხვა მსგავსი ჯგუფის სახელი. ეს სახელი შეიძლება იყოს შედგენილი პირდაპირი ან ინვერსირებული რიგით.

600 30 ≠ aDunlop family.
600 30 ≠ aPřemyslid family.
600 30 ≠ aNorfolk, Dukes of.

მეორე ინდიკატორი

მეორე ინდიკატორის პოზიცია პერსონალური სახელის ველის ფუნქციისათვის უნიკალურია. ის აღიწერება შემდეგ ველებში: 100 (ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი); 600 (საგნობრივი დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი); 700 (დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი); 800 (სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი).

ქვევლების კოდები

≠ a - პერსონალური სახელი

ქვეველი ≠ a შეიცავს პერსონალურ სახელს. პერსონალური სახელი შეიძლება იყოს გვარი და/ან სახელი; ასოები, ინიციალები; შემოკლებები, ფრაზები ან ციფრები გამოყენებული პერსონალური სახელის ნაცვლად; ან საგვარეულო სახელი. სახელთან ასოცირებული ჩართული განმარტებითი ტემინები თავსთდება ≠ c ქვეველში, ხოლო სახელის უფრო სრული ფორმა დამატებული განმარტების სახით თავსთდება ≠ d ქვეველში.

100 1ხ ≠ aWilliams, Martha E.
100 0ხ ≠ aMarcelle, ≠ cTante, pseud.
600 30 ≠ aMorton family

700 1ბ ≠ aIbn al-Mu`tazz, `Abd Allah, ≠ d861-908.

700 0ბ ≠ aSpagna ≠ c(Artisit), ≠ dca. 1450-1528.

≠ ბ - ნუმერაცია

ქვეველი ≠ ბ შეიცავს რომაულ ციფრს ან რომაულ ციფრს და სახელის მომდევნო ნაწილს. ის გამოიყენება მხოლოდ სახელის თავსათაურში (პირველი ინდიკატორის მნიშვნელობა 0-ია).

100 0ბ ≠ aJohn Paul ≠ bII, ≠ cPope, ≠ d1920-

100 0ბ ≠ aJohn ≠ bII Comnenus, ≠ cEmperor of the East, ≠ d1088-1143.

≠ ც - სახელთან დაკავშირებული ტიტულები და სიტყვები

ქვეველი ≠ ც შეიცავს ტიტულებს და სახელთან დაკავშირებულ სხვა სიტყვებს. ამ სიტყვებით გადმოცემულია ისეთი მაკვალიფიცირებელი ინფორმაცია, როგორცაა:

- წოდების, თანამდებობის ან კეთილშობილობის აღმნიშვნელი ტიტულები, მაგ., Sir
- მიმართვის ტერმინები მაგ., Mrs.
- სამეცნიერო ხარისხის ან რაიმე ორგანიზაციის წევრობის აღნიშვნები მაგ., F.L.A.
- რომაული ციფრი, რომელიც გამოყენებულია გვართან ერთად
- სახელთან დაკავშირებული სხვა სიტყვები ან ფრაზები. მაგ., შესაათე, წმინდა.

ფრჩხილებში მოთავსებული სახელის უფრო სრული ფორმა ჩაიწერება ≠ q ქვეველში.

100 1ბ ≠ aRussell, John, ≠ cmap maker.

100 1ბ ≠ aSeuss, ≠ cDr.

700 1ბ ≠ aQueen, Ellery.

600 00 ≠ aMoses ≠ c(Biblical leader)

100 1ბ ≠ aMasséna, André ≠ cprice d'Essling, ≠ d 1758-1817.

700 0ბ ≠ aVivekananda, ≠ cSwami, ≠ d 1863-1902.

700 1ბ ≠ aEvans, Montgomery, ≠ cII.

100 1ბ ≠ aAppleton, Victor, ≠ cII.

100 1ბ ≠ aByron, George Gordon Byron, ≠ cBaron, ≠ d 1788-1824.

100 1ბ ≠ aBeethoven, Ludwig van, ≠ d 1770-1827 ≠ c(Spirit)

100 1ბ ≠ aMunro, Jean, ≠ cPh.D.

600 10 ≠ aDrake, Francis, ≠ cSir, ≠ d 1540?-1596.

100 1ბ ≠ a Churchill, Winston, ≠ cSir, ≠ d 1874-1965.

100 1ბ ≠ award, Humphrey, ≠ cPrice, ≠ d 1851-1920.

თუ თავსათაური გვარია, რომელიც უშუალოდ მოსდევს პრეფიქსს ისე, რომ მის წინ არც სახელია და არც ინიციალები, მაშინ პრეფიქსი ჩაიწერება ≠ c ქვეველში იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პრეფიქსის დამუშავება სახელის ძეგნისა და დახარისხების დროს.

100 1ხ ≠ aWalle-Lissnijder, ≠cvan de.

სახელთან დაკავშირებული გვერდზე მდგარი რამდენიმე ტიტული ან სიტყვა ჩაიწერება მხოლოდ ერთ ≠ c ქვეველში. ქვეველი ≠ c მეორდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელთან დაკავშირებული სიტყვები განცალკევებულია სხვადასხვა ქვეველებში მოთავსებული ქვეელემენტებით.

700 0ხ ≠ aCharles Edward, ≠cPrince, grandson of James II, King of England, ≠d 1720-1788.

100 0ხ ≠ aThomas, ≠cAquinas, Saint, ≠d 1225?-1274.

100 0ხ ≠ aBlack Foot, ≠cChief, ≠dd. 1877 ≠c(Spirit)

[ქვეველი ≠c მეორდება ორი ქვეელემენტის არსებობის გამო]

≠ d - თარიღები, დაკავშირებული სახელთან

ქვეველი ≠ d შეიცავს სახელთან ერთად გამოყენებულ დაბადების, გარდაცვალების, მოღვაწეობის ან სხვა თარიღებს. თარიღთან გამოყენებული კვალიფიკატორი (მაგ., ხ., d., ca., fl., ?, cent.) აგრეთვე ჩაიწერება ≠ d ქვეველში.

100 1ხ ≠ aRodgers, Martha Lucile, ≠d1947.

100 1ხ ≠ aLuckombe, Philip, ≠dd. 1803.

100 1ხ ≠ aMalalas, John, ≠dca. 491-ca. 578.

100 1ხ ≠ aLevi, James, ≠dfl. 1706-1739.

100 1ხ ≠ aJoannes Aegidius, Zamorensis, ≠d1240 or 41-ca. 1316.

100 0ხ ≠ aJoanes ≠cActuarius, ≠d13th/14th cent.

100 0ხ ≠ aPiri Reis, ≠dd. 1554?

800 1ხ ≠ aDangerfield, Rodney, ≠d1921-

100 1ხ ≠ aSmith, John, ≠d1882 Aug. 5-

≠ e - პირის დამაკავშირებელი ტერმინი ნაშრომთან

ქვეველი ≠ e შეიცავს ფუნქციის აღნიშვნას, რომელიც აღწერს დამოკიდებულებას სახელსა და ნაშრომს შორის, მაგ., რედ., შემდგ., ილ.ავტ., მთარგ., შემგროვებელი, ავტორთა კოლექტივი.

700 1b ≠ aSmith, Elsie, ≠d1900-1945, ≠eill.

700 1b ≠ aHecht, Ben, ≠d1893-1964, ≠ewriting, ≠edirection, ≠eproduction.

დამაკავშირებელი კოდები, რომლებიც აგრეთვე განსაზღვრავენ დამოკიდებულებას პირსა და ნაშრომს შორის ჩაიწერება ≠ 4 ქვეველში.

≠ f – ნაშრომის თარიღი

ქვეველი ≠ f შეიცავს პუბლიკაციის თარიღს, რომელიც სატიტულო გვერდზეა მოთავსებული პუბლიკაციის სათაურთან ერთად და სახელის/სათაურის თავსათაურში იწერება.

700 12 ≠aFreud, Sigmund, ≠d1856-1939. ≠tSelections. ≠f1978.

700 12 ≠aHills, John, ≠csurveyor. ≠tSketch of Allens Town, June 1778. ≠f1976.

≠ g – შერეული ინფორმაცია

ქვეველი ≠ g შეიცავს მონაცემთა ელემენტს, რომლისთვისაც არ არსებობს უფრო შესაბამისი სხვა განსაზღვრული ქვეველი. ეს ქვეველი განსაზღვრულია თავსათაურის ველების თავსებადობისათვის. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ქვეველი ≠ g იყოს გამოყენებული X00 ველში.

≠ h – მედიუმი [600/700/800]

ქვეველი ≠ h შეიცავს ინფორმაციის მატარებლის კვალიფიკატორს, რომელიც მოთავსებულია სატიტულო გვერდზე პუბლიკაციის სათაურთან ერთად და სახელის/სათაურის თავსათაურში იწერება.

≠ j - ავტორობის განმსაზღვრელი

ქვეველი ≠ j შეიცავს ავტორობის განმსაზღვრელ ინფორმაციას იმ ნაშრომებისათვის, რომელთა შესახებ პასუხიმგებლობის ცნობები არ არის მოცემული, გაურკვეველია, ფიქტიურია ან ფსევდონიმურია. კვალიფიკატორი უნდა მოსდევდეს იმ შემოქმედის სახელს, რომელმაც გავლენა მოახდინა ამ ნაშრომის შექმნაზე.

100 0b ≠ aE.S., ≠cMeister, ≠d15th cent., ≠jFollower of

100 1b ≠ aReynolds, Joshua, ≠cSir, ≠d 1723-1792, ≠jPupil of

≠ k - ფორმის ქვეთავსათაური

ქვეველი ≠ k შეიცავს ფორმის ქვეთავსათაურს. ფორმის ქვეთავსათაური შეიძლება შეგვხვდეს X00 ველის ან სახელის, ან სათაურის ნაწილში. ფორმის ქვეთავსათაურები

გამოიყენება ისეთ პერსონალურ სახელებთან ერთად, რომლებშიც შედის სიტყვა “რჩეული”.

700 12 #aRibeiro, Tombs, #d1831-1901. #tPoems. #kSelections. #f1984.

700 12 #aMelville, Herman, #d1819-1891. #tSelections. #f1981.

[სიტყვა Selections – რჩეული ნაწარმოებები გამოიყენება როგორც უნიფიცირებული

სათაური და თავსთდება #t ქვეველში]

1 - ნაშრომის ენა

ქვეველი # 1 შეიცავს ნაშრომის ენის (ენების) სახელს (ან ტერმინს, რომელიც აღნიშნავს ენას მაგ., Polyglot) სახელის/სათაურის ველში.

700 12 # aShakespeare, William, #d1564-1616. #tSelections. #lGerman. #f1982.

700 1# # aJacobs, Una, #tSonnen-Uhr. #lEnglish.

700 1# # aBřezina, Otokar, #d1868-1929. #tPoems. #lPoliglot.

m - შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების ინსტრუმენტი [600/700/800]

ქვეველი # m შეიცავს მუსიკალური ინსტრუმენტების აღმნიშვნელ ტერმინებს, რომლებზეც იყო შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები და რომლებიც გამოიყენება მუსიკალური ნაწარმოების უნიფიცირებულ სათაურში სახელის/სათაურის ველში.

700 1# # aBeethoven, Ludwig van, #d1770-1827. #tSonatas, #mpiano, #kSelections.

700 12 # aDebussy, Claude, #d1862-1918. #tSonatas, #mflute, viola, harp. #f1986.

700 1# # aRies, Ferdinand, #d1784-1838. #tOctets, #mpiano, winds, strings, #nop.

რამდენიმე გვერდზე მდგომი ელემენტი მოცემული ერთ ცნობაში მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ ჩაიწერება ერთ # m ქვეველში. ქვეველი # m მეორდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ცნობები მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ განცალკევებულია ქვეელემენტებით და მოთავსებულია სხვა ქვეველებში.

700 1# # aAme, Thomas Augustine, #d1710-1778. #tConcertos, #mkeyboard

instrument, orchestra. #nNo. 3. #pCon Spirito, #mkeyboard instrument.

[ქვეველი #m მეორდება ორი ქვეელემენტის არსებობის გამო]

n - ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი

ქვეველი ≠ n შეიცავს ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ციფრულ აღნიშვნას, რომელიც გამოიყენება სათაურთან ერთად სახელის/სათაურის ველში. გადანომვრა განსაზღვრულია, როგორც თანამიმდევრობის აღნიშვნა ნებისმიერი ფორმით (მაგ., ნაწილი 1, დამატება A, წიგნი მეორე). მუსიკალური ნაწარმოების, ოპუსის, სერიალური გამოცემის ან თემატური ინდექსის ნომერი, ან თარიღი, რომელიც გამოიყენება როგორც ნომერი, ჩაიწერება ≠ n ქვეველში.

700 0b ≠ aHomer. ≠tIliad. ≠nBook 16-19. ≠lEnglish.

700 12 ≠aLucretius Carus, Titus. ≠tDe rerum natura. ≠nLiber 4. ≠f1987.

700 1b ≠ aTolkien, J.R.R. ≠q(John Roland Reuel), ≠d1892-1973. ≠tLord of the rings. ≠n2, ≠pTwo towers.

[ნაწილი/ნაკვეთი არის როგორც დანომრილი ასევე დასახელებული.]

ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის რამდენიმე ნომერი გამოყოფილი ერთმანეთისაგან მძიმით (რომლებიც ჩვეულებრივად ალტერნატიული ნომრებია) ჩაიწერება ერთ ≠ n ქვეველში.

700 12 ≠aMendelssohn-Bartholdy, Felix, ≠d1809-1847. ≠tQuartets, ≠mpiano, strings, ≠nno.2, op. 2.

≠rF minor. ≠f1972.

ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის რამდენიმე ნომერი გამოყოფილი ერთმანეთისაგან წერტილით (რომლებიც ჩვეულებრივად ქვენაწილების ნომრებია) ჩაიწერება სხვადასხვა ≠ n ქვეველებში.

700 12 ≠aSchubert, Franz, ≠d1797-1828. ≠tImportus, ≠mpiano, ≠nD. 935. ≠nNo. 2. ≠f1985.

≠ o - ცნობები მუსიკალური ნაწარმოების არანჟირების შესახებ [600/700/800]

ქვეველი ≠ o შეიცავს შემოკლებას arr., რომელიც გამოიყენება ნაშრომის უნიფიცირებულ სათაურში და ჩაიწერება სახელის/სათაურის ველში.

700 12 ≠aSchubert, Franz, ≠d1797-1828. ≠tSongs. ≠kSelections; ≠oarr. ≠f1985.

700 12 ≠aMozart, Wolfgang Amadeus, ≠d1756-1791. ≠tZauberflöte. ≠kSelections; ≠oarr. ≠f1985.

≠ p - ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი

ქვეველი ≠ p შეიცავს ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელობით აღნიშვნას, რომელიც ჩაიწერება სახელის/სათაურის ველში.

700 12 ≠aHindemith, Paul, ≠d1895-1963. ≠tNobilissima visione. ≠pMeditation; ≠oarr.
≠f1977.

700 12 ≠aPraetorius, Hieronymus, ≠d1560-1629. ≠tOpus musicum. ≠pCantiones
sacrae. ≠pO vos
omnes. ≠f1974.

700 12 ≠aDebussy, Claude, ≠d1862-1918. ≠tPreludes, ≠mpiano, ≠nbook 1.
≠pCollines d'Anacapri. ≠f1980.

≠ q - სახელის უფრო სრული ფორმა

ქვეველი ≠ q შეიცავს ქვეველ ≠ a-ში მოთავსებული სახელის ნაწილის უფრო სრულ ფორმას.

100 0b ≠ aH. D. ≠q(Hilda Doolittle), ≠d1886-1961.

100 1b ≠ aGresham, G. A. ≠q(Geoffrey Austin)

100 1b ≠ aSmith, Elizabeth ≠q(Ann Elizabeth)

700 1b ≠ aE., Sheila, ≠q(Escovedo), ≠d1959-

100 1b ≠ aBeeton, ≠cMrs. ≠q(Isabella Mary), ≠d1836-1865.

100 1b ≠ a'Atthawimonbandit (To), ≠cPhra, ≠d1883-1973.

[ტაიური სახელი მოცემულია ფრჩხილებში, როგორც ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტის ნაწილი]

≠ r - მუსიკალური გასაღები [600/700/800]

ქვეველი ≠ r შეიცავს ცნობას მუსიკალური გასაღების შესახებ, რომელშიც არის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები და გამოიყენება ნაშრომის უნიფიცირებულ სათაურში სახელის/სათაურის ველში.

700 12 ≠aBeethoven, Ludwig van, ≠d1770-1827. ≠tSonatas, ≠mpiano, ≠nno. 13, op. 27, no. 1,
≠rE
major. ≠f1986.

≠ s - ვერსია [600/700/800]

ქვეველი ≠ s შეიცავს ინფორმაციას ვერსიის, გამოცემის, რედაქციის და ა. შ. შესახებ, რომელიც გამოიყენება ნაშრომის სათაურთან ერთად სახელის/სათაურის ველში.

700 1b ≠ aHarrison, Tinsley Randolph, ≠d1900- ≠tPrinciples of internal medicine. ≠s9th ed.

800 1ხ ≠ aShakespeare, William, ≠d1564-1616. ≠tWorks. ≠f1981. ≠sMethuen.

≠ t – ნაშრომის სათაური

ქვეველი ≠ t შეიცავს უნიფიცირებულ სათაურს, სატიტულო გვერდზე მოთავსებულ სათაურს ან სერიის სათაურს და გამოიყენება სახელის/სათაურის ველში.

600 10 ≠aShakespeare, William, ≠d1564-1616. ≠tHamlet.

700 12 ≠aCendrars, Blaise, 1887-1961. ≠tSelections. ≠f1987.

700 12 ≠aVoltaire, ≠d1694-1778. ≠tCorrespondence. ≠kSelections. ≠f1777.

700 12 ≠aKelly, Michael, ≠d1762-1826. ≠tLove laughs at locksmiths. ≠lEnglish.
≠f1979.

≠ u - სახელთან დაკავშირებული ცნობა რომელიმე ორგანიზაციაში წევრობის ან სამსახურის შესახებ

ქვეველი ≠ u შეიცავს სახელთან დაკავშირებულ ცნობას მისამართის ან რომელიმე ორგანიზაციაში წევრობის, ან სამსახურის შესახებ.

100 1ხ ≠ aBrown, B.F. ≠uChemistry Dept., American University.

≠ v - ტომის/თანამიმდევრობის აღმნიშვნელი [800]

ქვეველი ≠ v შეიცავს ტომის ნომერს ან თანამიმდევრობის სხვა აღმნიშვნელს, რომელიც გამოიყენება სერიის დამატებით ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთან ერთად მე-800 ველში.

800 1ხ ≠ aFernando, A. Denis N. ≠tResource maps of Sri Lanka ; ≠vpt. 2.

≠ v – ფორმის ქვედანაყოფი [600]

ქვეველი ≠ v შეიცავს ფორმის ქვედანაყოფს, რომელიც აღნიშნავს მასალის სპეციალურ სახეს ან ჟანრს განსაზღვრულს გამოყენებულ თეზაურუსში. ≠ v ქვეველის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც საგნობრივი ფორმის ქვედანაყოფი გაფართოებული საგნობრივი რუბრიკის ფორმირების მიზნით პერსონალურ ან საგვარეულო სახელთანაა მიერთებული. ქვეველი ≠ v გამოიყენება ფორმის ტერმინებისათვის, როდესაც მათი ფუნქცია ისეთია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. ქვეველი ≠ v შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ ტერმინების ფუნქცია ისეთია, როგორც ზოგადი ქვედანაყოფებისა. ფორმის ქვედანაყოფი ≠ v ქვეველში, საზოგადოდ, არის ბოლო ქვეველი ველში. ეს ქვეველი შეიძლება იყოს გამეორებული, თუ გამოყენებულია ერთზე მეტი ფორმის ქვედანაყოფი.

600 30 ≠aClarc famili ≠vFiction.

600 00 ≠aGautama Buddha ≠vBiography ≠vEarly works to 1800.

≠ x - საერთაშორისო სატანდარტული სერიალური ნომერი [700]

ქვეველი ≠ x შეიცავს სერიალური გამოცემის ISSN-ს სახელის/სათაურის ველის სათაურის ნაწილში. ISSN წარმოადგენს სააგენტოს მიერ მინიჭებულ ან დადგენილ მონაცემთა ელემენტს. ISSN ენიჭება სერიალურ გამოცემებს ეროვნული ცენტრების მიერ ISSN-ის ქსელის მფარველობისა და ზედამხედველობით.

≠ x – ზოგადი ქვედანაყოფი [600]

ქვეველი ≠ x შეიცავს საგნობრივ ქვედანაყოფს, რომლის მოთავსება ≠ v ქვეველში (ფორმის ქვედანაყოფი), ≠y ქვეველში (ქრონოლოგიური ქვედანაყოფი), ≠z ქვეველში (გეოგრაფიული ქვედანაყოფი) არ არის მიზანშეწონილი. ≠ x ქვეველის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ზოგადი თემატური ქვედანაყოფი მიერთებულია სახელთან ან სახელთან/სათაურთან.

600 10 ≠aBrunoff, Jean de, ≠d1899-1937 ≠Characters ≠xBabar.

600 00 ≠aNapoleon ≠bI, ≠cEmperor of the French, ≠d1769-1821 ≠xAssassination attempt, 1800 (December 24)

≠y - ქრონოლოგიური ქვედანაყოფი [600]

ქვეველი ≠y შეიცავს საგნობრივ ქვედანაყოფს, რომელიც წარმოადგენს დროის პერიოდს. ≠y ქვეველის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ქრონოლოგიური საგნობრივი ქვედანაყოფი მიერთებულია სახელთან ან სახელთან/სათაურთან.

600 10 ≠aShakespeare, William, ≠d1564-1616 ≠xCriticism and interpretation ≠xHistory ≠y18th century.

600 10 ≠aReagan, Ronald ≠xAssassination attempt, 1981.

[თარიღი ზოგადი ქვედანაყოფის ნაწილია.]

≠z - გეოგრაფიული ქვედანაყოფი

240 10 ≠aAnnual report (1977)

245 10 ≠aAnnual report / ≠cAustralian National Parks and Wildlife Service.

240 10 ≠aIntermezzo (Sketches)

240 00 ≠aVariations, ≠mpiano, 4 hands, ≠nK. 501, ≠G major

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – ველი 240 არ ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით, თუ ბოლო სიტყვა ველში არ არის შემოკლება, ინიციალები/ასოები ან პუნქტუაციის ნიშნით დაბოლოვებული მონაცემები. პუნქტუაციის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ აგრეთვე ქვევლების აღწერები “X30 უნიფიცირებული სათაური – ზოგადი ინფორმაცია” სექციაში.

დისპლების კონსტანტა

[...] [კვადრატული ფრჩხილები]

კვადრატული ფრჩხილები, რომლებშიც ჩვეულებრივად ჩასმულია უნიფიცირებული სათაური, არ გადაიტანება USMARC ჩანაწერში. ისინი შეიძლება იყოს გენერირებული სისტემის მიერ როგორც დისპლების კონსტანტა ასოცირებული ველის ტეგთან.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

პირველი ინდიკატორი - ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი უნიფიცირებული სათაური

2 არ არის ბარათზე დაბეჭდილი, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე (MU) [აღარ არის ხმარებაში, 1993]

3 არის ბარათზე დაბეჭდილი, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე (MU) [აღარ არის ხმარებაში, 1993]

1993 წელს პირველი ინდიკატორი იყო ხელახლა განსაზღვრული. ძველი განსაზღვრებით ის მიუთითებდა უნდა იყოს თუ არა უნიფიცირებული სათაური დაბეჭდილი ბარათზე (და მუსიკისთვის კი – უნდა იყოს თუ არა დამატებითი ბარათი გაკეთებული). ახალი განსაზღვრებით ის მიუთითებს ნებისმიერი ფორმის მასალისათვის უნდა იყოს თუ არა უნიფიცირებული სათაური დაბეჭდილი ბარათზე ან გამოტანილი დისპლების ეკრანზე. მაშასადამე პირველი ინდიკატორის მნიშვნელობები 0 და 1 თავიდან განისაზღვრა, ხოლო მნიშვნელობები 2 და 3 გამოცხადდა მოძველებულად და აღარ არის ხმარებაში.

≠d ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი [განისაზღვრა 1980]

ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღს არ გააჩნდა ქვევლის კოდი 1980 წლამდე, როდესაც განისაზღვრა ქვეველი ≠d.

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი [თავიდან განისაზღვრა, 1979]

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი [თავიდან განისაზღვრა, 1979]

1979 წლამდე ქვეველი ≠n შეიცავდა მხოლოდ სერიალური გამოცემის, ოპუსის ან თემატური კატალოგის ნომრებს, რომლებიც გვხვდებოდა მუსიკალური ნაწარმოების აღწერის ერთეულში და ნაწილის ნომერიც და სახელიც თავსთდებოდა ერთ ≠p ქვეველში. ქვეველი ≠p (Part) ხელახლად იყო განსაზღვრული და ახლა შეიცავს მხოლოდ დასახელებული ნაწილების/ნაკვეთების სახელს, ხოლო ქვეველი ≠n იყო გაფართოებული, რათა მასში შესულიყო ნებისმიერი მასალის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი.

242

242 საკატალოგიზაციო სააგენტოს მიერ თარგმნილი სათაური (R)

პირველი ინდიკატორი

დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე

0 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არსებობს

1 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არსებობს

მეორე ინდიკატორი

არასორტირებადი სიმბოლოები

0-9 არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა

ქვევლების კოდები

≠a სათაური (NR)

≠b სათაურის დარჩენილი ნაწილი (NR)

≠c ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ. (NR)

≠h მედიუმი (NR)

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)

≠y თარგმნილი სათაურის ენის კოდი (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს სათაურს, რომელიც წარმოადგენს ძირითადი სათაურის თარგმანს.

სათაურია თარგმნილი საკატალოგიზაციო სააგენტოს მიერ. ეს ველი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც თარგმნილი სათაური არ არის მოთავსებული აღსაწერ მასალაზე როგორც პარალელური სათაური, რომელიც უნდა ჩაიწეროს 245 ველში (ცნობები სათაურის შესახებ).

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მიუთითებს უნდა იყოს შექმნილი თუ არა დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი მოცემული სათაურისთვის.

0 - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არსებობს

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ უნდა იყოს შექმნილი.

1 - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არსებობს

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი უნდა იყოს შექმნილი.

მეორე ინდიკატორი - არასორტირებადი სიმბოლოები

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს იმ სიმბოლოთა პოზიციების რაოდენობას, რომლებიც ასოცირებულია განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ არტიკლთან (მაგ., Le, An) საკვანძო სათაურის ველის დასაწყისში და რომლებიც უგულვებელყოფილია სორტირების ან დალაგების პროცესებში.

0 – არ არსებობს არასორტირებადი სიმბოლოები

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ საწყისი არტიკლის სიმბოლოს პოზიციები არ არის უგულვებელყოფილი.

242 10 #aWorld of art. #yeng

242 00 #aWoman. #yeng

დიაკრიტიკული ნიშნები ან სპეციალური სიმბოლოები უნიფიცირებული სათაურის ველის დასაწყისში, რომელიც არ იწყება საწყისი არტიკლით, არ ითვლება არასორტირებად სიმბოლოებად.

მაგალითი

1-9 არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა

არანულოვანი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ სათაური იწყება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით, რომლებიც უგულვებელყოფილია სორტირების ან დალაგების პროცესებში. დიაკრიტიკული ნიშნები ან სპეციალური სიმბოლოები ასოცირებული არტიკლთან ითვლება არასორტირებად სიმბოლოებად. ნებისმიერი დიაკრიტიკული ნიშანი ან სპეციალური სიმბოლო ასოცირებული პირველ სორტირებად სიმბოლოსთან არ ითვლება არასორტირებად სიმბოლოდ.

242 04 #aThe Arab East. #yeng

ქვევლების კოდები

≠a, ≠b, ≠c, ≠h, ≠n და ≠p ქვევლების აღწერა მოცემულია 245 ველის (ცნობები სათაურის შესახებ) აღწერაში.

≠y - თარგმნილი სათაურის ენის კოდი

ქვეველი ≠y შეიცავს სამ-სიმბოლოიან MARC ფორმატის ენის კოდს თარგმნილი სათაურისთვის. MARC ფორმატის კოდების წყარო არის “MARC ფორმატის კოდების სია ენებისათვის”, რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა.

242 00 ≠aLand surveying and agriculture equipment. ≠yeng

245 00 ≠aGeodezja I urzadzenia roline.

242 00 ≠aAnnals of chemistry ≠nSeries C, ≠pOrganic chemistry and biochemistry.

≠yeng

245 00≠aAnales de química. ≠nSerie C, ≠pQuímica orgánica y bioquímica :

≠bpublicación de la Real Sociedad Espanola de Química.

242 14 ≠aThe Mirror. ≠yeng

245 04 ≠aDer Spiegel.

≠ 6 - მიბმა

≠ 8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვევლების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – ბოლო ქვეველი, რომელიც წინ უსწრებს ≠y ქვეველს 242 ველში ბოლოვდება წერტილით. პუნქტუაციის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ აგრეთვე ქვევლების აღწერა “X30 უნიფიცირებული სათაური – ზოგადი ინფორმაცია” სექციაში.

დისპლეის კონსტანტა

“თარგმნილი სათაური:”

წარწერა “თარგმნილი სათაური:”, რომელიც ჩვეულებრივად წინ უსწრებს სათაურის თარგმანს არ გადაიტანება MARC ჩანაწერში. ის შეიძლება იყოს გენერირებული სისტემის მიერ როგორც დისპლეის კონსტანტა ასოცირებული ველის ტეგთან.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

≠d ნაკვეთის აღნიშვნა (BK AM MP MU VM SE) [აღარ არის ხმარებაში, 1979]

≠e ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (BK AM MP MU VM SE) [აღარ არის ხმარებაში, 1979]

1979 წლამდე, როდესაც ქვევლები ≠n და ≠p) ხელახლად იყო განსაზღვრული ნაშრომის გადანომრილი და დასახელებული ნაწილების/ნაკვეთების-ათვის, ეს მონაცემები შედიოდა 242 ველის ≠d და ≠e ქვევლებში. ქვევლები ≠d და ≠e გამოცხადდა მოძველებულად 1979 წელს.

243

243 კოლექტიური უნიფიცირებული სათაური (NR)

პირველი ინდიკატორი

ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი უნიფიცირებული სათაური

0 არ არის ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი

1 არის ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი

მეორე ინდიკატორი

არასორტირებადი სიმბოლოები

0-9 არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა

ქვევლების კოდები

≠a უნიფიცირებული სათაური (NR)

≠d ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი (R)

≠f ნაშრომის თარიღი (NR)

≠g შერეული ინფორმაცია (NR)

≠h მედიუმი (NR)

≠k ფორმის ქვეთავსათაური (R)

≠l ნაშრომის ენა (NR)

≠m შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების ინსტრუმენტი (R)

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)

≠o ცნობები მუსიკალური ნაწარმოების არანჟირების შესახებ (NR)

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)

≠r მუსიკალური გასაღები (NR)

≠s ვერსია (NR)

≠6 მიბმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს განზოგადებულ სათაურს, რომელიც გამოიყენება ნაყოფიერი ავტორის შრომების ერთად თავმოსაყრელად.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი - ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი უნიფიცირებული სათაური

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მიუთითებს უნდა იყოს თუ არა უნიფიცირებული სათაური ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი.

0 - არ არის ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ უნიფიცირებული სათაური არ უნდა იყოს ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი.

1 - არის ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ უნიფიცირებული სათაური უნდა იყოს ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი.

მეორე ინდიკატორი - არასორტირებადი სიმბოლოები

ამ ინდიკატორის აღწერა მოცემულია “X30 უნიფიცირებული სათაური – ზოგადი ინფორმაცია” სექციაში.

ქვევლების კოდები

243 ველში გამოყენებული ყველა ქვევლის კოდის აღწერები მოცემულია “X30 უნიფიცირებული სათაური – ზოგადი ინფორმაცია” სექციაში.

მაგალითები

100 1# #aShakespeare, William, #d1564-1616.

243 10 #aWorks. #f1983

245 14 #aThe Globe illustrated Shakespeare.

100 1# #aTouré, Ahmed Sékou, #d1922-

243 10 #aSpeeches

245 10 #aDiscours du president Sékou.

110 1# #aArgentina

243 00 #aLaws, etc.

245 10 #aRecopilación de leyes, decretos y resoluciones...

100 1# #aStrauss, Johann, #d1804-1849.

243 10 #aOrchestra music. #kSelections

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – ველი 243 არ ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით, თუ ბოლო სიტყვა ველში არ არის შემოკლება, ინიციალები/ასოები ან პუნქტუაციის ნიშნით დაბოლოვებული მონაცემები. პუნქტუაციის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ აგრეთვე ქვევლების აღწერები “X30 უნიფიცირებული სათაური – ზოგადი ინფორმაცია” სექციაში.

დისპლეის კონსტანტა

[...] [კვადრატული ფრჩხილები]

კვადრატული ფრჩხილები, რომლებშიც ჩვეულებრივად ჩასმულია უნიფიცირებული სათაური, არ გადაიტანება MARC ჩანაწერში. ისინი შეიძლება იყოს გენერირებული სისტემის მიერ როგორც დისპლეის კონსტანტა ასოცირებული ველის ტეგთან.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

პირველი ინდიკატორი - ბარათზე დაბეჭდილი ან ეკრანზე გამოტანილი უნიფიცირებული სათაური [მხოლოდ USMARC-ში]

2 არ არის ბარათზე დაბეჭდილი, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე (MU) [აღარ არის ხმარებაში]

3 არის ბარათზე დაბეჭდილი, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე (MU) [აღარ არის ხმარებაში]

1993 წელს პირველი ინდიკატორი იყო ხელახლა განსაზღვრული. ძველი განსაზღვრებით ის მიუთითებდა უნდა იყოს თუ არა უნიფიცირებული სათაური დაბეჭდილი ბარათზე (და მუსიკისთვის კი – უნდა იყოს თუ არა დამატებითი ბარათი გაკეთებული). ახალი განსაზღვრებით ის მიუთითებს ნებისმიერი ფორმის მასალისათვის უნდა იყოს თუ არა უნიფიცირებული სათაური დაბეჭდილი ბარათზე ან გამოტანილი დისპლეის ეკრანზე. მაშასადამე პირველი ინდიკატორის მნიშვნელობები 0 და 1 თავიდან განისაზღვრა, ხოლო მნიშვნელობები 2 და 3 გამოცხადდა მოძველებულად და აღარ არის ხმარებაში.

≠d ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი [განისაზღვრა 1980]

ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღს არ გააჩნდა ქვევლის კოდი 1980 წლამდე, როდესაც განისაზღვრა ქვეველი ≠d.

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი [თავიდან განისაზღვრა, 1979]

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი [თავიდან განისაზღვრა, 1979]

1979 წლამდე ქვეველი ≠n შეიცავდა მხოლოდ სერიალური გამოცემის, ოპუსის ან თემატური კატალოგის ნომრებს, რომლებიც გვხვდებოდა მუსიკალური ნაწარმოების აღწერის ერთეულში და ნაწილის ნომერიც და სახელიც თავსთდებოდა ერთ ≠p ქვეველში. 1979 წელს ქვეველი ≠p (Part) ხელახლად იყო განსაზღვრული და ახლა შეიცავს მხოლოდ დასახელებული ნაწილების/ნაკვეთების სახელს, ხოლო ქვეველი ≠n

იყო გაფართოებული, რათა მასში შესულიყო ნებისმიერი მასალის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი.

245

245 ცნობები სათაურის შესახებ (NR)

პირველი ინდიკატორი

დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე

0 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არსებობს

1 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არსებობს

მეორე ინდიკატორი

არასორტირებადი სიმბოლოები

0-9 არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა

ქვევლების კოდები

≠a სათაური (NR)

≠b სათაურის დარჩენილი ნაწილი (NR)

≠c ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ. (NR)

≠f მთელი ნაშრომის შექმნის თარიღები

≠g ნაშრომის უმეტესი ნაწილის შექმნის თარიღები

≠h მედიუმი (NR)

≠k ფორმა

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)

≠s ვერსია

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროს. ველი - ცნობები სათაურის შესახებ შეიცავს ძირითად სათაურს და შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს მასალის ზოგად აღმნიშვნელს (მედიუმს), სათაურის დარჩენილ ნაწილს, სხვა ინფორმაციას სათაურის შესახებ, ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ და სატიტულო გვერდზე არსებულ დანარჩენ მონაცემებს

(ქვეველი c: ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ.), რომლებიც სხვა ქვეველში არ შეიძლება ჩაიწეროს. ძირითადი სათაური შეიცავს მოკლე სათაურს, ალტერნატიულ სათაურს, ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ციფრულ აღნიშვნას და მის სახელს.

შერეული მასალისთვის ველი – ცნობები სათაურის შესახებ განსაზღვრულია ისე, რომ მასში შედიოდეს ის სახელი, რომლითაც ეს მასალა არის ცნობილი. კრებულისთვის ეს ველი შეიძლება შეიცავდეს მთელი ნაშრომის შექმნის თარიღებს (ქვეველი ≠f) და ნაშრომის უმეტესი ნაწილის შექმნის თარიღებს (ქვეველი ≠g). როდესაც კრებულს არა აქვს ფორმალური ბიბლიოგრაფიული სათაური, მაშინ გამოიყენება ქვეველი ≠k (ფორმა). ქვეველი ≠k შეიძლება აგრეთვე იყოს გამოყენებული შერეული მასალის “ფორმის” მისათითებლად, მიუხედავად იმისა რომ ფორმალური ბიბლიოგრაფიული სათაური იყოს მოცემული ქვეველებში ≠a, ≠b და ≠c.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მიუთითებს არის თუ არა დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შექმნილი სათაურისთვის.

0 - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არსებობს

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურისთვის არ უნდა იყოს შექმნილი ან იმიტომ, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე არ არის საჭირო, ან იმიტომ, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე გაკეთებულია არა იმ სათაურზე, რომელიც მოცემულია 245-ე ველში. პირველი ინდიკატორის მნიშვნელობა ყოველთვის 0-ია, როდესაც ჩანაწერში არ არსებობს 1XX თავსათაურის ველი.

245 00 ≠a[Man smoking at window].

245 03 ≠aLe Bureau ≠h[filmstrip] = ≠bLa Oficina = das Büro.

1 - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არსებობს

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურისთვის უნდა იყოს შექმნილი.

245 10 ≠aCancer research : ≠bofficial organ of the American Association for Cancer Research, Inc.

245 10 ≠aStatistics : ≠bfacts or fiction.

245 10 ≠a[Nocturne, dance house].

მეორე ინდიკატორი - არასორტირებადი სიმბოლოები

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს იმ სიმბოლოთა პოზიციების რაოდენობას, რომლებიც ასოცირებულია განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ არტიკლთან (მაგ., Le, An) სათაურის ველის დასაწყისში და რომლებიც უგულებელყოფილია სორტირების ან დალაგების პროცესებში.

0 – არ არსებობს არასორტირებადი სიმბოლოები

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ საწყისი არტიკლის სიმბოლოს პოზიციები არ არის უგულებელყოფილი.

245 10 #aWar of the worlds.

245 10 #aHarvard project manager.

დიაკრიტიკული ნიშნები ან სპეციალური სიმბოლოები სათაურის ველის დასაწყისში, რომელიც არ იწყება საწყისი არტიკლით, არ ითვლება არასორტირებად სიმბოლოებად.

245 00 #a[Diary]

245 10 #a--as others see us.

1-9 არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა

არანულოვანი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ სათაური იწყება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით, რომლებიც უგულებელყოფილია სორტირების ან დალაგების პროცესებში. დიაკრიტიკული ნიშნები ან სპეციალური სიმბოლოები ასოცირებული არტიკლთან ითვლება არასორტირებად სიმბოლოებად. ნებისმიერი დიაკრიტიკული ნიშანი ან სპეციალური სიმბოლო ასოცირებული პირველ სორტირებად სიმბოლოსთან არ ითვლება არასორტირებად სიმბოლოდ.

245 04 #aThe Year book of medicine.

245 12 #aA report to the legislature for the year...

245 12 #aL'enfant criminal.

245 15 #a"The eve that never sleeps..."

245 05 #a[The Part of Pennsylvania that ...townships].

245 16 #a--the serpent --snepping eye.

245 18 #aThe ...annual report to the Governor.

245 12 #aL'été.

245 10 #aHē Monē tou Horous Sina.

245 10 #aTōn meionotētōn eunia : #bmythistorēma / #cSpyrou Gkrintzou.

245 10 #aTōn Diōnos Rōmaikōn historiōn eikositria biblia = #bDionis Romanarum

ქვევლების კოდები

≠a - სათაური

ქვეველი ≠a შეიცავს ძირითად სათაურს და ალტერნატიულ სათაურს და არ შეიცავს ნაწილის ნომერს ან სახელს. ქვეველი ≠a შეიცავს აგრეთვე (ერთი ან სხვადასხვა ავტორის/კომპოზიტორის) კრებულში შემავალი ნაშრომებიდან პირველი ნაშრომის სათაურს, თუ კრებულს არ გააჩნია კოლექტიური სათაური.

ჩანაწერში, რომელიც შექმნილია ISBD-ს პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეველი ≠a შეიცავს მთელ ინფორმაციას სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფეროს დასაწყისიდან ISBD-ს პუნქტუაციის პირველი ნიშნის ჩათვლით (ანუ ტოლობის ნიშანი (=), ორწერტილი (:), წერტილმძიმე (;), ან დახრილი ხაზი (/)) ან ინფორმაციის მატარებლის (მედიუმის) აღმნიშვნელი (მაგ., [მიკროფორმა]).

245 10 ≠aMap of Amish farmland, Lancaster County, Pennsylvania.

245 00 ≠aProceedings / ≠c...

245 00 ≠aETZ : ≠b...

245 00 ≠aJohn Eager Howard.

245 13 ≠aal-Sharg el-'Arabī.

245 13 ≠aAn Interpretation of Zarahemla ...

245 10 ≠aNineteenth-century bird prints.

245 10 ≠aUnder the hill, or, The story of Venus and Tannhauser.

245 10 ≠a[Seventeen poems].

245 00 ≠aConcerto for piano, with chamber music ensemble, op. 26 (1961).

245 00 ≠aHamlet ; ≠bRomeo and Juliette ; Othello ...

245 00 ≠aOklahoma ≠h[sound recording] ; ≠bCarousel ; South Pacific ...

≠b - სათაურის დარჩენილი ნაწილი

ქვეველი ≠b შეიცავს სათაურის დარჩენილ ნაწილს, რომელშიც შედის პარალელური სათაური, პირველი სათაურის მომდევნო სათაური (აღწერის ისეთი ერთეულებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ კოლექტიური სათაური) და სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ.

ჩანაწერში, რომელიც შექმნილია ISBD-ს პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეველი ≠ b შეიცავს მთელ ინფორმაციას, რომელიც მოსდევს ISBD-ს პუნქტუაციის პირველი ნიშანს და მთავრდება ISBD-ს პუნქტუაციის ნიშნის ჩათვლით, რომელსაც შემოაქვს პირველი ცნობა ავტორის შესახებ (ანუ პირველი დახრილი ხაზი (/)). შევნიშნოთ, რომ ქვეველი ≠b არ მეორდება, როდესაც ველში მოცემულია ერთზე მეტი პარალელური სათაური, მომდევნო სათაური და/ან სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ.

- 245 10 #aPrivate eyeballs : #ba golden treasury of bad taste.
- 245 10 #aConference on Industrial Development in the Arab Countries :
#b[Proceedings].
- 245 00 #aLord Macaulay's essays ; #band, Lays of ancient Rome.
- 245 10 #aDistribution of the principal kinds of soil : #borders, suborders, and great
groups : National Soil Survey Classification of 1967.
- 245 00 #aColorado heritage : #bthe journal of the Colorado Historical Society.
- 245 10 #aCeramic forum international : #bCFI : Berichte der DKG.
- 245 10 #aTrade Union Fellowship Program : #b[announcement].
- 245 00 #aMap of Nelson, Richmond, Motueka : #bscale 1:20000.
- 245 10 #aRock mechanics : #bjournal of the International Society for Rock
Mechanics = Felsmechanik.

როდესაც ყოველი სათაური შედგება საერთო სათაურისაგან და ნაწილის სათაურისაგან ან აღმნიშვნელისაგან, ქვევლები #n და #p შეტანილ უნდა იყოს მხოლოდ #a ქვევლის შემდეგ. პარალელური სათაურის მომდევნო სათაურის ელემენტებს ან ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ, არ გააჩნიათ ქვევლების კოდები.

- 245 00 #aJournal of the Faculty of Science, the University of Tokyo. #nSection IV,
#pZoology = #bTōkyō Daigakubu kiyō. Dai 4-rui, Dōbutseugaku.
- 245 10 #aInternational review of applied psychology : #bthe journal of the
International Association of Applied Psychology = Revue internationale de
psychologie appliquée.
- 245 00 #aF.N.I.B. : #borgane de la Fédération nationale des infirmières belges =
N.V.B.V. : tijdschrift van het Nationaal Verbond van Belgische
Verpleegsters.
- 245 10 #aGentlemen's quarterly #h[microform] : #bGQ.
- 245 00 #aAnimalsk production = #bTeirerzeugung = Animal production.

#c - ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ.

ქვეველი #c შეიცავს პირველ ცნობას პასუხისმგებლობის შესახებ და/ან 245 ველის ნარჩენ მონაცემებს, რომლებისთვისაც არ არსებობს თავისი ქვევლის კოდი.

ჩანაწერში, რომელიც შექმნილია ISBD-ს პრინციპებზე დაყრდნობით, ქვევლი #c შეიცავს მთელ ინფორმაციას, რომელიც მოსდევს პირველ დახრილ ხაზს (/).

როდესაც ქვეველი ≠c ჩაიწერება, ამის შემდეგ 245 ველის არც ერთი ქვეველის ჩაწერა აღარ შეიძლება.

245 04 ≠aThe plays of Oscar Wilde / ≠cAlan Bird.

245 10 ≠aHow to play chess / ≠cKevin Wicker ; with a foreword by David Pritchard ; illustrated by Karel Feuerstain.

245 10 ≠aHe who hunted birds in his father's village : ≠bthe dimensions of a Haida myth / ≠cGary Snyder ; preface by Nathaniel Tarn ; edited by Donald Allen.

245 10 ≠aIsland series. ≠pPenrhyn, bathymetry / ≠ccompilation by K.B. Lewis, P. Larkin, and T.T. Rongo ; bathymetric compilation and contouring by K.B. Lewis, T.T. Rongo and A.T. Utanga ; drawn by S.C/ Glover.

245 10 ≠aProject directory / ≠cTDC = Répertoire des projets / CDT.

245 14 ≠aThe analysis of the law / ≠cSir Methew Hale. The students companion / Giles Jacob.

245 00 ≠aManagement report. ≠nPart I / ≠cU.S. Navy's Military Sealift Command.

245 00 ≠aRetail et volaille / ≠cBureau des statistiques de Québec = Livestock and poultry / Quebec Bureau of Statistics.

≠f - მთელი ნაშრომის შექმნის თარიღები

ქვეველი ≠f შეიცავს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც იყო შექმნილი ჩანაწერში აღწერილი ერთეულის მთელი შინაარსი.

245 00 ≠aShort-Harrison-Symmes family papers, ≠f1760-1878.

245 00 ≠kLetter, ≠f1901 March 6, ≠bDublin, to Henrik Ibsen, Kristiana [Oslo].

≠g - ნაშრომის უმეტესი ნაწილის შექმნის თარიღები

ქვეველი ≠g შეიცავს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც იყო შექმნილი ჩანაწერში აღწერილი ერთეულის შინაარსის უმეტესი ნაწილი.

245 00 ≠kRecords, ≠f1939-1973 ≠g1965-1972.

245 10 ≠kEmployment applications ≠gJan.-Dec. 1985.

≠h - მედიუმი

ქვეველი ≠h შეიცავს მედიუმის (ინფორმაციის მატარებლის) აღმნიშვნელს, რომელიც გამოიყენება ცნობებში სათაურის შესახებ. ჩანაწერში, რომელიც შექმნილია ISBD-ს პრინციპებზე დაყრდნობით, მედიუმის აღმნიშვნელი ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში პატარა ასოებით. ის მოსდევს ძირითად სათაურს (ქვეველები ქვეველები ≠a, ≠n და ≠p) და წინ უსწრებს სათაურის დარჩენილ ნაწილს (≠b),

მომდევნო სათაურებს (აღწერის ერთეულებში, რომელთაც არა აქვთ კოლექტიური სათაური) და/ან ცნობებს პასუხისმგებლობის შესახებ (≠c).

245 04 ≠aThe Green bag ≠h[microform] : ≠ba useless but entertaining magazine for lawyers.

245 14 ≠aThe New Lost City Ramblers with Cousin Emmy ≠h[sound recording].

245 14 ≠aThe royal gazette ≠h[microform] / ≠cNew Brunswick.

245 00 ≠a[Geode] ≠h[realia].

245 00 ≠aDaily report. ≠pPeople's Republic of China ≠h[microform] / ≠cFBIS.

245 14 ≠aThe printer's manual ≠h[microform] / ≠cby Caleb Stower ; with a new introduction by John Bidwell. The printer's companion / by Edward Gratten ; with a new introduction by Clinton Sisson.

245 03 ≠aLa mer ≠h[sound recording] ; ≠bKhamma ; Rhapsody for clarinet and orchestra / ≠cClaude Debussy.

[ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ამ ერთეულს არ გააჩნია კოლექტიური სათაური]

≠k - ფორმა

ქვეველი ≠k შეიცავს მასალის ფორმას. მასალების ზოგიერთი სპეციალური სახე, რომელთა გამოყოფა ხდება მათი ფიზიკური მახასიათებლების, აზრობრივი შეცველობის, თემის და მათში ინფორმაციის განლაგების მიხედვით (მაგ., სააღრიცხვო ჟურნალები, დღიურები, ცნობარები, ჟურნალები, მოხსენებითი ბარათები, სამახსოვრო ბარათები, მემორანდუმები და ა.შ.)

245 10 ≠aFour years at Yale : ≠kdiaries, ≠f1903 Sept. 16 = 1907 Oct. 5.

245 00 ≠aPL 17 Hearing Files ≠kCase Files ≠f1974 ≠pDistrict 6 ≠hmicrofilm (jacketed in fiche).

245 14 ≠aThe charity ball : ≠ba comedy in four acts : ≠ktypescript, ≠f1889 / ≠cby David Belasco and Henry C.DeMille.

≠n - ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი

ქვეველი ≠n შეიცავს ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ციფრულ აღნიშვნას, რომელიც გამოიყენება სათაურთან ერთად. დანომვრა განსაზღვრულია, როგორც თანამიმდევრობის აღნიშვნა ნებისმიერი ფორმით (მაგ., ნაწილი 1, დამატება A, წიგნი მეორე). მუსიკალური ნაწარმოების, ოპუსის, სერიალური გამოცემის ან თემატური ინდექსის ნომერი, ან თარიღი, რომელიც გამოიყენება როგორც ნომერი, როგორც წესი, არ ჩაიწერება ≠ n ქვეველში.

ჩანაწერში, რომელიც შექმნილია ISBD-ს პრინციპებზე დაყრდნობით, # n ქვეველში ჩაწერილ მონაცემებს მოსდევს წერტილი (.). ნაწილის/ნაკვეთის რამდენიმე ალტერნატიული დანომვრა მოთავსდება ერთ # n ქვეველში.

245 10 #aFaust. #nPart one.

245 14 #aThe Bookman. #nPart B.

#p - ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი

ქვეველი #p შეიცავს ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელს სათაურში.

ჩანაწერში, რომელიც შექმნილია ISBD-ს პრინციპებზე დაყრდნობით, #p ქვეველში ჩაწერილ მონაცემებს მოსდევს წერტილი (.), როდესაც მას წინ უსწრებს ქვეველი #a ან სხვა ქვეველი #p. #p ქვეველში ჩაწერილ მონაცემებს მოსდევს მძიმე (,), როდესაც მას მოსდევს ქვეველი #n.

245 10 #aAdvanced calculus. #pStudent handbook.

245 10 #aInternationale Strassenkarte. #pEurope 1:2.5 Mio. : #bmit Register =
International road map. Europe, 1:2.5 mio : with index / #cRV Reises-und
Verkehrsverlag.

245 00 #aHistorical Statistics. #pSupplement / #c ...

245 00 #aDissertation abstracts. #nA, #pThe humanities and social sciences.

245 00 #aDeutsche Bibliographie. #pWöchentliches Verzeichnis. #nReihe B,
#pBeilage, Erscheinungen ausserhalb des Verlagsbuchhandels :
#bAmtsblatt der Deutschen Bibliothek.

ქვეველები #n და #p მეორდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მოსდევენ ქვეველებს #a, #n ან #p. თუ სათაური ჩაწერილი ქვეველი #b-ში ან ქვეველი #c-ში შეიცავს ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელს და/ან ნომერს, ეს ელემენტები არ გამოიყოფა ქვეველების კოდებით.

245 00#aZentralblatt für Bakteriologie, Parasitenkunde, Infektionskrankheiten und
Hygiene. #n1. Abt. Originale. #nReihe B, #pHygiene. Krankenhaushygiene.
Betriebshygiene, präventive Medizin.

≠s - ვერსია

ქვეველი ≠s შეიცავს სახელს, კოდს ან აღწერას აღსაწერი მასალი ეკზემპლარისთვის, რომელიც იყო შექმნილი სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა აუდიტორიისთვის.

245 10 ≠aDirector's report of the Association of Insurance Adjusters. ≠sMember release.

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – თუ 245-ე ველში ბოლო სიტყვა არ არის შემოკლება, ინიციალები ან ასოები, ან მონაცემები ამ ველში არ ბოლოვდება წერტილით, მაშინ ველი 245 ბოლოვდება წერტილით მაშინაც კი, როდესაც პუნქტუაციის სხვა ნიშანი უკვე იყო გამოყენებული.

245 10 ≠aCosmic search.

245 00 ≠aMarcel Marceau, ou, L'art du mime.

245 10 ≠aAnnual report for fiscal year ...

245 10 ≠aHearne Brothers official polyconic projection map of Greater Knoxville with all of Knox County / ≠cHearne Brothers, cartographers ; production staff, G. Lee Graham ... [et. al.].

245 00 ≠aRubber world ≠h[microform].

იხილეთ აგრეთვე ქვეველების აღწერა ინფორმაციისთვის პუნქტუაციის შესახებ.

ინტერვალი – როდესაც გვერდზე მდგომი ინიციალები არსებობს სათაურში, მიუხედავად იმისა, დასმულია თუ არა მათ შემდეგ წერტილები, ასოებს შორის, წერტილებით არიან ისინი თუ უწერტილოდ, ინტერვალები არ ჩაიწერება.

245 10 ≠aNBA in action.

245 10 ≠aH.G. Wells and the world state.

ერთი ინტერვალი გამოიყენება წინმსწრები ან მომდევნო ინიციალებს შორის, თუ შემოკლება შედგება ერთზე მეტი ასოსგან.

245 10 ≠aMercer County, Virginia (W. Va.) 1859 census.

გამოტოვების ნიშანი – ელიპსი (...) ჩაიწერება იმ შემთხვევაში, როდესაც ის გვხვდება სათაურის პირველი სიტყვის შემდეგ. მონაცემებს შორის მოთავსებულ გამოტოვების ნიშნის წინ და შემდეგ უნდა იყოს შეტანილი ინტერვალი. ინტერვალი არ შეიტანება გამოტოვების ნიშნის შემდეგ, როდესაც მას მოსდევს მძიმე, წერტილი, ძახილის ნიშანი ან კითხვის ნიშანი.

245 10 #aAzul ... y poemas / #cRubén Darío.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

#d ნაწილის/ნაკვეთის/სერიის აღნიშვნა (SE) [აღარ არის ხმარებაში, 1979]

#e ნაწილის/ნაკვეთის/სერიის სახელი (SE) [აღარ არის ხმარებაში, 1979]

1979 წლამდე, როდესაც ქვევლები #n და #p) ხელახლად იყო განსაზღვრული ნაშრომის გადანომრილი და დასახელებული ნაწილების/ნაკვეთების-ათვის, ეს მონაცემები შედიოდა 245 ველის #d და #e ქვევლებში. ქვევლები #d და #e USMARC-ში გამოცხადდა მოძველებულად 1979 წელს.

#h მედიუმი

1994 წლამდე AACR2 საკატალოგიზაციო წესები მოითხოვდნენ, რომ მედიუმის – ინფორმაციის მატარებლის აღმნიშვნელი ყოფილიყო ჩაწერილი სათაურის შესახებ სხვა ინფორმაციის შემდეგ, ხოლო კოლექტიური სათაურის არმქონე ნაშრომებისთვის, მთელი სათაურის შემდეგ. 1994 წლამდე შექმნილ ჩანაწერებში ქვეველი #h, როგორც წესი, მოსდევს ქვეველ #b-ს და, ზოგ შემთხვევაში, #c ქვეველსაც კი.

246

246 სათაურის ცვლადი ფორმა (R)

პირველი ინდიკატორი

შენიშვნის/დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კონტოლერი

0 შენიშვნა არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის

1 შენიშვნა არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის

2 შენიშვნა არ არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის

3 შენიშვნა არ არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის

მეორე ინდიკატორი

სათაურის ტიპი

ხ სათაურის ტიპი არ არის დადგენილი

0 სათაურის ნაწილი

- 1 პარალელური სათაური
- 2 კერძო სათაური
- 3 სხვა სათაური
- 4 ყდის სათაური
- 5 დამატებითი სატიტულო გვერდის სათაური
- 6 ტექსტის პირველ გვერდზე დაბეჭდილი სათაური
- 7 კოლონტიტულის სათაური
- 8 ყუის სათაური
- ქვევლების კოდები
- ≠a ძირითადი სათაური/მოკლე სათაური (NR)
- ≠b სათაურის დარჩენილი ნაწილი (NR)
- ≠f თარიღი ან თანამიმდევრობის აღმნიშვნელი (NR)
- ≠g შერეული ინფორმაცია (NR)
- ≠h მედიუმი (NR)
- ≠i დისპლეის ტექსტი (NR)
- ≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)
- ≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)
- ≠5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი (NR)
- ≠6 მიბმა (NR)
- ≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს სათაურის ცვლად ფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია აღწერის ერთეულთან მიუხედავად იმისა, არიან ისინი მოთავსებული აღწერის ერთეულზე თუ არა. ეს ვარიანტული სათაურები ჩაიწერება 246 ველში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არსებითად განსხვავდებიან ცნობებისგან სათაურის შესახებ 245 ველში და ისინი ხელს უწყობენ აღწერის ერთეულის უფრო ზუსტ იდენტიფიკაციას.

როდესაც აღწერის ერთეული შეიცავს რამდენიმე ნაშრომს, მაგრამ არა აქვს კოლექტიური სათაური, მაშინ ველი 246 გამოიყენება მხოლოდ იმ სათაურებთან დაკავშირებული სათაურებისთვის, რომლებიც არჩეული არიან ძირითად სათაურად, ჩვეულებრივად ეს არის ინფორმაციის მთავარ წყაროში შესული პირველი ნაშრომის სათაური. სათაურები, დაკავშირებული სხვა ნაშრომებთან ჩაიწერება 740 ველში (დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი-არაკონტროლირებადი დაკავშირებული/ანალიტიკური სათაური) ან რომელიმე სხვა 7XX (დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) ველში.

სათაურის ცვლად ფორმებს, როდესაც მათ ბეჭდავენ ან ისინი გამოაქვთ ეკრანზე შენიშვნის სახით, ჩვეულებრივად წინ უსწრებს ჩართული სიტყვა ან ფრაზა, რომლის

გენერირება ხდება როგორც დისპლეის კონსტანტის მეორე ინდიკატორის მნიშვნელობის საფუძველზე.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი – შენიშვნის/დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის კონტროლერი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მიუთითებს არის თუ არა შენიშვნა და/ან დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი გენერირებული ამ ველიდან.

0 - შენიშვნა არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ შენიშვნა და არა დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე არის გენერირებული ამ ველიდან.

246 0*h* *h*Added title page title on some issues : *h*Annual report

1 - შენიშვნა არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ ორივე, შენიშვნაც და დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე არიან გენერირებული ამ ველიდან.

246 13 *h*California State Assembly file analysis

2 - შენიშვნა არ არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ არც შენიშვნა და არც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე არ არიან გენერირებული ამ ველიდან.

245 00 *h*ALA bulletin

246 2*h* *h*American Library Association bulletin

3 - შენიშვნა არ არის, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის

მნიშვნელობა 3 მიუთითებს, რომ შენიშვნა არა, მაგრამ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე არის გენერირებული ამ ველიდან.

245 04 *h*Journal for general philosophy of science = *h*Zeitschrift für allgemeine
Wissenschaftstheorie

246 31 *h*Zeitschrift f für allgemeine Wissenschaftstheorie

მეორე ინდიკატორი

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს სათაურის ტიპს, ჩაწერილს 246 ველში. ის გამოიყენება დისპლეის კონსტანტის გენერირებისთვის, რომელიც ჩვეულებრივ წინ უსწრებს სათაურებს, როდესაც შენიშვნა არის გენერირებული ამ ველიდან, ანუ, როდესაც პირველი ინდიკატორის მნიშვნელობაა 0 ან 1.

ხ - სათაურის ტიპი არ არის დადგენილი

მნიშვნელობა ხ მიუთითებს, რომ ამ ინდიკატორში არ არის მოცემული ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავდეს სათაურის ტიპს. ინფორმაცია შეიძლება მოცემული იყოს #i ქვეველში (დისპლეის ტექსტი), როდესაც საჭიროა სპეციალური ტექსტის გამოტანა ეკრანზე ან ეს მნიშვნელობა გამოიყენება ისეთი სათაურებისთვის, რომელთაც არც ერთი სხვა მნიშვნელობა არ მიუდგა.

245 00 #a4 corners power review.

246 3ხ #aFour corners power review

246 1ხ #iPanel title: #aWelcome to big Wyoming

245 10 #aComputerized engineering index.

246 1ხ #iAlso known as : #aCOMPENDEX

245 10 #aDevelopment of laser velocimeter system for flame studies.

246 1ხ #iAugmented title : #aDevelopment of electro-optical laser velocimeter system for flame studies

245 00 #aAfrican seminar [sic] series.

246 3ხ #aAfrican seminar series

0 - სათაურის ნაწილი

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ 246 ველში მოცემული სათაური არის ნაწილი იმ სათაურისა, რომელთანაც წვდომა (რომლითაც ძებნა) ან რომლისთვისაც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სასურველია, მაგრამ რომელიც არ მოითხოვს, რომ ამ ველიდან იყოს გენერირებული შენიშვნა.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, სადაც გამოყენებულია მნიშვნელობა 0.

სათაურის ნაწილები 245 ველში ისეთები, როგორცაა ნაწილის ან ნაკვეთის სათაური (ქვეველი ≠ p); ალტერნატიული სათაური (ქვეველი #a); ძირითადი სათაურის ნაწილი/მოკლე სათაური, რომელთანაც წვდომა (რომლითაც ძებნა) სასურველია

(ქვეველი ≠a). სათაურის ნაწილი გადაიწერება იმ სახით, რა სახითაც არის ის წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ერთეულში.

245 00 ≠aFresenius' Zeitschrift für analytische Chemie.

246 30 ≠aZeitschrift für analytische Chemie

245 00 ≠aAmerican Council on Education studies. ≠nSeries III, ≠pFinancial advisory services

246 30 ≠aFinancial advisory services

245 04 ≠aThe Berkley book of modern writing

246 30 ≠aModern writing

[სათაური მოცემულია ამოზნექილად და გამოკვეთილად ტიპოგრაფიის მიერ]

სხვა ინფორმაცია სათაურის შესახებ, როდესაც 245 ველის ქვეველი ≠b შედგება ინიციალებისგან ან სათაურის სრული ფორმისგან, არ მიიღება როგორც ძირითადი სათაური.

245 00 ≠aLibrary resources market place : ≠bLRMP.

246 30 ≠aLRMP

1 - პარალელური სათაური

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ 246 ველში ჩაწერილი სათაური არის პარალელური სათაური, ანუ სათაური სხვა ენაზე, რომელთანაც წვდომა (რომლითაც ძებნა) ან რომლისთვისაც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სასურველია. როდესაც 245 ველში ჩაწერილია ერთი ან ერთზე მეტი პარალელური სათაური, ყოველი პარალელური სათაური ჩაიწერება აგრეთვე ცალკე, მისთვის მიჩნეულ 246-ე ველში.

245 00 ≠aJapan report = ≠bNihon.

246 31 ≠aNihon

245 00 ≠aModern problems of pharmacopsychiatry = ≠bModerne Probleme der Pharmakopsychiatrie = Problèmes actuels de pharmacopsychiatrie.

246 31 ≠a bModerne Probleme der Pharmakopsychiatrie

246 31 ≠a Problèmes actuels de pharmacopsychiatrie.

შენიშვნა: პარალელური სათაურის ჩაწერის დროს, ქვევლები #n და #p სადაც საჭიროა უნდა იყოს გამოყენებული, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოყიფილი ქვევლის კოდით პარალელური სათაური 245-ე ველში.

246 31 #aArchives for meteorology, geophysics, and bioclimatology, #nSerie A,
#pMeteorology and geophysics

2 - კერძო სათაური

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ 246 ველში ჩაწერილი სათაური არის კერძო სათაური. კერძო სათაური არის სპეციალური სათაური, რომელიც ჩვეულებრივი, მუდმივი სათაურის დამატებით არის მოცემული გამოცემის ინდივიდუალურ გამოშვებაზე. ყველაზე უფრო ხშირად ისინი მოცემულია ისეთ გამოცემებზე, როგორცაა წლიური ანგარიშები, წელიწდეულები, ან კონფერენციის შრომები, როდესაც გამოშვება მიეძღვნა კონკრეტულ თემას ან საგანს. კერძო სათაური არ უნდა იყოს არეული ინდივიდუალურ (მაგ., ანალიტიკურ) სათაურთან სერიაში. კერძო სათაური ჩაიწერება 246 ველში, თუ ინდივიდუალური ტომი უფრო ცნობილია სპეციალური სათაურით. ქვევლი #f ყოველთვის გამოიყენება კერძო სათაურთან. დისპლეის კონსტანტა “კერძო სათაური:” დაკავშირებულია ამ ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

245 00 #aAnnual report / #cEconomic Development Administration.

246 12 #aCreating jobs #f1980

245 00 #aCommodity year book.

246 12 #aCommodities in industry #f1940

246 12 #aCommodity statistics #f1942

შენიშვნა: თუ ბევრ ან ყველა გამოშვებას აქვს კერძო სათაური, მაშინ ყოველი ასეთი სათაურისთვის 246 ველის მაგივრად შეიძლება იყოს გამოყენებული ველი 500 (ზოგადი შენიშვნა).

500 ხ-ხ #aSome issues have also distinctive title.

3 - სხვა სათაური

მნიშვნელობა 3 მიუთითებს, რომ 246 ველში მოცემული სათაური არის სხვა სათაური, ასოცირებული აღწერის ერთეულთან, მაგრამ მას არ შეესაბამება მეორე ინდიკატორის არც ერთი სხვა მნიშვნელობა და ქვევლი #i (დისპლეის ტექსტი) არ უნდა იყოს გამოყენებული სპეციალური ტექსტის მოსაცემად. სხვა სათაურებში შედის მასტჰედ

სათაური, ნახევრ-სათაური, ამკინძავის სათაური, კოლოფონის სათაური, პარალელური სათაური, რომელიც არ იყო ჩაწერილი 245 ველში, ყდის სათაური, რომელიც ინვერტირებულ ფორმატში მოთავსებულია პუბლიკაციის უკანა ყდაზე, დამარცვლული სათაურები და სხვ. დისკლემის კონსტანტა “სხვა სათაური:” ასოცირებულია ამ ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

245 00 #aAssembly file analysis #h[microform].

246 13 #aCalifornia State Assembly file analysis

246 13 #aCalifornia Legislature State Assembly file analysis

245 10 #aVier letzte Lieder #h[sound recording] ; #bDie heiligen drei Könige aus Morgenland ; Capriccio ; Mondscheinmusik ; Monolog der Gräfin / #cRichard Strauss.

246 3b #a4 letzte Lieder

246 30 #aLetzte Lieder

740 02 #aHeilingen drei Könige aus Morgenland

740 02 #aCapriccio

740 02 #aMondscheinmusik

746 02 #aMonolog der Gräfin

[740-ე ველი გამოიყენება კრებულში შესული პირველისგან განსხვავებული ნაწარმოებთა სათაურებისთვის]

4 – ყდის სათაური

მნიშვნელობა 4 მიუთითებს, რომ 246 ველში მოცემული სათაური არის ყდის სათაური. ყდის სათაური არის გამოცემის ორგინალის (დედანის) ყდაზე ანუ გამომცემლის მიერ აკინძულ ყდაზე დაბეჭდილი, ამოტვიფრული ან წარწერილი სათაური. ეს მნიშვნელობა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყდა არ არის ინფორმაციის ძირითადი წყარო. არ აურიოთ შენიშვნასთან “სათაური ყდიდან”, რომელიც გამოიყენება როდესაც ყდა გამოიყენება როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო. დისკლემის კონსტანტა “ყდის სათაური:” ასოცირებულია ამ ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

245 00 #aMonthly checklist of state publications / #cthe Library of congress, Processing Department, Exchange and Gift Division.

246 14 #aState publications monthly checklist #fJuly 1976-

245 00 #aReport and financial accounts for the fifteen months ended 31st March ...

246 14 #aQantas annual report

5 - დამატებითი სატიტულო გვერდის სათაური

მნიშვნელობა 5 მიუთითებს, რომ 246 ველში მოცემული სათაური არის დამატებითი სატიტულო გვერდის სათაური. ჩვეულებრივად ეს არის სათაური სხვა ენაზე მოცემული ისეთ სატიტულო გვერდზე, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს ძირითად სატიტულო გვერდს, რომელიც გამოყენებულია როგორც ინფორმაციის მთავარი წყარო ან, ეს სათაური მოცემულია ინვერტირებულ სატიტულო გვერდზე გამოცემის ბოლოში. დისპლეის კონსტანტა “დამატებითი სატიტულო გვერდის სათაური:” ასოცირებულია ამ ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

245 00 #aSudan guide.

246 15 #aMurshid al-Sūdān #f1982-1983

6 - ტექსტის პირველ გვერდზე დაბეჭდილი სათაური

მნიშვნელობა 6 მიუთითებს, რომ 246 ველში მოცემული სათაური არის ტექსტის პირველ გვერდზე დაბეჭდილი სათაური, რომელიც წარმოადგენს სათაურს დაბეჭდილს ტექსტის პირველი გვერდის თავში. დისპლეის კონსტანტა “ტექსტის პირველ გვერდზე დაბეჭდილი სათაური:” ასოცირებულია ამ ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

245 10 #aNewspaper geog. List #h[microform] / #cCarleton University.

246 16 #aNewspaper index #fJan. 1982-

7 - კოლონტიტულის სათაური

მნიშვნელობა 7 მიუთითებს, რომ 246 ველში მოცემული სათაური არის კოლონტიტულის სათაური ანუ გვერდებზე მორბენალი სათაური, რომელიც დაბეჭდილია გამოცემის ყოველი გვერდის ზედა ან ქვედა კიდეში. დისპლეის კონსტანტა “კოლონტიტულის სათაური:” ასოცირებულია ამ ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

245 00 #aBangladesh Education Extension Centre Bulletin.

246 3# #aBEEC bulletin

246 17 #aB.E.E.C. bulletin

8 - ყუის სათაური

მნიშვნელობა 8 მიუთითებს, რომ 246 ველში მოცემული სათაური არის ყუის სათაური, რომელიც მოცემულია გამოცემის ყუაზე. ეს სათაური უნდა იყოს გამომცემლის სათაური და არა ბიბლიოთეკაში გაკეთებულ ყდაზე ყუაზე მიწერილი

სათაური. დისპლეის კონსტანტა “ყუის სათაური.” ასოცირებულია ამ ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

245 10 #aChartbok of federal programs on aging / #cIrma Schechter.

246 18 #aChartbook on aging

ქვევლების კოდები

#a, #b, #h, #n და #p ქვევლების დეტალური აღწერა მაგალითებით და შეტანის შეთანხმებებით მოცემულია 245 სათაურის შესახებ ცნობების სექციაში. ქვემოთ მოცემულია დანარჩენი ქვევლების აღწერა.

#f - თარიღი ან თანამიმდევრობის აღმნიშვნელი

ქვეველი #f შეიცავს თარიღებს ან ტომის და გამოშვების ნომრებს, რომლებიც აკავშირებენ ვარიანტულ სათაურს მოცემულ ჩანაწერთან. ქვეველი #f არ გამოიყენება, როდესაც მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობა 0-ს ან 1-ს.

246 14 #aState publication monthly checklist #fJuly 1976.

#g - შერეული ინფორმაცია

ქვეველი #g შეიცავს შერეულ ინფორმაციას, რომლის ჩაწერა რომელიმე სხვა ველში არ არის უფრო მიზანშეწონილი. ის გამოიყენება ისეთი ინფორმაციისთვის, როგორცაა მაგალითად ფრაზა “ოდნავ შეცვლილი” და ჩასმულია ფრჩხილებში.

246 04 #a<ვარიანტული სათაური> #g(ოდნავ იცვლება)

#i - დისპლეის ტექსტი

ქვეველი #i შეიცავს ტექსტს, რომელიც უნდა იყოს გამოტანილი კომპიუტერის ეკრანზე, როდესაც არც ერთი დისპლეის კონსტანტა დაკავშირებული მეორე ინდიკატორის მნიშვნელობებთან 2-8 არ არის ადეკვატური (არ შეესაბამება მოცემულ ტექსტს). როდესაც ეს ველი არსებობს, მაშინ მეორე ინდიკატორი შეიცავს ზ მნიშვნელობას (ინდიკატორში არ არის მოცემული ინფორმაცია). ქვეველი #i წინ უსწრებს #a ქვეველს 246-ე ველის დასაწყისში.

245 00 #aBulletin of atomic scientists.

246 1# #Iat head of title : #aScience and public affairs #fJan. 1970 – Apr. 1974

246 1# #Ititle on container : #aNew Brunswick royal gazette

246 1# #iAlternate issues published with title : #aChicago daily telegraph

≠ 5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი იხილეთ ამ ქვეველის აღწერა A დანართში.

245 00 ≠a<ორიგინალური გამოცემის სათაური>

500 ხხ ≠a<title of reissue> ; LC has reissue copies. ≠5DLC

246 3ხ ≠a<title of reissue> ; ≠5DLC

[ამ მაგალითში მე-500 ველი შეიცავს შენიშვნას ვარიანტული სათაურის შესახებ, ვინაიდან ამ ინფორმაციის დამუშავება ვერ ხერხდება ადვილად 246-ე ველის ≠i და ≠a ქვეველების გამოყენებით.]

≠ 6 მიბმა (NR)

≠ 8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

ველი 246 არ ბოლოვდება დაბოლოების სასვენი ნიშნით, თუ ამ ველში შემავალი ბოლო სიტყვა არ არის შემოკლება, ინიციალები/ასოები, ან მონაცემები, დაბოლოებული პუნქტუაციის ნიშნით. ≠f ქვეველს წინ არ უძღვის პუნქტუაციის ნიშანი, თუ ≠f ქვეველის წინ მდგომ ქვეველში ბოლო სიტყვა არ არის შემოკლება, ინიციალები/ასოები, ან მონაცემები, დაბოლოებული პუნქტუაციის ნიშნით.

246 14 ≠aWeather bureau technical paper ≠fno. 3-

პუნქტუაციის ინფორმაციისთვის იხილეთ აგრეთვე ქვეველების აღწერა 245-ე “ცნობები სათაურის შესახებ” სექციაში.

საწყისი არტიკლები – საწყისი არტიკლები (მაგ., The, La) როგორც წესი არ ჩაიწერება 246-ე ველში, თუ არ არის განზრახული სორტირება და დალაგება არტიკლების გათვალისწინებით.

246 10 ≠aLos Angeles Police Department crime report

არასრული თარიღები/ტომის აღმნიშვნელები – როდესაც ჩაწერლია მხოლოდ ბოლო თარიღი/ტომის აღმნიშვნელი, მაშინ ქვეველის კოდსა და ტირეს შორის ისმება ინტერვალი. ინტერვალების რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს საკატალოგიზაციო სააგენტოს მიერ, მაგრამ როგორც წესი ეს რაოდენობა არ აღემატება სამ ცარიელ ნიშანს.

246 05 ≠aListe de publication ≠f –Oct. 1977

არასრული თარიღები/ტომის აღმნიშვნელები შეიძლება შეიცავდეს საწყისი და/ან დამაბოლებელი მონაცემების მხოლოდ ნაწილს. ამ შემთხვევაში ინტერვალი დაისმება ორივეს შორის.

246 14 #aRentabilidad #f19 –1976

[ინტერვალები წარმოადგენენ დაწყების წლის გამოტოვებულ თანრიგებს.]

მრავალჯერადი ველები - მრავალჯერად 246 ველებში მონაცემთა შეტანის მიმდევრობა ჩვეულებრივად ნაწილობრივ განისაზღვრება მეორე ინდიკატორის პოზიციის მნიშვნელობით. მონაცემები ცვლადი ფორმის სათაურის მრავალჯერად ველებში ჩაიწერება შემდეგი მიმდევრობით:

- 246 ველები, რომელთა მეორე ინდიკატორის მნიშვნელობა არის 0
- 246 ველები, რომელთა მეორე ინდიკატორის მნიშვნელობა არის 1
- დანარჩენი 246-ე ველები იმ მიმდევრობით, რომლითაც უნდა გაკეთდეს შენიშვნები

245 00 #aEducational & industrial television.

246 3# #aEducational and industrial television

246 3# #aEITV

246 13 #aE_ITV #fJan. 1981 –May 1983

246 17 #aE&ITV #fJan. 1980 – Apr. 1981

დისპლეის კონსტანტები – ჩართული ტერმინები და ფრაზები ისეთი, როგორცაა “ყდის სათაური” და სხვ., რომლებიც გამოიყენება ამ ველიდან გენერირებულ შენიშვნებში, MARC ჩანაწერში არ უნდა იყოს შეტანილი. ისინი შეიძლება იყოს გენერირებული როგორც დისპლეის კონსტანტები დაკავშირებული მეორე ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

მეორე ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტა

#	[დისპლეის კონსტანტა არ არის]
0	[შენიშვნა არ არის გენერირებული]
1	[შენიშვნა არ არის გენერირებული]
2	კერძო სათაური
3	სხვა სათაური
4	ყდის სათაური
5	დამატებითი სატიტულო გვერდის სათაური
6	ტექსტის პირველ გვერდზე დაბეჭდილი სათაური

7	კოლონტიტულის სათაური
8	ყუის სათაური

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

1993 წლამდე, როდესაც ველი 246 თავიდან იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ მასში შესულიყო ყველა ვარიანტული სათაური, მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი მასალაზე, ზოგიერთი ვარიანტული სათაური თავსდებოდა შემდეგ სამ ველში, რომლებიც ახლა აღარ არიან ხმარებაში: 211 (აკრონიმული ან შემოკლებული სათაური), 212 (წვდომის ვარიანტული სათაური), და 214 (გაფართოებული სათაური). 1993 წელს ველი 246 აგრეთვე იყო განსაზღვრული ყველა ფორმის მასალისთვის. 1993 წლამდე დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები ვარიანტული სათაურებისთვის, გარდა სერიალებისა და სერიალებში გასულ კომპიუტერული ფაილებისთვის, შედიოდა 740 ველში – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ვარიანტულ სათაურზე, რომელიც თავიდან იყო განსაზღვრული, როგორც “დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – არაკონტოლირებადი დაკავშირებული/ანალიტიკური სათაური”.

≠c სათითულო გვერდის დარჩენილი ნაწილის გადაწერა [აღარ არის ხმარებაში, 1991] [CAN/MARC-ში მხოლოდ]

≠d ნაწილის/ნაკვეთის/სერიის აღნიშვნა (SE) [აღარ არის ხმარებაში]

≠e ნაწილის/ნაკვეთის/სერიის სახელი (SE) [აღარ არის ხმარებაში]

1979 წლამდე, როდესაც ქვევლები ≠n და ≠p) ხელახლად იყო განსაზღვრული ნაშრომის გადანომრილი და დასახელებული ნაწილების/ნაკვეთების/სერიების-ათვის, ეს მონაცემები შედიოდა 246 ველის ≠d და ≠e ქვევლებში. ქვევლები ≠d და ≠e გამოცხადდა მოძველებულად 1979 წელს.

≠h მედიუმი

1979 წლამდე, როდესაც იყო განსაზღვრული ქვეველი ≠g - შერეული ინფორმაცია, ქვეველი ≠h იყო განსაზღვრული შერეული ინფორმაციისთვის.

247

247 - ძველი სათაური ან სათაურის ცვლილებები (R)

პირველი ინდიკატორი

დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე

0 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის

1 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის

მეორე ინდიკატორი

შენიშვნის კონტროლერი

0 დისპლესის შენიშვნა არის

1 დისპლესის შენიშვნა არ არის

ქვევლების კოდები

≠a ძირითადი სათაური/მოკლე სათაური (NR)

≠b სათაურის დარჩენილი ნაწილი (NR)

≠f თარიღი ან თანამიმდევრობის აღმნიშვნელი (NR)

≠g შერეული ინფორმაცია (NR)

≠h მედიუმი (NR)

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)

≠x საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ძველ სათაურს ან სათაურის ცვლილებას (ვარიაციას). ეს ველი გამოიყენება, როდესაც ერთ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში წარმოდგენილია რამდენიმე სათაური დაკავშირებული ერთ მასალასთან. მაგალითად, ზოგიერთი საკატალოგიზაციო წესების თანახმად (მაგ., ALA-ს წესები) სერიალური გამოცემის კატალოგიზაცია ხდება ბოლო სათაურის მიხედვით, სადაც ძველი სათაურები ჩაიწერება იგივე ჩანაწერში სათაურის ცვლილების შენიშვნაში. ძველი სათაურები შეიძლება აგრეთვე იყოს ჩაწერილი 547-ე ველში (შენიშვნა ძველი სათაურების კომპლექსის შესახებ).

სხვა საკატალოგიზაციო წესების თანახმად (მაგ., AACR), როდესაც სერიალური გამოცემის სათაურში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შეიქმნეს ახალი, განსხვავებული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი. როდესაც განსხვავებული ჩანაწერები შექმნილია შეცვლილი სათაურისთვის, მაშინ შეიძლება იყოს გამოყენებული მიზმული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის 780 და 785 ველები წინა და მომდევნო ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთა საჩვენებლად.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მიუთითებს უნდა იყოს თუ არა გაკეთებული დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე.

0 - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე არ უნდა იყოს გაკეთებული

1 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი სათაურზე უნდა იყოს გაკეთებული

245 00 #aFamily circle.

247 10 #aEverywoman's magazine #fv. 1-24, Jan. 1948-57.

მეორე ინდიკატორი - შენიშვნის კონტროლერი

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მიუთითებს უნდა იყოს თუ არა გაკეთებული შენიშვნა ამ ველის მონაცემებიდან. თუ გააზრებული შენიშვნის გაკეთება შეუძლებელია ამ ველის მონაცემებიდან, მაშინ უნდა შეიქმნას შესაბამისი შენიშვნის ტექსტი, რომელიც უნდა იყოს შეტანილი 547-ე ველში და მეორე ინდიკატორის მნიშვნელობა იქნება 1.

0 - დისპლეის შენიშვნა არის

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ შენიშვნა უნდა იყოს გამოტანილი ეკრანზე.

1 - დისპლეის შენიშვნა არ არის

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ შენიშვნა არ უნდა იყოს გამოტანილი ეკრანზე.

ქვევლების კოდები

#a, #b, #h, #n და #p ქვევლების დეტალური აღწერა მაგალითებით და შეტანის შეთანხმებებით მოცემულია 245 სათაურის შესახებ ცნობების სექციაში. ქვემოთ მოცემულია დანარჩენი ქვევლების აღწერა.

#f - თარიღი ან თანამიმდევრობის აღმნიშვნელი

ქვეველი #f შეიცავს თარიღებს ან ტომის და გამოშვების ნომრებს, რომლებიც აკავშირებენ ვარიანტულ სათაურს მოცემულ ჩანაწერთან.

247 10 #aJournalism bulletin #fMar. 1924 – Nov. 1927

#g - შერეული ინფორმაცია

ქვეველი #g შეიცავს შერეულ ინფორმაციას, რომლის ჩაწერა რომელიმე სხვა ველში არ არის უფრო მიზანშეწონილი. ის გამოიყენება ისეთი ინფორმაციისთვის, როგორცაა მაგალითად ფრაზა “ოდნავ შეცვლილი” და ჩასმულია ფრჩხილებში.

247 01 #a<ძველი სათაური> #g(ოდნავ შეცვლილია)

#x საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი

ქვეველი ≠ x შეიცავს ISSN-ს სერიალური გამოცემის სათაურისათვის. ISSN წარმოადგენს სააგენტოს მიერ მინიჭებულ ან დადგენილ მონაცემთა ელემენტს. ISSN-ები ენიჭება სერიალურ გამოცემებს ეროვნული ცენტრების მიერ ISSN-ის ქსელის მფარველობისა და ზედამხედველობის ქვეშ.

#6 მიზმა (NR)

#8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია - ველი 247 არ ბოლოვდება დაბოლოების სასვენი ნიშნით, თუ ამ ველში შემავალი ბოლო სიტყვა არ არის შემოკლება, ინიციალები/ასოები, ან მონაცემები, დაბოლოებული პუნქტუაციის ნიშნით. პუნქტუაციის ინფორმაციისთვის იხილეთ აგრეთვე ქვეველების აღწერა 245-ე “ცნობები სათაურის შესახებ” სექციაში.

საწყისი არტიკლები – საწყისი არტიკლები (მაგ., Der, An) როგორც წესი არ ჩაიწერება 246-ე ველში, თუ არ არის განზრახული სორტირება და დალაგება არტიკლების გათვალისწინებით.

დისპლეის კონსტანტა

“სათაურის ცვლილებები:”

561 ხხ ≠aOn permanent loan from the collection of Paul Mellon.

561 ხხ ≠aThe journal was discovered in a cellar in Nantes in 1837 and was removed to the Abbey of St. Pierre, where it remained until 1887, when it was given to Gehan Tourel....

561 ხხ ≠aCollated: 1845-1847.

561 ხხ ≠aA. Brolemann (with his bookplate), Mme. Etienne Mallet (see item 2 in the Society catalog of the Mallet sale, May 4-5, 1926), William Permain, W.R. Hearst.

≠3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი ≠3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

561 ხხ ≠3Family correspondence ≠aOriginally collected by Henry Fitzhugh, willed to his wife Sarah Jackson Fitzhugh and given by her to her grandson Jonathan Irving Jackson, who collected some further information about his grandmother and the papers of their relatives and Cellarsville neighbours, the Arnold Fitzhugh's before donating the materials along with his own papers as mayor of Cellarsville to the Historical Society.

≠5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება

≠6 - მიზმა

≠8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვევლების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 556-ე ველი ბოლოვდება წერტილით, თუ პუნქტუაციის სხვა ნიშანი არ არის უკვე მოყვანილი.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

ეს ველი იყო განსაზღვრული 1983 წელს, როდესაც 541-ე ველის მოქმედების არე შეიზღუდა ინფორმაციით დაკომპლექტების უშუალო წყაროს შესახებ. 1984 წლამდე შექმნილ ჩანაწერებში 541-ე ველში შესაძლოა ყოფილიყო წარმოშობის მონაცემები. ≠b შეკრების დრო (NR) [აღარ არის ხმარებაში]

1997 წლამდე, როდესაც თავიდან იყო გასაზღვრული ქვეველი ≠a იმისათვის, რომ მასში ჩაწერილიყო მფლობელობის და შენახვის ისტორიის ყველა დეტალი, ის თარიღი, როდესაც აღწერილი მასალები იყო ერთად შეკრებილი მისი თანამედროვე სახით, იწერებოდა ≠b ქვეველში.

562

562 შენიშვნა ეგზემპლარისა და ვერსიის იდენტიფიკაციის შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვეველების კოდები

≠a საიდენტიფიკაციო აღნიშვნები (R)

≠b ეგზემპლარის იდენტიფიკაცია (R)

≠c ვერსიის იდენტიფიკაცია (R)

≠d პრეზენტაციის ფორმატი (R)

≠e ეგზემპლარების რაოდენობა (R)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც განასხვავებს არქივში ან ხელნაწერთა საცავში დაცული მასალის ეგზემპლარებს ან ვერსიებს, როდესაც არსებობს ერთზე მეტი ეგზემპლარი ან ვერსია ან ასეთი უნდა არსებობდეს.

შენიშვნა: ცნობები, რომლებიც ეხება ხელნაწერი ნაშრომის ვერსიებს, როდესაც არსებობს ხელნაწერი ნაშრომის ორი ან მეტი ვერსია ან დადგენილია, რომ არსებობს მისი რამდენიმე ეგზემპლარი, ჩაიწერება 250-ე ველში (ცნობები გამოცემის შესახებ).

შინაარსის აღნიშვნების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორი განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ჰ).

ქვევლების კოდები

≠a - საიდენტიფიკაციო აღნიშვნები

ქვეველი ≠a შეიცავს ინფორმაციას აღნიშვნების შესახებ, რომლებიც გაკეთებულია სამაგრზე (ყდაზე) ან ჩადგმულია ინფორმაციის მატარებელში და რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული აღწერილი მასალის ეგზემპლარის საიდენტიფიკაციოდ (მაგ., წყლის ნიშნები, ანოტაცია, თავის სათაური და ა.შ.).

562 ჰჰ ≠a Annotation in Wilson's hand: Copy one of two sent to John Phipps, 27

March 1897; ≠b Copy identified as Declaration of Dissolution, Phipps copy.

≠b - ეგზემპლარის იდენტიფიკაცია

ქვეველი ≠b შეიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა სახელები, კოდები, ნომრები ან აღწერები, რომლებიც გამოიყენება აღწერილი მასალის ერთი ეგზემპლარის გამოსაყოფად სხვა ეგზემპლარებისგან.

562 ჰჰ ≠a 3 copies kept; ≠b Labelled as president's desk copy, board of directors'

working file copy, and public release copy.

≠c - ვერსიის იდენტიფიკაცია

ქვეველი ≠c შეიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა სახელები, კოდები ან აღწერები, რომლებიც გამოიყენება ვერსიის იდენტიფიცირებისთვის, რომელიც სხვა ვერსიისგან განსხვავდება შინაარსით, მაგრამ დაკავშირებულია მასთან დროში, დაგალითად ერთი ნაშრომის სხვადასხვა გამოცემა.

562 ჰჰ ≠c Version with air-brushed color illustrations; ≠e 3 copies.

≠d - პრეზენტაციის ფორმატი

ქვეველი ≠d შეიცავს პრეზენტაციის ფორმატს, რომელშიც უნდა იყოს გამოყენებული, ნაჩვენები, მოსმენილი ჩაწერილი მასალა, მიუხედავად იმისა თუ როგორია მისი

მიმდინარე საინფორმაციო მატარებელი (მაგ., ფილმი შექმნილი ტელევიზიისთვის ან ტექსტი შექმნილი ზეპირი განცხადებისთვის).

562 ხხ #3The best get better Sue Hershkowitz #e2 copies #dOriginally given orally as a keynote address.

#e - ეგზემპლარების რაოდენობა

ქვეველი #e შეიცავს ცნობებს იმ ეგზემპლარების რაოდენობის შესახებ, რომლებიც მიესადაგება ამ ველის სხვა ქვეველებში შეტანილ ინფორმაციას.

562 ხხ #bMarked: “For internal circulation only”; #e2 copies.

#3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი #3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

562 ხხ #3Deacidified copy #aWith Braun’s annotations by hand; #bincludes personal library seal embossed.

#5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება

#6 - მიზმა

#8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 556-ე ველი ბოლოვდება წერტილით, თუ პუნქტუაციის სხვა ნიშანი არ არის უკვე მოყვანილი.

565 შენიშვნა მოსახლეობის ჯგუფის ფაილის მახასიათებლების შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტის კონტროლერი

≠ ფაილის სიდიდე

0 მოსახლეობის ჯგუფის ფაილის მახასიათებლები

8 დისპლეის კონსტანტა გენერირებული არ არის

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

≠a ჯგუფების/ცვლადების რიცხვი (NR)

≠b ცვლადის სახელი (R)

≠c ანალიზის ერთეული (NR)

≠d მონაცემების უნივერსუმი (NR)

≠e განლაგების სქემა ან კოდი (R)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠6 მიბმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას მოსახლეობის ჯგუფების ფაილების

მახასიათებლებისა და შინაარსის შესახებ. ჯგუფების ფაილები ფართო გაგებით

ნიშნავს ჩანაწერებს, რომლებიც შეიცავენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფების

შესახებ ინფორმაციის სტანდარტულ კატეგორიებს. ფაილებისგან შეიძლება

შედგენილი იყოს ინდივიდუალური დოკუმენტები და ეს დოკუმენტები შეიძლება

შეიცავდეს ინფორმაციას ანალიზის ერთადერთი ობიექტის შესახებ ან ისინი

შეიძლება ასახავდნენ (აგრეგირებულ) შეერთებულ მონაცემებს, როგორც ამას

ადგილიაქვს მანქანა-საკითხავ ჩანაწერებში, რომლებიც შეიძლება იყოს

გამოყენებული და ელექტრონულად დაყოფილი ინდივიდუალურ დოკუმენტებად.

კომპიუტერული ფაილებისთვის, ეს ველი შეიცავს ჯგუფების ან ცვლადების

გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც შეადგენენ ფაილს, და აღებული 256-ე ველში

(კომპიუტერული ფაილის მახასიათებლები) ჩაწერილ ლოგიკური ჩანაწერების

გარკვეულ რაოდენობასთან ერთად, იძლევა ფაილის მოცულობას.

ეს შენიშვნა ზოგჯერ გამოდის დისპლეიზე და/ან იბეჭდება ჩართული ტერმინით ან

ფრაზით, რომლის გენერირება ხდება როგორც დისპლეის კონსტანტის პირველი

ინდიკატორის მნიშვნელობის საფუძველზე.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი – დისპლემის კონსტანტის კონტროლერი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მართავს დისპლემის კონსტანტის გენერირებას ამ შენიშვნის წინ.

ჰ - ფაილის ზომა

მნიშვნელობა ჰ გამოიყენება დისპლემის კონსტანტის “ფაილის ზომა:” გენერირებისთვის.

0 - მოსახლეობის ჯგუფის ფაილის მახასიათებლები

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ დახასიათებული მასალები წარმოადგენენ მოსახლეობის ჯგუფის ფაილის მახასიათებლებს. მნიშვნელობა 0 გამოიყენება დისპლემის კონსტანტის “ჯგუფის ფაილის მახასიათებლები:” გენერირებისთვის.

8 - დისპლემის კონსტანტა გენერირებული არ არის

მნიშვნელობა 8 მიუთითებს, რომ დისპლემის კონსტანტა არ უნდა იყოს გენერირებული.

მეორე ინდიკატორი - განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი განუსაზღვრელია და შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ჰ).

ქვევლების კოდები

≠a - ჯგუფების/ცვლადების რიცხვი

ქვეველი ≠a შეიცავს ჯგუფების რიცხვს ან ცვლადების რიცხვს ერთ ჯგუფში ჯგუფის ფაილის ელემენტების განმეორებად მიმდევრობაში.

565 ჰჰ ≠3Military petitioners files ≠a11; ≠bname; ≠baddress; ≠bdate of birth;

≠bplace of birth; ≠bdate of application; ≠dates of services; ≠brank; ≠bdate of induction; ≠blatest occupation; ≠bdependents; ≠cpensioners; ≠dCivil War (1861-65) veterans

≠b - ცვლადის სახელი

ქვეველი ≠b შეიცავს ცვლადის სახელს ფაილში. ქვეველი ≠b განმეორებადია სიაში არსებული ყოველი ცვლადის სახელისთვის.

565 0ჰ ≠bService satisfaction survey ≠a5; ≠bcounty of residence; ≠bage;

≠beducation level; ≠bdate of request; ≠bsubject area of request;
≠bperformance files Sept. 1983 through June 1984; ≠cmedia center users

≠c - ანალიზის ერთეული

ქვეველი ≠c შეიცავს საგანს, რომელსაც განეკუთვნება ცვლადები ჯგუფის ფაილში ან მონაცემთა ბაზაში. მაგალითად, მსჯავრდადებულები თავისუფლების აღკვეთის ადგილების ფაილებში, მშრომელები კადრების ჩანაწერებში, ან დაზარალებულები საგანგებო შემთხვევების მიღების ოთახის ფაილებში.

565 0≠ ≠3Automobile consumer survey files ≠a8; ≠baddress; ≠bmanufacturer of vehicle; ≠bmodel of vehicle; ≠bdate of purchase; ≠bdate of 1st major repairs; ≠bcurrent mileage; ≠bdate of latest repair; ≠complaint filers 1981 January 1 through 1983 December 31; ≠cnew vehicle registrants

≠d - მონაცემების უნივერსუმი

ქვეველი ≠d შეიცავს მონაცემთა შეგროვების ძალისხმევის მასშტაბს და აღწერილ მასალებში წარმოდგენილი ტიპური მაგალითების სპეციფიკაციებს.

565 0≠ ≠3Product use survey ≠a3; ≠bsex; ≠bage; ≠bmaterial status; ≠bretail customers; ≠dNortheast coast distribution area

≠e - განლაგების სქემა ან კოდი

ქვეველი ≠e შეიცავს ინფორმაციას აღწერილი მასალების ინტელექტუალური განლაგების სქემის შესახებ. ეს განლაგება შეიძლება მოწყობილი იყოს ან შემქმნელის მიერ, ან საწყისი ორგანიზაციის მიერ, ან საცავის მიერ.

565 8≠ ≠3Vandalism report files ≠a14; ≠bname; ≠baddress; ≠boccupation; ≠clocal jurisdiction; ≠dregistered voters; ≠ealphabetical by jurisdiction

≠3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი ≠3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

565 0≠ ≠3Conscription files ≠a9; ≠bSSN; ≠bname; ≠baddress ...

≠6 მიზმა

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 565-ე ველი არ ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ველი ბოლოვდება შემოკლებით, ინიციალებით/ასოებით ან სხვა მონაცემებით, რომლებიც ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით.
დისპლეის კონსტანტები – ჩართული ტერმინები ან ფრაზები ისეთები, როგორცაა “ჯგუფის ფაილის მახასიათებლები:” არ შეიტანება MARC ჩანაწერში. ისინი შეიძლება იყოს სისტემურად გენერირებული როგორც დისპლეის კონსტანტები, დაკავშირებული პირველი ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

პირველი ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტა

ხ

ფაილის ზომა:

0

ჯგუფის ფაილის მახასიათებლები:

8

[დისპლეის კონსტანტა არ არის]

567

567 შენიშვნა მეთოდოლოგიის შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტის კონტროლერი

ხ მეთოდოლოგია

8 დისპლეის კონსტანტა გენერირებული არ არის

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

≠a შენიშვნა მეთოდოლოგიის შესახებ (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ეხება მოცემული მასალის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ მახასიათებლებს როგორცაა, ალგორითმი, უნივერსუმის აღწერა, შერჩევითი შეფასების პროცედურები, სისწორის შემოწმების მახასიათებლები.

ეს შენიშვნა ზოგჯერ გამოდის დისპლეიზე და/ან იბეჭდება ჩართული ტერმინით ან ფრაზით, რომლის გენერირება ხდება როგორც დისპლეის კონსტანტის პირველი ინდიკატორის მნიშვნელობის საფუძველზე.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი – დისპლეის კონსტანტის კონტროლერი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მართავს დისპლეის კონსტანტის გენერირებას ამ შენიშვნის წინ.

ხ - მეთოდოლოგია

მნიშვნელობა ხ გამოიყენება დისპლეის კონსტანტის “მეთოდოლოგია:” გენერირებისთვის.

567 ხხ #aComparison of visible plume outlines with 39 plumes (Chalk Point-14, Paradise-13, Lunen-12); measured source and ambient conditions were input for the validation tests for each of the 39 runs.

8 - დისპლეის კონსტანტა გენერირებული არ არის

მნიშვნელობა 8 მიუთითებს, რომ დისპლეის კონსტანტა არ უნდა იყოს გენერირებული.

567 8ხ #aRandom sample of system users for first quarter 1982; every fourth name in authorization registers; comparison with system-generated transaction report.

მეორე ინდიკატორი - განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი განუსაზღვრელია და შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ხ).

ქვევლების კოდები

#a - შენიშვნა მეთოდოლოგიის შესახებ

ქვეველი #a შეიცავს შენიშვნის მთელ ტექსტს.

567 ხხ #aThe model employs the integration of a set of coupled nonlinear ordinary differential equations by simple Euler differentiating.

567 ხხ #aTotal civilian noninstitutional population of the United States.

567 ხხ #aStudy utilizing a stratified, multistate sampling procedure in three stages: (1) sampling points were selected; (2) households were selected within each sampling point; and (3) individuals were selected within each household. Further sampling information can be found in the codebook.

567 ხხ #aContinuous, deterministic, predictive.

#6 მიზმა

#8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი
იხილეთ ამ ქვევლებების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 567-ე ველი ბოლოვდება წერტილით, თუ პუნქტუაციის სხვა ნიშანი არ არის უკვე მოყვანილი.

დისპლეის კონსტანტა – ჩართული ტერმინი “მეთოდოლოგია:” არ შეიტანება MARC ჩანაწერში. ის შეიძლება იყოს სისტემურად გენერირებული როგორც დისპლეის კონსტანტა, დაკავშირებული პირველი ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

პირველი ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტა

ხ

მეთოდოლოგია:

8

[დისპლეის კონსტანტა არ არის]

580 შენიშვნა მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სირთულის შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

განუსაზღვრელი

✎ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

✎ განუსაზღვრელი

ქვეველების კოდები

≠a შენიშვნა მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სირთულის შესახებ (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს შენიშვნას, რომელიც გამოხატავს რთულ ურთიერთკავშირს ჩანაწერში აღწერილ ერთეულსა და სხვა ერთეულების აღწერილობებს შორის, რომელთა ადექვატური გენერირება შეუძლებელია მბმელ აღწერილობათა 760-787 ველებიდან.

ზოგ შემთხვევაში ეს ველი გამოიყენება ურთიერთკავშირების გამოსახატავად, როდესაც შესაბამისი მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველები არ არსებობს. ასეთი შემთხვევების მაგალითებია:

- რეგულარულად დაბეჭდილი გამოცემის ხელახალი ამონაბეჭდი, როდესაც საჭიროა ორგინალური გამოცემის დეტალების უზრუნველყოფა;
- სერიალური გამოცემა, რომელიც დაკავშირებულია რაიმე მონოგრაფიასთან ან სხვა არა-სერიალურ გამოცემასთან;
- სარიალური გამოცემა, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან მეტ ისეთ გამოცემებთან, რომელთა დასახელება შეუძლებელია;
- სერიალური გამოცემა, რომლის გამოშვება ხდებოდა ეთზე მეტი პერიოდულობით და ამიტომ მისი აღწერისთვის საჭიროა ორი ან მეტი ჩანაწერი.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორი განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (✎).

ქვევლების კოდები

≠a - შენიშვნა მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სირთულის შესახებ ქვეველი ≠a შეიცავს დაკავშირებულ სათაურს საკატალოგო (დამატებითი) აღწერილობიდან და ცნობებს, რომლებიც აღწერენ ამ ურთიერთკავშირს.

580 ხხ ≠aContinued in 1982 by: U.S. exports. Schedule E commodity groupings by world area and county.

785 10 ≠tU.S. exports. Schedule E commodity groupings by world area and county. ≠w(DLC)-ხ ხ ხ 84641135

580 ხხ ≠aMerged with: Index chemicus (Philadelphia, Pa. : 1977), to form: Current abstracts of chemisty and index chemicus (Philadelphia, Pa : 1978).

785 17 ≠tIndex chemicus (Philadelphia, Pa. : 1977) ≠x0160-1482 ≠w(DLC)-ხ ხ ხ 83642297

785 17 ≠t Current abstracts of chemisty and index chemicus (Philadelphia, Pa : 1978) ≠x0161-455X ≠w(DLC)-ხ ხ ხ83642299

580 ხხ ≠aCumulates: Deutsche Bibliographie. Wöchentliches Verzeichnis.

787 1ხ ≠tDeutsche Bibliographie. Wöchentliches Verzeichnis

580 ხხ ≠aContinued by: Ionospheric predictions issued by the laboratory under its later name: Institute for Telecommunication Sciences and Aeronomy.

785 10 ≠a Institute for Telecommunication Sciences and Aeronomy. ≠tIonospheric predictions

580 ხხ ≠aForms part of the Frances Benjamin Johnston Collection.

773 1ხ ≠t Frances Benjamin Johnston Collection

≠6 მიბმა

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვევლების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 567-ე ველი ბოლოვდება წერტილით, თუ პუნქტუაციის სხვა ნიშანი არ არის უკვე მოყვანილი.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

≠z შენიშვნის ინფორმაციის წყარო (SE) [აღარ არის ხმარებაში]
ქვეველი ≠z გამოაცხადეს მოძველებულად 1990 წელს. ინფორმაციის წყარო ამჟამად ≠a
ქვეველში ანუ მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სირთულის შესახებ
შენიშვნაშია ჩართული როგორც ნაწილი.

581

581 აღწერილი მასალების შესახებ პუბლიკაციების შენიშვნა (R)

პირველი ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტის კონტროლერი

≠ პუბლიკაცია

8 დისპლეის კონსტანტა გენერირებული არ არის

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

≠a აღწერილი მასალების შესახებ პუბლიკაციების შენიშვნა (NR)

≠z საერთაშორისო სტანდარტული წიგნის ნომერი (R)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠6 მიბმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს შენიშვნას, რომელიც იძლევა ციტირებას ან ინფორმაციას
პუბლიკაციის შესახებ, რომელიც ეფუძნება მოცემულ ჩანაწერში აღწერილი
მასალების გამოყებას, შესწავლას ან ანალიზს. დოკუმენტაცია ფაილის შესახებ და ა.შ.
უნდა ჩაიწეროს 556-ე ველში (დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის შენიშვნა).

ეს ველი შეიძლება იყოს აგრეთვე გამოყენებული ბიბლიოგრაფიული მითითებების
ჩასაწერად გამოქვეყნებულ წყაროებზე, როგორცაა საგამოფენო კატალოგი ან
კოლექციის კატალოგი, რომლებიც შეიცავს აღწერილი მასალების ფოტოებს ან
რეპროდუქციებს.

ეს შენიშვნა ზოგჯერ გამოდის დისპლეიზე და/ან იბეჭდება ჩართული ტერმინით ან
ფრაზით, რომლის გენერირება ხდება როგორც დისპლეის კონსტანტის პირველი
ინდიკატორის მნიშვნელობის საფუძველზე.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი – დისპლეის კონსტანტის კონტროლერი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მართავს დისპლეის კონსტანტის გენერირებას ამ შენიშვნის წინ.

ხ - პუბლიკაციები

მნიშვნელობა ხ გამოიყენება დისპლეის კონსტანტის “პუბლიკაციები:” გენერირებისთვის.

581 ხხ #aThe vanishing race and other illusions : photographs of Indians by Edward S. Curtis / Chrisopher Lymen. New York : Pantheon Books, 1982.

8 - დისპლეის კონსტანტა გენერირებული არ არის მნიშვნელობა 8 მიუთითებს, რომ დისპლეის კონსტანტა არ უნდა იყოს გენერირებული.

581 8ხ #aDrawings executed between 1816 and 1825 are compared with work of J.M.W. Turner in: George Filbert, his early work / Thomas Johnson. New York : Dow, 1965.

მეორე ინდიკატორი - განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი განუსაზღვრელია და შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ხ).

ქვევლების კოდები

#a - აღწერილი მასალების შესახებ პუბლიკაციების შენიშვნა

ქვეველი #a შეიცავს ციტატას ან ინფორმაციას პუბლიკაციის შესახებ, რომელშიც შესწავლილია ან გაანალიზებულია ჩანაწერში აღწერილი მასალა.

581 ხხ #aLevine, Lawrence W. “William Shakespeare and the American People: A Study in Cultural Transformation.” American Historical Review, 89 (February 1984).

581 ხხ #aConverse, Philip E., Aage R. Clausen, and Warren E. Miller. “Electoral Myth and Reality: the 1964 Election.” American Political Science Review, 59 (June 1965).

581 8ხ #aThe adjusted 1970 numbers are used as a basis for the annual county population estimates published in Current Population Reports Series P-26 and P-25.

581 8ხ #aReproduction: Antiques, June 1952, p. 76.

581 8b #aInventory of American Sculpture: photocopy. 1982.

#z - საერთაშორისო სტანდარტული წიგნის ნომერი

ქვეველი #z შეიცავს საერთაშორისო სტანდარტულ წიგნის ნომერს (ISBN), დაკავშირებულს მოცემულ დოკუმენტაციასთან.

#3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი #3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

581 8b #3Preliminary report #a”A General Crop Growth Model for Simulating Impacts of Gaseous Effluents from Geothermal Technologies,” Kercher, J.R. UCRL-81014, 1978.

#6 მიზმა

#8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 581-ე ველი ბოლოვდება წერტილით, თუ პუნქტუაციის სხვა ნიშანი არ არის უკვე მოყვანილი.

დისპლეის კონსტანტა – ჩართული ტერმინი “პუბლიკაციები:” არ შეიტანება MARC ჩანაწერში. ის შეიძლება იყოს სისტემურად გენერირებული როგორც დისპლეის კონსტანტა, დაკავშირებული პირველი ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

პირველი ინდიკატორი

b

8

დისპლეის კონსტანტა

პუბლიკაციები:

[დისპლეის კონსტანტა არ არის]

583

583 მოქმედების შენიშვნა (R)

პირველი ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვეველების კოდები

≠a მოქმედება (NR)

≠b მოქმედების იდენტიფიკაცია (R)

≠c მოქმედების დრო/თარიღი (R)

≠d მოქმედების დროის პერიოდი (R)

≠e მოქმედების შესაძლო შემთხვევები (R)

≠f ავტორიზაცია (R)

≠h იურისდიქცია (R)

≠i მოქმედების მეთოდი (R)

≠j მოქმედების ადგილი (R)

≠k მოქმედების შემსრულებელი (R)

≠l სტატუსი (R)

≠n მოცულობა (R)

≠o ერთეულის ტიპი (R)

≠u რესურსების უნიფიცირებული იდენტიფიკატორი (R)

≠x არასაჯარო შენიშვნა (R)

≠z საჯარო შენიშვნა (R)

≠2 ტერმინის წყარო (NR)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ეგზემპლარის დამახასიათებელი ველი შეიცავს ინფორმაციას დამუშავებისა და ცნობების გაცემის შესახებ როგორცაა, მაგალითად მოკლე განცხადება-თხოვნა მასალის შექმნის თაობაზე და ბოლო კორესპონდენციის თარიღი.

ეს ველი გამოიყენება აგრეთვე აღწერის ერთეულის შენახვისთვის საჭირო მოქმედებების შესახებ ინფორმაციის ჩასაწერად. ასეთ მოქმედებებს განეკუთვნება აღწერის ერთეულის შენახვისთვის საჭირო პირობების აღწერა, შესანახად რიგში დაყენება და შენახვის დასრულება.

583-ე ველი განმეორებადია, რადგან თითოეული მოქმედება ცალკე უნდა იყოს ჩაწერილი.

მათთვის, ვინც ამ ველს იყენებს შენახვის მოქმედებების ჩასაწერად, ხელმისაწვდომია MARC-ის 583-ე ველის სტანდარტული ტემინოლოგიის სია.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორი განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ჰ).

ქვევლების კოდები

≠a - მოქმედება

ქვეველი ≠a გამოიყენება აღწერილი მასალის მიმართ ნებისმიერი მოქმედების მისათითებლად (მაგ., ვარგისიანობის გამკვლევა-შემოწმება, ინვენტარიზაცია, შეფასება (ფულადი ფასის განსაზღვრა), ეგზემპლარის სინამდვილის შემოწმება (აუტენტიფიკაცია), კლასიფიცირება, ასლის აღება, აღწერა, გამოფენა, თხოვება, ფონდში ჩართვა, მიკროფილმირება, შენახვა და დაცვა, საგნირება, თხოვნა ჩუქებაზე, გადაცემა და ა.შ.). შენახვისა და დაცვის მოქმედებებისთვის ეს ქვეველი შეიცავს ამ მოქმედებების აღწერას (მაგ., აღწერის ერთეულის შენახვისთვის საჭირო პირობების აღწერა, შესანახად რიგში დაყენება და შენახვის დასრულება).

583 ჰჰ ≠aPreserve; ≠bPA-061 ; ≠c19831204

≠b - მოქმედების იდენტიფიკაცია

ქვეველი ≠b შეიცავს სპეციფიკური მოქმედების კოდს ან არნიშვნას, რომელიც შეიძლება იყოს კავშირში მოქმედების დროსთან. (მაგ., საინვენტარო ნომერი ან პროექტის კოდი).

583 ჰჰ ≠38 record center cartons ≠n8 ≠ocu. ft.; ≠aAccession; ≠b82-14;
≠c19820606

≠c - მოქმედების დრო/თარიღი

ქვეველი ≠c შეიცავს მოქმედების კონკრეტულ დროს ან თარიღს. ეს შეიძლება იყოს მომავალი ან წარსული დრო. შესაბამის მოქმედებასთან ერთად ის შეიძლება აღნიშნავდეს ინვენტარიზაციის, დაკომპლექტების, კლასიფიკაციის, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენის ან გადაცემის თარიღს. თარიღი და დრო უნდა ჩაიწეროს სტანდარტის “თარიღის და დროის წარმოდგენა” (ISO 8601) მიხედვით. თარიღი მოითხოვს 8 რიცხვით სიმბოლოს შემდეგი შაბლონით: yyyyymmdd (4 წლისთვის, 2 თვისთვის და 2 დღისთვის). დროს მოითხოვს 8 რიცხვით სიმბოლოს შემდეგი შაბლონით: hhmmss.f (2 საათისთვის, 2 წუთებისთვის, 2 წამებისთვის და 2 წამის ათობითი წილადისთვის ათწილადი წერტილის ჩათვლით). გამოყენებულია 24 საათიანი საათების დრო (00-23).

583 ხხ ≠aSolicit; ≠lPreviously offered; ≠c19841015

[მაგალითში მხოლოდ თარღია მოყვანილი]

≠d - მოქმედების დროის პერიოდი

ქვეველი ≠d შეიცავს წინადადებას, რომელიც განსაზღვრავს დროის პერიოდს, რომლის გამოსახვა სპეციფიკური ან კონკრეტული თარიღით შეუძლებელია (მაგ., აკადემიური სემესტრის ბოლო ან ყოველ მეექვსე თვეს).

583 ხხ ≠aAppraise; ≠bOPR 80/144; ≠dQuinquennial

≠e - მოქმედების შესაძლო შემთხვევები

ქვეველი ≠e შეიცავს მოვლენის ისეთი დროის ან დროის პერიოდის აღნიშვნას, რომლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია (მაგ., სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ, მიღების შემდეგ).

583 ხხ ≠aTrasfer; ≠eAt conclusion of court case

≠f - ავტორიზაცია

ქვეველი ≠f შეიცავს კონკრეტული მოქმედების ტექსტს, ან ციტირებას, ან სტატუსს, ან ბრძანებას, ან ანგარიშს, ან დასაბუთებას, ან შესრულების წესებს.

583 ხხ ≠aQueued for preservation; ≠c19861010; ≠ePriority; ≠fTitle IIC project

≠5DLC

≠h - იურისდიქცია

ქვეველი #h შეიცავს პირის ან ორგანიზაციის სახელს ან, თანამდებობას ან ფუნქციას ორგანიზაციაში, ვინც ან რაც არის პასუხისმგებელი ან უფლებამოსილი მოქმედების შესრულებაზე.

583 ხხ #aTransfer; #c19770613; #hUniversity Archives

#i - მოქმედების მეთოდი

ქვეველი #i მიუთითებს იმ საშუალებაზე ან ტექნიკაზე, რომლის საშუალებითაც მოქმედება იყო შესრულებული (მაგ., ფოსტით, პირადად, ტელეფონით საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურებისას, ან ფონდში განლაგებისთვის გაწმენდა და ჩამოჭრა).

583 ხხ #aAcknowledge; #b87-105; #iletter; #c19871211; #bLBW

#j - მოქმედების ადგილი

ქვეველი #j შეიცავს იმ ადგილმდებარეობას, სადაც აღწერილ მასალებზე ტარდება სხვადასხვა მოქმედებები, მათ შორის კონსულტაციები მკითხველებთან.

583 ხხ #aExhibit #c19840512 through 19841230; #ePending results of conservation test; #jMuseum of Fine Arts; #kAFD

#k - მოქმედების შემსრულებელი

ქვეველი #k შეიცავს პირს ან ორგანიზაციას, რომელიც ასრულებს მოქმედებას.

583 ხხ #3scrapbooks (10 volumes) #n1 #ocu. ft.; #aMicrofilm; #c198303; #eAt completion of arrangement; #f1983 Master Film Schedule; #kThomas Swing

#l - სტატუსი

ქვეველი #l შეიცავს აღწერილი მასალების კონდიციას ან მდგომარეობას, რაც ზოგჯერ, მაგრამ არა ყოველთვის, მოქმედების შედეგად მიიღება (მაგ., ფიზიკური კონდიცია, დაზღვევის ფასი, აღწერილობის სტატუსი). დაცვის მოღვაწეობისთვის ამ ქვეველში შედის ინფორმაცია აღწერის ერთეულის კონდიციის შესახებ, როდესაც მოქმედება მდგომარეობს კონდიციის განხილვაში. ამ ველში შეიძლება შედიოდეს აგრეთვე ინფორმაცია აღწერის ერთეული სტატუსის შესახებ, რაც იწვევს დაცვაზე უარის თქმას (ე.ი. მოქმედება არის “დაცვაზე უარის თქმა”) ან ინფორმაცია ორიგინალური მასალის დისპოზიციაზე (ე.ი. მოქმედება “გადაფორმირება”).

583 ხხ #3Patent case files #n12 #oreels of microfilm; #lFilmed; #c19811017;
#jCentral Services

#n - მოცულობა

ქვეველი #n შეიცავს მოცულობას, რომელიც განსაზღვრულია როგორც ჩართული ერთეულების რიცხვი.

583 ხხ #3student case files (9 file drawers) #n18 #olinear ft.; #aWeed; #dEnd of
academic year; #hStudent Affairs Office; #jBldg. 174, Rm. 436

#o - ერთეულის ტიპი

ქვეველი #o შეიცავს ერთეულის ტიპს, რომელიც განისაზღვება როგორც ზომის ერთეულის სახელი. თუ ერთ 583-ე ველში ქვეველები #n და #o მეორდება, მაშინ ქვეველი #o მოსდევს მასთან დაკავშირებულ #n ქვეველს.

583 ხხ #aFumigate; #n37 #oarchives boxes; #n14 #obound vol.; #b79-54;
#c197906; #kJJI

583 ხხ #aDescribe; #n5 #oreels of videotape; #n2 #oreels of audiotape; #n49
#obroadsides; #n12 #ophonograph records; #eAfter phonograph records
are reformatted; #kFRG

#u - რესურსების უნიფიცირებული იდენტიფიკატორი

ქვეველი #u შეიცავს რესურსის უნიფიცირებულ იდენტიფიკატორს (URI), მაგალითად URL-ს ან URN-ს, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ წვდომას (მიმართვას) მონაცემებთან სტანდარტული სინტაქსის გამოყენებით. ეს მონაცემების შეიძლება იყოს გამოყენებული ელექტრონულ მასალასთან ავტომატური წვდომისათვის ინტერნეტის ერთ-ერთი პროტოკოლის გამოყენებით. ეს ველი განმეორებადია, თუ საჭიროა ერთზე მეტი URI-ს ჩაწერა.

583 27 #adeacidify #c19860501 #uhttp://128.227.54.151/cgi-bin/conserved/rara.pl

583 27 #ahouse #c19841221 #uhttp://karamelik.eastlib.ufl.edu/cgi-
bin/conserved/rara.pl

#x - არასაჯარო შენიშვნა

ქვეველი #x შეიცავს შენიშვნას, რომელიც ეხება მოქმედებას აღწერის ერთეულზე და რომელიც არ უნდა იყოს გამოტანილი საჯარო განხილვისათვის.

≠z - საჯარო შენიშვნა

ქვეველი ≠z შეიცავს შენიშვნას, რომელიც ეხება მოქმედებას აღწერის ერთეულზე და რომელიც უნდა იყოს გამოტანილი საჯარო განხილვისათვის.

≠2 - ტერმინის წყარო

ქვეველი ≠2 შეიცავს მოქმედების ტერმინის წყაროს MARC კოდს. MARC კოდების წყაროს წარმოადგენს “MARC კოდების სია დამაკავშირებლებისთვის, წყაროებისთვის და აღწერის შეთანხმებებისთვის”, რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა. სხვადასხვა წყაროებისთვის ცალკე ველები უნდა იყოს გამოყენებული.

583 33 ≠areformatted; ≠c1993 ≠2pa

≠3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი ≠3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

583 33 ≠3Typewritten transcripts ≠aAdditional accessions; ≠eAt completion of
new tape transaction

≠5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება

ამ ქვეველის აღწერა იხილეთ A დანართში.

583 33 ≠aQueued for preservation; ≠c19861010; ≠ePriority; ≠fTitle IIC project
≠5DLC

≠6 მიზმა

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 565-ე ველი არ ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ველი ბოლოვდება შემოკლებით, ინიციალებით/ასოებით ან სხვა მონაცემებით, რომლებიც ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

საარქივო და ხელნაწერი საკონტროლო ჩანაწერები შექმნილი 1983 წლამდე, როდესაც ეს ველი იყო განსაზღვრული, შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს, რომლების იდენტიფიცირებულა ხმარებიდან ამოღებული შინაარსის შემდეგი აღმნიშვნელებით:

- 008/30 ჯგუფის ფაილი
- 008/32 დამუშავების სტატუსი
- 008/33 კოლექციის სტატუსი
- 543 შენიშვნა შუამდგომლობის შესახებ

584

584 შენიშვნა დაგროვებისა და გამოყენების სიხშირის შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვეველების კოდები

≠a დაგროვება (R)

≠b გამოყენების სიხშირე (R)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ზომებს და ინფორმაციას დაგროვების სიჩქარის შესახებ, როდესაც აღწერილი მასალების მიღება არ დამთავრებულა და მათი ინვენტარიზაცია გრძელდება. ეს ველი შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს ყველა აღწერილი მასალის გამოყენების სიხშირეს და, მათი საშუალებით საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სიჩქარეს/კოეფიციენტს.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორი განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (b).

ქვევლების კოდები

≠a - დაგროვება

ქვეველი ≠a შეიცავს აღწერილი მასალების დაგროვების სიჩქარეს, რომელიც გამოიხატება წილადით: ტომების რაოდენობა შეფარდებული დროის პერიოდთან.

584 bb ≠3 General subject files ≠a45 cu. ft. average annual accumulation 1970-1979. ≠a5.4 cu. ft. average monthly accumulation, 1979-82. ≠a Current average monthly accumulation is 2 cu. ft.

≠b - გამოყენების სიხშირე

ქვეველი ≠b შეიცავს საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების აქტიურობის ზომას აღწერილი მასალების გამოყენებით, რაც ჩვეულებრივად გამოისახება წილადით: მოძებნილი ცნობების რიცხვის შეფარდება დროის პერიოდთან, ან ისეთ ზოგად ტერმინებში, როგორცაა აქტიური ან არააქტიური.

584 bb ≠b An average of 15 reference requests per month, with peak demand during June and December. ≠b Total reference requests for 1984: 179.

≠3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი ≠3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

584 bb ≠3 Employee records ≠a10 cu. ft. annual accumulation.

≠5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება

≠6 - მიზმა

≠8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვევლების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 584-ე ველი ბოლოვდება წერტილით, თუ პუნქტუაციის სხვა ნიშანი არ არის უკვე მოყვანილი.

585

585 შენიშვნა გამოფენების შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

≠a შენიშვნა გამოფენების შესახებ (NR)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ეგზემლარის დამახასიათებელი ველი შეიცავს შენიშვნას, რომელშიც მითითებულია გამოფენები, სადაც გამოფენილი იყო აღწერილი მასალები.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორი განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ხ).

ქვევლების კოდები

≠a - შენიშვნა გამოფენების შესახებ

ქვეველი ≠a შეიცავს შენიშვნის ტექსტს.

585 ხხ ≠aExhibited: “Visions of City & County: Prints and Photographs of Nineteenth-Century France,” organized by Worcester Art Museum and the American Federation of Arts, 1982.

≠3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი ≠3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

585 ხხ ≠3Color lithographs ≠aExhibited: “Le Brun à Versailles,” sponsored by the Cabinet des desins, Musée du Louvre, 1985-1986.

≠5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც ველი გამოიყენება

≠6 - მიზმა

≠8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 585-ე ველი ბოლოვდება წერტილით, თუ პუნქტუაციის სხვა ნიშანი არ არის უკვე მოყვანილი.

586

586 შენიშვნა ჯილდოების შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტის კონტროლერი

ხ ჯილდოები

8 დისპლეის კონსტანტა გენერირებული არ არის

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი

ქვეველების კოდები

≠a შენიშვნა ჯილდოების შესახებ (NR)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას ჯილდოების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია აღწერილ მასალასთან. ველი განმეორებადია ყოველი ახალი ჯილდოსთვის.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი – დისპლეის კონსტანტის კონტროლერი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მართავს დისპლეის კონსტანტის გენერირებას ამ შენიშვნის წინ.

ხ – ჯილდოები

მნიშვნელობა ხ გამოიყენება დისპლეის კონსტანტის “ჯილდოები:” გენერირებისთვის.

586 ხხ ≠aAcademy Award for Best Picture, 1987.

8 - დისპლეის კონსტანტა გენერირებული არ არის

მნიშვნელობა 8 მიუთითებს, რომ დისპლეის კონსტანტა არ უნდა იყოს გენერირებული.

586 8ხ ≠a”Emmy Award for Best Classical Program in the Performing Arts, 1980/81”

მეორე ინდიკატორი - განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი განუსაზღვრელია და შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ხ).

ქვევლების კოდები

≠a - შენიშვნა ჯილდოების შესახებ

ქვეველი ≠a შეიცავს შენიშვნის მთელ ტექსტს.

586 ხხ ≠aCaldecott Medal, 1979

586 ხხ ≠aNational Book Award, 1981

586 ხხ ≠aPulitzer Prize for Nonfiction, 1981

≠3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი ≠3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

≠6 მიზმა

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი
იხილეთ ამ ქვევლებების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 586-ე ველი არ ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ველი ბოლოვდება შემოკლებით, ინიციალებით/ასოებით ან სხვა მონაცემებით, რომლებიც ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით.

დისპლეის კონსტანტა – მრავალჯერადი 586-ე ველები, როგორც წესი, იბეჭდება ან გამოდის ეკრანზე როგორც ერთი შენიშვნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შენიშვნა შეიძლება იყოს შეტანილი სხვადასხვა ველებში. ჩართული ტერმინი “ჯილდოები:” არ შეიტანება MARC ჩანაწერში. ის შეიძლება იყოს სისტემურად გენერირებული როგორც დისპლეის კონსტანტა, დაკავშირებული პირველი ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

პირველი ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტა

ხ

ჯილდოები:

8

[დისპლეის კონსტანტა არ არის]

მრავალჯერადი 586-ე ველები ხშირად გადაფორმატდება ერთ პარაგრაფში ნაბეჭდ პროდუქციაში. ყოველი ციტატა ამ ერთ პარაგრაფში გამოყოფილია წერტილმძიმით და ინტერვალით (;) და ეს შეერთებული შენიშვნა ბოლოვდება წერტილით. პუნქტუაციის ეს ნიშნები არ შეიტანება MARC ჩანაწერში, არამედ ისინი სისტემურად უნდა იყოს გენერირებული როგორც დისპლეის კონსტანტები, დაკავშირებული მრავალჯერად 586-ე ველებთან.

ველები შინაარსის აღმნიშვნელებით:

586 ხხ ≠aNational Book Award, 1981

586 ხხ ≠aPulitzer Prize for Nonfiction, 1981

მათი ეკრანზე გამოტანი მაგალითი:

Awards: National Book Award, 1981; Pulitzer Prize for Nonfiction, 1981.

59X

59X ადგილობრივი შენიშვნები

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ველები 590-599 რეზერვირებულია MARC-ში ადგილობრივი გამოყენებისთვის და ადგილობრივი განსაზღვრებებისთვის. ურთიერთგაცვლის მიზნებისთვის პრაქტიკაში მიღებულია ამ ველების გამოყენება მხარეთა შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ის ორგანიზაცია, რომელიც არის გაცვლის ინიციატორი, ვალდებულია მიაწოდოს მეორე მხარეს ინფორმაცია ამ ველების შესახებ.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

590 ადგილობრივი შენიშვა (BK AM MP MU VM SE) [აღარ არის ხმარებაში]

1970 წელს ველი 590 იყო განსაზღვრული ვიზუალური მასალების სპეციფიკაციებში მიღების თარიღის ($\neq a$), წარმოშობის ($\neq b$), ინდივიდუალური კოჭას მდგომარეობის ($\neq c$) და ორგინალის დაცული ასლის ($\neq d$) ჩასაწერად. ორივე ინდიკატორი იყო განუსაზღვრელი.

1980 წელს ეს ველი ხელახლად იყო განსაზღვრული ვიზუალური მასალების სპეციფიკაციებისთვის ისე, რომ მასში შესულიყო ვიზუალურ მასალებთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია. ორივე ინდიკატორი იყო განუსაზღვრელი და მხოლოდ ქვეველი $\neq a$ (ადგილობრივი შენიშვნა) იყო განსაზღვრული.

1982 წელს ველი 590 გამოცხადებული იყო მოძველებულად და მთელი ბლოკი 59X იყო გამოყოფილი ადგილობრივი გამოყენებისა და განსაზღვრებებისთვის.

6XX საგნობრივი წვდომის ველები – ზოგადი ინფორმაცია

600 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი (R)

610 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – ორგანიზაციის სახელი (R)

611 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – შეხვედრის სახელი (R)

630 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – უნიფიცირებული სათაური (R)

650 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – თემატური ტერმინი (R)

651 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – გეოგრაფიული სახელი (R)

653 ინდექსის ტერმინი – არაკონტროლირებადი (R)

- 654 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – ფასეტური თემატური ტერმინი (R)
- 655 ინდექსის ტერმინი – ჟანრი/ფორმა (R)
- 656 ინდექსის ტერმინი – საქმიანობის სახე (R)
- 657 ინდექსის ტერმინი – ფუნქცია (R)
- 658 ინდექსის ტერმინი – სასწავლო გეგმის მიზანი (R)
- 69X საგნობრივი წვდომის ადგილობრივი ველები (R)

განსაზღვრება და მოქმედების არე

6XX ველები შეიცავს საგნობრივი წვდომის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს და ტერმინებს. ამ ველების უმეტესი ნაწილი შეიცავს დამატებით საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს ან წვდომის ტერმინებს, რომელთაც საფუძვლად უდევს მეორე ინდიკატორში (საგნობრივი რუბრიკების სისტემა/თეზაურუსი) ან ≠2 ქვეველში (საგნობრივი რუბრიკის ან ტერმინის წყარო) იდენტიფიცირებული ნუსხები და ავტორიტეტული ფაილები. ერთი ველი შეიცავს საგნობრივი წვდომის არაკონტროლირებად მონაცემებს.

შერეული მასალებისთვის და არქივების კონტროლის ქვეშ მყოფ კოლექციებისთვის 6XX ველების გამოყენება მნიშვნელოვანია, რათა აისახოს აღსაწერი მასალების საგნობრივი (თემატური) შინაარსი კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი რუბრიკებისა და ტერმინების გამოყენებით. პირველი ინდიკატორის და ქვეველების ყველა კოდების აღწერები, ისევე როგორც შეტანის შეთანხმებები 600, 610, 611 და 630 ველებისთვის მოცემულია ზოგადი ინფორმაციის შემდეგ სექციებში: X00, X10, X11 და X30. მეორე ინდიკატორი ყოველი ველის სპეციალურ ნაწილშია აღწერილი. შინაარსის აღმნიშვნელები 650-658 ველებისთვის ყოველი ველის სპეციალურ ნაწილშია აღწერილი.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

- 600 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი*
- 610 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – ორგანიზაციის სახელი*
- 611 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – შეხვედრის სახელი*
- 630 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – უნიფიცირებული სათაური*

650 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – თემატური ტერმინი

651 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – გეოგრაფიული სახელი
მეორე ინდიკატორი - საგნობრივი რუბრიკების სისტემა/თეზაურუსი
1982 წელს მეორე ინდიკატორის მნიშვნელობის გამოყენება დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის 600-651 ველებში იყო გაფართოებული დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შემქმნელი ორგანიზაციის მითითებიდან ორგანიზაციის მიერ დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შექმნისას გამოყენებული საგნობრივი რუბრიკების სისტემის, თეზაურუსის ან ავტორიტეტული ფაილის მითითებამდე. შესაბამისად, მნიშვნელობები 0-3 და 5-6 გახდა ავტორიტეტული: ორგანიზაციების მონაცემთა ელემენტები და მათი

განსაზღვრებები შეიცვალა ნუსხებისა და ავტორიტეტული ფაილების სახელებით. მნიშვნელობა 4-ის განსაზღვრება შეიცვალა და ის აღარ არის “სხვა საგნობრივი რუბრიკა”. 1975 წლამდე მნიშვნელობა 5 განსაზღვრული იყო ვიზუალური მასალების სპეციფიკაციებითვის როგორც ისეთი საგნობრივი რუბრიკა, რომელიც იბეჭდებოდა მხოლოდ კონგრესის ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგში. 1977 წლამდე მნიშვნელობა 5 იყო განსაზღვრული საარქივო და ხელნაწერი მასალების საკონტროლო სპეციფიკაციებში როგორც ხელნაწერების შეერთებული ეროვნული კატალოგის (NUCMC-National Union Catalog of Manuscripts) საგნობრივი რუბრიკა.

652 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – შებრუნებული გეოგრაფიული [აღარ არის ხმარებაში]

652-ე ველი იყო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ველი და გამოიყენებოდა კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ შებრუნებული გეოგრაფიული დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შესადგენად ისეთი მასალებისთვის, რომლებიც კლასიფიცირებული იყო კონგრესის ბიბლიოთეკის საკლასიფიკაციო სისტემაში G1000-G9999 რიცხვით შუალედში. ყოველი რეგულარული “თემა-ადგილი”, მინიჭებული საგნობრივი რუბრიკისთვის, ხდებოდა აგრეთვე შებრუნებული “ადგილი-თემა” რუბრიკის მინიჭება. ორივე ინდიკატორის პოზიციები იყო განუსაზღვრელი. ქვევლები კოდები იყო: #a (გეოგრაფიული სახელის ან ადგილის ელემენტი), #x (ზოგადი საგნობრივი ქვედანაყოფი) და #z (გეოგრაფიული საგნობრივი ქვედანაყოფი). ეს ველი გახდა მოძველებული, როდესაც კონგრესის ბიბლიოთეკამ შეწყვიტა შებრუნებული რუბრიკების გამოყენება 1980 წელს.

680 PRECIS-ის დესკრიპტორების სტრიქონი [აღარ არის ხმარებაში, 1991] [მხოლოდ CAN/MARC-ში]

PRECIS არის აკრონიმი შემდეგი სახელწოდების “PREserved Context Index System” (კონტექსტის ინდექსირების შენახული (თუ დაცული) სისტემა). PRECIS-ის დესკრიპტორების სტრიქონი წარმოადგენს საგნობრივი ინდექსირების ტერმინების მიმდევრობას, რომელშიც ყოველ ტერმინს წინ უძღვის კოდი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უდნა იყოს ინდექსირების ტერმინი წარმოდგენილი კომპიუტერის მიერ გენერირებულ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერიში. პირველი ინდიკატორი განუსაზღვრელია. მეორე ინდიკატორის მნიშვნელობები 0-9 გამოიყენებოდა ალტერნატიული საგნობრივი ცნობების მისაბმელად დუის კლასიფიკაციის შესაბამის ნომერთან. #a-#z ქვევლები შეიცავდა PRECIS-ის დესკრიპტორების სტრიქონის ტექსტს.

681 PRECIS-ის საგნობრივი ინდიკატორის ნომერი (SIN) [აღარ არის ხმარებაში, 1991] [მხოლოდ CAN/MARC-ში]

PRECIS-ის საგნობრივი ინდიკატორის ნომერი (Subject Indicator Number – SIN) არის ფიქსირებული სიგრძის რიცხვი, რომელიც ბოლოვდება 11 მოდულის მქონე საკონტროლო ორნიშნა რიცხვით. ის ცალსახად განსაზღვრავს PRECIS-ის მონაცემთა მისამართს, რომელიც შედგება სტრიქონისგან და მითითების ინდიკატორის ნომრისგან (Reference Indicator Number – RIN). პირველი ინდიკატორი იყო განუსაზღვრელი. მეორე ინდიკატორის მნიშვნელობები 0-9 გამოიყენებოდა ამ ინდიკატორის მისაბმელად შესაბამის PRECIS-ის დესკრიპტორების სტრიქონთან და

სხვა ასოცირებულ საგნობრივ მონაცემებთან. განსაზღვრული იყო მხოლოდ ქვეველი #a(PRECIS-ის საგნობრივი ინდიკატორის ნომერი (SIN)).

683 PRECIS-ის მითითების ინდიკატორის ნომერი (RIN) [აღარ არის ხმარებაში, 1991] [მხოლოდ CAN/MARC-ში]

PRECIS-ის მითითების ინდიკატორის ნომერი (RIN) არის ფიქსირებული სიგრძის რიცხვი, რომელიც ბოლოვდება 11 მოდულის მქონე საკონტროლო ორნიშნა რიცხვით. ის განსაზღვრავს ტერმინის მისამართს მანქანურ (კომპიუტერულ) თეზაურუსში, რომელიც გამოიყენებოდა ნაბეჭდ ინდექსებში “იხილე” და “იხილე აგრეთვე” მითითებების წყაროდ. პირველი ინდიკატორი იყო განუსაზღვრელი. მეორე ინდიკატორის მნიშვნელობები 0-9 გამოიყენებოდა ინექსის ნომრების მისაბმელად შესაბამის PRECIS-ის დესკრიპტორების სტრიქონთან. განსაზღვრული იყო მხოლოდ ქვეველი #a(PRECIS-ის მითითების ინდიკატორის ნომერი (RIN)).

600 დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი (R)

პირველი ინდიკატორი

პერსონალური სახელის, როგორც ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ელემენტის, ტიპი 0 სახელი

1 გვარი

3 საგვარეულო სახელი

მეორე ინდიკატორი

თეზაურუსი

0 კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი

1 კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი საბავშვო ლიტერატურისთვის

2 სამედიცინო საგნობრივი რუბრიკატორი

3 ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის საგნობრივი ავტორიტეტული ფაილი

4 წყარო არ არის განსაზღვრული

5 კანადის საგნობრივი რუბრიკატორი

6 Répertoire des vedettes-matière

7 წყარო განსაზღვრულია ქვეველ #2-ში

ქვეველების კოდები

≠ a პერსონალური სახელი (NR)

≠ b ნუმერაცია (NR)

- ≠ c სახელთან დაკავშირებული ტიტულები და სხვა სიტყვები (R)
- ≠ d თარიღები, დაკავშირებული სახელთან (NR)
- ≠ e პირის დამაკავშირებელი ტერმინი ნაშრომთან (R)
- ≠ f ნაშრომის თარიღი (NR)
- ≠ g შერეული ინფორმაცია (NR)
- ≠ h მედიუმი (NR)
- ≠ j ავტორობის განმსაზღვრელი (R)
- ≠ k ფორმის ქვეთავსათაური (R)
- ≠ l ნაშრომის ენა (NR)
- ≠ m შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების ინსტრუმენტი (R)
- ≠ n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)
- ≠ o ცნობები მუსიკალური ნაწარმოების არანჟირების შესახებ (NR)
- ≠ p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)
- ≠ q სახელის უფრო სრული ფორმა (NR)
- ≠ r მუსიკალური გასაღები (NR)
- ≠ s ვერსია (NR)
- ≠ t ნაშრომის სათაური (NR)
- ≠ u სახელთან დაკავშირებული ცნობა რომელიმე ორგანიზაციაში წევრობის ან სამსახურის შესახებ (NR)
- ≠ v ფორმის ქვედანაყოფი (R)
- ≠ x ზოგადი ქვედანაყოფი (R)
- ≠ y ქრონოლოგიური ქვედანაყოფი (R)
- ≠ z გეოგრაფიული ქვედანაყოფი (R)
- ≠ 2 თავსათაურის ან ტერმინის წყარო (NR)
- ≠ 3 განსაზღვრული მასალები (NR)
- ≠ 4 პირის დამაკავშირებელი კოდი ნაშრომთან (R)
- ≠ 5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი (NR)
- ≠ 6 მიბმა (NR)
- ≠ 8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს პერსონალურ სახელს, რომელიც გამოყენებულია როგორც დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური. დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი უკეთდება ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს წვდომა კატალოგთან საგნობრივი კატალოგიზაციის დადგენილი პრინციპებისა და წესების მიხედვით. მე-600 ველი შეიძლება იყოს გამოყენებული ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ, რომელიც ანიჭებს ჩანაწერს საგნობრივ რუბრიკას მეორე ინდიკატორის პოზიციაში ან ქვეველ #2-ში

(რუბრიკის ან ტერმინის წყარო) განსაზღვრული ნუსხების ან ავტორიტეტული ფაილების საფუძველზე.

შინაარსის აღნიშვნების გამოყენების წესები

პირველი ინდიკატორის პოზიციების და ქვევლების ყველა კოდების, ისევე როგორც შეტანის შეთანხმებების აღწერა მე-600 ველისთვის, მოცემულია სექციაში X00 “პერსონალური სახელები – ზოგადი ინფორმაცია”. ვინაიდან მეორე ინდიკატორი სხვადასხვა ველებში სხვადასხვაა, ამიტომ ის არ არის აღწერილი ზოგადი ინფორმაციის სექსციაში, არამედ მისი აღწერა მოყვანილია ქვემოთ.

ინდიკატორები

მეორე ინდიკატორი - თეზაურუსი

მეორე ინდიკატორის პოზიცია განსაზღვრავს საგნობრივი რუბრიკების სისტემას (რუბრიკატორს) ან თეზაურუსს, რომლებიც გამოიყენება საგნობრივი რუბრიკის შედგენისას.

0 - კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ საგნობრივი რუბრიკის ფორმულირება დამატებით საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში შეთანხმებულია “კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივ რუბრიკატორთან” (LCSH – Library of Congress Subject Headings), რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა. 0 მნიშვნელობის გამოყენება მოიხოვს, რომ მინიჭებული რუბრიკა შეესაბამებოდეს LCSH-ში გამოყენებულ რუბრიკებს.

შეთანხმებულია “კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივ რუბრიკატორთან” ნიშნავს:

- რუბრიკები (ან რუბრიკები და ქვეგანაყოფები) აღებულია კონგრესის ბიბლიოთეკის ავტორიტეტული ფაილებიდან (სახელების ავტორიტეტული ფაილების ჩათვლით) ან “კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორის” ბოლო გამოცემიდან, მათ შორის ვერსიები მიკროფიშებზე, ქაღალდზე, კომპაქტდისკებზე და დამატებანი;
- რუბრიკა შედგენილია AACR2-ის მიხედვით;
- რუბრიკები აღებულია კონგრესის ბიბლიოთეკის ავტორიტეტული ფაილებიდან, “კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორის” ბოლო გამოცემიდან ან რუბრიკა შედგენილია AACR2-ის მიხედვით და დამატებული აქვს თავისუფლად მცურავი ან რეგულარული ქვედანაყოფი “საგნობრივი კატალოგიზაციის სახელმძღვანელოში” ჩამოყალიბებული წესების მიხედვით: საგნობრივი რუბრიკები, კერძოდ, ქვეგანაყოფები, ჩამოთვლილი სანიმუშო ნუსხებში და გეოგრაფიული ქვეგანაყოფები, ფორმულირებული და გამოყენებული აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოყვანილი წესების მიხედვით.

1 - კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორი საბავშვო ლიტერატურისთვის

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შეთანხმებულია “AC საგნობრივ რუბრიკებთან”; ეს რუბრიკატორი წარმოადგენს “კონგრესის ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკატორის” ნაწილს და მას აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა. მნიშვნელობა 1-ის გამოყენება მოითხოვს, რომ ეს ველი შეესაბამებოდეს კონგრესის ბიბლიოთეკის ანოტირებული ბარათების პროგრამას.

2 - სამედიცინო საგნობრივი რუბრიკატორი

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ საგნობრივი რუბრიკის ფორმულირება დამატებით საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში შეთანხმებულია ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკის ავტორიტეტულ ფაილებთან. მნიშვნელობა 2-ის გამოყენება მოითხოვს, რომ ეს ველი შეესაბამებოდეს ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკის ავტორიტეტული ფაილების გამოყენებას.

3 - ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის საგნობრივი ავტორიტეტული ფაილი

მნიშვნელობა 3 მიუთითებს, რომ საგნობრივი რუბრიკის ფორმულირება დამატებით საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში შეთანხმებულია ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის საგნობრივ ავტორიტეტულ ფაილთან. მნიშვნელობა 3-ის გამოყენება მოითხოვს, რომ ეს ველი შეესაბამებოდეს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის საგნობრივი რუბრიკების გამოყენებას.

4 - წყარო არ არის განსაზღვრული

მნიშვნელობა 4 მიუთითებს, რომ საგნობრივი რუბრიკის ფორმულირება დამატებით საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში შეთანხმებულია საგნობრივი რუბრიკების რომელიღაც კონტროლირებად ნუსხასთან, მაგრამ ამ წყაროს მითითება შეუძლებელია საგნობრივი რუბრიკების სისტემების/თეზაურუსების იმ სიმრავლიდან, რომელიც მოცემულია მეორე ინდიკატორის 0-3, 5-6 მნიშვნელობებით ან ქვეველ #2-ში (რუბრიკის ან ტერმინის წყარო) განსაზღვრული ნუსხების ან ავტორიტეტული ფაილების საფუძველზე.

ველი 653 (ინდექსის ტერმინი – არაკონტროლირებადი) გამოიყენება იმ ტერმინების ჩასაწერად, რომლებიც არ მიიღება კონტროლირებადი საგნობრივი რუბრიკების ნუსხებიდან.

5 - კანადის საგნობრივი რუბრიკატორი

მნიშვნელობა 5 მიუთითებს, რომ საგნობრივი რუბრიკის ფორმულირება დამატებით საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში შეთანხმებულია კანადის საგნობრივი რუბრიკატორთან, რომელსაც აწარმოებს კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა.

6 Répertoire des vedettes-matière

მნიშვნელობა 6 მიუთითებს, რომ საგნობრივი რუბრიკის ფორმულირება დამატებით საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში შეთანხმებულია Répertoire des vedettes-matière-თან, რომელსაც აწარმოებს ლავალის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

7 - წყარო განსაზღვრულია ქვეველ #2-ში

ეს ველი შეიცავს შეხვედრის სახელს, რომელიც გამოყენებულია როგორც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური. დამატებითი

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები შექმნილია სხვადასხვა საკატალოგიზაციო წესების მიხედვით იმისათვის, რომ შეიძლებოდეს ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთან წვდომა შეხვედრის სახელის თავსათაურით, რომელთანაც წვდომა არ იყო უფრო მიზანშეწონილი 611-ე ველით (დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – შეხვედრის სახელი) ან 811-ე ველით (დამატებითი სერიალური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – შეხვედრის სახელი).

შინაარსის აღნიშვნელების გამოყენების წესები

პირველი ინდიკატორის, ქვევლებს ყველა კოდის, ისევე როგორც შეტანის შეთანხმებები, 711-ე ველისთვის მოცემულია “X11 შეხვედრების სახელები - ზოგადი ინფორმაციის” სექციაში. ვინაიდან მეორე ინდიკატორი სხვადასხვა ველებისთვის სახვადასხვაა, ამიტომ ის არ არის აღწერილი ზოგადი ინფორმაციის სექციაში, არამედ აღწერილია ქვემოთ.

მეორე ინდიკატორი - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპს. ეს მნიშვნელობები განასხვავებენ შემთხვევებს: ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და ინფორმაცია არ არის მოცემული.

ხ - ინფორმაცია არ არის მოცემული

მნიშვნელობა ხ გამოიყენება, როდესაც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის ანალიტიკური ან როდესაც ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ანალიტიკური, არ არის მოცემული.

245 00 #aNeoplasm and gnosticism / #cRichard T. Wallis, editor, Jay Bregman, associate editor.

500 ხხ #aPapers presented at the 6th international conference of the International Society for Neoplatonic Studies, entitled International Conference on Neoplatonism and Gnosticism, held at University of Oklahoma, Mar. 18-21, 1984.

711 2ხ #a International Conference on Neoplatonism and Gnosticism #d(1984 : #c University of Oklahoma

111 2ხ #aInternational Aerospace and Ground Conference on Lightning and Static Electricity #d(1988 : #cOklahoma City, Okla.)

245 00 #aAddendum to the Proceedings of the 1988 International Aerospace and Ground

Conference on Lightning and Static Electricity : April 19-22, 1988, Oklahoma City, Oklahoma, USA.

711 2b International Aerospace and Ground Conference on Lightning and Static Electricity (1988 : Oklahoma, City, Okla.). Proceedings of the 1988 International Aerospace and Ground Conference on Lightning and Static Electricity

2 - ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ განხილული აღწერის ერთეული შეიცავს ნაშრომს, რომელიც წარმოდგენილია მოცემული დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერით.

245 00 International bilateral dialogues : 1965-1991 : list of commissions, meetings, themes, and reports / compiled by Günter Gassman. Report / Fifth Forum on Bilateral Conversations.

711 22 Forum on Bilateral Conversations (5th : 1990 : Budapest, Hungary). Report. 1991.

მაგალითები

711 2b Van Cliburn International Piano Competition.

711 2b Women and National Health Insurance Meeting (1980 : Washington, D.C.)

711 2b Pan American Games (6th : 1971 : Cali, Colombia)

711 22 United Nations Conference on the Law of the Sea (1st : 1958 : Geneva, Switzerland). Proceedings. Selections. 1960.

711 2b Mostly Mozart Festival. Orchestra.

შინაარსის აღმნიშვნელთა ისტორია

მეორე ინდიკატორი – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

0 ალტერნატიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (BK AM CF MP MU SE) [აღარ არის ხმარებაში]

1 მეორადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (BK AM CF MP MU SE) [აღარ არის ხმარებაში]

1 დაბეჭდილია ბარათზე (VM) [აღარ არის ხმარებაში]

3 ბარათზე არ არის დაბეჭდილი (VM) [აღარ არის ხმარებაში]

1993 წელს მეორე ინდიკატორის მნიშვნელობები 0 და 1 (ალტერნატიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და მეორადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) გამოცხადებული იყო მოძველებულად წიგნების, საარქივო და ხელნაწერი მასალების, კომპიუტერული ფაილების, რუკების, მუსიკალური ნოტების და სერიალების სპეციფიკაციებისთვის. მნიშვნელობები 1 (დაბეჭდილია ბარათზე) და 3 (ბარათზე არ არის დაბეჭდილი) გამოაცხადეს მოძველებულად ვიზუალური მასალების სპეციფიკაციებისთვის.

720 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – არაკონტროლირებადი სახელი (R)

პირველი ინდიკატორი

სახელის ტიპი

≠ არ არის განსაზღვრული

1 პერსონალური

2 სხვა ტიპის სახელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

≠a სახელი (NR)

≠e დამაკავშირებელი ტერმინი (R)

≠ 4 დამაკავშირებელი კოდი (R)

≠ 6 მიბმა (NR)

≠ 8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ნაშრომთან დაკავშირებულ სახელს, როდესაც ეს სახელი არ არის კონტროლირებადი ავტორიტეტული ფაილით ან სიით. ეს ველი აგრეთვე გამოიყენება ისეთი სახელებისთვის, რომლებიც არ არის ფორმულირებული საკატალოგიზაციო წესების მიხედვით. 720-ე ველში ჩაწერილი სახელები შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის (მაგ., პერსონალური, ორგანიზაციის, შეხვედრის). ეს ველი

გამოიყენება მაშინ, როდესაც წვდომის სხვა ველები (მაგ., 1XX (თავსათაურები) ან 7XX (დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები)) არ შეიძლება იყოს გამოყენებული იმის გამო, რომ სახელის კონტროლის დონე ან სახელის სტრუქტურა არ შეესაბამება წვდომის სხვა ველების მოთხოვნილებებს. 720-ე ველი არ უნდა იყოს გამოყენებული ისეთი არაკონტროლირებადი სახელებისათვის, რომლებიც განკუთვნილია საგნობრივი წვდომისათვის. ასეთ შემთხვევაში 653-ე ველი (ინდექსის ტერმინი - არაკონტროლირებადი) უნდა იყოს გამოყენებული.

რამდენიმე ნაწილისგან შემდგარი სახელის ნაწილები შეიძლება იყოს ჩაწერილი ნებისმიერი სასურველი თანამიმდევრობით. მრავალჯერადი სახელებისთვის 720-ე ველი მეორდება.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი - სახელის ტიპი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც მიუთითებს, არის თუ არა სახელი პერსონალური, თუ სახელის ტიპი უცნობია.

ხ - არ არის განსაზღვრული

მნიშვნელობა ხ მიუთითებს, რომ სახელის ტიპი უცნობია ან არ არის განსაზღვრული.

1 - პერსონალური

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, ცნობილია, რომ სახელი არის პერსონალური.

2 - სხვა ტიპის სახელი

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, ცნობილია, რომ სახელი არ არის პერსონალური.

მეორე ინდიკატორი – განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორის პოზიცია განუსაზღვრელია და ის შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ხ).

ქვევლების კოდები

≠a - სახელი

ქვეველი #a შეიცავს არაკონტროლირებად სახელს. არავითარი პირობები არ არის დადებული სახელის სტილზე, ფორმაზე, სტრუქტურაზე ან ნაწილების რაოდენობაზე. ნაწილები შეიძლება იყოს ჩაწერილი პირდაპირი ან ინვერსიული რიგით. ერთ #a ქვეველში უნდა იყოს ჩაწერილი სახელის ყველა ნაწილი. მრავალჯერადი (რამდენიმე სახელისგან შედგენილი) სახელები ერთ ჩანაწერში 720-ე ველის სხვადასხვა შესვლაში (განმეორებაში) ჩაიწერება.

720 1ხ #aBlacklock, Joseph

720 6ხ #aVonderrohe, Robert, 1934- #editor

720 2ხ #aCAPCON Library Network #author

720 6ხ #aU.S. Energy Information Administration, Coal Statistics Division

720 1ხ #aTheodore K. Hepburn #inventor

#e - დამაკავშირებელი ტერმინი

ქვეველი #e შეიცავს იმ ფუნქციის აღნიშვნას, რომელიც აღწერს ურთიერთკავშირს სახელსა და ნაშრომს შორის, მაგ., რედ., შემდგ., მთარგ., ილსტრ., შემგროვებელი, თანაავტორი.

720 6ხ #aMorris, Andrea Crowford #eill.

720 6ხ #aAlza Corporation #eassignee

#4 - დამაკავშირებელი კოდი

ქვეველი # 4 შეიცავს MARC ფორმატის კოდს, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთკავშირს სახელსა და ჩანაწერში აღწერილ ნაშრომს შორის. ერთზე მეტი დამაკავშირებელი კოდი შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ ჩანაწერში მოცემულ სახელს გააჩნია ერთზე მეტი ფუნქცია ამ ჩანაწერში აღწერილი ნაშრომის შექმნაში. MARC ფორმატის კოდების წყარო არის “MARC ფორმატის კოდების სია რელატორებისათვის-დამაკავშირებელი კოდებისათვის, წყაროებისათვის და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შეთანხმებებისათვის”, რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა. ეს კოდი ჩაიწერება სახელის/სათაურის ველში სახელის ნაწილის შემდეგ.

720 6ხ #aHoughton Mifflin Company #4pbl

720 6ხ #aMaddox, James W. #4sec #4mon

#6 - მიბმა

#8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

720-ე ველისთვის არ არსებობს სპეციალური პუნქტუაცია ან ინტერვალის გამოყენების შეთანხმებები.

730 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი - უნიფიცირებული სათაური (R)

პირველი ინდიკატორი

არასორტირებადი სიმბოლოები

0-9 არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა

მეორე ინდიკატორი

დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

≠ ინფორმაცია არ არის მოცემული

2 ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი

ქვევლების კოდები

≠a უნიფიცირებული სათაური (NR)

≠d ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი (R)

≠f ნაშრომის თარიღი (NR)

≠g შერეული ინფორმაცია (NR)

≠h მედიუმი (NR)

≠k ფორმის ქვეთავსათაური (R)

≠l ნაშრომის ენა (NR)

≠m შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების ინსტრუმენტი (R)

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)

≠o ცნობები მუსიკალური ნაწარმოების არანჟირების შესახებ (NR)

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)

≠r მუსიკალური გასაღები (NR)

≠s ვერსია (NR)

≠t ნაშრომის სათაური (NR)

≠x საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი (NR)

≠3 განსაზღვრული მასალები (NR)

≠5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს უნიფიცირებულ სათაურს, რომელიც გამოიყენება როგორც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური. დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები შექმნილია სხვადასხვა საკატალოგიზაციო წესების მიხედვით იმისათვის, რომ შეიძლებოდეს ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთან წვდომა ისეთი თავსათაურით, რომელთანაც წვდომა არ იყო უფრო მიზანშეწონილი 630-ე ველით (დამატებითი საგნობრივი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – უნიფიცირებული სათაური) ან 830-ე ველით (დამატებითი სერიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – უნიფიცირებული სათაური).

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

პირველი ინდიკატორის, ქვეველების ყველა კოდის, ისევე როგორც შეტანის შეთანხმებების აღწერა 730-ე ველისთვის მოცემულია “X30 უნიფიცირებული სათაურები - ზოგადი ინფორმაციის” სექციაში. ვინაიდან მეორე ინდიკატორი სხვადასხვა ველებისთვის სახვადასხვაა, ამიტომ ის არ არის აღწერილი ზოგადი ინფორმაციის სექციაში, არამედ აღწერილია ქვემოთ.

მეორე ინდიკატორი - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპს. ეს მნიშვნელობები განასხვავებენ შემთხვევებს: ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და ინფორმაცია არ არის მოცემული.

ხ - ინფორმაცია არ არის მოცემული

მნიშვნელობა ხ გამოიყენება, როდესაც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის ანალიტიკური ან როდესაც ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ანალიტიკური, არ არის მოცემული.

245 00 ≠aChemical pricing patterns : ≠bcomparisons of annual high and low prices for 1,250 key chemicals and related process materials for the years of 1952...

500 ხხ #aAt head of title: Oil, paint and drug reporter.

730 0ხ #aOil, paint and drug reporter.

2 - ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ განხილული აღწერის ერთეული შეიცავს ნაშრომს, რომელიც წარმოდგენილია მოცემული დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერით.

100 1ხ #aBarwise, Jon.

245 14 #aThe language of first-order logic : #bincluding the Macintosh program Tarski's world 4.0 / #cJon Barwise and John Etchemendy.

730 02 #aTarski's world.

მაგალითები

730 0ხ #aBible. #pO.T. #pJudges V. #lGerman #sGrether.

730 0ხ #aIndex librorum prohibitorum. #f1570. #5[NUC symbol]

730 0ხ #aActualités-Service. #nNo 306 (Supplement 1)

730 0ხ #aCancionero musical de Segovia. #kSelections. #f1980.

730 0ხ #aGone with the wind (Motion picture)

730 0ხ #aFrankfurt heute. #hMotion picture.

730 0ხ #a20/20 (television program)

730 0ხ #aFabrication of biteplane. #nPart 1. #pWaxing on mounted cards.

245 00 #aBTL.

580 ხხ #aSuppl. To: Weinwirtschaft, 1981-1982; Weinwirtschaft. Technik, and Weinwirtschaft. Markt, 1983; Baubedarf Manager, Farbenfachgeschäft, and Getränke Revue, 1983-

730 0ხ #a Weinwirtschaft.

730 0ხ #a Weinwirtschaft. #pTechnik.

730 0ხ #a Weinwirtschaft. #pMarkt.

730 0ხ #aBaubedarf Manager.

730 0ხ #aFarbenfachgeschäft.

730 0ხ #aGetränke Revue.

772 1ხ #tWeinwirtschaft #w(DLC)bbb83644948 #w(OcoLC)9345710

772 1ხ #tWeinwirtschaft.

772 1ხ #aWeinwirtschaft. Markt #w(DLC)bbb83644950 #w(OcoLC)9345548

[one publication that is a supplement to others.]

772 0ხ #aBaubedarf Manager

772 1b ≠tFarbenfachgeschäft

772 1b ≠aGetränke Revue ≠w(DLC)snb91020150 ≠w(OcoLC)9345710

245 00 ≠aClient characteristic & population movement report for calendar year ...

≠pProbation subsidy / State of Washington, Departement of Social and Health Services, Bureau of Juvenile Rehabilitation.

580 bb ≠aAlso published in a quarterly edition: Client characteristic & population movement report for quarter ... Probation subsidy.

730 0b ≠a Client characteristic & population movement report for quarter ... ≠pProbation subsidy.

775 1b ≠tClient characteristic & population movement report for quarter ... Probation subsidy. ≠w(OcoLC)1258055

[A publication is published in more than one edition; an added entry is made for the other edition(s).]

245 00 ≠aForeign affairs bibliography.

580 bb ≠aBased upon the bibliographical notes appearing quarterly in: Foreign affairs.

730 0b ≠aForeign affairs (Council on Foreign Relations)

787 1b ≠tForeign affairs (Council on Foreign Relations)

[A publication is related in a non-specific manner to another publication.]

245 00 ≠aLektüre Magazin.

580 bb ≠aIssued Jan.-June 1981 with: Bücherkommentare, v. 30, no. 1-6.

730 0b ≠aBücherkommentare.

777 1b ≠tBücherkommentare ≠gJan. 1981-June 1981

[One publication is issued within another.]

245 04 ≠aThe People speak newsletter.

500 bb ≠aA summary of a radio program, "People speak."

730 0b ≠aPeople speak (Radio program)

[Names of Radio or television programs.]

130 0b ≠aDomestic engineering (1889)

580 bb ≠aVols. For June 27, 1931-Mar. 1935, Mar. 1941-1966 include the section:

Automatic heat and air conditioning (varies); also issued separately Sept. 1933-
<June 1940>

730 02 ≠aAutomatic heat and air conditioning.

777 1b ≠tAutomatic heat and air conditioning

[A regularly issued part with a distinctive title for which an added entry is made.]

100 1 \times \neq aBarwise, Jon.

245 14 \neq aThe language of first-order logic : \neq bincluding the Macintosh program Tarski's world 4.0 / \neq cJon Barwise and John Etchemendy.

730 02 \neq aTarski's world.

შინაარსის აღმნიშვნელთა ისტორია

მეორე ინდიკატორი – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

0 ალტერნატიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (BK AM CF MP MU SE) [აღარ არის ხმარებაში]

1 მეორადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (BK AM CF MP MU SE) [აღარ არის ხმარებაში]

1 დაბეჭდილია ბარათზე (VM) [აღარ არის ხმარებაში]

3 ბარათზე არ არის დაბეჭდილი (VM) [აღარ არის ხმარებაში]

1993 წელს მეორე ინდიკატორის მნიშვნელობები 0 და 1 (ალტერნატიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და მეორადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) გამოცხადებული იყო მოძველებულად წიგნების, საარქივო და ხელნაწერი მასალების, კომპიუტერული ფაილების, რუკების, მუსიკალური ნოტების და სერიალების სპეციფიკაციებისთვის. მნიშვნელობები 1 (დაბეჭდილია ბარათზე) და 3 (ბარათზე არ არის დაბეჭდილი) გამოაცხადეს მოძველებულად ვიზუალური მასალების სპეციფიკაციებისთვის.

740 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – არაკონტროლირებადი დაკავშირებული/ანალიტიკური სათაური (R)

პირველი ინდიკატორი

არასორტირებადი სიმბოლოები

0-9 არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა

მეორე ინდიკატორი

დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

\times ინფორმაცია არ არის მოცემული

ქვევლების კოდები

≠a არაკონტროლირებადი დაკავშირებული/ანალიტიკური სათაური (NR)

≠h მედიუმი (NR)

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი (R)

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი (R)

≠5 ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი გამოიყენება დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შესაქმნელად არაკონტროლირებადი დაკავშირებული სათაურების და არაკონტროლირებადი ანალიტიკური სათაურების თავსათაურებით. არაკონტროლირებადი ნიშნავს, რომ ასეთი სათაური არ ექვემდებარება კონტროლს რაიმე ავტორიტეტული ფაილის საშუალებით. მაგალითად, შეიძლება ეს ველი შეიცავდეს იმ დაკავშირებული ნაშრომის სათაურის ნაწილს, რომელიც ჩვეულებრივად უნდა იყოს აღწერილი საკატალოგო ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ფორმაში სახელის/სათაურის თავსათაურით. ისეთი კრებულების აღწერილობების ჩანაწერებში, რომელთაც არ გააჩნიათ კოლექტიური სათაური, დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შეიძლება გაკეთდეს იმ სათაურზე, რომელიც კრებულში მოსდევს პირველ სათაურს, ჩაწერილს 245-ე ველში (ცნობები სათაურის შესახებ) და ეს მომდევნო სათაური დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერისთვის ჩაიწერება 740-ე ველში. დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი დაკავშირებული ნაშრომის უნიფიცირებულ სათაურზე და სათაურზე ანალიტიკური ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში ჩაიწერება 730-ე ველში (დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – უნიფიცირებული სათაური). 246-ე ველი (სათაურის ვარიანტული ფორმა) გამოიყენება 245-ე ველში ჩაწერილი სათაურის ვარიანტული ფორმების ჩასაწერად და კოლექტიური სათაურების არმქონე კრებულების 245-ე ველში ჩაწერილი პირველი სათაურის ვარიანტების ჩასაწერად.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

მეორე ინდიკატორი - არასორტირებადი სიმბოლოები

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს სიმბოლოთა პოზიციების რიცხვს, დაკავშირებულს განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ არტიკლთან (მაგ., The, An) სათაურის დასაწყისში, რომელიც უგულებელყოფილია სორტირებისა და განლაგების პროცესებში.

0 – არასორტირებადი სიმბოლოები არ არის

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ საწყისი არტიკლის სიმბოლოთა პოზიციები არ არის უგულებელყოფილი.

დიაკრიტიკული ნიშნები ან სპეციალური სიმბოლოები სათაურის ველის დასაწყისში, რომელიც არ იწყება საწყისი არტიკლით, არ ითვლება არასორტირებად სიმბოლოებად.

განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი საწყისი არტიკლები სათაურის ველის ფორმულირების დროს შეიძლება, უბრალოდ, წაიშალოს. თუ საწყისი არტიკლი დატოვებულია და არ არის უგულებელყოფილი სორტირებისა და განლაგების პროცესებში, გამოიყენება მნიშვნელობა 0.

1-9 – არასორტირებადი სიმბოლოების რიცხვი

არანულოვანი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ველი იწყება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლით, რომელიც უგულებელყოფილია სორტირების და განლაგების პროცესებში. დიაკრიტიკული ნიშანი ან სპეციალური სიმბოლო, დაკავშირებული არტიკლთან, ითვლება არასორტირებად სიმბოლოდ. ნებისმიერი დიაკრიტიკული ან სპეციალური სიმბოლო, დაკავშირებული პირველ სორტირებად სიმბოლოსთან, არ ითვლება არასორტირებად სიმბოლოდ.

ვინაიდან საწყისი არტიკლების გამოტოვება იმისათვის, რომ ისინი იყოს უგულებელყოფილი სორტირებისა და განლაგების პროცესებში, საყოველთაოდ არის მიღებული კატალოგიზაციის პრაქტიკაში, ამიტომ ნაკლებად მოსალოდნელია 1-9 მნიშვნელობების გამოყენება 740-ე ველში.

მეორე ინდიკატორი - დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპს. ეს მნიშვნელობები განასხვავებს შემთხვევებს: ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და ინფორმაცია არ არის მოცემული.

✎ - ინფორმაცია არ არის მოცემული

მნიშვნელობა ✎ გამოიყენება, როდესაც დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არ არის ანალიტიკური ან როდესაც ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ანალიტიკური, არ არის მოცემული.

740 0✎ #aHealing our culture, healing ourselves.

2 - ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ განხილული აღწერის ერთეული შეიცავს ნაშრომს, რომელიც წარმოდგენილია მოცემული დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერით.

100 1✎ #aChekhov, Anton Pavlovich, #d1860-1904.

240 10 #aVishnevyy sad. #lEnglish

245 14 #aThe cherry orchard ; #bUncle Vanya / #cAnton Chekhov.

700 12 #aChekhov, Anton Pavlovich, #d1860-1904. #tDiàdìà Vanìà #lEnglish. #f1969.

740 02 #aUncle Vanya.

[დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი იმ ნაშრომისთვის, რომელიც მოსდევს პირველ დასახელებულ ნაშრომს კრებულის სატიტულო გვერდზე, რომელსაც არა აქვს კოლექტიური სათაური]

ქვევლების კოდები

#a - არაკონტროლირებადი დაკავშირებული/ანალიტიკური სათაური

ქვეველი #a შეიცავს არაკონტროლირებად დაკავშირებულ/ანალიტიკურ სათაურს. მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული მონაცემები, რომლებიც წარმოადგეს სათაურის ნაწილს, არ გამოიყოფა ქვევლის კოდით.

245 10 #aLaw and the family, New York / #c[by] Henry H. Foster and Doris Jones Freed.

500 ✎✎ #a"Joint Legislative Committee on Matrimonial and Family Laws, proposed statute" : 8 p. (inserted in pocket of v. 1).

505 1b #av. 1. Dissolution of the family unit. Divorce, separation, and annulment -- v. 2.
Dissolution of the family unit. Economic aspects, custody, taxes.
740 02 #aJoint Legislative Committee on Matrimonial and Family Laws, proposed statute.
740 02 #aDissolution of the family unit. #pDivorce, separation, and annulment.
740 02 #aDissolution of the family unit. #pEconomic aspects, custody, taxes.

#h – მედიუმი

ქვეველი #h შეიცავს ინფორმაციის მატარებლის - მედიუმისკვალიფიკატორს, რომელიც გამოიყენება ნაშრომის სათაურთან ერთად სახელის/სათაურის ველში.

#n - ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი

ქვეველი #n შეიცავს ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ციფრულ აღნიშვნას, რომელიც გამოიყენება სათაურთან ერთად სახელის/სათაურის ველში. გადანომვრა განსაზღვრულია, როგორც თანამიმდევრობის აღნიშვნა ნებისმიერი ფორმით (მაგ., ნაწილი 1, დამატება A, წიგნი მეორე).

#p - ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი

ქვეველი #p შეიცავს ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელობით აღნიშვნას, რომელიც ჩაიწერება სახელის/სათაურის ველში.

#5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი [710]

#6 - მიზმა

#8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – 740-ე ველი ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით ან დამხურავი მრგვალი ფრჩხილით. თუ ბოლო ქვეველი არის ქვეველი #5, მაშინ პუნქტუაციის ნიშანი წინ უსწრებს ამ ქვეველს. პუნქტუაციის ნიშანი უნდა იყოს მოთავსებული დამხურავ ბრჭყალამდე.

ინტერვალი – ინიციალიზმებში (აკრონიმებში) ინტერვალები არ გამოიყენება. ერთი ინტერვალი გამოიყენება წინა და მომდევნო ინიციალებს შორის, თუ აბრევიატურა შედგება ერთზე მეტი ასოსაგან.

დისპლეის კონსტანტა – არაბული ან რომაული ციფრები და სიტყვა “სათაური:”, რომლებიც ზოგჯერ წინ უძღვის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველებს

დისპლეიზე, არ შეიტანება MARC ჩანაწერში. ისინი შეიძლება იყოს სისტემურად გენერირებული, როგორც დისპლეის კონსტანტები, დაკავშირებული ამ ველის ტევთან.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

1993 წელს 740-ე ველი თავიდან იყო განსაზღვრული. მანამდე ამ ველის სახელი იყო “დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – ვარიანტული სათაური”. ეს ველი შეიცავდა სათაურის იმ ფორმას, რომელიც განსხვავდებოდა სათაურის ცნობებში მოყვანილ ძირითადი სათაურისგან (245-ე ველის ქვევლები: #a, #n და #p), მაგრამ აქ არ იყო უნიფიცირებული ნაშრომის სათაური იმ სათაურების გარდა, რომლებიც მაშინ შეესაბამებოდა 740-ე ველს. ამ ველის თავიდან განსაზღვრის შემდეგ 245-ე ველში მოცემული სათაურის ვარიანტული ფორმები უნდა ჩაიწეროს 246-ე ველში (სათაურის ვარიანტული ფორმა), ხოლო 740-ე ველი შეიზღუდა არაკონტროლირებადი სათაურებით, რომლებიც დაკავშირებულია 245-ე ველში ჩაწერილ სათაურთან ან აღწერის ერთეულში მოთავსებული ნაშრომების არაკონტროლირებადი სათაურებით.

პირველი ინდიკატორი – არასორტირებადი სიმბოლოები

ⓧ არასორტირებადი სიმბოლოები არ არის განსაზღვრული [აღარ არის ხმარებაში]

სიმბოლოთა პოზიციების რიცხვი, დაკავშირებული განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ არტიკლებთან დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სათაურის დასაწყისში, რომლებიც უგულებელყოფილია სორტირების ან განლაგების პროცესებში, არ იყო განსაზღვრული 1979 წლამდე, როდესაც განისაზღვრა პირველი ინდიკატორის პოზიცია.

ცარიელი სიმბოლოს (ⓧ) ინტერპრეტაცია, როდესაც ის მიუთითებდა, რომ არასორტირებადი სიმბოლოების რაოდენობა არ არის განსაზღვრული, 1980 წელს გამოაცხადეს მოძველებულად. ამიტომ 1979 წლამდე შექმნილ ჩანაწერებში ცარიელი სიმბოლოს (ⓧ) მნიშვნელობა ამ პოზიციაში არის “განუსაზღვრელი”.

მეორე ინდიკატორი – დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ტიპი

0 ალტერნატიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (BK AM CF MP MU SE) [აღარ არის ხმარებაში]

1 მეორადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (BK AM CF MP MU SE) [აღარ არის ხმარებაში]

1 დაბეჭდილია ბარათზე (VM) [აღარ არის ხმარებაში]

3 ბარათზე არ არის დაბეჭდილი (VM) [აღარ არის ხმარებაში]

1993 წელს მეორე ინდიკატორის მნიშვნელობები 0 და 1 (ალტერნატიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი და მეორადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) გამოცხადებული იყო მოძველებულად წიგნების, საარქივო და ხელნაწერი მასალების, კომპიუტერული ფაილების, რუკების, მუსიკალური ნოტების და სერიალების სპეციფიკაციებისთვის. მნიშვნელობები 1 (დაბეჭდილია ბარათზე) და 3 (ბარათზე არ არის დაბეჭდილი) გამოაცხადეს მოძველებულად ვიზუალური მასალების სპეციფიკაციებისთვის.

≠n ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი

≠p ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის სახელი

1980 წლამდე, როდესაც ≠n და ≠p ქვევლები თავიდან იყო განსაზღვრული, ნაშრომის ნაწილის/ნაკვეთის ნომერი და/ან სახელი არ იყო გამოყოფილი ქვევლების კოდებით.

752 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – ადგილის იერარქიული სახელი (R)

ინდიკატორი

განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

≠a ქვეყანა (NR)

≠b შტატი, პროვინცია, ტერიტორია (NR)

≠c ოლქი, რეგიონი, კუნძულები (NR)

≠d ქალაქი (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს გეოგრაფიული სახელის იერარქიულ ფორმას. ასეთი სახის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები შექმნილია სხვადასხვა საკატალოგიზაციო წესების მიხედვით იმისათვის, რომ შეიძლებოდეს

ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთან წვდომა ადგილის დასახელების იერარქიული ფორმის საშუალებით კონკრეტულ თვისებასთან მიმართებაში (მაგ., გაზეთებთან, მომსახურების აუდიტორიასთან, იშვიათ წიგნებთან, გამოქვეყნების ან ბეჭდვის ადგილთან).

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორის პოზიციები განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ხ).

ქვევლების კოდები

≠a - ქვეყანა

ქვეველი ≠a შეიცავს ქვეყნის სახელს.

752 ხხ ≠aSpain ≠dMadrid

≠b - შტატი, პროვინცია, ტერიტორია

ქვეველი ≠b შეიცავს შტატის, პროვინციის ან ტერიტორიის სახელს.

752 ხხ ≠aFrance ≠bDoubs.

≠c - ოლქი, რეგიონი, კუნძულები

ქვეველი ≠c შეიცავს ოლქის, რეგიონის ან კუნძულების სახელს.

752 ხხ ≠aEngland ≠cGreat Manchester ≠dManchester.

752 ხხ ≠aUnited States ≠bMaryland ≠cMontgomery County.

≠d - ქალაქი

ქვეველი ≠d შეიცავს ქალაქის სახელს.

752 ხხ ≠aUnited States ≠bKansas ≠cButler ≠dAugusta.

752 ხხ ≠aCanada ≠bBritish Columbia ≠dVancouver.

700 11 ≠aFranklin, Benjamin, ≠d1706-1790, ≠eprinter.

752 ხხ ≠aUnited States ≠bPennsylvania ≠dPhiladelphia.

≠6 - მიბმა

≠8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი
იხილეთ ამ ქვევლებების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – ველი 752 არ ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბოლო სიტყვა არის შემოკლება, ინიციალები/ასოები ან სხვა ისეთი მონაცემი, რომელიც ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით. ქვევლებს შორის პუნქტუაციის ნიშნები არ ჩაიწერება.

დისპლის კონსტანტები

- [ტირე]

ტირე (-), რომელიც წინ უძღვის ყოველ ქვეველს, გარდა ბოლო ქვეველისა, ამ ველში არ შეიტანება MARC ჩანაწერში. ის შეიძლება იყოს სისტემურად გენერირებული, როგორც დისპლის კონსტანტა.

ველი შინაარსის აღმნიშვნელებით:

752 ≡≡ ≠aUnited States ≠bAlabama ≠dMontgomery.

დისპლის მაგალითი:

United States - Alabama - Montgomery.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

სერიალური გამოცემების სპეციფიკაციებში ეს ველი თავდაპირველად განსაზღვრული იყო 1975 წელს, როგორც არა AACR/ALA ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – გამოქვეყნების ადგილი იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო გაზეთების ძებნა გეოგრაფიული სახელების იერარქიული ფორმის საშუალებით. 1978 წელს ამ ველის სახელი შეიცვალა ასე: “გაზეთებთან წვდომა გამოქვეყნების ადგილის მიხედვით” იმისათვის, რომ ნათელი გამხდარიყო მისი გამოყენება.

1983 წელს ეს ველი თავიდან იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ ასეთი წვდომა და ძებნა გამხდარიყო შესაძლებელი წიგნებისთვის, რუკებისთვის და ნოტებისთვის. ამ ველის ახალი სახელი გახდა “გამოქვეყნების/ბეჭდვის ადგილი”.

1984 წელს ეს ველი იყო თავიდან განსაზღვრული იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მისი გამოყენება საარქივო, ხელნაწერი და ვიზუალური მასალებისთვის. ველს ისევ გადაარქვეს სახელი: “დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – გამოქვეყნების ან წარმოების ადგილი”.

1986 წელს ველმა მიიღო მისი ახლანდელი სახელი იმისათვის, რომ მას უკეთ აესახა ამ ველის უფრო განზოგადოებული გამოყენება.

753 კომპიუტერულ ფაილებთან წვდომის სისტემური დეტალები (R)

პირველი ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვეველების კოდები

≠a მანქანის მარკა და მოდელი (NR)

≠b პროგრამირების ენა (NR)

≠c ოპერაციული სისტემა (NR)

≠6 მიზმა (NR)

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას მანქანის ტიპის, ოპერაციული სისტემის და/ან პროგრამირების ენის შესახებ, რომლებიც გამოყენებულია კომპიუტერული ფაილებისთვის და თანმხლების მასალისთვის. ამ სახის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები სახადასხვა საკატალოგიზაციო წესების თანახმად, განკუთვნილია ისეთ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთან მიმართვისთვის, რომელთანაც წვდომა სხვაგვარად შეუძლებელია და, აგრეთვე, ბეჭდური ინდექსების წარმოების მიზნით ჩანაწერების შერჩევისა და დალაგების შესაძლებლობების გასაადვილებლად.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორის პოზიციები განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (≠).

ქვეველების კოდები

≠a - მანქანის მარკა და მოდელი

ქვეველი ≠a შეიცავს მანქანის მარკას და მოდელს, რომლებიც საჭიროა მოცემულ კომპიუტერულ ფაილთან სამუშაოდ.

753 ხხ #aIBM PC #bPascal #cDOS 1.1

#b - პროგრამირების ენა

ქვეველი #b შეიცავს პროგრამირების ენის სახელს, რომელიც დაკავშირებულია მონაცემებთან, რომლებსგანაც შედგება მოცემული კომპიუტერული ფაილი (მაგ., პასკალი -Pascal).

753 ხხ #aCompaq #bBasic #cDOS 3.2

#c - ოპერაციული სისტემა

ქვეველი #c შეიცავს ოპერაციული სისტემის სახელს.

753 ხხ #aApple II #cDOS 3.3

753 ხხ #aIBM PC #cWindows 98

753 ხხ #aIBM PC #cOS/2 Warp

#6 - მიზმა

#8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – ველი 753 არ ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბოლო სიტყვა არის შემოკლება, ინიციალები/ასოები ან სხვა ისეთი მონაცემი, რომელიც ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით. ქვეველებს შორის პუნქტუაციის ნიშნები არ ჩაიწერება.

754

754 დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – ტექსტონომიური იდენტიფიკაცია (R)

პირველი ინდიკატორი

განუსაზღვრელი

ხ განუსაზღვრელი
მეორე ინდიკატორი
განუსაზღვრელი
ხ განუსაზღვრელი

ქვეველების კოდები

≠a ტაქსონომიური სახელი/ტაქსონომიური იერარქიული კატეგორია (R)
≠2 ტაქსონომიური იდენტიფიკაციის წყარო (NR)
≠6 მიბმა (NR)
≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას ტაქსონომიური იდენტიფიკაციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში აღწერილ ერთეულთან. ორივე ≠a და ≠2 ქვეველი ყოველთვის უნდა იყოს გამოყენებული.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ორივე ინდიკატორის პოზიციები განუსაზღვრელია; თითოეული მათგანი შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (ხ).

ქვეველების კოდები

≠a - ტაქსონომიური სახელი/ტაქსონომიური იერარქიული კატეგორია
ქვეველი ≠a შეიცავს ტაქსონომიურ სახელს და ტაქსონომიურ იერარქიულ კატეგორიას, რომელსაც განეკუთვნება ეს ტაქსონომიური სახელი. ტაქსონომიური სახელი ექვემდებარება ქვეველ ≠2-ში იდენტიფიცირებული ტაქსონომიური საკლასიფიკაციო სისტემის სინტაქსურ კონტროლს. ქვეველი ≠a მეორდება მოცემულ აღწერის ერთეულთან დაკავშირებულ ყოველი ტაქსონომიური სახელისთვის/ტაქსონომიური იერარქიული კატეგორიისთვის. ყოველი კომბინაცია უნდა იყოს შეტანილი განმეორებად ≠a ქვევებში ტაქსონომიური იერარქიის რიგით.

754 ხხ ≠aPlantae (Kingdom) ≠aSpermatophyta (Phylum) ≠aAngiospermae (Class)
≠aDicotyledoneae (Subclass) ≠aRosales (Order) ≠aRosaceae (Family) ≠aRosa (Genus)

≠asetigera (Species) ≠atomentosa (Variety) ≠2[code for Lyman David Benson's Plant Classification]

≠2 - ტაქსონომიური იდენტიფიკაციის წყარო

ქვეველი ≠2 შეიცავს MARC კოდს, რომელიც განსაზღვრავს ნუსხის წყაროს, საიდანაც იყო აღებული ტაქსონომიური იდენტიფიკაცია. MARC კოდების წყაროს წარმოადგენს "MARC კოდების ნუსხა დამაკავშირებლებისთვის, წყაროებისთვის, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შეთანხმებებისთვის", რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა.

≠6 - მიბმა

≠8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

პუნქტუაცია – ქვეველი, რომელიც წინ უსწრებს ≠2 ქვეველს ველში 754, ბოლოვდება წერტილით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბოლო სიტყვა არის შემოკლება, ინიციალები/ასოები ან სხვა ისეთი მონაცემი, რომელიც ბოლოვდება პუნქტუაციის ნიშნით. განმეორებად ≠a ქვეველებს შორის პუნქტუაციის ნიშნები არ ჩაიწერება. ინფორმაცია ტაქსონომიური იერარქიული კატეგორიის შესახებ (მაგ., ბიოლოგიური სახეობა), ჩვეულებრივ, უნდა ჩაისვას მრგვალ ფრჩხილებში.

76X-78X მზმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები - ზოგადი ინფორმაცია

760 მთავარი სერიის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)

762 ქვესერიის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)

765 ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ორგინალის ენაზე (R)

767 თარგმნის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)

770 დამატების/სპეციალური გამოშვების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)

772 მშობელი ჩანაწერის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)

773 მასპინძელი (შემადგენელი ნაწილის შემცველი) ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)

- 774 შემადგენელი ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)
- 775 სხვა გამოცემის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)
- 776 დამატებითი ფიზიკური ფორმის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)
- 777 ერთად (ერთ ყდაში) გამოშვებული ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)
- 780 წინა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)
- 785 მომდევნო ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)
- 786 გამოცემასთან დაკავშირებული მონაცემთა წყაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)
- 787 არასპეციფიკური ურთიერთკავშირის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი (R)

პირველი ინდიკატორი

შენიშვნის კონტროლერი

- 0 შენიშვნა გამოდის დისპლეიზე
- 1 შენიშვნა არ გამოდის დისპლეიზე

მეორე ინდიკატორი

- 760-777, 786-787 დისპლეის კონსტანტის კონტროლერი
- ხ [ველთან დაკავშირებული ფრაზა]
- 0 მშობელი [მხოლოდ 772]
- 8 დისპლეის კონსტანტის გენერირება არ ხდება

მეორე ინდიკატორი

- 780 ურთიერთკავშირის ტიპი
 - 0 უწყვეტია
 - 1 ნაწილობრივად უწყვეტია
 - 2 ცვლის
 - 3 ნაწილობრივად ცვლის
 - 4 შედგენილია გაერთიანებით
 - 5 აბსორბირებულია
 - 6 ნაწილობრივად აბსორბირებულია
 - 7 განცალკევებულია

მეორე ინდიკატორი

- 785 ურთიერთკავშირის ტიპი
 - 0 უწყვეტია
 - 1 ნაწილობრივად უწყვეტია
 - 2 ცვლის
 - 3 ნაწილობრივად ცვლის
 - 4 აბსორბირებულია

- 5 ნაწილობრივად აბსორბირებულია
- 6 იყოფა ...ად და ...ად
- 7 ერთდება ... თან, რომ წარმოქმნას ...
- 8 შეიცვალა წინა მნიშვნელობით

ქვევლები კოდები

საკონტროლო ქვევლები

≠3 განსაზღვრული მასალები (NR) [773 მხოლოდ]

≠6 მიბმა (NR)

≠7 საკონტროლო ქვეველი (NR)

/0 ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაურის ტიპი

/1 სახელის ფორმა

/2 ჩანაწერის ტიპი

/3 ბიბლიოგრაფიული დონე

≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (R)

აღწერილობითი ინფორმაცია

≠a ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური (NR)

≠b გამოცემა (NR)

≠c მაკვალიფიცირებელი ინფორმაცია (NR) [ყველა, გარდა 773-სა]

≠d ადგილი, გამომცემელი და გამოცემის თარიღი (NR)

≠g ურთიერთკავშირის ინფორმაცია (R)

≠h ფიზიკური აღწერილობა (NR)

≠i დისპლეს ტექსტი (NR)

≠j შინაარსის დროის პერიოდი (R) [786 მხოლოდ]

≠k სერია (NR) [ყველა 760-სა და 762-ის გარდა]

≠m მასალის დამახასიათებელი დეტალები (NR)

≠n შენიშვნა (R)

≠o აღსაწერი ერთეულის სხვა იდენტიფიკატორი (R)

≠p შემოკლებული სათაური (NR) [მხოლოდ 773 და 786]

≠s უნიფიცირებული სათაური (NR)

≠t სათაური (NR)

ნომრები/კოდები

≠e ენის კოდი (NR) [775 მხოლოდ]

≠f ქვეყნის კოდი (NR) [775 მხოლოდ]

≠r ანგარიშის ნომერი (R) [ყველა 760-ის, 762-ისა და 777-ის გარდა]

≠u ტექნიკური ანგარიშის სტანდარტული ნომერი (NR) [ყველა 760-ის, 762-ისა და 777-ის

გარდა]

≠v წყაროს წვლილი (NR) [786 მხოლოდ]

- ≠w ჩანაწერის საკონტროლო ნომერი (R)
- ≠x საერთაშორისო სტანდარტული სერიალური ნომერი (NR)
- ≠y CODEN-ის აღნიშვნა (NR)
- ≠z წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (NR)

განსაზღვრება და მოქმედების არე

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველები შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით ხდება სხვა ბიბლიოგრაფიული ერთეულების იდენტიფიცირება. მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ყოველი ველი განსაზღვრავს განსხვავებულ ბიბლიოგრაფიულ ურთიერთკავშირს ჩანაწერში აღწერილ სამიზნე აღწერის ერთეულსა და მასთან დაკავშირებულ ერთეულს შორის. ეს ურთიერთკავშირები იყოფა სამ კლასად: 1) დაკავშირებული ერთეულები, რომლებიც ეხმარებიან მომხმარებელს სამიზნე ერთეულის ძებნის გააგრძელებაში და არა მის ფიზიკურად შეძენაში (მაგ., ყოფილი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები სერიალური გამოცემებისთვის, სამიზნე ერთეულის თარგმანებისთვის); 2) დაკავშირებული ერთეულები, რომლებიც უნდა იყოს ფიზიკურად შეძენილი იმისათვის, რომ შეიძლებოდეს სამიზნე ერთეულის გამოყენება (მაგ., მასპინძელი ერთეული შემადგენელი ნაწილისთვის: ჟურნალის გამოშვება, რომელიც შეიცავს კონკრეტულ სტატიას); 3) დაკავშირებული ერთეულები, რომლებიც წარმოადგენენ უფრო დიდი მთლიანი ერთეულის შემადგენელ ერთეულებს (მაგ., ინდივიდუალური ფოტოსურათები, შესული ვიზუალური მასალების რომელიღაც კრებულში.) მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველები განკუთვნილია შენიშვნის გენერირებისთვის იმ ჩანაწერში, რომელშიც ისინი იყო შევსებული. მათ შეუძლიათ აგრეთვე უზრუნველყონ კომპიუტერული ბმა სამიზნე ერთეულის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერსა და დაკავშირებული ერთეულის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს შორის, თუ დაკავშირებული ერთეული აღწერილია ცალკე ჩანაწერში.

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ველებში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრებანი

სამიზნე ერთეული

ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეული, რომელიც წარმოადგენს აღწერის ძირითად ან პირველად ერთეულს, რომლის აღსაწერადაც იყო შექმნილი მოცემული ჩანაწერი. სამიზნე ერთეული ისეთი აღწერის ერთეულია, რომლისთვისაც ლიდერის სიმბოლოთა პოზიციების 06 (ჩანაწერის ტიპი) და 07 (ბიბლიოგრაფიული დონე) და 245-ე ველის (ცნობები სათაურის შესახებ) ინფორმაცია შეიძლება იყოს გამოყენებული.

დაკავშირებული ერთეული

ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეული, რომელსაც აქვს ქრონოლოგიური, ჰორიზონტალური (სხვადასხვა ვერსიები) ან ვერტიკალური (იერარქიული) ურთიერთკავშირი სამიზნე ერთეულთან და რომლისთვისაც არის ფორმულირებული მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი.

შემადგენელი ნაწილი

ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეული, რომელიც ფიზიკურად წარმოადგენს სხვა ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეულის ნაწილს. ამ ნაწილის მოძიება და მიღება დამოკიდებულია მასპინძელი ერთეულის (ანუ იმ ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეულის, რომლის ნაწილსაც ვეძებთ) ფიზიკურ იდენტიფიკაციაზე და ადგილმდებარეობაზე. შემადგენელი ნაწილის მაგალითებია თავი წიგნში, სტატია ჟურნალში და ა.შ.

შემადგენელი ერთეული

ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეული, რომელიც წარმოადგენს სხვა ერთეულის ნაწილს. შემადგენელი ერთეული ფიზიკურად არის განცალკევებული იმ ერთეულისგან, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის.

მასპინძელი ერთეული

ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეული, რომელიც ფიზიკურად შეიცავს შემადგენელ ნაწილს, აღწერილს სამიზნე ერთეულის ჩანაწერში (მაგალითად წიგნი, რომელიც შეიცავს აღწერილ თავს, ჟურნალი, რომელშიც არის გამოქვეყნებული აღწერილი სტატია).

ქრონოლოგიური ურთიერთკავშირი

ურთიერთკავშირი დროში ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეულებს შორის (მაგ., სერიალური გამოცემის კავშირი მის წინამორბედთან და მემკვიდრესთან).

ჰორიზონტალური ურთიერთკავშირი

ურთიერთკავშირი ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეულის სხვადასხვა ვერსიებს შორის, რომლებიც განსხვავდებიან ენით, ფორმატით, ინფორმაციის მატარებლით და ა.შ.

ვერტიკალური ურთიერთკავშირი

მთელის იერარქიული ურთიერთკავშირი მის ნაწილებთან ან ნაწილებისა მთელთან (მაგ., ურთიერთკავშირი სტატიისა ჟურნალთან, რომელშიც ის გამოქვეყნდა; კონფერენციის შრომების კოლექტიური სათაურისა მასში შესული ცალკეული ნაშრომის სათაურთან; ქვესერიისა და მთავარი სერიისა, რომელსაც ქვესერია განეკუთვნება).

ჩანაწერის ბმულები და შენიშვნები

მზემელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველები (ველები 760-787)

ეს ველები შეიცავს აღწერილობით მონაცემებს, რომლებიც ეხება დაკავშირებულ ერთეულს, დაკავშირებული ერთეულის ჩანაწერის საკონტროლო ნომერს ან ორივეს

ერთად. შინაარსის მინიმალური აღნიშვნა მოცემულია მონაცემებისთვის, რომლებიც ეხება მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველებში გამოყენებულ დაკავშირებულ ერთეულს. მონაცემებზე ისეთი ოპერაციებისთვის, რომლებიც მოითხოვენ შინაარსის უფრო სრულ აღნიშვნას, როგორცაა ინდექსირება და სორტირება, ქვეველი $\neq w$ (ჩანაწერის საკონტროლო ნომერი დაკავშირებული ერთეულისთვის) საშუალებას აძლევს სისტემას, რომ გაჰყვეს ამ ბმულს დაკავშირებულ ჩანაწერთან შინაარსის აღმნიშვნელებიანი სრული მონაცემების მისაღებად. გარდა ამისა, საკონტროლო $\neq 7$ ქვეველის კოდირებული მონაცემები ზოგიერთი ტიპის ინდექსირების საშუალებას იძლევა ფაქტობრივად დაკავშირებულ ჩანაწერთან მიმართვის გარეშე.

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სირთულის შენიშვნა (580-ე ველი)

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველები იმისთვის არის შექმნილი, რომ ხელი შეუწყოს შენიშვნის გენერირებას დაკავშირებული ერთეულის შესახებ სამიზნე ერთეულის ჩანაწერში მისი დისპლეიზე გამოტანის დროს. როდესაც გამოსახულება მეტისმეტად რთულია იმისთვის, რომ შეიძლებოდეს მისი წარმოდგენა დისპლეის კონსტანტისა და მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველებიდან ან ბმული ჩანაწერიდან აღებული მონაცემების გამოყენებით, მაშინ შენიშვნა ჩაიწერება მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის სირთულის შენიშვნის ველში. როდესაც ეს ველი გამოყენებულია, მაშინ ის გამოჩნდება მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ყოველ შესაბამის ველთან. მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველების პირველი ინდიკატორის პოზიციის მნიშვნელობა განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იყოს გენერირებული შენიშვნა მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველიდან ანუ 580-ე ველიდან.

მიბმული ჩანაწერის მოთხოვნილება (ლიდერი/19)

მონაცემთა ეს ელემენტი მიუთითებს, არის თუ არა მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველში არსებული ინფორმაცია საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ვიზუალურად წაკითხვადი შენიშვნის გენერირება, რომლითაც ხდება დაკავშირებული ერთეულის იდენტიფიცირება, თუ იქ ჩაწერილია მხოლოდ დაკავშირებული ჩანაწერის ნომერი. თუ მხოლოდ ჩანაწერის ნომერი გამოჩნდა, მაშინ სისტემას სჭირდება შესაბამისი ინფორმაციის მიღება დაკავშირებული ჩანაწერიდან იმისათვის, რომ შეადგინოს სტანდარტული გამოსახულება დისპლეიზე გამოსატანად.

დისპლეიზე გამოტანის მიზნით, შემდეგი ქვეველები ან ქვეველების კომბინაციაა საკმარისი:

ქვეველი $\neq a$ + ქვეველი $\neq t$ ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური + სათაური

ქვეველი $\neq a$ + ქვეველი $\neq s$ ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური + უნიფიცირებული

სათაური

ქვეველი $\neq t$

სათაური

ქვეველი $\neq u$

ტექნიკური ანგარიშის სტანდარტული ნომერი

ქვეველი $\neq r$

ანგარიშის ნომერი

დამატებით ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერთა თავსათურები (ველები 700-730)

როდესაც საჭიროა დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენა მბმელ ველში გამოყენებულ სათაურზე, მაშინ დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათური ჩაიწერება 700-730 ველებიდან შესაბამის ველში. დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების თავსათურების შეცვლა ზმელი ველების დანიშნულება არაა. ისევე როგორც 700-730 ველში ჩაწერილი დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათური არ ცვლის მბმელ ველს, ასევე მას არ შეუძლია გამოიწვიოს შენიშვნის გენერირება ან შეასრულოს ჩანაწერთა მიბმა.

შემადგენელი ნაწილები/შემადგენელი ერთეულები

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველი 773 (მასპინძელი ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) გამოიყენება იმ შემადგენელი ნაწილის შესახებ ჩანაწერის, სხვა აღწერის ერთეულის ჩანაწერთან მისაბმელად, რომელიც სხვა აღწერის ერთეულის ინტეგრალური ნაწილია. მაგალითად, საჟურნალო სტატიების ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში ველი 773 შეიცავს ამ ჟურნალის იდენტიფიკაციას. მოცემული სტატიის ზუსტი მდებარეობა მოცემულ ჟურნალში ჩაიწერება 773 ველის #გ ქვეველში. მასპინძელი აღწერის ერთეულის ან ნებისმიერი უფრო დიდი ბიბლიოგრაფიული აღწერის ერთეულის ჩანაწერი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას შემადგენელი ნაწილების/ერთეულების შესახებ, რომელიც ჩაიწერება განმეორებად 774-ე ველში (შემადგენელი ერთეულის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი). ინფორმაცია ყოველი შემადგენელი ერთეულის შესახებ უნდა იყოს ჩაწერილი ცალკე, 774-ე ველის შესაბამის განმეორებაში.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი - შენიშვნის კონტროლერი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს, იყოს თუ არა დისპლეიზე გამოსატანი შენიშვნა გენერირებული ამ ველიდან.

0 - შენიშვნა გამოდის დისპლეიზე

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ შენიშვნა უნდა იყოს გენერირებული მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველის მონაცემებიდან (ან ამ ველში იდენტიფიცირებული დაკავშირებული ჩანაწერიდან).

780 00 #tAmerican journal of religious psychology and education

1 შენიშვნა არ გამოდის დისპლეიზე

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ შენიშვნა არ უნდა იყოს გენერირებული მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველის მონაცემებიდან (ან ამ ველში იდენტიფიცირებული დაკავშირებული ჩანაწერიდან). მნიშვნელობა 1 გამოიყენება მაშინ, როდესაც მბმელ ველთან დაკავშირებული დისპლეის კონსტანტა ადეკვატურად არ აღწერს ურთიერთკავშირს. ამ შემთხვევაში დისპლეიზე გამოსატანი შენიშვნა ჩაიწერება 580-ე ველში. 760-787 ველები შეივსება კომპიუტერული მიზმის უზრუნველსაყოფად, ხოლო 580-ე ველი გამოიყენება დისპლეიზე გამოსატანად.

მეორე ინდიკატორი - დისპლეის კონსტანტის კონტროლერი [ყველა, გარდა 780 და 785 ველებისა]

მეორე ინდიკატორის პოზიცია გამოიყენება მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის 760-777 და 786-787 ველების მონაცემების წინ გამოსატანი დისპლეის კონსტანტების საკონტროლოდ. დასაბეჭდი კონსტანტებისთვის იხილე მეორე ინდიკატორის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ყოველი ველის სექციებში.

მეორე ინდიკატორი - ურთიერთკავშირის ტიპი [780 და 785 ველები]

მეორე ინდიკატორის პოზიცია გამოიყენება ურთიერთკავშირის ტიპის იდენტიფიცირებისთვის მხოლოდ 780-ე და 785-ე ველებში. იხილე მათი აღწერა 780-ე ველისა (წინა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) და 785-ე ველის (მომდევნო ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი) შესაბამის სექციებში. ამ ველებისთვის დისპლეის კონსტანტები განსაზღვრულია შეტანის შეთანხმებებში.

ქვეველების კოდები

როგორც საერთო წესი, მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველებისთვის განსაზღვრული ყოველი ქვეველი შეესაბამება ველს ან ველების ბლოკს, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული დაკავშირებული ერთეულის აღსაწერად ცალკე ჩანაწერში. დაკავშირებული ერთეულისთვის ცალკე ბიბლიოგრაფიული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შეიძლება ან არსებობდეს ან არა. მაგალითად, ქვეველი #a (ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური) შეესაბამება 1XX (ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების) ბლოკს; ქვეველი #t (სათაური) შეესაბამება 245-ე ველს (ცნობები სათაურის შესახებ) და ა.შ. მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველებში მონაცემების ფორმულირებისთვის გამოყენებული წესები და მიღებული პრაქტიკა, ჩვეულებრივ, ისეთივეა, როგორც დაკავშირებული ერთეულის შესახებ მონაცემების ფორმულირებისთვის ცალკე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში, იმის გამოკლებით, რომ იქ ინფორმაცია არ არის საჭირო იყოს ისეთივე სრული. ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის სისრულე დაკავშირებული ერთეულის შესახებ, ჩაწერილი მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ველებში, დამოკიდებულია ამ ბმულების შესაძლო გამოყენებაზე. როდესაც დაკავშირებული ერთეული წარმოდგენილია ცალკე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერით, საკმარისია ჩაიწეროს მხოლოდ ძირითადი ბიბლიოგრაფიული მონაცემები (მაგ., სათაური და ურთიერთკავშირის ინფორმაცია).

≠a - ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაური

ქვეველი ≠a შეიცავს ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაურის მონაცემებს (შინაარსის აღმნიშვნელების გარეშე) მე-100 ველიდან (ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – პერსონალური სახელი), 110-ე ველიდან (ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ორგანიზაციის სახელი), ან 111-ე ველიდან (ძირითადი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი – შეხვედრის სახელი) დაკავშირებულ ჩანაწერში. სახელის ან უნიფიცირებული სათაურის ინდივიდუალური კომპონენტები არ ჩაიწერება ცალკე ქვეველებში, როგორც ამას ადგილი აქვს 1XX ველებში.

დაკავშირებული ჩანაწერი: 100 1≠aMellor, Alec.

245 10 ≠aStrange masonic stories

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი: 775 0≠aMellor, Alec. ≠tStrange masonic stories≠eng

≠b - გამოცემა

ქვეველი ≠b შეიცავს გამოცემის სახელს დაკავშირებული ჩანაწერის 250-ე ველიდან (ცნობები გამოცემის შესახებ).

დაკავშირებული ჩანაწერი: 245 04 ≠aThe Wall Street journal.

250 ≠b ≠aSouthwest ed.

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი: 775 0≠aWall Street journal ≠bSouthwest ed.

≠c - მაკვალიფიცირებელი ინფორმაცია [ყველა, გარდა 773-სა]

ქვეველი ≠c შეიცავს მონაცემებს, რომელიც საჭიროა ორ სათაურს შორის განსხვავების დასამყარებლად. ეს ინფორმაცია, საზოგადოდ, კატალოგიზატორის მიერ არის მოწოდებული და ისმება მრგვალ ფრჩხილებში. AACR2-მდე შექმნილ ჩანაწერებში სერიალური გამოცემებისთვის ქვეველი ≠c შეიცავს ინფორმაციას, რომელიც, ჩვეულებრივ, აღებულია 222-ე ველის (საკვანძო სათაური) ≠b ქვეველიდან (მაკვალიფიცირებელი ინფორმაცია).

≠d - ადგილი, გამომცემელი და გამოცემის თარიღი

ქვეველი ≠d შეიცავს ინფორმაციას დაკავშირებული ერთეულის გამოცემის შესახებ, რომელიც აღებულია 260-ე ველის (გამოქვეყნება, გავრცელება და ა.შ. (გამოსასვლელი მონაცემები)) ≠a, ≠b და ≠c ქვეველებიდან.

≠e - ენის კოდი [775 მხოლოდ]

ქვეველი ≠e შეიცავს დაკავშირებული ჩანაწერის ენის კოდს 008/35-37 ველიდან.

დაკავშირებული ჩანაწერი: 008/35-37 fre

მბმელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი: 775 1≠aDiscours du budget ≠efre

≠f - ქვეყნის კოდი [775 მხოლოდ]

ქვეველი ≠f შეიცავს დაკავშირებული ჩანაწერის ქვეყნის კოდს 008/15-17 ველიდან (გამოქვეყნების, წარმოების ან შესრულების ადგილი).

≠g - ურთიერთკავშირის ინფორმაცია

ქვეველი ≠g შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც მიუთითებს დაკავშირებული ერთეულის სპეციფიკურ ნაწილზე ან ნაწილებზე და რომლებიც იმყოფებიან ურთიერთკავშირში სამიზნე ერთეულთან, როგორცაა თარიღი და ტომის ნომერი. ურთიერთკავშირის ინფორმაციაში შედის სამიზნე ერთეულის შემადგენელი ნაწილის მდებარეობა.

772 1≠ ≠tDevelopmental biology ≠x0012-1606 ≠g1972-1974

773 0≠ ≠tHorizon ≠gVol. 17, no. 98 (Feb. 1948), p. 78-159

≠h - ფიზიკური აღწერილობა

ქვეველი ≠h შეიცავს დაკავშირებული ერთეულის ფიზიკურ აღწერილობას.

≠i - დისპლეის ტექსტი

ქვეველი ≠i შეიცავს ტექსტს, რომელიც გამოტანილი უნდა იყოს დისპლეიზე ამ მოცემულ ველში შემავალი სხვა მონაცემების წინ. ის გამოიყენება, როდესაც მეორე ინდიკატორის მნიშვნელობა არის 8 (დისპლეის კონსტანტის გენერირება არ ხდება), გარდა 780-ე და 785-ე ველებისა.

774 08 ≠iComponent item: ≠oNYDA. 1955.001.00024R ≠n[AVERYimage] ≠tMap of

Blithewood and Hudson River : No. 1 [and] No. 2. ≠mPencil drawing on paper ≠h25 x 19.8 cm. (9 3/4 x 7 3/4 in.). ≠nA.J. Davis no.2-2.

≠j - შინაარსის დროის პერიოდი [786 მხოლოდ]

ქვეველი ≠j შეიცავს დაკავშირებული ერთეულის შინაარსის საწყის და, თუ არსებობს, დამასრულებელ თარიღს. ეს ინფორმაცია უნდა ჩაიწეროს სტანდარტის “თარიღებისა და დროის წარმოდგენა” (ISO8601) მიხედვით. თარიღი მოითხოვს 8 ციფრულ სიმბოლოს შემდეგი შაბლონით: yyyyymmdd (4 სიმბოლო წელიწადისთვის, 2 სიმბოლო თვისათვის და 2-იც დღისთვის). დრო მოითხოვს 8 ციფრულ სიმბოლოს შემდეგი შაბლონით: hhmmss.f (2 სიმბოლო საათისთვის, 2 სიმბოლო წუთისთვის, 2 – წამისთვის და 2-იც წამის ათობითი წილადისთვის ათობითი წერტილის ჩათვლით). გამოყენებული 24-საათიანი (00-23) დრო. შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ იქნა განსაზღვრული შინაარსის ინფორმაციის დროის პერიოდი, ჩაიწერება აგრეთვე ამ ქვეველში.

≠k - სერია [ყველა 760-სა და 762-ის გარდა]

ქვეველი ≠k შეიცავს დაკავშირებული ჩანაწერის სერიის აღწერილობას, რომელიც აღებულია ველებიდან: 4XX (ცნობები სერიის შესახებ) ან 8XX (სერიის დამატებითი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი). შენიშვნა: მრგვალი ფრჩხილები, რომლებშიც ისმება ცნობები სერიის შესახებ, არ შეიტანება MARC ჩანაწერში. მათი გენერირება ხდება სისტემის მიერ, როგორც დისპლეის კონსტანტისა, რომელიც დაკავშირებულია ≠k ქვეველის არსებობასთან.

≠m - მასალის დამახასიათებელი დეტალები

ქვეველი ≠m შეიცავს მასალის დამახასიათებელ ინფორმაციას (მაგ., რუკებისთვის შეიცავს ინფორმაციას დაკავშირებული აღწერის ერთეულის მათემტიკური მონაცემების შესახებ).

≠n - შენიშვნა

ქვეველი ≠n შეიცავს შენიშვნას აღსაწერ ბიბლიოგრაფიულ ერთეულთან დაკავშირებული ერთეულის შესახებ.

≠o - აღსაწერი ერთეულის სხვა იდენტიფიკატორი

ქვეველი ≠o შეიცავს რიცხვებს, კოდებს და ა.შ., რომლებიც გამოყენებულია აღწერის ერთეულის საიდენტიფიკაციოდ და არ განეკუთვნება რომელიმე სხვა სპეციფიკურ ქვეველს (მაგ., ქვეველს ≠z(ISBN)). ასეთი რიცხვის ან კოდის მაგალითია აღწერის ერთეულის შენახვის შიფრი.

774 00 ≠oNYDA. 1993.010.00132 ≠n[DIAPimage]. ≠tView SE from Mill Brook Houses on rooftop on Cypress Ave. between 136th St. and 137th St., ≠d93/05

≠p - შემოკლებული სათაური [მხოლოდ 773 და 786]

ქვეველი ≠p შეიცავს დაკავშირებული ჩანაწერის შემოკლებულ სათურს 210-ე ველიდან (შემოკლებული სათაური).

ქვეველი #f შეიცავს ორ ან სამ სიმბოლოიან კოდს, რომლის საშუალებით ხდება აღწერის ერთეულის იმ სპეციფიკური გამოშვებების იდენტიფიცირება, რომლებიც განთავსებულია მოცემული აღწერის ერთეულის მთავარი საცავისგან განსხვავებულ ადგილას. ორ სიმბოლოიანი ანბანური კოდი შედგენილია კვალიფიკატორის ტიპის და ერთეულის ტიპის კოდებისგან; სამ სიმბოლოიანი კოდი შედგება კვალიფიკატორის ტიპის, ერთეულების რიცხვის და ერთეულის ტიპის კოდებისგან. თუ ადგილმდებარეობის კვალიფიკატორის გამოსახვა კოდირებული სახით შეუძლებელია, მაშინ მისი აღწერა შეიძლება #g ქვეველში (ადგილმდებარეობის არაკოდირებული კვალიფიკატორი).

კვალიფიკატორის ტიპი ერთეულების რიცხვი ერთეულის ტიპი

l - ყველაზე ბოლო

1-9

დრო

ნაწილი

p - წინა

m - თვე(ები)

e - გამოცემა(ნი)

w - კვირა(ნი)

i - გამოშვება(ნი)

y - წელი(წლები)

s -

დამატება(ნი)

l, p - კვალიფიკატორის ტიპი

ერთსიმბოლოიანი ანბანური კოდი, რომელიც მიუთითებს, რომ აღწერის ერთეულის ნაწილი ბოლოს თუ წინარეც განთავსებული იყო განსხვავებულ ადგილზე.

l – ყველაზე ბოლო

კოდი l მიუთითებს, რომ აღწერის ერთეულის ნაწილი ბოლოჯერ, ახლანდელი დროის ჩათვლით, იყო განთავსებული განსხვავებულ ადგილზე.

p – წინა

კოდი p მიუთითებს, რომ აღწერის ერთეულის ნაწილი წინაჯერ, ახლანდელი დროის ჩათვლელად, იყო განთავსებული განსხვავებულ ადგილზე.

1-9 – ერთეულების რიცხვი

ერთსიმბოლოიანი რიცხვი (1-9), რომელიც განსაზღვრავს განსხვავებულ ადგილზე განთავსებულ აღწერის ერთეულის ნაწილების ან ჯერადობის რაოდენობას. როდესაც ერთეულების რიცხვი არ არის საჭირო სპეციფიკური ერთეულების ინდენტიფიცირებისთვის, მაშინ ერთეულების რიცხვი შეიძლება იყოს გამოიტოვებული. როდესაც ერთეულის ნაწილების ან ჯერადობის რაოდენობა 9-ზე მეტია, ადგილმდებარეობის კვალიფიკატორის ინფორმაცია შეიძლება მოთავსდეს #g ქვეველში (ადგილმდებარეობის არაკოდირებული კვალიფიკატორი). როდესაც კვალიფიკატორის ტიპი არის “ყველაზე ბოლო” (კოდი l), მაშინ ეს რაოდენობა შეიცავს ერთეულის მიმდინარე ნაწილს ან ჯერადობას. როდესაც კვალიფიკატორის ტიპი არის “წინა” (კოდი p), მაშინ ამ რაოდენობაში არ შედის ერთეულის მიმდინარე ნაწილი ან ჯერადობა.

m, w, y, e, l, s – ერთეულის ტიპი

ერთსიმბოლოიანი ანბანური კოდი აღწერს ერთეულის განსხვავებულ ადგილას განთავსებას ან პერიოდულობას, ან ნაწილს.

852 01 #aDLC #MRR Ref #fl2y

[აღწერის ერთეული განთავსებულია კონგრესის ბიბლიოთეკაში სერიალური გამოცემების განყოფილებაში, გარდა ბოლო ორი წლისა, ეს ნაწილები კი განთავსებულია მთავარი სამკითხველო დარბაზის საცნობარო ფონდში.]

852 00 #a<location identifier> #bRef. #fle

[მხოლოდ ბოლო გამოცემაა დაცული საცნობარო განყოფილებაში.]

#g - ადგილმდებარეობის არაკოდირებული კვალიფიკატორი

ქვეველი #g შეიცავს ტექსტურ აღწერას, რომლითაც ხდება იმ აღწერის ერთეულის ნაწილების იდენტიფიცირება, რომლებიც განთავსებულია მთავარი საცავისგან განსხვავებულ ადგილას და ადგილმდებარეობის კვალიფიკატორის გამოსახვა კოდირებული ფორმით #f ქვეველში (ადგილმდებარეობის კოდირებული კვალიფიკატორი) შეუძლებელია.

852 81 #a<location identifier> #bRef #gholographic issue

[მხოლოდ ეს სპეციალური გამოშვებაა განთავსებული საცნობარო განყოფილებაში.]

#h - საკლასიფიკაციო ნაწილი

ქვეველი #h შეიცავს შენახვის ერთეულების შენახვის შიფრის (თაროებზე განლაგების მოცემული სქემით) საკლასიფიკაციო ნაწილს. კატერი, თარიღი ან

ტერმინი, დამატებული საკლასიფიკაციო ნაწილთან ერთი და იმავე საკლასიფიკაციო ნაწილის მქონე სხვადასხვა შენახვის ერთეულების განსახვავებლად ერთმანეთისაგან ჩაიწერება #k ქვეველში (შენახვის შიფრის პრეფიქსი).

852 00 #a<location identifier> #hQE653 #i.H59

852 08 #a<location identifier> #hFic #iAdams

#i - ერთეულის ნაწილი

ქვეველი #i შეიცავს კატერს, თარიღს ან ტერმინს, დამატებულს #h ქვეველში (საკლასიფიკაციო ნაწილი) ჩაწერილ საკლასიფიკაციო ინდექსთან იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ერთი და იმავე საკლასიფიკაციო ნაწილის მქონე სხვადასხვა შენახვის ერთეულების განსახვავება ერთმანეთისაგან. შენახვის შიფრის სუფიქსი თავსთდება #m ქვეველში (შენახვის შიფრის სუფიქსი).

852 81 #aFrPALP #hPer #iREF

[საცნობარო პერიოდული გამოცემები განლაგებულია თაროზე ყველა ერთად, კლასიფიკაციის გარეშე.]

852 80 #a<location identifier> #hM #iSi55

[ბიბლიოთეკაში გამოყენებული აქვთ საკუთარი კლასიფიკაცია, სადაც დეტექტივები განლაგებულია თაროზე ყველა ერთად კატერის საავტორო ნიშნის მიხედვით.]

#j - თაროებზე განლაგების საკონტროლო ნომერი

ქვეველი #j შეიცავს თაროებზე განლაგების საკონტროლო ნომერს, რომელიც გამოიყენება როგორც აღწერის ერთეულების თაროებზე განლაგების სქემა. პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობა 4-ს (თაროებზე განლაგების საკონტროლო ნომერი).

852 4# #aDLC #bMicRR #jMicrofilm 82/528 MicRR

#k - შენახვის შიფრის პრეფიქსი

ქვეველი #k შეიცავს ტერმინს, რომელიც წინ უძღვის შენახვის შიფრს. #k ქვეველის შეტანა ხდება #h ქვეველის (საკლასიფიკაციო ნაწილი) და #i ქვეველის (ერთეულის ნაწილი) წინ.

852 01 #aViBibV #bMain Lib #bMRR #kRef #hHF5531.A1 #iN4273

#l - თაროზე განლაგების სათაურის ფორმა

ქვეველი #l შეიცავს იმ სათაურს, რომლის მიხედვითაც ხდება აღწერის ერთეულის განლაგება თაროზე. პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობა 5-ს (სათაური).

852 51 #a<location identifier> #b0108 #lNYT MAG

#m - შენახვის შიფრის სუფიქსი

ქვეველი #m შეიცავს ტერმინს, რომელიც მოსდევს შენახვის შიფრს. #m ქვეველის შეტანა ხდება #h ქვეველის (საკლასიფიკაციო ნაწილი) და #i ქვეველის (ერთეულის ნაწილი) შემდეგ.

852 ხხ #aDLC #bc-G&M #hG3820 1687 #i.H62 #mVault

#n - ქვეყნის კოდი

ქვეველი #n შეიცავს ქვეყნის ორ ან სამ სიმბოლოიან MARC კოდს #a ქვეველში (ადგილმდებარეობა) მოცემულ მთავარ ადგილმდებარეობისთვის. MARC კოდების წყაროს წარმოადგენს “ქვეყნების MARC კოდების ნუსხა”, რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა.

852 81 #aFrPALP #bAnnex #ccenter shelves #e10, rue du Général Camou #e75007 Paris #nfr

#p - შენახვის ერთეულის აღნიშვნა

ქვეველი #p შეიცავს ცალკეული შენახვის ერთეულის იდენტიფიკაციას, როდესაც 863-865 ველები (ნუმერაცია და ქრონოლოგია) არ შეიცავს იმ ინფორმაციას ფონდის შესახებ, რომელიც შედის #p ქვეველში (შენახვის ერთეულის აღნიშვნა). ეს აღნიშვნა შეიძლება იყოს ბარ-კოდის რიცხვი ან საინვენტარო ნომერი.

852 81 #a<location identifier> #b0131 #p1100064014

შენახვის ერთეულის აღნიშვნელ ნომერს შეიძლება წინ უძღოდეს დიდი ასოები B ან U იმის აღსანიშნავად, აკინძულია თუ არა შენახვის ერთეული. როდესაც შენახვის ერთეულის აღნიშვნა არ არსებობს, ორმაგი დახრილი ხაზი (//) შეიძლება იყოს ჩაწერილი #p ქვეველში იმის აღსანიშნავად, რომ ეს ველი განეკუთვნება შენახვის ერთეულს.

#q - შენახვის ერთეულის ფიზიკური მდგომარეობა

ქვეველი #q შეიცავს შენახვის ერთეულის ფიზიკური მდგომარეობის ნებისმიერ უჩვეულო დახასიათებას, როდესაც 863-865 ველები (ნუმერაცია და ქრონოლოგია) არ შეიცავს იმ ინფორმაციას ფონდის შესახებ, რომელიც შედის #q ქვეველში (შენახვის ერთეულის ფიზიკური მდგომარეობა). როდესაც ნუმერაციისა და ქრონოლოგიის ველები არსებობს ჩანაწერში, მაშინ შენახვის ერთეულის ფიზიკური მდგომარეობა შეიძლება ჩაიწეროს 863-865 ველების #q ქვეველში.

ქვეველი #q არ შეიცავს ინფორმაციას შენახვის ერთეულის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, თუკი ეს ინფორმაცია მიღებულია შენახვის ერთეულის დაცვისთვის განხორციელებული შესწავლის შედეგად. დაცვისთვის საჭირო გადაწყვეტილებანი ჩაიწერება 583-ე ველში (მოქმედების შენიშვნა).

852 ხხ #a<location identifier> #bMain #coversize shelving #qchild's graffiti on end papers

#s - სტატიის კოპირაიტის საფასურის კოდი

ქვეველი #s შეიცავს სტატიის კოპირაიტის საფასურის კოდს. სტატიის კოპირაიტის საფასურის კოდის აღწერა მოცემულია 018 ველში (სტატიის კოპირაიტის საფასურის კოდი).

≠t - ეგზემპლარის ნომერი

ქვეველი ≠t შეიცავს ეგზემპლარის ნომერს ან ეგზემპლარების ნომრების რიგს, რომელთაც აქვს ერთი და იგივე ადგილმდებარეობა და შენახვის შიფრი, როდესაც ინფორმაცია ფონდის შესახებ არ შეიცავს 863-865 ველებს (ნუმერაცია და ქრონოლოგია), სადაც არსებობს ქვეველი ≠t (ეგზემპლარის ნომერი). როდესაც ნუმერაციისა და ქრონოლოგიის ველები არსებობს ჩანაწერში, მაშინ ეგზემპლარის ნომერი ჩაიწერება 863-865 ველების ≠t ქვეველში.

852 0b ≠a<location identifier> ≠bMain ≠t1 ≠hPZ7.D684 ≠iA1 1979

852 4b ≠a<location identifier> ≠bMain ≠t2-3 ≠jMic77-3276

თუ ეგზემპლარების ნუმერაციის მიმდევრობაში არსებობს წყვეტა, მაშინ ნომრების თითოეული კონა ჩაიწერება ცალკე 852-ე ველის გამეორებებში. 852-ე ველის გამეორებები გამოიყენება აგრეთვე ყოველი ქვეადგილმდებარეობისთვის, როდესაც ერთი ეგზემპლარის ნაწილები განთავსებულია სხვადასხვა ადგილებში.

852 5b ≠3v. 1-6 ≠a<location identifier> ≠bScience Library ≠t1

852 5b ≠3v. 7-11 ≠a<location identifier> ≠bEngineering Library ≠t1

ქვეველი ≠t შეიცავს ეგზემპლარის ნომერს და არა დაცული ეგზემპლარების რაოდენობას. დაცული ეგზემპლარების რაოდენობა შეიტანება MARC21 ფონდების ფორმატის 008/17-19 ველში (ეგზემპლარების გამოცხადებული რაოდენობა).

≠x - არასაჯარო შენიშვნა

ქვეველი ≠x შეიცავს შენიშვნას ამ ველში იდენტიფიცირებული აღწერის ერთეული ადგილმდებარეობის შესახებ. ეს შენიშვნა არ არის დაწერილი იმ სახით, რომ მისი საჯაროდ გამოტანა იყოს ადექვატური. საჯაროდ გამოსატანი შენიშვნა შეიტანება ≠z ქვეველში (საჯარო შენიშვნა).

852 5b ≠aMN ≠cCurrent issues in R.R. ≠x1-54 on order in Microfiche

852 81 ≠a<location identifier> ≠hM ≠iS:55 ≠p1100064014 ≠xaccession no.: 90/8470

[ჩაწერილია ორივე: ბარ_კოდი და საინვენტარო ნომერი.]

≠z - საჯარო შენიშვნა

ქვეველი ≠z შეიცავს შენიშვნას ამ ველში იდენტიფიცირებული აღწერის ერთეული ადგილმდებარეობის შესახებ. ეს შენიშვნა არის დაწერილი იმ სახით, რომ მისი საჯაროდ გამოტანა ადექვატურია. შენიშვნა, რიმელიც არ გამოიტანება საჯაროდ, შეიტანება ≠x ქვეველში (არასაჯარო შენიშვნა).

852 01 ≠aDLC ≠bSer Div ≠hA123 ≠i.B456 ≠zSigned by author

≠2 - კლასიფიკაციის ან თაროებზე განლაგების სქემის წყარო

ქვეველი ≠2 შეიცავს MARC კოდს, რომელიც განსაზღვრავს წყაროს, საიდანაც არის აღებული მოცემული კლასიფიკაცია ან თაროებზე განლაგების სქემა. ის გამოიყენება

მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობა 7-ს (წყარო განსაზღვრული #2 ქვეველში). MARC კოდების წყაროს წარმოადგენს “MARC კოდების ნუსხა დამაკავშირებლებისთვის, წყაროებისთვის, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შეთანხმებებისთვის”, რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა.

#3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი #3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

852 ხ0 #3Correspondence #a<location identifier> #bManuscript Division

#6 - მიბმა

#8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

შეტანის შეთანხმებები

ქვეველების თანამიმდევრობა – როდესაც გამოყენებულია ქვეველი #f (ადგილმდებარეობის კოდირებული კვალიფიკატორი) ან ქვეველი #g (ადგილმდებარეობის არაკოდირებული კვალიფიკატორი), ისინი უშუალოდ მოსდევს ან #a ქვეველს (ადგილმდებარეობა), ან #b ქვეველს (ქვედანაყოფი ან კოლექცია) ან #c ქვეველს (მდებარეობა თაროზე), რომლებიც უკვე განსაზღვრულია. ქვეველი #3 (განსაზღვრული მასალები), როდესაც იგი გამოყენებულია¹, ყოველთვის პირველი ქვეველია ველში.

ფონდების შესახებ ჩართული ინფორმაცია – როდესაც ინფორმაცია ფონდების შესახებ ჩართულია MARC ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში, რამდენიმე 852-ე ველი შეიძლება იყოს გამოყენებული მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ინფორმაცია არ შეიცავს ინფორმაციას სხვა ფონდების შესახებ, რომელიც სიცხადის მიზნით, მიბმული უნდა იყოს სპეციფიკურ 852-ე ველთან. როდესაც საჭიროა ველების მიბმა, ერთი 852-ე ველი და მასთან დაკავშირებული სხვა ველები შეიძლება იყოს ჩართული მოცემულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში. ფონდების შესახებ ცალკე ჩანაწერები უნდა იყოს გაკეთებული ყოველი სხვა 852-ე ველებისთვის და მათთან დაკავშირებული ველებისთვის.

კაპიტალიზაცია - კვალიფიკატორის ტიპი და ერთეულის ტიპი #f ქვეველში შეიტანება პატარა ასოებით.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

#k შენახვის შიფრის პრეფიქსი

#m შენახვის შიფრის სუფიქსი

1990 წელს განსაზღვრული იყო ქვეველი $\neq m$ სუფიქსის მონაცემებისთვის, ხოლო ქვეველი $\neq k$ (შენახვის შიფრის პრეფიქსი/სუფიქსი) თავიდან იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ მასში შესულიყო მხოლოდ პრეფიქსის მონაცემები. ამ ცვლილებამდე ორივე - პრეფიქსიც და სუფიქსიც თავსთდებოდა განმეორებად $\neq k$ ქვეველში.

$\neq x$ არასაჯარო შენიშვნა

$\neq z$ საჯარო შენიშვნა

1987 წელს განსაზღვრული იყო ქვეველი $\neq x$ არასაჯარო შენიშვნებისთვის, ხოლო ქვეველი $\neq z$ (შენიშვნა) თავიდან იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ მასში შესულიყო მხოლოდ საჯარო შენიშვნა. ამ ცვლილებამდე ორივე - საჯარო და არასაჯარო შენიშვნა, თავსთდებოდა $\neq z$ ქვეველში.

856 ელექტრონული ადგილმდებარეობა და წვდომა (R)

პირველი ინდიკატორი

წვდომის მეთოდი

\neq ინფორმაცია არ არის მოცემული

0 ელფოსტა (Email)

1 ეფტიპი (FTP)

2 დამორებული შესვლა (Telnet - ტელნეტი)

3 ნომრის აკრეფა (Dail-up)

4 ეიჩტიტიპი (HTTP)

7 მეთოდი განსაზღვრულია $\neq 2$ ქვეველში

მეორე ინდიკატორი

ურთიერთკავშირი

\neq ინფორმაცია არ არის მოცემული

0 რესურსი

1 რესურსის ვერსია

2 დაკავშირებული რესურსი

8 დისპლეის კონსტანტის გენერირება არ ხდება

ქვეველების კოდები

$\neq a$ ჰოსტის სახელი (R)

$\neq b$ წვდომის ნომერი (R)

$\neq c$ ინფორმაცია შეკუმშვის შესახებ (R)

$\neq d$ გზა (R)

$\neq f$ ელექტრონული სახელი (R)

$\neq h$ მოთხოვნილი პროცესორი (NR)

- ≠i ინსტრუქცია (R)
- ≠j ბიტები წამში (NR)
- ≠k პაროლი (NR)
- ≠l შესვლა ჩაწერით (NR)
- ≠m კონტაქტი წვდომის დასახმარებლად (R)
- ≠n ჰოსტის ადგილმდებარეობის სახელი (NR)
- ≠o ოპერაციული სისტემა (NR)
- ≠p პორტი (NR)
- ≠q ელექტრონული ფორმატის ტიპი (NR)
- ≠r დასაყენებელი პარამეტრები (R)
- ≠s ფაილის ზომა (R)
- ≠t ტერმილალის ემულაცია (R)
- ≠u რესურსის უნიფიცირებული იდენტიფიკატორი (R)
- ≠v ხელმისაწვდომობის საათები (R)
- ≠w ჩანაწერის საკონტროლო ნომერი (R)
- ≠x არასაჯარო შენიშვნა (R)
- ≠y ბმულის ტექსტი (R)
- ≠z საჯარო შენიშვნა (R)
- ≠2 წვდომის მეთოდი (NR)
- ≠3 განსაზღვრული მასალები (NR)
- ≠6 მიბმა (NR)
- ≠8 ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი (NR)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ელექტრონული რესურსის ადგილმდებარეობის დასადგენად და მასთან წვდომის განსახორციელებლად. ეს ველი შეიძლება იყოს გამოყენებული ინფორმაციის რესურსისთვის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში, როდესაც ეს რესურსი ან მისი ნაწილი ხელმისაწვდომია ელექტრონულად. გარდა ამისა, ის შეიძლება იყოს გამოყენებული ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში აღწერილი არაელექტრონული საინფორციო რესურსის ელექტრონული ვერსიის ან დაკავშირებული ელექტრონული რესურსის ადგილმდებარეობის განსაზღვრად და მასთან წვდომის დასამყარებლად. 856-ე ველი განმეორებადია, როდესაც ადგილმდებარეობის მონაცემთა ელემენტები ცვალებადია (URL-ი ≠u ქვეველში ან ქვეველებში ≠a, ≠b, ≠d, როდესაც ისინი არიან გამოყენებული). ეს ველი განმეორებადია აგრეთვე მაშინ, როდესაც წვდომის ერთზე მეტი მეთოდია გამოყენებული, ან აღწერის ერთეულის სხვადასხვა ნაწილებია ხელმისაწვდომი ელექტრონულად, ან სარკე საიტებია ჩაწერილი, ან სხვადასხვა URL-თან სხვადასხვა ფორმატები/რეზოლუციებია მითითებული, ან დაკავშირებული აღწერის ერთეულებია ჩაწერილი.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი - წვდომის მეთოდი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს წვდომის მეთოდს ელექტრონულ რესურსთან. თუ რესურსი ხელმისაწვდომია წვდომის ერთზე მეტი მეთოდის გამოყენებით, მაშინ ეს ველი განმეორებადია, სადაც თითოეულ განმეორებაში შესაბამისი წვდომის მეთოდის მონაცემებია ჩაწერილი. აქ განსაზღვრული მეთოდები წარმოადგენს TCP/IP-ის (Transmission Control Protocol/Internet Protocol – გადაცემების მართვის პროტოკოლი/ინტერნეტის პროტოკოლი) მთავარ პროტოკოლებს.

როდესაც #u ქვეველში იწერება URL-ი ეს მნიშვნელობა შეესაბამება წვდომის მეთოდს (URL-ის სქემას), რომელიც აგრეთვე წარმოადგენს პირველ ელემენტს URL-ის სტრიქონში.

h - ინფორმაცია არ არის მოცემული

მნიშვნელობა h მიუთითებს, რომ ინფორმაცია წვდომის მეთოდის შესახებ არ არის მოცემული. ეს მნიშვნელობა გამოიყენება, როდესაც #g ქვეველი შეიცავს URN-ს და #u ქვეველში URL-ი არ არის ჩაწერილი. როდესაც #u ქვეველი შეიცავს URL-ს და #g ქვეველიც არსებობს მასში ჩაწერილი URN-ით, მაშინ მოცემული უნდა იყოს ინდიკატორის მნიშვნელობა მოცემული URL-ის შესაბამისი წვდომის მეთოდისთვის.

856 h#gurn:doi:10.1000/100

0 - ელფოსტა (Email)

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ წვდომა ელექტრონულ რესურსთან ხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით (Email). წვდომის ეს მეთოდი შეიცავს ხელმოწერას ელექტრონულ ჟურნალზე ან ელექტრონულ ფორუმზე იმ პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომლის გამოყენება ნავარაუდევია ელექტრონული ფოსტის სისტემისთვის.

856 0#umailto:ejap@phil.Indiana.edu #iejap subscription

1 - ფტპ (FTP)

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ ელექტრონულ რესურსთან წვდომა წარმოებს ფაილების გადაცემის პროტოკოლით (FTP)

856 1#uftp://path.net/pub/docs/urn2urc.ps

2 - დაშორებული შესვლა (Telnet - ტელნეტი)

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ ელექტრონულ რესურსთან წვდომა წარმოებს დაშორებული შესვლის (Telnet - ტელნეტი) საშუალებით.

856 2#utelnet://pucc.Princeton.edu #nPrinceton University, Princeton, N.J.

3 - ნომრის აკრეფა (Dail-up)

მნიშვნელობა 3 მიუთითებს, რომ ელექტრონულ რესურსთან წვდომა წარმოებს ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზით ტელეფონის ნომრის აკრეფის საშუალებით (Dail-up). ამ ჩანაწერის ქვევლებში არსებული დამატებითი ინფორმაცია საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაამყაროს კავშირი მოცემულ რესურსთან.

856 3# #alocis.loc.gov #b140.147.254.3 #mlconline@loc.gov #t3270 #tline mode (e.g., vt100) #vM-F 6:00 a.m.-21:30 p.m. USA EST, Sat. 8:30-17:00 USA EST, Sun. 13:00-17:00 USA EST

4 - აშტიტიპი (HTTP)

მნიშვნელობა 4 მიუთითებს, რომ ელექტრონულ რესურსთან წვდომა წარმოებს ჰიპერტექსტის გადაცემის პროტოკოლის საშუალებით (HTTP).

856 40 #uhttp://jefferson.village.virginia.edu/pmc/contents.all.html

856 4# #uhttp://hdl.handle.net/loc.test/gotthome #gurn:hdl.loc.test/gotthome

7 - მეთოდი განსაზღვრული #2 ქვევლებში

მნიშვნელობა 7 მიუთითებს, რომ ელექტრონულ რესურსთან წვდომა წარმოებს მეთოდით, რომელიც განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილ მნიშვნელობებში მოყვანილი მეთოდებისგან და რომლისთვისაც საიდენტიფიკაციო კოდი მოცემულია #2 ქვევლებში (წვდომის მეთოდი).

856 7# #3b&w film copy neg. #ddag #f3d01926 #2file

მეორე ინდიკატორი - ურთიერთკავშირი

მეორე ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომლითაც ხდება ურთიერთკავშირის იდენტიფიცირება 856-ე ველში განსაზღვრული ადგილმდებარეობის ელექტრონულ რესურსსა და მთლიანად მოცემულ ჩანაწერში აღწერილ ერთეულს შორის. ქვეველი #3 გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის ჩასაწერად, თუ აღნიშნული ურთიერთკავშირი არ არის ურთიეთცალსახა.

ხ - ინფორმაცია არ არის მოცემული

მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ელექტრონულ რესურსსა და მოცემულ ჩანაწერში აღწერილ ბიბლიოგრაფიულ ერთეულს შორის ურთიერთკავშირი არ არის მოცემული.

0 - რესურსი

მნიშვნელობა 0 მიუთითებს, რომ 856-ე ველში მოცემული ელექტრონული ადგილმდებარეობა იგივეა, რაც მთელ ჩანაწერში აღწერილი რესურსის ადგილმდებარეობა. ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში წარმოდგენილი აღწერის ერთეული არის ელექტრონული რესურსი. თუ 856-ე ველში მოცემული მონაცემები განეკუთვნება მოცემულ ჩანაწერში წარმოდგენილი რესურსის შემადგენელ ერთეულს, მაშინ ქვეველი #3 გამოიყენება იმ ნაწილის განსაზღვრად, რომლისთვისაც არის ეს ველი ნახმარი. დისპლეის კონსტანტა “ელექტრონული რესურსი” შეიძლება იყოს გენერირებული.

245 10 #aProceedings of the Seminar on Cataloging Digital documents, October 12-14, 1994
#h[computer file] / #cUniversity of Virginia Library, Charlottesville, and the library of
Congress.

856 40 #uhttp://lcweb.loc.gov/catdir/semdigdocs/seminar.html

245 00 #aAnalyzing qualitative data / #cedited by Alan Bryman and Robert G. Burgess

856 40 #3Table of contents #uhttp://lcweb.loc.gov/catdir/toc/93-3471.html

1 - რესურსის ვერსია

მნიშვნელობა 1 მიუთითებს, რომ 856-ე ველში მოცემული ელექტრონული ადგილმდებარეობა ეკუთვნის ჩანაწერში აღწერილი რესურსის ელექტრონულ ვერსიას. ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში წარმოდგენილი აღწერის ერთეული არ არის ელექტრონული, მაგრამ მისი ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია. თუ 856-ე ველში მოცემული მონაცემები განეკუთვნება მოცემულ ჩანაწერში წარმოდგენილი რესურსის შემადგენელ ერთეულს, მაშინ ქვეველი #3 გამოიყენება იმ ნაწილის განსასაზღვრად, რომლისთვისაც არის ეს ველი ნახმარი. დისპლეის კონსტანტა “ელექტრონული ვერსია” შეიძლება იყოს გენერირებული.

245 00 #aAmerican quarterly.

856 41 #uhttp://muse.jhu.edu/journals/American%5Fquarterly/

2 - დაკავშირებული რესურსი

მნიშვნელობა 2 მიუთითებს, რომ 856-ე ველში მოცემული ელექტრონული ადგილმდებარეობა ეკუთვნის ელექტრონულ რესურსს, რომელიც დაკავშირებულია ჩანაწერში აღწერილ ბიბლიოგრაფიულ ერთეულთან. ამ შემთხვევაში ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში წარმოდგენილი აღწერის ერთეული არ არის ელექტრონული რესურსი. ქვეველი #3 შეიძლება იყოს გამოყენებული 856-ე ველში იდენტიფიცირებულ ელექტრონულ რესურსსა და მთელ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში წარმოდგენილ აღწერის ერთეულს შორის ურთიერთკავშირის შემდგომი დახასიათებისთვის. დისპლეის კონსტანტა “დაკავშირებული ელექტრონული რესურსი” შეიძლება იყოს გენერირებული.

245 00 #kPapers, #f1932-1970 #g(bulk 1932-1965)

856 42 #3Finding aid #uhttp://lcweb2.loc.gov/ammem/ead/Jackson.sgm

8 - დისპლეის კონსტანტის გენერირება არ ხდება

მნიშვნელობა 8 მიუთითებს, რომ არც ერთი დისპლეის კონსტანტა არ უნდა იყოს გენერირებული.

ქვეველების კოდები

#a - ჰოსტის სახელი

ქვეველი #a შეიცავს ელექტრონული ადგილმდებარეობის სრულად განსაზღვრულ დომენს (ჰოსტის სახელს). ის შეიცავს ქსელურ მისამართს, რომელიც მეორდება თუ მოცემულ ჰოსტს გააჩნია ერთზე მეტი მისამართი.

#b - წვდომის ნომერი

ქვეველი #b შეიცავს ჰოსტთან დაკავშირებულ წვდომის ნომერს. ის შეიძლება შეიცავდეს ინტერნეტის პროტოკოლის (IP) რიცხვით მისამართს, თუ ერთეული არის ინტერნეტის რესურსი, ან ტელეფონის ნომერს, თუ დაკავშირება ხდება ტელეფონის ნომრის აკრეფით სატელეფონო ხაზის გამოყენებით. ეს მონაცემები შეიძლება ხშირად იცვლებოდეს და შეიძლება მათი გენერირება ხდებოდეს სისტემის მიერ და არა სტატიკურად იყოს შენახული. თუ ველში შეტანილია მთელი შესაძლო ინფორმაცია, მაშინ ქვეველი #b შეიძლება იყოს განმეორებადი.

#c - ინფორმაცია შეკუმშვის შესახებ

ქვეველი #c შეიცავს ინფორმაციას ფაილის შეკუმშვის შესახებ. თუ შეკუმშული ფაილის გაშლისთვის სპეციალური პროგრამაა საჭირო, ეს აქ უნდა იყოს აღნიშნული. ეს ქვეველი განმეორებადია, თუ შეკუმშვის ორი პროგრამაა გამოყენებული, ამასთან თავდაპირველად ჩაიწერება ბოლოჯერ გამოყენებული შეკუმშვის პროგრამა.

#d - გზა

ქვეველი #d შეიცავს გზას, ლოგიკური დირექტორიებისა და ქვედირექტორიების სახელების რიგს, რომლებიც მიუთითებენ, თუ სად არის შენახული ფაილი. თვით ფაილის სახელი ჩაიწერება #f ქვეველში. ეს შეიძლება იყოს შემცვლელი გზა, რომელსაც მიჰყავს მომხმარებელი ჰოსტთან, სადაც ლოკატორის სარჩევში შენახულია სრული და ახალი ინფორმაცია წვდომის შესახებ.

#f - ელექტრონული სახელი

ქვეველი #f შეიცავს ფაილის ელექტრონულ სახელს იმ სახით, რომლითაც ის არის წარმოდგენილი დირექტორიაში/ქვედირექტორიაში, რომელიც მითითებულია #d ქვეველში და განლაგებულია #a ქვეველში იდენტიფიცირებულ ჰოსტში. ქვეველი #f შეიძლება იყოს განმეორებადი, თუ ერთი ლოგიკური ფაილი დაყოფილია ნაწილებად, რომლებიც შენახულია სხვადასხვა სახელებით. ამ შემთხვევაში ცალკეული ნაწილები უნდა შეადგენდეს ერთ ბიბლიოგრაფიულ ერთეულს. ყველა სხვა შემთხვევაში ფაილი, რომელიც შეიძლება მოძებნილი იყოს სხვადასხვა სახელებით შეიცავს 856-ე ველის განმეორებებს, სადაც თითოეული მათგანი შეესაბამება ელექტრონულ სახელს #f ქვეველში. ფაილის სახელი, მოხერხებულობის მიზნით, შეიძლება შეიცავდეს ჩანაცვლების სიმბოლოებს (მაგ., * ან ?). თუ საჭიროა, #z ქვეველი გამოიყენეთ ფაილის სახელის შედგენილობის ასახსნელად.

#h - მოთხოვნილი პროცესორი

ქვეველი #h შეიცავს მომხმარებლის სახელს ან მოთხოვნილი პროცესორის სახელს; საზოგადოდ ეს ის მონაცემებია, რომლებიც იწერება "ეტ" ნიშნის | @ | წინ ჰოსტის მისამართში.

#i - ინსტრუქცია

ქვეველი ≠i შეიცავს ინსტრუქციას ან ბრძანებას, რომელიც ესაჭიროება დამორებულ ჰოსტს მოთხოვნის დასამუშავებლად.

≠j - ბიტები წამში

ქვეველი ≠j შეიცავს მონაცემთა ბიტების უმცირეს და უდიდეს რიცხვს (ორობით ერთეულებში), რომელთა გადაცემა შეიძლება წამში ჰოსტთან დაკავშირების დროს. ბიტების რიცხვის წამში (BPS) სინტაქსი შემდეგია: <უმცირესი BPS>-<უდიდესი BPS>. თუ მოცემულია მხოლოდ უმცირესი, მაშინ: <უმცირესი BPS>- ; თუ მოცემულია მხოლოდ უდიდესი, მაშინ: -<უდიდესი BPS>.

≠k - პაროლი

ქვეველი ≠k შეიცავს პაროლს, რომელიც საჭიროა ელექტრონულ რესურსთან წვდომისთვის. FTP საიტი შეიძლება მოითხოვდეს მომხმარებლის სახელს ინტერნეტ პროტოკოლის მისამართში შესასვლელად ან სპეციალურ პაროლს. ელექტრონულად ხელმისაწვდომი კატალოგები შეიძლება აგრეთვე მოითხოვდნენ პაროლს. თუ სისტემამ, რომელიც მოთხოვს პაროლს, უნდა მიიღოს რაიმე შეტყობინება როგორც მართებული, მაშინ ეს ქვეველი შეიძლება იყოს გამოტოვებული 856-ე ველში. ეს ქვეველი გამოიყენება საზოგადოდ მიღებული პაროლების ჩასაწერად და არ გამოიყენება იმ პაროლებისთვის, რომლებიც მოითხოვენ დაცვას. ტექსტური ინსტრუქციები პაროლების შესახებ ჩაიწერება ≠z ქვეველში (საჯარო შენიშვნა).

≠l - შესვლა ჩაწერით

ქვეველი ≠l შეიცავს სიმბოლოებს (მაგ., login, login და სხვ.), რომლებიც საჭიროა ელექტრონულ რესურსთან ან FTP საიტთან დასაკავშირებლად. (მრავალ ზოგადი მოხმარების ფაილების გადაცემის პროტოკლის სერვერებზე წვდომა ხორციელდება გარკვეული სტრიქონის ანონიმურად შეტანით.) სისტემაში დაშვების ანგარიშის ნომერი, რომელიც საჭიროა სისტემაში შესასვლელად, შეიძლება აგრეთვე იყოს მითითებული. ეს ქვეველი შეიძლება იყოს გამოყენებული საერთო გამოყენების ლოგონის სტრიქონისთვის, რომელსაც არ სჭირდება სპეციალური დაცვა.

≠m - კონტაქტი წვდომის დასახმარებლად

ქვეველი ≠m შეიცავს საკონტაქტო პირის სახელს, რომელიც ვალდებულია დახმარება გაუწიოს მომხმარებელს იმ ჰოსტის ელექტრონულ რესურსთან მისაწვდომად, რომელიც განსაზღვრულია ≠a ქვეველში. იმ მისამართებისთვის, რომლებიც ეხება რესურსის შინაარსს (მაგ., 245-ე ველში ჩაწერილი სათაურით წარმოდგენილი აღწერის ერთეული) და არა წვდომის დახმარებას, გამოიყენება 270-ე ველი. თუ მისამართის მონაცემები იგივეა, გამოიყენება 270-ე ველი.

≠n - ჰოსტის ადგილმდებარეობის სახელი

ქვეველი ≠n შეიცავს ≠a ქვეველში განსაზღვრული ჰოსტის ადგილმდებარეობის ჩვეულებრივ სახელს, მისი ფიზიკური (გეოგრაფიული) ადგილმდებარეობის ჩათვლით.

≠o - ოპერაციული სისტემა

საინფორმაციო მიზნით, ≠a ქვეველში განსაზღვრული ჰოსტის ოპერაციული სისტემა შეიძლება იყოს მითითებული ამ ქვეველში. ფაილის სახელისა და გზის შეთანხმებები

შეიძლება იყოს დამოკიდებული ჰოსტის ოპერაციულ სისტემაზე. თვით წყაროს ოპერაციული სისტემისთვის (მაგ., 245-ე ველში ჩაწერილი სათაურით წარმოდგენილი აღწერის ერთეული) და არა ჰოსტის ოპერაციული სისტემისთვის, რომლის საშუალებითაც ჰოსტი არის ხელმისაწვდომი, უნდა იყოს გამოყენებული 753-ე ველის (კომპიუტერულ ფაილებთან წვდომის სისტემური დეტალები) ≠c ქვეველი (ოპერაციული სისტემა).

≠p - პორტი

ქვეველი ≠p შეიცავს მისამართის იმ ნაწილს, რომლითაც ხდება პროცესის ან მომსახურების იდენტიფიცირება.

≠q - ელექტრონული ფორმატის ტიპი

ქვეველი ≠q შეიცავს ელექტრონული ფორმატის ტიპის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას. ეს ის მონაცემებია, რომლებიც წარმოადგენს რესურსს (წყაროს), როგორცაა ტექსტი, html, ASCII, Postscript ფაილი, შესრულებადი გამოყენებითი პროგრამა ან JPEG სახე. ამ ელემენტის განსაზღვრის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ხალხს და მანქანებს მიეწოდოს სავალდებულო ინფორმაცია იმისთვის, რომ მათ შეძლონ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება კოდირებული მონაცემების გამოყენებადობის შესახებ (მაგალითად, რა კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იყოს მოთხოვნილი მის გამოსატანად დისპლეიზე ან შესასრულებლად). ელექტრონული ფორმატის ტიპი აგრეთვე განსაზღვრავს ფაილის გადაცემის რეჟიმს ან იმას, თუ როგორ უნდა იქნეს გადაცემული მონაცემები ქსელით. (ჩვეულებრივად, ტექსტური ფაილის გადაცემა შეიძლება როგორც სიმბოლოებისგან შემდგარი მონაცემებისა, რომლებიც საზოგადოდ ზღუდავენ ტექსტს იმ სიმბოლოებით, რომლებიც მიღებულია ASCII-ის (American National Standard Code for Information Interchange (ANSI X3.4)) სიმბოლოთა სიმრავლეში (მაგ., ძირითადი ლათინური ანბანი, ციფრები 0-9, ცოტადენი სპეციალური სიმბოლოები და პუნქტუაციის ნიშნების უმრავლესობა) და ტექსტური ფაილები, რომლებშიც შემავალი სიმბოლოები არ ეკუთვნის ASCII-ის სიმბოლოთა სიმრავლეს, ან არატექსტური მონაცემები (მაგ., კომპიუტერული პროგრამები, გამოსახულებათა მონაცემები) უნდა იქნეს გადაცემული სხვა ბინარული რეჟიმის გამოყენებით. ელექტრონული ფორმატის ტიპი შეიძლება იყოს აღებული ისეთი გადანომრილი ნუსხიდან, როგორცაა ინტერნეტის რეგისტრირებული მედიის ტიპები (MIME ტიპები).

≠r - დასაყენებელი პარამეტრები

ქვეველი ≠r შეიცავს დასაყენებელ პარამეტრებს, რომლებიც გამოყენებულია მონაცემების გადასაცემად. დასაყენებელ პარამეტრებში შედის: 1. ბიტების რიცხვი მონაცემებში (ბიტების რიცხვი ერთ სიმბოლოზე); 2. სტოპ ბიტების რიცხვი (ბიტების რიცხვი ბაიტის დასასრულის სიგნალზე); და 3. ლუწობა (გამოიყენება ლუწობის შემოწმების ტექნიკა). ამ ელემენტების სინტაქსი შემდეგია:

<ლუწობა>-< ბიტების რიცხვი მონაცემებში>-< სტოპ ბიტების რიცხვი>

თუ მხოლოდ ლუწობაა მოცემული, დასაყენებელი პარამეტრების სხვა ელემენტები და მათთან დაკავშირებული ტირეები გამოიტოვება (მაგ., <ლუწობა>). თუ სხვა ორი

ელემენტიდან რომელიმე მოცემულია, მაშინ ტირე გამოტოვებული ელოემენტისთვის ჩაიწერება თავის ადგილას (მაგ., <ლუწობა>- < სტოპ ბიტების რიცხვი> ან <ლუწობა>-< ბიტების რიცხვი მონაცემებში>-)

ლუწობის მნიშვნელობები: O (Odd - კენტი), E (Even - ლუწი), N (None – არაფერი), S(Space - ინტერვალი) და M (Mark - ნიშანი).

≠s - ფაილის ზომა

ქვეველი ≠s შეიცავს იმ ფაილის ზომას, რომელიც შენახულია ≠f ქვეველში მოყვანილი ფაილის სახელით. ის, ჩვეულებრივად, გამოსახულია 8-ბიტების ბაიტების ტერმინებში (ოქტეტებში). ის შეიძლება იყოს განმეორებული იმ შემთხვევებში, როდესაც ფაილის სახელი განმეორებადია და უშუალოდ მოსდევს ≠f ქვეველს, რომლისთვისაც არის ის გამოყენებული. ეს ინფორმაცია არ უნდა იყოს მოცემული ჟურნალებისთვის, ვინაიდან 856-ე ველი ეხება მთელ გამოცემას და არა ცალკეულ გამოშვებას.

≠t - ტერმინალის ემულაცია

ქვეველი ≠t შეიცავს მითითებას ტერმინალის მხარდამჭერ ემულატორზე. ტერმინალის ემულაცია ჩვეულებრივად განისაზღვრება დაშორებული შესვლისთვის ქსელში (პირველი ინდიკატორი შეიცავს მნიშვნელობა 2-ს(დაშორებული შესვლა ქსელში (Telnet)).

≠u - რესურსის უნიფიცირებული იდენტიფიკატორი

ქვეველი ≠u შეიცავს რესურსის უნიფიცირებულ იდენტიფიკატორს (Uniform Resource Identifier - URI), რომელიც იძლევა ელექტრონული წვდომის მონაცემებს სტანდარტულ სინტაქსში. ეს მონაცემები შეიძლება იყოს გამოყენებული ელექტრონულ ერთეულთან ავტომატური წვდომისთვის ინტერნეტის ერთ-ერთი პროტოკოლის გამოყენებით ან URN-ის რეზოლუციით. 856-ე ველი ისე არის აგებული, რომ შეიძლებოდეს URL-ის შექმნა 856-ე ველის სხვა ქვეველების კონკატენაციით (გადაბმით). ქვეველი ≠u შეიძლება იყოს გამოყენებული ამ ქვეველების მაგივრად ან მათთან ერთად. ქვეველი ≠u შეიძლება იყოს განმეორებადი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩაწერილი ორივე URN და URL ან ერთზე მეტი URN. ველი განმეორებადია, როდესაც საჭიროა ერთზე მეტი URL-ის ჩაწერა.

≠v - ხელმისაწვდომობის საათები

ქვეველი ≠v შეიცავს საათებს, როდესაც ელექტრონულ რესურსთან წვდომა შესაძლებელია ამ ველში მითითებული ადგილიდან. თუ ჩანაწერი ეხება სისტემას ან მომსახურებას, მაშინ ხელმისაწვდომობის საათები ჩაიწერება 307-ე ველში (საათები და ა.შ.). ეს ქვეველი გამოიყენება მხოლოდ იმ ხელმისაწვდომობის საათების ჩასაწერად, რომლებიც ეხება 856-ე ველში აღნიშნულ სპეციალურ ადგილმდებარეობას.

≠w - ჩანაწერის საკონტროლო ნომერი

ქვეველი ≠w შეიცავს დაკავშირებული ჩანაწერის, რომელსაც წინ უძღვის მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული MARC კოდი, სისტემურ საკონტროლო ნომერს იმ სააგენტოსთვის, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს საკონტროლო ნომერი. ამ

ქვეველში არსებული მონაცემები აბამენ 856-ე ველს MARC ჩანაწერთან, რომელსაც იგივე მონაცემები აქვს საკონტროლო ნომრის ველში. MARC კოდების წყაროს წარმოადგენს “MARC კოდების ნუსხა ორგანიზაციებისთვის”, რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა და “სიმბოლოები და ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის პოლიტიკა კანადაში”, რომელსაც აწარმოებს კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა.

≠x - არასაჯარო შენიშვნა

ქვეველი ≠x შეიცავს შენიშვნას, რომელიც ეხება ამ ველში იდენტიფიცირებული რესურსის ელექტრონულ ადგილმდებარეობას. ეს შენიშვნა დაწერილია ისეთი ფორმით, რომელიც არ არის გამიზნული ან ადექვატური საჯარო განხილვისთვის გამოსატანად. ის შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს ინფორმაციას მოცემულ ადგილზე ფაილის დამუშავების შესახებ.

≠y - ბმულის ტექსტი

ეს ქვეველი შეიცავს ბმულის ტექსტს, რომელიც გამოყენებულია დისპლეიზე გამოსატანად ≠u ქვეველში შეტანილი URL-ის ნაცვლად. როდესაც ≠y ქვეველი არსებობს, გამოყენებითმა პროგრამებმა უნდა გამოიყენონ ≠y ქვეველის შემცველობა, როგორც ბმული ≠u ქვეველის შემცველობის სანაცვლო, როდესაც მიზმის დანიშნულების ადგილი ჩაწერილია ≠u ქვეველში. ბმული ტექსტის გამოყენება არ არის დამოკიდებული რაიმე გადაწყვეტილებაზე მეორე ინდიკატორის მნიშვნელობის შესახებ.

≠z - საჯარო შენიშვნა

ქვეველი ≠z შეიცავს შენიშვნას, რომელიც ეხება ამ ველში იდენტიფიცირებული წყაროს ელექტრონული ადგილმდებარეობის შესახებ. ეს შენიშვნა დაწერილია ისეთი ფორმით, რომელიც არის გამიზნული ან ადექვატური საჯარო განხილვისთვის გამოსატანად.

≠2 - წვდომის მეთოდი

ქვეველი ≠2 შეიცავს წვდომის მეთოდს, როდესაც პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობა 7-ს (მეთოდი განსაზღვრულია ≠2 ქვეველში). ეს ქვეველი შეიძლება შეიცავდეს ისეთ წვდომის მეთოდს, რომელიც განსხვავდება პირველ ინდიკატორში განსაზღვრული ოთხი ძირითადი TCP/IP პროტოკოლისაგან. ამ ქვეველში ჩაწერილი მონაცემები შეესაბამება წვდომის სქემებს, რომლებიც სპეციფიცირებულია რესურსის უნიფიცირებულ ლოკატორებში (Uniform Resource Locators – URL) (RFC 1738) და წარმოადგენს IETF-ის რესურსების უნიფიცირებული იდენტიფიკატორების სამუშაო ჯგუფის პროდუქტს.

ინტერნეტის ნომრების მიმნიჭებელი სამმართველო (Internet Assigned Numbers Authority – IANA) აწარმოებს URL-ბის სქემების რეგისტრს და განსაზღვრავს ახალი სქემების სინტაქსის და გამოყენებას; კონგრესის ბიბლიოთეკა ვალდებულია შეიტანოს ამ სტანდარტის მიხედვით შექმნილი ავტორიტეტული ნუსხა “დამაკავშირებლების, წყაროების, აღწერის შეთანხმებების MARC კოდების ნუსხაში”.

≠3 - განსაზღვრული მასალები

ქვეველი #3 შეიცავს ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს აღწერილი მასალის იმ ნაწილზე, რომლისთვისაც არის გამოყენებული ეს ველი.

856 42 #3Finding aid #uhttp://lcweb2.loc.gov/ammem/ead/Jackson.sgm

#6 - მიზმა

#8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

იხილეთ ამ ქვეველების აღწერა A დანართში.

მაგალითები

856-ე ველი URL/URN-ით:

856 41 #uhttp://www.jstor.org/journals/0277903x.html

856 40 #uhttp://www.cdc.gov/ncidod/EID/eid.htm #qtext/html

856 41 #uhttp://purl.oclc.org/OCLC/OLUC/34907403/1 #xhttp://export.uswest.com/

856 1# #uftp://harvarda.Harvard.edu #kguest

856 42 #3Finding aid #uhttp://lcweb2.loc.gov/ammem/ead/Jackson.sgm

856 42 #3French version #uhttp://www.cgiar.org/ifpri/reports/0297rpt/0297-fr.htm

856 42 #3Essays from annual reports #uhttp://Woodrow.mpls.frb.fed.us/pubs/ar/index.html

856 1# #uftp://wuarchive.wust.edu/mirrors/info-mac/util/color-system-icons.hqx #s16874 bytes

856 2# #utelnet://maine.edu #nUniversity of Maine #t3270

856 1# #uftp://wuarchive.wustl.edu/mirrors2/win3/games/atmoids.zip #cdecompress with PKUNZIP.exe #xcannot verify because of transfer difficulty

856 4# #zPart of the Ovid Mental Health Collection (MHC). Follow instructions on MedMenu page for Ovid login. #uhttp://info.med.yale.edu/medmenu/info%5Fcbc.html

856 40 #uhttp://www.ref.oclc.org:2000 #zAddress for accessing the journal using authorization number and password through OCLC FirstSearch Electronic Collections Online. Subscription to online journal required for access to abstracts and full text

856 4# #uhttp://susdl.fcla.edu/cgi-bin/cgiwrap/~fdl/fdlcgi?FA00000011%2Fjpg #yElectronic resources (JPEG)

856 4# #uhttp://susdl.fcla.edu/cgi-bin/cgiwrap/~fdl/fdlcgi?FA00000011%2Fpdf #yElectronic resources (PDF)

856-ე ველი URL/URN-ის გარეშე:

856 2# #aanthrax.micro.umn.edu #b128.101.95.23

856 1# #aaine.maine.edu #cMust be decompressed with PKUNZIP #fresouce.zip

856 0# #akentvm.bitnet #facadlist file1 #facadlist file2 #acadlist file3

856 0# #auicvm.bitnet #fAN2 #hListserv

856 2# #amadlab.sprl.umich.edu #nUniversity of Michian Weather Underground #p3000

856 10 #zFTP access to PostScript version includes groups of article files with .pdf extension #aftp.cdc.gov #d/pub/EIS/vol*no*/adobe #f* .pdf #lanonymous #qapplication/pdf

შეტანის შეთანხმებები

ფონდების შესახებ ჩართული ინფორმაცია – როდესაც ინფორმაცია ფონდების შესახებ ჩართულია MARC ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერში, მაშინ რამდენიმე 856-ე ველი შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ ეს ინფორმაცია არ შეიცავს მონაცემებს სხვა ფონდების შესახებ, რომელიც სიცხადის მიზნით, მიზნული უნდა იყოს სპეციფიკურ 856-ე ველთან. #3 ქვეველი შეიძლება იყოს გამოყენებული იმ აღწერის ერთეულის ნაწილების დასახასიათებლად, რომელსაც 856-ე ველში შეტანილი ინფორმაცია ეხება.

დისპლეის კონსტანტები – ჩართული ტერმინები ან ფრაზები ისეთები, როგორცაა “ელექტრონული რესურსი”, “ელექტრონული ვერსია” და ა.შ. არ შეიტანება MARC ჩანაწერში. ისინი შეიძლება იყოს სისტემურად გენერირებული, როგორც დისპლეის კონსტანტები, დაკავშირებულები მეორე ინდიკატორის მნიშვნელობასთან.

მეორე ინდიკატორი

დისპლეის კონსტანტა

0	ელექტრონული რესურსი:
1	ელექტრონული რესურსი:
2	ელექტრონული ვერსია:
8	დაკავშირებული ელექტრონული რესურსი:
ხდება]	[დისპლეის კონსტანტის გენერირება არ

ქვეშაზგასმული და ტილდიანი ინტერვალები URL-ში – შეცვალეთ სისტემაში, დირექტორიაში ან ფაილის სახელში ქვეშაზგასმული ინტერვალი (_) და ტილდიანი ინტერვალი (~) შესაბამისი თექვსმეტობითი კოდით, რომელსაც წინ უძღვის პროცენტის ნიშანი:

%5F ქვეშაზგასმული ინტერვალისთვის

%7E ტილდიანი ინტერვალისთვის

სატელეფონო ნომრების ჩაწერის სტილი - #x ქვეველში წერტილები, ინტერვალები და ფრჩხილები, გამოყენებული ნომრის ნაწილების გამოსაყოფად ერთმანეთისგან, უნდა შეიცვალოს დეფისებით. ნომრები ჩაიწერება შემდეგნაირად:

<ქვეყნის კოდი>-<არის/ქალაქის კოდი>-<გაცვლის/ხაზის ნომერი>

ნომრის გაცვლის/ხაზის ნაწილი ხშირად შეიცავს შიდა გამყოფებს, რომლებიც უნდა შეიცვალოს დეფისებით. თუ მოცემულია გაფართოება, ის მიერთებულია სატელეფონო ნომერთან ინტერვალის და “x”-ის წინ მიწერით.

856 3ხ #b1-202-7072316 #j2400/9600 #nLibrary of Congress, Washington, DC #oUNIX #rE-7-1 #vt100 #zRequires logon and password

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

#q ელექტრონული ფორმატის ტიპი

1997 წლამდე ქვეველი #q იყო განსაზღვრული როგორც “ფაილების გადაცემის რეჟიმი” და შეიცავდა მითითებას, თუ როგორ იყო გადაცემული ფაილი ბინარულ თუ ASCII კოდში. ის ხელახლა იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ მასში შესულიყო ელექტრონული ფორმატის ტიპი.

#g რესურსის უნიფიცირებული სახელი

1997 წლამდე ქვეველი #g იყო განსაზღვრული როგორც “ელექტრონული სახელი-დიაპაზონის დასასრული”. ვინაიდან მას იშვიათად იყენებდნენ, ის თავიდან იყო განსაზღვრული როგორც “რესურსის უნიფიცირებული სახელი”. ის გამოაცხადეს მოძველებულად 2000 წელს იმის სასარგებლოდ, რომ URN ჩაწერილიყო #u ქვეველში.

#u რესურსის უნიფიცირებული იდენტიფიკატორი

1999 წლამდე #u ქვეველი იყო განსაზღვრული როგორც განმეორებადი. ის გახდა არაგანმეორებადი იმის სასარგებლოდ, რომ განმეორებულიყო მთლიანად ველი, რადგან ქვეველის განმეორებადობის განსაზღვრა არ იყო ცალსახა.

880 ალტერნატიული გრაფიკის წარმოდგენა (R)

პირველი ინდიკატორი

იგივეა რაც დაკავშირებულ ველში

მეორე ინდიკატორი

იგივეა რაც დაკავშირებულ ველში

ქვეველების კოდები

#6 მიბმა (NR)

#a-z იგივეა რაც დაკავშირებულ ველში

#0-5, 7-9 იგივეა რაც დაკავშირებულ ველში

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს ინფორმაციას ლათინურისგან განსხვავებულ შრიფტში, რომელიც მთლიანად არის წარმოდგენილი ამავე ჩანაწერის სხვა ველის შირაარსის აღმნიშვნელებით. 880-ე ველი მიბმულია დაკავშირებულ ჩვეულებრივ ველთან #6 ქვეველით (მიბმა). ქვეველი #6 დაკავშირებულ ველში აგრეთვე მიაბამს ამ ველს 880-ე ველს. როდესაც ჩანაწერში არ არსებობს დაკავშირებული ველი, მაშინ 880-ე ველი შექმნილია ისე, თითქოს ის არსებობს და, ამ სპეციალური სიტუაციის მისათითებლად, გამოყენებულია სარეზერვო შესვლის ნომერი (00). მონაცემები 880-ე ველში შეიძლება იყოს ერთზე მეტ დამწერლობაში. მრავალი დამწერლობის მქონე ჩანაწერების მოდელები და მაგალითები მოცემულია D დანართში; #6 ქვეველის აღწერა მოცემულია A დანართში; სიმბოლოთა სიმრავლეების სპეციფიკაციები და დამწერლობათა რეპერტუარები მოცემულია “ჩანაწერის სტრუქტურის, სიმბოლოთა სიმრავლეების და გაცვლის მედიის MARC-ის სპეციფიკაციებში”.

შირაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

ინდიკატორებს 880-ე ველში იგივე მნიშვნელობა და აზრი აქვს, რაც ამავე ინდიკატორებს დაკავშირებულ ველში და ამიტომ ამ დანაყოფში ისინი არ არის აღწერილი. ისილიე სპეციფიკური დაკავშირებული ველის განსაზღვრება.

ქვეველების კოდები

#a-z, #0-5, 7-9 - იგივეა რაც დაკავშირებულ ველში

ეს იგივე ქვეველებია, რაც განსაზღვრულია დაკავშირებულ ველში. ამიტომ ქვეველების განსაზღვრებები ნახეთ დაკავშირებული ველების აღწერით ნაწილებში.

245 10 #6880-02 #aHung Jen-kan / #ccShen Wei-pin chu.

880 10 #6245-02/\$1 #a<Chinese characters>

260 ხხ #6880-12 #aMoskva : #bIzd-vo “Nauka” , #c1982

880 ხხ #6260-12/(B #aМосква : #bИзд-во “Наука” , #c1982

#6 - მიბმა

იხილეთ ამ ქვეველის აღწერა A დანართში.

მაგალითები

სრული ჩანაწერების მაგალითები იხილეთ D დანართში.

886 საინფორმაციო ველი საზღვარგარეთული MARC ფორმატის შესახებ (R)

პირველი ინდიკატორი

ველის ტიპი

- 0 ლიდერი
- 1 საკონტროლო ცვლადი ველი (002-009)
- 2 მონაცემთა ცვლადი ველი (010-999)

მეორე ინდიკატორი

განუსაზღვრელი

≠ განუსაზღვრელი

ქვევლების კოდები

- ≠a საზღვარგარეთული MARC ველის ტეგი (NR)
- ≠b საზღვარგარეთული MARC ველის შემცველობა (NR)
- ≠2 მონაცემთა წყარო (NR)
- ≠a-z საზღვარგარეთული MARC ქვეველი (R)
- ≠0-9 საზღვარგარეთული MARC ქვეველი (R)

ველის განსაზღვრება და მოქმედების არე

ეს ველი შეიცავს მონაცემებს საზღვარგარეთული MARC ჩანაწერებიდან, რომლებისთვისაც არ არსებობს MARC21 ფორმატის შესაბამისი ველები. ეს ველი გამოიყენება საზღვარგარეთული MARC ჩანაწერების კონვერტირებისას MARC21 ფორმატში.

შინაარსის აღმნიშვნელების გამოყენების წესები

ინდიკატორები

პირველი ინდიკატორი - ველის ტიპი

პირველი ინდიკატორის პოზიცია შეიცავს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრავს საზღვარგარეთული MARC ველის ტიპს საიდანაც იყო კონვერტირებული მონაცემები.

0 - ლიდერი

მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ინფორმაცია იყო აღებული საზღვარგარეთული MARC ფორმატის ლიდერიდან.

886 0~~h~~ #2intermrc #b00860nambb6200206~~h~~4500
[ლიდერი INTERMARC ფორმატის ჩანაწერიდან.]

1 - საკონტროლო ცვლადი ველი (002-009)
მნიშვნელობა 1 მიუთითებს, ინფორმაცია იყო აღებული საზღვარგარეთული MARC ჩანაწერის საკონტროლო ცვლადი ველიდან.

886 1~~h~~ #2intermrc #a004 #b10000a90001

2 - მონაცემთა ცვლადი ველი (010-999)
მნიშვნელობა 2 მიუთითებს, ინფორმაცია იყო აღებული საზღვარგარეთული MARC ჩანაწერის მონაცემთა ცვლადი ველიდან.

886 2~~h~~ #2intermrc #a019 #~~h~~ #aVG 586-1992

მეორე ინდიკატორი - განუსაზღვრელი

მეორე ინდიკატორი განუსაზღვრელია და შეიცავს ცარიელ სიმბოლოს (~~h~~).

ქვევლების კოდები

#a - საზღვარგარეთული MARC ველის ტეგი

ქვეველი #a შეიცავს ტეგის სამ სიმბოლოიან რიცხვს, როგორც არის ის აღნიშნული სეზღვარგარეთულ MARC ჩანაწერში. ქვეველი #a უნდა იყოს რიგით მეორე ქვეველი ამ ველში, უშუალოდ #b ქვეველის წინ. თუ პირველი ინდიკატორის მნიშვნელობა არის 0 (ლიდერი), მაშინ ქვეველი #a ამ ველში არ უნდა არსებობდეს.

886 2~~h~~ #2unimrur #a709 #b1~~h~~ #aNapalkov (Litvak), Vladimir Nikolaevich: sm.

#b - საზღვარგარეთული MARC ველის შემცველობა

ქვეველი #b შეიცავს ან ლიდერის ოცდაოთხ სიმბოლოს ანუ საზღვარგარეთული MARC საკონტროლო ცვლადი ველის (002-009) მთელ შემცველობას, ან საზღვარგარეთული MARC მონაცემთა ცვლადი ველის (010-999) მთელ შემცველობას ინდიკატორების, ქვევლების კოდების და მონაცემების ჩათვლით. ქვეველი #b უნდა იყოს ამ ველში ბოლო ქვეველი.

886 2~~h~~ #2ukmarc #a690 #b00 #a00030 #dGreat Britain #z11030 #abutterflies #z21030
#alife cycles

[ტეგი 690 UK MARC ჩანაწერიდან (PRECIS სტრიქონი).]

≠2 - მონაცემთა წყარო

ქვეველი ≠2 შეიცავს იმ ფორმატის MARC კოდს, რომელიც გამოყენებულია MARC ჩანაწერის წყაროდ, მაგალითად, ჩინური MARC-ი, გაერთიანებული სამეფოს MARC-ი და ა. შ. MARC კოდების წყაროს წარმოადგენს “დამაკავშირებლების, წყაროების, აღწერილობის შეთანხმებების MARC კოდების ნუსხა”, რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა. ქვეველი ≠2 უნდა იყოს პირველი ქვეველი ამ ველში.

886 1b ≠2intermrc ≠a004 ≠b10000a90001

[ტეგი 004 (შესწორებული ველები) INTERMARC ჩანაწერიდან.]

≠a-z - საზღვარგარეთული MARC ქვეველი

≠0-9 - საზღვარგარეთული MARC ქვეველი

ეს ქვეველები და მათი შემცველობა არის ის, რაც შედის საზღვარგარეთული MARC ველის ორგინალებში, ხოლო ამ ველში მათ წინ უნდა დაესვას ქვეველების კოდები: ≠2, ≠a და ≠b ისე, როგორც ეს ზემოთ იყო განსაზღვრული. შევნიშნოთ, რომ ეს ქვეველები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი ინდიკატორის მნიშვნელობა არის 2.

იხილეთ ≠a და ≠b ქვეველების აღწერებში მოყვანილი მაგალითები.

შინაარსის აღმნიშვნელების ისტორია

პირველი ინდიკატორი – განუსაზღვრელი [CAN/MARC-ში მხოლოდ]

1997 წლამდე პირველი ინდიკატორი იყო განუსაზღვრელი.

≠b საზღვარგარეთული MARC ფორმატის ლიდერის შემცველობა [თავიდან განისაზღვრა 1997 წელს] [CAN/MARC-ში მხოლოდ]

≠c საზღვარგარეთული MARC ფორმატის საკონტროლო ველები 002-009 [აღარ არის ხმარებაში, 1997] [CAN/MARC-ში მხოლოდ]

≠d საზღვარგარეთული MARC ფორმატის ცვლადი ველების შინაარსის აღმნიშვნელები და მონაცემთა ელემენტები 010-999 [აღარ არის ხმარებაში, 1997] [CAN/MARC-ში მხოლოდ]

დანართი A

საკონტროლო ქვევლები

ქვევლები

≠5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი

≠6 - მიბმა

≠8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

დანართი A შეიცავს სამი ქვეველის აღწერას, რომლებიც გამოიყენება ველის მონაცემების მისაბმელად სპეციალურ ინსტიტუტებთან ან სხვა ველებთან. ეს ქვევლები განსაზღვრულია ზოგიერთი (≠5 (ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი)) ან უმეტესი (≠6 (მიბმა), ≠8 (ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი)) ველებისთვის ამ ფორმატში, ამიტომ მათი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები ერთად არის მოცემული ამ დანართში. ეს ქვევლები ჩართულია ყველა იმ ველის ქვევლების ნუსხაში, რომელშიც ისინი განსაზღვრული უნდა იყოს, მაგრამ განსაზღვრებებისთვის გაკეთებულია მითითება ამ დანართზე.

≠5 - ინსტიტუტი, რომლისთვისაც არის გამოყენებული ველი

ქვეველი ≠5 შეიცავს ინსტიტუტის ან ორგანიზაციის MARC კოდს, რომლის მფლობელობაშიც არის მოცემული ეგზემპლარი და რომელსაც ეხება ველში შეტანილი მონაცემები. ველში შეტანილი მონაცემები შეიძლება არ მიეკუთვნებოდეს ერთეულის უნივერსალურ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს ან შეიძლება საერთოდ ეხებოდეს აღწერის ერთეულს, მაგრამ მხოლოდ ველში მოხსენიებულ ადგილობრივ ინტერესს წარმოადგენდეს.

MARC კოდების წყაროს წარმოადგენენ “ორგანიზაციების MARC კოდების ნუსხა” (რომელსაც აწარმოებს კონგრესის ბიბლიოთეკა) და “სიმბოლოები და ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის პოლიტიკა კანადაში” (რომელსაც აწარმოებს კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა).

მაგალითები

500 𐀀 ≠aFrom the papers of the Chase family. ≠5DLC

500 𐀀 ≠aThe Library of Congress copy has bookplate of the Benedictine Monastery in Graftschafft; inscribed by Thomas Jefferson. ≠5DLC

500 𐀀 ≠aPlates 4,5, and 9 are wanting. ≠5DLC

500 𐀀 ≠aUniversity Library's copy has ms. Notes by author on endpapers. ≠5WU

583 𐀀 ≠aQueued for preservation ≠c19861010- ≠ePriority ≠fTitle IIC project ≠5DLC

655 1x #aAnnotations (Provenance) #zSweden #y18th century. #2rbprov #5MH-H
710 2x #aBridgewater Library, #dformer owner. #NjP
700 1x #aKissinger, Henry, #d1923- #5DLC

#6 - მიზმა

ქვეველი #6 შეიცავს მონაცემებს, რომლებიც ერთმანეთთან აბამენ სხვადასხვა დამწერლობის შემცველ ველებს. ქვეველი #6 შეიცავს დაკავშირებული ველის ტეგის ნომერს; შესვლის ნომერს; კოდს, რომლითაც ხდება ველში სკანირებული მარცხნიდან-მარჯვნივ დამწერლობათა ჩამონათვალში პირველი მათგანის იდენტიფიცირება და მითითება იმის შესახებ, რომ ველის ორიენტაცია დისპლეიზე (კომპიუტერის ეკრანზე) გამოტანისას უნდა იყოს მარჯვნიდან მარცხნივ. ჩვეულებრივი (880-ე ველისგან განსხვავებული) ველი შეიძლება იყოს მიზმული ერთზე მეტ 880-ე ველთან, რომლებიც შეიცავენ ერთი და იმავე მონაცემებს, წარმოდგენილს სხვადასხვა დამწერლობაში. ქვეველი #6 –ის სტრუქტურა შემდეგნაირია:

#6 <მზმელი ტეგი>-<შესვლის ნომერი>/<დამწერლობის საიდენტიფიკაციო კოდი>/<ველის ორიენტაციის კოდი>

ქვეველი #6 ყოველთვის პირველია ველში.

მრავალდამწერლობიანი ჩანაწერის მოდელის აღწერა მაგალითებით მოცემულია D დანართში. 880-ე ველის სპეციფიკაციები ამავე ველშია მოცემული, სიმბოლოთა სიმრავლეების და დამწერლობათა რეპერტუარების სპეციფიკაციები მოცემულია “ჩანაწერის სტრუქტურის, სიმბოლოთა სიმრავლის და გაცვლის მედიის MARC21-ის სპეციფიკაციებში”.

მზმელი ტეგი და შესვლის ნომერი – მზმელი ტეგის ნაწილი შეიცავს დაკავშირებული ველის ტეგის ნომერს. ამ ნაწილს უშუალოდ მოსდევს დეფისი და ორციფრიანი შესვლის ნომრის ნაწილი. შესვლის განსხვავებული ნომერი მიენიჭება დაკავშირებული ველების ყოველ სიმრავლეს ერთი ჩანაწერის ფარგლებში. შესვლის ნომრის ფუნქციას წარმოადგენს დაკავშირებული ველებისათვის მონიშვნის საშუალების მიცემა (და არა ჩანაწერში ამ ველების მწკვივში განლაგება). დაკავშირებული ველების ყოველი სიმრავლისთვის შესვლის ნომერი შეიძლება იყოს მინიჭებული შემთხვევითად. შესვლის ნომერი, რომელიც შეიცავს ორზე ნაკლებ ციფრს, მარჯვნიდან არის გათანაბრებული, ხოლო გამოუყენებელი პოზიცია ნულს შეიცავს.

100 1x #6880-01 #a<heading in Latin script>

880 1x #6100-01/(N #a<Heading in Cyrillic script>

245 10 #6880-03 #aSosei to kakō : #bNihon Sosei kakō Gakkai shi.

880 10 #6245-03/\$1 #a<Title in Japanese script> : #b<Subtitle on Japanese script>.

[მთავარი შრიფტი ლათინურია, ალტერნატიული შრიფტი - იაპონური]

100 1x #6880-01 #a<Name in Chinese script>.

880 1x #6100-01/(B #aShen, Wei-pin.

[მთავარი შრიფტი ჩინურია, ალტერნატიული შრიფტი - ლათინური]

როდესაც არ არსებობს დაკავშირებული ველი, რომელსაც უნდა მიეზას 880-ე ველი, მაშინ შესვლის ნომერი #6 ქვეველში იქნება 00. ის გამოიყენება მაშინ, როდესაც სააგენტოს სურს განაცალკევოს დამწერლობები ერთ ჩანაწერში (იხილეთ დანართი D – მრავალდამწერლობიანი ჩანაწერის მოდელი). მზმელი ტეგის ნაწილი #6 ქვეველში უნდა შეიცავდეს იმ ტეგს, რომელიც უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ დაკავშირებულ ვეკლს, თუკი ის არსებობს ჩანაწერში.

880 1x #6530-00/(2/r #a<Additional physical form available information in Arabic script>

[880-ე ველი არ არის მიზმული დაკავშირებულ ველთან. შესვლის ნომერი არის 00.]

დამწერლობის საიდენტიფიკაციო კოდი – შესვლის ნომერს უშუალოდ მოსდევს დახრილი ხაზი (სლემი - /) და დამწერლობის საიდენტიფიკაციო კოდი. ამ კოდით ხდება ველში არსებული ალტერნატიული დამწერლობის იდენტიფიცირება. გამოყენებულია შემდეგი კოდები:

კოდი	დამწერლობა
(3	არაბული
(B	ლათინური
\$1	ჩინური, იაპონური, კორეული
(N	კირილიკური
(2	ებრაული

880 1x #6100-01/(N #a<Heading in Cyrillic script>

არ არის სავალდებულო, რომ მთელ ველში იყოს გამოყენებული დამწერლობა იდენტიფიცირებული #6 ქვეველში. თუ ველში გამოყენებულია ერთზე მეტი დამწერლობა, ქვეველი #6 უნდა შეიცავდეს პირველი ალტერნატიული დამწერლობის იდენტიფიკაციას, ველის სკანირების მარცხნიდან მარჯვნივ დამწერლობათა ჩამონათვალში.

შევნიშნოთ აგრეთვე, რომ დამწერლობის საიდენტიფიკაციო კოდი გამოიყენება 880-ე ველის #6 ქვეველში, მაგრამ ეს მონაცემთა ელემენტი საზოგადოდ არ არის გამოყენებული დაკავშირებული ჩვეულებრივი ველის #6 ქვეველში. დაკავშირებულ ველში ნაგულისხმევია, რომ მონაცემები უნდა იყოს ჩანაწერის მთავარ დამწერლობებში.

ორიენტაციის კოდი – MARC ჩანაწერში, 880-ე ველის შემცველობა, პირველი სიმბოლოდან ბოლო სიმბოლომდე, ველის ორიენტაციისგან დამოუკიდებლად ყოველთვის თავისი ლოგიკური მიმდევრობით ჩაიწერება. ველის დისპლეიზე გამოსატანად ველის სისტემურად ნაგულისხმევი ორიენტაცია არის მარცხნიდან მარჯვნივ. როდესაც ველი შეიცავს ტექსტს, რომელსაც ორიენტაცია აქვს მარჯვნიდან

მარცხნივ, მაშინ დამწერლობის საიდენტიფიკაციო კოდს მოსდევს დახრილი ხაზი (სლემი - /) და ველის ორიენტაციის კოდი. MARC ფორმატის ველის ორიენტაციის კოდი მარჯვნიდან მარცხნივ დამწერლობისთვის არის ასო **r**. ორიენტაციის კოდის შეტანა ველში ხდება მხოლოდ მარჯვნიდან მარცხნივ ორიენტაციის შემთხვევაში, ხოლო მარცხნიდან მარჯვნივ ორიენტაცია სისტემურად არის ნაგულისხმევი 880-ე ველებში. (ველის ორიენტაციის დეტალური აღწერა იხილეთ “ველის სტრუქტურის, სიმბოლოთა სიმრავლეების და გაცვლის მედიის MARC ფორმატის სპეციფიკაციებში”.)

110 2 \times #6880-01 #a<heading in Latin script>

880 2 \times #6110-01/(2/r #a<Heading in Arabic script linked to associated field>

შევნიშნოთ, რომ ორიენტაციის კოდი იხმარება 880-ე ველის #6 ქვეველში, მაგრამ მონაცემთა ეს ელემენტი საზოგადოდ არ გამოიყენება ჩვეულებრივი დაკავშირებული ველის #6 ქვეველში. იგულისხმება, რომ დაკავშირებულ ველში მონაცემები მოცემულია ჩანაწერის მთავარ დამწერლობაში ჩვეულებრივი ორიენტაციით.

#8 - ველის ბმული და მიმდევრობის ნომერი

ქვეველი #8 შეიცავს მონაცემებს, რომელთა საშუალებითაც ხდება მიმდევრობის ელემენტის იდენტიფიკაცია და მათი თანამიმდევრობის დაფიქსირება. ქვეველი #8 შეიძლება იყოს განმეორებადი იმისათვის, რომ რაიმე ველი მიეზას ერთზე მეტ სხვა ველების ჯგუფს. ველის ბმულისა და მიმდევრობის ნომრის ქვეველის სტრუქტურა და სინტაქსი შემდეგნაირია:

#8<მბმელი ნომერი>.<მიმდევრობის ნომერი>\<ველის ბმულის ტიპი>

მბმელი ნომერი არის ამ ქვეველის მონაცემთა პირველი ელემენტი და ამ ქვეველის გამოყენების შემთხვევაში ეს ელემენტი სავალდებულოა. მბმელი ნომერი არის ცვლადი სიგრძის მთელი რიცხვი, რომელიც შედის ყველა იმ ველის #8 ქვეველში, რომლებიც უნდა იყოს გადაბმული. იგულისხმება, რომ ველები ერთი და იმავე მბმელი ნომრით არიან გადაბმული.

